# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით  ფასი 1,50 ლარი  16 ოქტომბერი 2009 №21 (99)

1516
2009



ალენ ტეიტის ლექსი

უმადურობა ისტორიისა

არმან არიანის ნოველები

დაუწერელი რომანის ბედი

ლადო კილასონიას დებიუტი

გივი ალხაზიშვილის ლექსები

„დევების ქორწილის“ ავტორი

იოსებ ჭუმბურიძე გიორგი გოგოლაშვილზე

გრივერ ფარულავა გრიგოლ მეგრელიშვილზე

# ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი გთავაზობთ




























მისამართი: მერაბ კოსტავას 5 ტელეფონი: (+995 32) 99 53 00

# შინაარსი


| | | |
|---|---|---|
| ერი და ბედისწერა | 2 | როსტომ ჩხეიძე დაუწერელი რომანის ბედი |
| ექსპრეს-ინტერვიუ | 5 | ნუციკო დეკანოზიშვილი „ცისკენ დავიჩემე ხეტიალი“ (მოამზადა ნატა ვარადამ) |
| ენაი შემკული და კურთხეული | 6 | იოსებ ჭუმბურიძე ასარგასარა დარაჯი |
| გამოხმაურება | 7 | მანანა ავალიშვილი ხალასი ხმა |
| პროზა | 8 | ზურაბ კანდელაკი უძრავი ძარი |
| | 22 | დავით კიკნაძე არყოფნის იქით |
| პოეზია | 29 | გივი ალხაზიშვილი დილის კონცერტი და სხვა ლექსები |
| პირველი შთაბეჭდილება | 33 | მალხაზ ივანიძე სიფაქიზე, რიდი, მაღალი ღირსება |
| პოეზია | 34 | გრიგოლ მეგრელიშვილი ბედის მდინარე და სხვა ლექსები |
| დაუვიწყარი სახელები | 36 | გრივერ ფარულავა სილამაზისა და სიყვარულის ცეცხლში განათლული (გრიგოლ მეგრელიშვილი) |
| პოეტის ერთი ლექსი | 41 | ალენ ტეიტი ოდა მკვდარ კონფედერაციას |
| ესეისტიკა | 42 | ალენ ტეიტი ნარცისი — როგორც ნარცისი |
| რეპორტაჟი | 44 | ეკა ბუჯიაშვილი ის ხედავს სიზმრებს... არაჩვეულებრივს (ლია სტურუას პოეზიის საღამო) |
| უბის წიგნაკიდან | 49 | ეთერ ბერიაშვილი თითო სტრიქონით მოტანილი იდუმალება |
| ლექსო. არ დაიკარგები | 50 | ამირან არაბული, ეთერ თათარაიძე ცოტა რამ „დევების ქორწილის“ ავტორზე |
| კრიტიკა | 53 | მარინე ტურავა ტრაგედია თამაშისეული სტილით (ოთარ ჩხეიძის „ბორიაყის“ მიხედვით) |
| ახალგაზრდებო. ან კი თქვენ | 56 | ლადო კილასონია ციხე |
| პირველი შთაბეჭდილება | 58 | თამარ ლონლაძე დატყვევებული დროის პირისპირ |
| ახალი თარგმანები | 59 | არმან არიანი ორი ნოველა |
| მოზაიკა | 63 | უმადურობა ისტორიისა |



ორკვირეული ჟურნალი
დამფუძნებელი „ილიონი“
მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41
რედაქცია – (995 32) 96_20_62
რეკლამა – (995 93) 65_93_68
გავრცელება – (995 77) 11_24_30
ფაქსი: (995 32) 96_20_62
E_mail: info@mtserloba.ge

დაბეჭდილია სტამბა "ომეგა თეგი"
საქართველო, თბილისი, სარაჯიშვილის 17
ტელეფონი: +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TELEPHONE +995 32 53 03 62



მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი
სტილისტ—კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე


გარეკანზე: ნუციკო დეკანოზიშვილი
იმედა ლაზარიაშვილის ფოტოეტიუდი

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 30 ოქტომბერს

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ქართული დოკუმენტური პროზა სულ უფრო და უფრო თვალსაჩინოდ იკვეთება დამოუკიდებელ ლიტერატურულ ნაკადად, ამ ნაკადში კი აშკარად გამოირჩა ბიოგრაფიული რომანის ჟანრიც. საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ თუ აქამდე მაინცდამაინც ბევრი არ მოგვეპოვებოდა ამ ჟანრის ნიმუშები, უკანასკნელ ხანს ზედიზედ მოექცა არაერთი პიროვნების ცხოვრება და ღვაწლი ბელეტრიზებული ქრონიკის ქარგაში, რაც გვაიმედებს, რომ ეს მონდომება კვლავაც გაგრძელდება და ამ მხრივაც ჩავერთვებით ევროპულ-ამერიკულ სამწერლო ცხოვრების პროცესებში. საგრძნობლად ამოივსება ამ კუთხით გაჩენილი ნაპრალებიც ჩვენს ლიტერატურაში, მითუმეტეს, რომ ამა თუ იმ პიროვნების ბიოგრაფია თან მოიყოლებს დროის სურათებსაც, იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თუ კულტურულ ფონს, ურომლისოდაც შესაფერისად ვერ გამოიკვეთება მოღვაწის სახება.**

**ქაქუცა ჩოლოყაშვილი ის პიროვნებაა, ვის ცხოვრებასა და ჰეროიკულ ღვაწლსაც კვლავაც არაერთხელ დაუბრუნდება ქართული მხატვრული თუ მხატვრულ-დოკუმენტური აზროვნება, და ამ ციკლში თავის ადგილს დაიმკვიდრებს როსტომ ჩხეიძის ახალი ბიოგრაფიული რომანი ეროვნულ გმირზე.**

როსტომ ჩხეიძე

# დაუწერელი რომანის ბედი

1926 წელს მიხეილ ჯავახიშვილს ჩაუნიშნავს უბის წიგნაკში:

– ტემა და სათაური: – „შავი ჩოხა“.

ესაა და ეს, და როგორ გინდა მიხვდე, ნეტა რის დაწერას აპირებდა – მოთხრობისა თუ რომანის, ანდა სიუჟეტური ქარგა როგორ უნდა გაშლილიყო?

რაღაც მნიშვნელოვანი კი დაგვეკარგა სამუდამოდ, გლოვის, ტრაგიზმის იერით აღბეჭდილი და, იმავდროულად, ჰეროიკული სულით გაჟღენთილი.

სახელწოდებაც გამჭვირვალედ მიგვანიშნებს ჩაფიქრებული თხზულების ზოგად შინაარსსა და მხატვრულ კონცეფციას და ჩანაწერის ეპოქალური ფონიც.

ჯერაც ისე გუგუნებს 1924 წლის აგვისტოს აჯანყების ექო, თითქოს წლების წინათ კი არ ჩაევლოს, სულაც მის წრეში ბრუნავდეს კიდევ ერთხელ დამხობილი საქართველოს მღელვარე ცხოვრება.

აგვისტოს სისხლისღვრა იდუმალი გზებით ისედაც გამოჰყვებოდა ქვეყნის უმთენარო, გაუხარელ, მაგრამ მაინც მხნეობაშენარჩუნებულ ყოფას სახელმწიფოებრიობის აღდგენამდე, და დროდადრო ამოფრქვეული ხმაური იმ გუგუნის თავისებური ვარიაციები გახლდათ, მაგრამ იმავე ხანებში სულ სხვა ძალით ზემოქმედებდა საზოგადოებრივ ცნობიერებაზე.

სისხლი გარშემო ყველგან იხილვებოდა ვითარცა ახალი – და მის შემჩნევას დიდი რამ დაკვირვება არ სჭირდებოდა, ისევე, როგორც გუგუნის ხმას – გამახვილებული სმენა.

რაღაც მნიშვნელოვანი დაგვეკარგა სამუდამოდო...

ჩანაფიქრთა, იდეათა, მიგნებათა, გზისგამკვალავ მინიშნებათა იმ ნანგრევებში, რომელსაც მიხეილ ჯავახიშვილის „უბის წიგნაკები“ ჰქვია, ათასფერადი სამყარო ელავს და ბრჭყვიალებს, და თუ უპირველესად მწარე სინანულს გვიჩენს განზრახვათა ეს დაუსრულებელი ცვენა, მათი ქაოტური გარეგნობის მიღმა მიკვლეული ფარული კანონზომიერება შესაძლოა ერთგვარ გზამკვლევადაც გამოგვადგეს მწერლის მხატვრულ რეალობაში შესაღწევად, რეალობაში, რომელიც მოჩვენებითად, დიახ, მხოლოდ მოჩვენებითადაა ზედაპირზე ამოზიდული, და სიმბოლურ მეტყველებას, ქარაგმულ მინიშნებებს თითქოსდა სრულიად გარიდებული.

ამ რეალობის სწორად წაკითხვა და შეცნობა უამრავ რაიმეს გვიხსნის მიხეილ ჯავახიშვილის თანადროული ისტორიული ჟამის სულსა და დანაშრევებზე, გარეგნულ ამბებს მოფარებულ დეტალებზე.

ცალკეა შესასწავლი ამ უბის წიგნაკებში მოხსენიებულ, პერსონაჟთა პროტოტიპებად ნაგულისხმევ პიროვნებათა სია.

ცალკე – სია ჩაფიქრებული თემების.

შესაძლოა შორსაც გაგიყოლიოს ერთმაც და მეორემაც.

ამჯერად ვაითუ მიხეილ ჯავახიშვილის თემების კვალში ჩადგომა გაგვიხდეს სახიფათო და მკითხველთან ხანმოკლე გასაუბრების ნაცვლად სამეცნიერო ნარკვევი შეგვრჩეს ხელთ.

ამიტომაც მარტოდენ ახლომახლო ფურცლებს მივმოვავლოთ თვალი.

– თემა: ციხის საკანში ქურდები და ავაზაკები ბაასობენ და შფოთავენ... სხვის ავაზაკობა-ქურდობაზე. ან მხეცები შფოთავენ სხვისი მხეცობის გამო.

– ტემა: ფსიხიკა მკვლელის. შიში შურისძიების. ეჭვიანობა. X ვინმეს ძმა მოუკლა. მოკლულის ძმა დასდევს მოსაკლავად. „სისხლი უსისხლოდ არ თავდება“.

– ტემა ლექსისთვის: ჭოტი ჰკივის ჩემს სამშობლოზე, თითქო ეტიკი ეტლსა სწერსო. დავედევნე და მყინვარს გადავაცილე.

– ტემა: ორი მდევი მაწვებოდა... ორივ წაიქცა, ისევ აღზდგა.

– ტემა: მწერალმა დაჰკარგა რწმენა თავის ხალხის მარადიულობის. გამოაცხადა, ჩემი ნაწერები უნდა დავწვაო. გაიტანა ქალაქის გარეთ. ათასობით ხალხი და სტუდენტობა. ავიდა მაგიდაზე, დაასაბუთა და დასწვა.

– ტემა: დაბრუნება სამშობლოში. ოდესღაც ვინმე გაექცა სამშობლოს, როგორც მთაწმინდელი. დაბრუნდა სინანულით.

რომც არ იცოდე, თუ როდისაა ჩანიშნული ეს სტრიქონები, ისედაც იგუმანებ აჯანყების ახლო ხანას: ეს ფიქრები და ტკივილები უშუალოდ იმის გამოძახილია და ამიტომაც გადასდევს ყოველ მათგანს ტრაგიზმის ელფერიო.

ეგეცაა – ამ ჩანაწერებში ფორმულასავითაა დაწურული მოთხრობებისა თუ რომანების (ერთი აკი ლექსს გულისხმობდა!) შინაარსი, ესაა ზოგადი მონახაზები, გარკ-

*** წინათქმის მაგიერ ბიოგრაფიული რომანისა „შავი ჩოხა (ქაქუცა ჩოლოყაშვილის ცხოვრების ქრონიკა)“**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეულ შთაბეჭდილებას რომ გვიქმნის ჩვენთვის დაკარგულ თხზულებებზე...

და ამ ფონზე ბუნდოვანებაში ჩაძირული „შავი ჩოხა“? მაინც რას გულისხმობდა, ვის მიანიშნებდა ამ სამოსით?

თანაც, იმ თემებისაგან განსხვავებით, ამჯერად სახელწოდებაც უკვე შეურჩევია.

ასევე შეერჩია ალექსანდრე ბატონიშვილისადმი მიძღვნილი რომანისთვისაც: „სალმასი“, – და კარგა ხანსაც უტრიალა, ვიდრე ჯერჯერობით ხელს აიღებდა მის დაწერაზე.

„შავი ჩოხა“ ერთადერთხელ გაიელვებს უბის წიგნაკებში – ალარასოდეს დაბრუნებია მის ხსენებასა თუ ერთი-ორი დეტალის ჩანიშვნას, „სალმასზე“ ფიქრისას როგორც მოიქცა.

აგვისტო-სექტემბრის სულის გმინვად „ჯაყოს ხიზნები“ ამოეთქვა, მაგრამ, ცხადია, ვერ ეკმარა ეს ვალალი.

შავი ჩოხის სიმბოლიკა გლოვის ნიშნად უნდა აეზიდა.

იოსებ მჭედლიშვილს სწორედ მგლოვიარება გამოეხატა, შავი ჩოხა რომ მოერგო აჯანყების სისხლში ჩახშობის შემდეგ და ასე გაევლ-გამოევლო დამხობილი დედაქალაქის ქუჩებში.


ქაქუცა ჩოლოყაშვილი

გლოვადვე დადგებოდნენ ალექსანდრე აბაშელი, კონსტანტინე გამსახურდია, პავლე ინგოროყვა და ვახტანგ კოტეტიშვილი ფოტოაპარატის წინ. ქვეყანა თუ არ ღირდა ფოტოს გადაღებად, შავი ჩოხა უთუოდ ღირდა, რაკილა ჯერაც სულდგმულობდა აშკარად გამოთქმული პროტესტი სასტიკი რეჟიმის პირობებში, თანდათან რომ მოიგუდებოდა ყოველი საპირისპირო აზრი და განცდა და იატაკქვეშეთს შეეხიზნებოდა. და იქაც აღარ განებებდნენ.

მიხეილ ჯავახიშვილი მხატვრულ თხზულებას ჩაიფიქრებდა საკუთარი გლოვის გამომხატველადაც და მთავარი გმირის სამოსადაც, ვითომდა მხოლოდ გარეგნულ ნიშნად, ჩოხის ერთ-ერთ ფერად, სინამდვილეში ქარაგმულ გამჭვირვალებას რომ ასხივებდა.

1924 წლის აჯანყების უშუალო გამოძახილად განზრახული თხზულების მთავარი გმირი კი ვინ შეიძლება ყოფილიყო, თუ არა იგი, ვინც წარმართავდა პარტიზანულ მოძრაობას და აღადგენდა რაინდულ ეპოქას ჰეროიკითა და თავგანწირვით?

მაგრამ ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხსენება რომ უკვე აკრძალულიყო და მარტოდენ პოლიტიკურ ბანდიტად ან ყაჩაღად თუ მოიხსენიებდი, თორემ ღირსეულ პიროვნებად და გმირად ვინ გამოგაყვანინებდა მხატვრული ქმნილების ფურცლებზე?

აუცილებელი სულაც არ გახლდათ გმირის წარმოსახვა სახელდებით ანდა ბიოგრაფიულ რეალიათა განმეორებით – დაე შავ ჩოხას თვითონვე ეტვირთა პროტოტიპზე თვალნათლივი მინიშნება.

რეჟიმის მარწუხები ძალიან შებოჭავდა და გასაქანს არ მისცემდა?

მაშ გმირის ხასიათიც რელიეფურად ველარ დაიხატებოდა და ველარც დროის ჰეროიკული და ტრაგიკული სული წარმოჩნდებოდა ჯავახიშვილისებურად?

თუკი ასეა, ისევ წარსულში ერჩივნა თავის შეფარება – ისედაც აღელვებდა 1832 წლის შეთქმულება, ახლა სულაც 1924 წლის ამბოხებაზე გადაჯაჭვული, და მის შემოსატანად საზოგადოებრივ და ლიტერატურულ მიმოქცევაში კარგი იქნებოდა რუსების განსადევნად განზრახული აჯანყებისათვის სამზადისი არსენა ოძელაშვილის სახესა და სახელს ამოფარებოდა, როგორც გლეხთა თავისუფლებისათვის მებრძოლის.

ბოლშევიკური რეჟიმი სიხარულითაც შეეგებებოდა ასეთ გმირს – ბატონყმობის მოძულესა და თავადაზნაურთა დასამხობად შემართულს. რალა ახალი დროის რევოლუციონერები და რალა მათი წინამორბედი, ვინც სოციალისტური რევოლუციის აუცილებლობასა და ჭეშმარიტებას ჯერ კიდევ როდის ირწმუნებოდა გამახვილებულ ალღოს მინდობილი.

თავშესაფარად ნამდვილად გამოდგებოდა არსენა მარაბდელის ხსოვნა, მითუმეტეს, თუ მის სახელს... ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახებას შეუნივთებდი და სოციალური სასურველის მიღმა ეროვნულ ტკივილებს აგულისხმებინებდი მკითხველს.

თუ გამოდგებოდა და ბარემ ამ რომანს ეტვირთა 1924 წლის აჯანყების წარმოსახვაც – არსენას შეფიცულთა რაზმისა და 1832 წლის შეთქმულების ფონზე ერთდროულად. ქაქუცა ჩოლოყაშვილის პარტიზანული მოძრაობა დაე რომანში ასე დაცალკევებულიყო, გამიჯნულიყო არსენასა და მისი თანამზრახველების ტყის ყოფა შეთქმულების მონაწილეთა სამოქალაქო ცხოვრებისაგან, იქ, მხატვრულ სილრმეში ხომ ორივე მთლიანდებოდა და 1924 წლის მეამბოხეთა სწრაფვის ერთიან სურათად წარმოდგებოდა.

„შავი ჩოხა“ მოთხრობად განზრახულიყო თუ რომანად?

რაკილა ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბიოგრაფიის მხატვრული გააზრება მოენდომებინა, უთუოდ რომანის სარბიელს შემოფარგლავდა.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე რომ არ ყოფილიყო, „არსენა მარაბდელიც“ მოთხრობად დაიწერებოდა და არა ვრცელ ეპიკურ ქმნილებად.

ნიშანდობლივია, რომ „სალმასიც“ რომანად ჩაფიქრებულიყო.

და თუ მალე აღესრულებოდა ბოლშევიკური რეჟიმი და მიხეილ ჯავახიშვილი მოესწრებოდა მის დამხობას, „სალმასს“ უსათუოდ ამოუდგებოდა გვერდით „შავი ჩოხა“: ალექსანდრე ბატონიშვილის სახებას — ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახება.

ჯერჯერობით კი ახალი დროის ეროვნული წინამძღოლის სილუეტი მინიშნებით თუ გაიელვებდა უბის წიგნაკის ფურცლებზე.

იქნებ ველარც ვერასოდეს ამოშიფრულიყო ამ ფრაზაში ჩათქმული აზრი.

თუმც ხელჩასაქნევიც რა უნდა ყოფილიყო – ქარაგმა, მინიშნება ადრე თუ გვიან აუცილებლად გაიხსნება.

ისე თუ ვინმეს გაიტაცებდა მიხეილ ჯავახიშვილის „უბის წიგნაკები“, მათ შორის თქვენს მონა-მორჩილსაც, ძალიან რომ წაადგებოდა თავის ძიებებში ამ ეპოქის ღრმა შრეებში ჩასაწვდომადაც და ცალკეულ პიროვნებათა – უპირველესად თვითონ მწერლის – ამა თუ იმ თვისების ასახსნელადაც.

ის ფრაზა, მიხეილ ჯავახიშვილს თემად და სათაურად „შავი ჩოხა“ რომ ეგულისხმა, იმთავითვე მომხვდებოდა თვალში და კიდეც ჩავნიშნავდი მარკერით.

მერე როგორღაც მიმეფარებოდა თვალს, უნებურადაც არ წამომიტივტივებდა მეხსიერება.

და ქაქუცა ჩოლოყაშვილის ცხოვრების ქრონიკის შედგენასაც რომ მოვკიდებდი ხელს, დიდხანს ვიმტვრევდი თავს სახელწოდებაზე, ხან რომელი სათაური წამოიწევდა წინ და ხანაც რომელი, მაგრამ გული ვერცერთზე ვერ შემეჯერებინა. ეს ბიოგრაფიული რომანიც დასრულდებოდა, რედაქციული სწორებაც დაიწყებოდა, მაგრამ შესაფერისი სათაური არა და არ ჩანდა, ვიდრე უეცრად არ იელვებდა შავი ჩოხის სიმბოლიკა.

და გავიოცებდი, ამას ამდენი ძებნა და კირკიტი რისთვის სჭირდებოდა, როდესაც სახელწოდება ხელში თვითონვე გივარდება-მეთქი.

და ასეც აღიბეჭდებოდა: „შავი ჩოხა“.

აღარ მახსოვდა, არა, მიხეილ ჯავახიშვილის ის ფრაზა.

არადა, კიდევ ერთხელ რომ მოვინდომებდი იმ თავისებური გზამკვლევის გულდასმით გადათვალიერებას, ეს ჩანაწერიც მალევე გამომეცხადებოდა და მაშინდელი ფიქრიც ახლალა წამომიტივტივდებოდა, „შავი ჩოხა“ გუმანით ქაქუცა ჩოლოყაშვილზე განზრახულ რომანად რომ აღვიქვი.

გუმანს ამჯერად სახელდახელო განსჯაც დაადასტურებდა.

ისე კი რა ხდებოდა?

რაღაც იდუმალს ხომ არ მკარნახობდა პირველაღმოჩენასავით ნაპოვნი სტრიქონი, თავის დროზე ასერიგად შემძვრელი, მერე კი თვალთაგან მიკარგული?..

ჯერ თითქოს დანანებით დავაპირე ჩემი რომანის სათაურთან გამოთხოვება, მაგრამ მერე ამ იდუმალმა კარნახმა მიმახვედრა, შეცდომას ჩაიდენო.

ის კი არა, სავსებით შეგნებულადაც შეიძლებოდა ამ სახელწოდების განმეორება, დაუწერელი რომანის სათაურის გამოყენება ახალი სიცოცხლისათვის... და მითუფრო უნდა გამეწია ანგარიში სულიერი მდინარების ფარულ ნაკადთათვის – ერთ ამ ნაკადთაგანს ებოძებინა ჩემთვის მიხეილ ჯავახიშვილის განზრახვა, სულიერ მემკვიდრეობად გადმოეცა და თითქოს მისი დაუწერელი წიგნის შექმნა დამკისრებოდა... ჟანრი ოდნავ იცვლებოდა – ბიოგრაფიული რომანი ნაცვლად რომანისა, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არ მიენიჭება, მითუმეტეს, რომ მიხეილ ჯავახიშვილის ნაწერებში საკმაოდ მკვეთრია დოკუმენტური ფონი და ზოგიერთი მისი თხზულება ბელეტრისტიკაზე მეტად იქნებ ფიქშენს უფრო უახლოვდებოდეს.

„შავი ჩოხაც“ ვერ შეიქმნებოდა რელიეფურად წარმოსახული დოკუმენტური ფონის გარეშე; და თუ ამ რომანის ქაქუცა ჩოლოყაშვილი გაცდებოდა ყოფითი რეალობის – ანუ ბიოგრაფიული რომანის გმირის – ჩარჩოებს, ძალიანაც არა...

პოსტმოდერნისტულ ეპოქას სჩვევია თავისი მისტიფიკაციები, და თუ მიხეილ ჯავახიშვილის დაუწერელი მემუარები უკვე იქცა ლაშა იმედაშვილის მოთხრობის სიუჟეტურ ქარგად, რა დაშავდებოდა, რომ მისი დაუწერელი რომანიც გადაქცეულიყო ბიოგრაფიული რომანის თემად, მითუმეტეს, სათაურიც აღარ იქნებოდა საძებნი.

ვისაც ნებავს, დაე ასეც მიჰყვეს ქაქუცა ჩოლოყაშვილის ცხოვრების ქრონიკას, დაკარგული დედნის აღმოჩენად მიიჩნიოს, მე კი დასრულებულ ქმნილებას ველარ მივუბრუნდები და ახლებურად ველარ გადავაკეთებ მიხეილ ჯავახიშვილის სტილისტიკის შესაფერისად...

თუმც რაღა გადაკეთება –

ის იდუმალი კარნახი ვითომ არაფერს მიგვანიშნებს?!.

აქვთ ჩანაფიქრებსაც თავისი ბედი.

სათაურებსაც თავისი ბედი აქვთ.

და ყოველივე ინთქმევა უსაზღვროებაში, რომელიც ხან წვეთშიც შეიძლება ჩაეტიოს ისე თავისუფლად და ძალდაუტანებლად, რომ იფიქრებ, უსაზღვროების ადგილი მხოლოდ აქ ყოფილა, ამ ნამცეცის კიდეგანშიო.

აი, ისე: დიდ ქვაბში ვერ ეტეოდა, პატარაში თალხნად იდოო.

...აგვისტო-სექტემბრის მიჯნა კი კვლავაც თავბრუდამხვევად ტრიალებს და თავის წიაღში გვითრევს, და ის სისხლიც კვლავაც ისევე იხილვება, ვითარცა ახალდაღვრილი.

გადმოფენილა შავი ჩოხაც, დაკარგული კვლავ ამოჩენილა და ლანდიც ამოსდევს...

გლოვად... იმედად... იმედად... გლოვად...

და ვბრუნავთ ასე, ვბრუნავთ და ვბრუნავთ ისტორიის ლაბირინთებში!..

სამშაბათს, 20 ოქტომბერს
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“
დარბაზში გაიმართება
შეხვედრა

**ჯემალ აჯიაშვილთან**
(ქართული სონეტის საღამო)

დასაწყისი 14 საათზე
ჩუბინაშვილის 41

ნუციკო დეკანოზიშვილი

# „ცისკენ დავიჩემე ხეტიალი“

**— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესად გაჭირვებული მდგომარეობა?**

— როცა სიყვარული თავდება და ღვთისადმი სასოება ქრება.

**— სად ისურვებდით ცხოვრებას?**

— მხოლოდ საქართველოში

**— რა არის უმაღლესი ბედნიერება?**

— სიყვარული, ჰარმონია თავთან და გარესამყაროსთან, შეგრძნება სულიერი ზრდის და მეტამორფოზის.

**— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?**

— პეპი, ჰოლდენი, რემედიოსი.

**— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?**

— იესო ქრისტე, მეფე ფარნავაზი, მაკედონელი.

**— თქვენი საყვარელი მხატვარი?**

— ფიროსმანი, მოდილიანი, ვან გოგი, გოგენი და პიკასო, — ვიდრე გულწრფელი იყო მხატვრობაში და „პოზა“ არ ჰქონდა.

**— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?**

— ბახი, ბეთჰოვენი, შოპენი, მოცარტი.

**— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?**

— კეთილშობილებას, თავისუფლებას, ძლიერებას, ინტელექტს, არაიმპულსურობას და იუმორს (და ფართო მხრები მომწონს ☺ ).

**— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?**

— კეთილშობილებას, ფიზიკურ სილამაზეს, გონიერებას, შარმს.

**— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?**

— კეთილშობილება, სიყვარულისა და სიკეთის უნარი.

**— თქვენი საყვარელი საქმიანობა?**

— ფართო საწოლზე კომფორტულად მოკალათება, ცხელი, ლიმნიანი ჩაი და წერა-კითხვა, ან მოლბერტით ქალაქგარეთ გასვლა და ხატვა.

**— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?**

— მე

**— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?**

— მუდმივი განახლების დაუოკებელი სურვილი, მუდმივად რალაც ახლის კეთება, არსებულის უკეთესისაკენ შეცვლის გეგმები და საკუთარი თავით მუდმივი უკმაყოფილება.

**— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?**

— სიყვარულს და ერთგულებას

**— თქვენი მთავარი ნაკლი?**

— საშინლად ემოციური ვარ ☺

**— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?**

— ბედნიერება მარტივია, თუ ღვთიური კანონების მიხედვით ვიცხოვრებთ, თუ ადამიანური ლოგიკით ვიმსჯელებთ, — დიდი აბსტრაქციაა.



**— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?**

— არ ვფიქრობ ამაზე.

**— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?**

— უფრო მშვიდი და შრომისმოყვარე.

**— თქვენი საყვარელი ფერი?**

— ცისფერი (საერთოდ, ფერებით მიყვარს ცხოვრება ☺ ).

**— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?**

— ველური ყვავილები: მინდვრის, მთის, კლდის, წყლის.

**— თქვენი საყვარელი ფრინველი?**

— არ მიყვარს ფრინველები (ხოლო ფრინველი — დახურულ სივრცეში — ჩემი ყველაზე დიდი ფობიაა).

**— თქვენი საყვარელი მწერალი?**

— ჰემინგუეი, რემარკი, დოსტოევსკი, ბულგაკოვი, მარკესი, დოჩანაშვილი და სხვა მრავალი.

**— თქვენი საყვარელი პოეტები?**

— ვაჟა, გალაკტიონი, ესენინი, ცვეტაევა, პლათი.

**— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალი?**

— გაგელიმებათ და, ფრანსუაზა საგანის ნატალი და ტრუმენ კეპოტის დოლი. ☺

**— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?**

— პატრიარქი, ალავერდელი მიტროპოლიტი, იღუმენია იოანა.

**— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?**

— ქეთევან წამებული

**— საყვარელი სახელები?**

— ნინო, თეკლა, ანდრია, თომა.

**— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?**

— სულმდაბლობას, ღალატს, ლაჩრობას, უტიფრობას, — რომელიც ხშირად უვიცობიდან მოდის, ჩარჩოებში ჯდომას.

**— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?**

— ზიზღის რა მოგახსენოთ და მოღალატე ადამიანები ისტორიაშიც და აწმყოშიც ჩემთვის მიუღებელია.

**— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები აღტაცებისა?**

— მაკედონელი, აღმაშენებელი, ერეკლე მეორე უდიდესი სტრატეგები იყვნენ და, შესაბამისად, მათ მიერ წარმოებული თითქმის ყველა საომარი მოქმედება აღტაცებას იწვევს.

**— რეფორმა, რომელსაც განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?**

— საბჭოთა კავშირში „მშრალი კანონის“ მიღება. ☺

**— ნიჭი, რომელსაც გინდა ფლობდეთ?**

— უფრო დიდი და უფრო უპირობო სიყვარულის...

**— როგორი გინდოდათ რომ მომკვდარიყავით?**

— ღმერთთან მაქსიმალურად ახლოს მყოფი, მონანიებული, მონაგარით გარშემორტყმული, სამშობლოს, ოჯახისა და კაცობრიობის წინაშე ვალმოხდილი, როცა ხდება ბუნებრივი გარდა-ცვალება, მშვიდად გადასვლა სხვა სამყაროში, ისე, როგორც ჩემი პაპები და დიდი პაპები კვდებოდნენ.

## ექსპრეს-ინტერვიუ

**— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?**

— სიყვარულიანი, ტკივილიანი, ცოტა დაღლილიც, — თუმცა, მადლიერებით სავსე და შეძლებისდაგვარად მშვიდი.

**— ქმედებანი, რომელიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?**

— რადგან ვარ ადამიანი და, აქედან გამომდინარე, არანაირი მანკიერება ჩემთვის უცხო არ არის, თითქმის ყოველთვის ვარ შემწყნარებელი. და, საერთოდაც, შურისძიება ღმერთის პრეროგატივაა.

**— თქვენი დევიზი?**

— დევიზი არ მაქვს, ისე კი, ცისკენ დავიჩემე ხეტიალი...

**— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?**

— ღმერთთან, ვფიქრობ, მუდმივი ურთიერთობა გვაქვს, მთავარია ჩვენ რამდენად შევიგრძნობთ ამას, „გული წმინდა და დამდაბლებული" იოლად „იფერებს" ღვთის მადლს.

შეხვედრისას, არ ვიცი, რა მინდა, რომ მითხრას, მე კი ასე ვეტყოდი: იცი, როგორ მიყვარხარ, ღმერთო?!

## ენაი შემკული და კურთხეული

იოსებ ჭუმბურიძე

# ასარბასარა დარაჯი

ავქსენტი ცაგარელი, თურმე, ჯერ ბოდიშს მოიხდიდა და შემდეგ იტყოდა: „ქართველებს და ქართულ ენას ისეთი ასარბასარა დარაჯი ჰყავს, რომ მას ვერავინ ვერაფერს დააკლებს".

რა თქმა უნდა, **იაკობ გოგებაშვილს** გულისხმობდა.

ამას **გიორგი გოგოლაშვილის** ახალი წიგნის ანოტაცია გვაუწყებს.

წიგნს ასე ჰქვია: **„ბედი ქართული ენისა ათასწლეულთა მიჯნასთან".**




ალბათ, გაგახსენდათ, სამიოდე წლის წინათ გამოსული მისი სხვა წიგნი ასეთი სათაურით: **„ბედი ქართული უნივერსიტეტისა, ათასწლეულის კარიბჭესთან".**

სათაურები ერთმანეთს ძალიან ჰგავს. შეიძლებოდა, უფრო მეტადაც მგვანებოდნენ. ბატონი გიორგი მაინც მოერიდა სრულ მსგავსებას.

ტყუილად მოერიდა – ეს ერთადერთი შენიშვნაა, ამ წერილში რომ გამოვთქვამ.

მსგავსება სრული უნდა ყოფილიყო, რადგან 21-ე საუკუნის ზღურბლთან ქართული ენა და ქართული უნივერსიტეტი ერთნაირი ბედით (უბედობით!) მივიდნენ.

ბატონ გიორგისაც ორივეს ბედი (უბედობა!) თანაბრად სტკივა და ორივეს საშველად ერთნაირი თავგამოდებით (თავგანწირვით) იბრძვის.

ერთხელ დონ კიხოტს შევადარე, იმის მიუხედავად, რომ ქარის წისქვილებს კი არა, რეალურ ქიმერებს ებრძვის.

მათ, ვისი წყალობითაც აღარ არსებობს ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი სახელმწიფო კომისია და ქართული ენის საპარლამენტო ქვეკომიტეტი, გაუქმებულია ენის სახელმწიფო პალატა, რადიოგადაცემა „ენაჲ შემკული და კურთხეული", საჯარო სკოლებში შემცირებულია ქართული ენის შესასწავლად გამოყოფილი საათების რაოდენობა. ქართული ენა აღარ არის სავალდებულო საგანი უმაღლესი სასწავლებლების ყველა ფაკულტეტზე.

ერთად თავმოყრილი ამგვარი ფაქტები მისთვის შემზარავია, მაგრამ ის მაინც დაუღლელად იმეორებს სტატიებში, ინტერვიუებში, ღია წერილებში...

ღია წერილებით მიმართავს პრეზიდენტს, საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეს, განათლების სამინისტროს მაღალჩინოსანს, მწერალს.

ფაქტებს რომ ჩამოთვლის, თვითონვე დასძენს: **„საკმაოდ მძიმე სურათი დაიხატა... რაც მოგახსენეთ, ამ ფაქტების გვერდიგვერდ დალაგება, მერწმუნეთ, არ იყო იოლი ჩემთვის. შემზარავია, სრული სურათის გააზრება".** მე არც იმგვარად ვფიქრობ, ალექსანდრე ჭავჭავაძე რომ ამბობდა:

**მე ამას ვსტირი,**
**განაწირი, ვაჰ, თუ ვესწრა ვერ,**
**თვარალა ჟამი, გულთ მაამი,**
**კვლამცა იქნების.**

„გულთმაამი ჟამი" ჩვენ უნდა მოვიყვანოთ.

გიორგი გოგოლაშვილი დღენიადაგ ამისთვის იბრძვის – „გულთმაამი ჟამის" მოსაყვანად.

იბრძვის ყველა საშუალებით – მიტინგით, ტელეეკრანით, რადიოეთერით, გაზეთით...

ოტია იოსელიანს რომ მიმართავს, ღია წერილს ეპიგრაფად მისსავე სტრიქონებს წაუმძღვარებს: **„ეროვნულ ენას ქარი საიდანაც მოუბერავს, იქით უნდა ჩამოეფარო".**

შემდეგ კი კონკრეტული (შემზარავი!) ფაქტების მოშველიებით აჩვენებს, თუ რამდენი მხრიდან მოდგომია ქარი (თუ ქარიშხალი!) დღეს ქართულ ენას.

ღია წერილში რვა ასეთი „მხარე" დავთვალე.

ძნელი მოსაძებნია მასზე უფრო მხნე და შემართული მებრძოლი, თუმცა, ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც მინახავს გულგატეხილი და ხელჩაქნეული. ასე რომ უთქვამს: „მერე რა, წერე და იკითხე რამდენიც გინდა. განმკითხავი არავინ არის".

მაგრამ ეს მხოლოდ წუთიერი გულგატეხილობაა.

უმთარესად კი ისეთია, როგორიც იმ ღია წერილში მოჩანს, ოტია იოსელიანს რომ მიმართავს.

„იცით, რა გამახსენდა, ბატონო ოტია? „დათა თუთაშხიაში" გოგი წულაძე ნანო თავყელიშვილს რომ შეაგულია-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნებს, დააყვირებს – „ვიყვიროთ ქალებოო“. არ აჰყვნენ და თავად დაიწყებს ყვირილს არისტოკრატი ქალბატონი. იმ უნამუსო ყაჩაღის თოფის კონდახი მოხვდა თავში ნანოს, მაგრამ ყვირილმა მოიყვანა მშველელი – დათა თუთაშხია...

როგორც ჩანს, ცხოვრებისეული სიბრძნეა ამაში, ბატონო ოტია: უნდა ვიყვიროთ და ვიყოთ იმის იმედზე, რომ შეისმენენ ჩვენს ყვირილს.

და ჩადგეს იქნებ ქარი, ბატონო ოტია“.

სხვათა შორის, ეს ღია წერილი 2004 წელს გაზეთ „თბილისში“ გამოქვეყნდა.

მას შემდეგ მშველელი არ გამოჩენილა და არც ქარი ჩამდგარა. ერთადერთი შედეგი ის არის, რომ გაზეთი „თბილისი“ აღარ გამოდის.

გიორგი გოგოლაშვილს კი „ყვირილი“ მაინც არ შეუწყვეტია.

ის კვლავაც არ კარგავს იმედს, რომ მშველელი აუცილებლად გამოჩნდება.

ოღონდ ამისთვის ბრძოლაა საჭირო.

როგორც ვნახეთ, ქართულ ენას სულ მცირე რვა მხრიდან უტევს ქარი. ამიტომ სულ მცირე რვა „ასარბასარა დარაჯია“ საჭირო, ყველა მხრიდან რომ ჩამოეფაროს.

რვა დარაჯი სადაა!

ღმერთს იმისთვისაც მადლობა უნდა ვუთხრათ, ერთი მაინც რომ არსებობს.

* * *

ავქსენტი ცაგარელი, თურმე, ბოდიშს მოიხდიდა. და ისე უწოდებდა იაკობ გოგებაშვილს „ასარბასარა დარაჯს“. მე კი ამას ბოდიშის მოუხდელად ჩავიდენ და ვიტყვი: ფაქტს ვერსად გავექცევით – გიორგი გოგოლაშვილიც ქართული ენის „ასარბასარა დარაჯია“.

**გამოხმაურება**

# ხალასი ხმა

„ჩვენი მწერლობის“ 18 ფურცლებზე გამოქვეყნებული ნინო ქუთათელაძის ლექსები მიახლებაა ტრადიციულ ქართულ პოეზიასთან. ესაა მშობლიური პოეზიის წიაღი, თავისი ლაღი მდინარებით, გამოკვეთილი ინტონაციურობით. კლასიკური პოეზიის თავისთავადობას ძალზე ბუნებრივად ერთვის დაბალ რეგისტრში გახმოვანებული პატრიოტული განცდა და სათქმელის შეკუმშულად, ერთგვარი სიმკაცრით გამოხატვა, რაც ნინო ქუთათელაძის ლექსების მახასიათებელია.

გამოქვეყნებულ ლექსებში ნაკლებად ჩანს მხატვრული სამკაულები, მაგრამ ყოველ სტრიქონში იგრძნობა ემოციური მუხტი და ყოველ სტრიქონს პიროვნულობის ბეჭედი აზის. თანამედროვე ცხოვრების მორალური სახე ძალზე თავისუფლად იჭრება მის პოეზიაში და ძუნწ, სახასიათო შტრიხებში ვლინდება. პოეტი დროის ყოველ მოვლენას, ყოველ ფაქტს ერთიანად აღიქვამს. ეპოქალურ ცვლილებებს, საყოველთაო ხასიათთან ერთად, ინდივიდუალური მხატვრული დეტალებით ტვირთავს.

**თბილისში არ სტვენს ბულბული, ქაჯეთი ვერ**
**თმობს უკუნს,**
**ეს ქაჯთა საძმო გუგუნებს, ქაჯთან რა უნდა**
**ბულბულს?!**

ლექსის პირველივე სტრიქონი უკვე დროის დრამაა, საქვეყნო და პიროვნულ ტკივილში გადაზრდილი. მისი აზროვნება თავადაა გამომსახველი, ხშირად სიტყვათშეთანხმება განსაზღვრავს ლექსის სულისკვეთებას, თანამედროვეობის სახეს.

ღირებულებებისგან გაძარცული ქვეყნის ყოფა ცხადად, მთელი სისწორით მცირე მხატვრული სალებავებითაა წარმოდგენილი. სურათის სიზუსტე წარმოშობს შინაგან დაძაბულობას, ქმნის მხატვრულ ეფექტს (**„უდაბნოდან ვიხმო ხალხი, ამოვიდე სამარიდან; რომ სიკვდილად ღირდეს ყოფნა, განწირულის წვა და დაღლა, თუ მოსვლაა, ჰგავდეს მოსვლას, თუ წასვლაა, იყოს წასვლა“**).

პოეტი გვიჩვენებს დღევანდელ ყოფაში ინდივიდუალური პასუხისმგებლობის გრძნობის სრულ უქონლობას, გვიჩვენებს მავანთა ფსიქოლოგიურ პორტრეტს – მკაფიო, გრაფიკული ხაზებით შესრულებულს.

**გათიშულია სამყარო ვრცელი, ვიღაცას ვიღაც**
**კლანჭებით ზომავს**
**და სამათხოვროდ გაწვდილი ხელით ცდილობ,**
**დაძლიო ძლიერთა ნყრომა.**

„გიორგობა კუკიაზე“, ასე ასათაურებს ნინო ქუთათელაძე ლექსს. სათაური პოეტურად და აზრობრივად მეტყველია. მიმართვის ხერხი და სიტყვა „იასამანი“ სრულად, უდანაკარგოდ გამოხატავს წარმოსახვისა და აზრის მთლიანობას. თანაც, ელეგიური განწყობილება თავისთავად გარდაისახება გიორგობის სიხარულში: „გიორგობაა, ნუ გაიკვირვებ, იასამანი ყვავის; გიორგობაა, გადაიკივლებს ზაფხულის ერთი ნამიც“. მისი აზროვნება სიღრმისეულია, მაგრამ არაა გართულებული, მძიმე და ძნელად აღსაქმელი. კლასიკური ლექსისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი მეტყველება შერწყმულია თანამედროვეობის ერთმნიშვნელოვან პეიზაჟთან. იგი პოეტურად განსაზღვრავს საუკუნის ტკივილს – ზნეობის უარყოფას, რომელიც ირონიული ელფერითაა შეზავებული: „მეფე შიშველია სანაქებოდ, უფრო შიშველია საქართველო“.

ნინო ქუთათელაძის ხელწერა ტრადიციული ლექსის მდიდარ გამოცდილებას ეყრდნობა. მისთვის ნიშანდობლივია მწყობრი მხატვრული სისტემა. ამასთანავე, რეალობის სწორხაზოვნად წარმოდგენა, სურათების კონკრეტულობა თანამედროვე უინტერესო ცხოვრებას ცოცხლად, ხელშესახებად, ჩუმი სევდით გამოხატავს. თითოეულ სტრიქონში იგრძნობა მისი მოქალაქეობრივი პოზიცია. სათქმელის უჩვეულო სისადავე, პოეტური უბრალოება, გაუნელებელი სევდა სხვა ქალაქის გამო გაისმის სტრიქონებში: „თბილისში არ სტვენს ბულბული, ვით ბავშვობისას სტვენდა“. ესაა ხალასი პოეტური ხმა.

**მანანა ავალიშვილი**

ზურაბ კანდელაკი

# უძრავი ქარი

**არავის არაფერი არ ესმოდა!..**

მშვენიერი კომედიური სცენა გამოვიდოდა, სმენაზე მდგომი, სიმებივით გაჭიმული ჯანლონითსავსეები შეამჩნევენ ბუზს, რომელიც თავის მომაბეზრებელი ბზუილით, ფიქრს არ აცდის ბესარიონ ბორცვიშვილს და ერთგული ქვეშევრდომები გადაწყვეტენ ბუზის ლიკვიდაციას. ჩუმად, ფეხაკრეფით მიუახლოვდებიან ბუზს, მოიქნევენ ლონიერ ტორს, მაგრამ ბუზი გაფრინდება და თხლაშ! ჯერ ხმა, თხლაშ! და მხოლოდ მერე უნდა გამოჩნდეს ძირს გათხლაშული ბატონი ბესარიონი! აუ, რას გაიხარებდა მეგობარი, — ეგრე, კაცო, ეგრე! ცოტა ხომ უნდა გავიცინოთ, გვტანჯავ ძმაო, შენი თავი თუ არ გეცოდება, ჩვენ შეგვიცოდე, სულ სიკვდილი, უბედურება, გვეყო, ბატონო, გვეყოო! — ნამდვილად ასე იტყოდა, მაგრამ, წამის მერე, როგორც კი, ოდნავ დაფიქრდებოდა, ნათქვამს დაამატებდა, — ოლონდო!.. ოლონდ, ცოტა უხერხული ხომ არ არის, ბატონი ბესარიონის ასეთ სიტუაციაში ჩაყენება!.. არა, მე კი არ მეშინია, მაგრამ აჯობებს, ეგ მუშტი, სოფრომს სთხლიშონო! თხლაშ! და ეგ საიდანღაც მოთრეული სოფრომი გაითხლაშოსო! დიდებული იქნება, მე და ჩემმა ღმერთმა, დიდებული, და მე, შენს ადგილზე, აღარც ავაყენებდი, სასაცილოც იქნებოდა და სოფრომის პრობლემაც გადაწყდებოდა, გაქრებოდა შენი სოფრომი, ფაფუ, აღარ იარსებებდა!

...სინამდვილეში კი... თურმე, ბატონი ბესარიონი მე მომმართავდა! — ჰო, ჰო, დილეტანტობა გვღუპავდა და მომავალშიც დაგვღუპავსო! — გამიმეორა, ოლონდ ამჯერად, სიმკაცრე არ იგრძნობოდა მის კილოში, მერე, მხრებზე ხელი მომხვია და მისაყვედურა: — უცნაური ხალხი ხართ, ძალიან უცნაური, გილიოტინას აკეთებთ და ჯალათი არა გყავთ, თქვე დალოცვილებო, განა ეს დასაშვებია?! გილიოტინის აგება სახუმარო საქმე ხომ არ არის, უნდა გაითვალისწინოთ დანის სიმძიმე, ვარდნის სიმაღლე, დაცემის კუთხე... ბოლოს და ბოლოს, დანის ალესვასაც ცოდნა უნდა, და რა ვიცი, ალბათ, უამრავი წვრილმანი იქნება კიდევ გასათვალისწინებელი... ასე, არ შეიძლება, გილიოტინის მთელი უპირატესობა ის არის, რომ წამში მთავრდება ყველაფერი, თქვენ კი, როგორც ვატყობ, ჩემს კისერს საჯიჯგნად იმეტებთ, ცოდო არ ვიქნები, რას მერჩით?! — და თვალებში ჩამხედა. ახლა კი, ნამდვილად ვიგრძენი მისი თვალების ძალა, სული გამეყინა, ხმის ამოღება მინდოდა და ენას ვერ ვაბრუნებდი. ის კი, მზერას არ მაცილებდა, აზროვნებაც წამერთვა, წარმოდგენაც აღარ მქონდა სად ვიმყოფებოდი, კისერზე რამდენჯერმე დაცემულ დანას ვხედავდი მხოლოდ, სხვას არაფერს, კისერს რომ სჯიჯგნიდა, შხუილით რომ მოჰქროდა ზევიდან ქვევით და მაინც, ვერაფრით რომ ვერ ახერხებდა თავის მოკვეთას, არა, ბატონი ბესარიონის თავის კი არა, ჩემი, ჩემი თავის მოკვეთას! და მხოლოდ, მაშინ დამიბრუნდა აზროვნება, მზერა რომ მომაშორა, ძლივს ამოვილუღლუღე, — ბატონო ბესარიონ, ჩვენ ხომ... ჩვენ ხომ... ეს გილიოტინა ბუტაფორიაა... ბუტაფორია... ის ხომ... ბატონო ბესარიონ, ის ხომ... — და ბატონმა ბესარიონმა გამიღიმა, — ვიცი, ვიციო! **ბატონმა ბესარიონმა გამიღიმა!** ჯანლონითსავსეებს გავხედე, ისინი, ისევ ისე, ადრინდელივით, ზომაზე მეტად იღიმებოდნენ, მაგრამ, ღმერთო, რა საოცრად დიდი სხვაობა იყო, ბატონი ბესარიონის და მათ ღიმილს შორის! ძალიან შვენოდა ღიმილი ამ პირქუშ კაცს! — პატარა სცენა გავითამაშე, მეც ხომ ვარ კარგი მსახიობიო! — ისევ იღიმებოდა, — ვარ და ვიქნებოდი კიდეც, მაგრამ, გული ამიცრუვდა, როცა გავიგე, რომ ორი დიდი მსახიობიდან, ერთი ცოლსა სცემს გამუდმებით, ხოლო მეორეს კი, ცოლი სცემსო, და თანაც, როგორც მითხრეს, ორივენი, ცოლის მცემელიც და ცოლისაგან გალახულიც, მაინც იმ დედაკაცების ჭკუაზე დადიანო! ეს რომ არა, ვინ იცის, იქნებ მეც მეთქვა ჩემი სიტყვა სამსახიობო ხელოვნებაში, ცეკვაც ვიცი და სიმღერაც შემიძლია... აბა, ბიჭებო, შალახო!.. აბა, ტაში!.. **შალახო!** — და ხელები გაშალა, ლაზათიანად, შნოიანად, ცხვირსახოციც დააგდო და კბილებითაც აიღო, შეიკუნტრუშა, დაბზრიალდა კიდეც, მერე ახტა და პირდაპირ სავარძელში ჩახტა. — **Тоже мне, Зимзимов!** — გავიფიქრე თუ არა, — ბრავო! ბრავო! ბრავისიმოო! — შესძახეს ჯანლონითსავსეებმა და ტაში დასცხეს, რა თქმა უნდა, აპლოდისმენტებს არ იშურებდნენ და შეიძლება, მთელი დღეც კი ეტყაპუნებინათ ხელები, ჯანი არ აკლდათ და ღონე, მაგრამ სულ მალე, ბატონ ბესარიონს, ადრინდელი, პირქუში გამომეტყველება დაუბრუნდა და ჩაფიქრებული მიაჩერდა თავის საყვარელ სურათს, ასეთ დროს კი, ინსტრუქციით, ფაჩუნი რომ ფაჩუნია, ისიც აკრძალული იყო, ამიტომაც, ჯანლონითსავსეებმა, უმალ შეწყვიტეს თავისი ალტაცების გამომხატველი ხელების ტყაპუნი, სუნთქვაც შეიკავეს და ადგილზეც გაქვავდნენ, აბა, ინსტრუქციას ხომ არ დაარღვევდნენ?! სამარისებურ სიჩუმეში მხოლოდ ჩემი ტაშის ხმა ისმოდა, მაგრამ ჯანლონითსავსეების მკაცრმა შემოხედვამ უმალ მომიყვანა აზრზე და მეც დავდუმდი. ისე კი, ნამდვილად ეკუთვნოდა ტაში, მშვენივრად იცეკვა **შალახო!** მშვენივრად!

მკრეხელობად ითვლებოდა ბესარიონ ბორცვიშვილის ფიქრთა დინების შეწყვეტა, საათიც რომ მჯდარიყო ფიქრებში ჩაძირული, ან უფრო მეტიც, ასე ხმაგაკმენდილი და გაქვავებული უნდა მდგარიყავი, და ასეც ვიდექით ხოლმე, მაგრამ ჩვენს ბედად, იმ დღეს მსგავსიც კი არ მომხდარა — ბატონი ბესარიონი, სულ რაღაც რამდენიმე წუთში დაეხსნა ფიქრებს და გაიღიმა, მართალია, ოდნავ შესამჩნევად, მაგრამ მაინც გაიღიმა. ისევ მე გამიღიმა!!

— ეძებეთ პროფესიონალი, ბატონებო, ეძებეთ! — სევდანარევი იუმორით თქვა, მერე, წამიერად თითქოს ისევ მოეძალა ფიქრები, მაგრამ სურათისთვის არ მიუპყრია მზერა, ისევ მე მიყურებდა, ოლონდ აღარ იღიმებოდა, თუმცა არც ისეთი სულისშემძვრელი იყო მისი მზერა, როგორც ცოტა ხნის წინ. — პროფესიონალია საჭირო, პროფესიონალიო! — და დადუმდა. მე, ჩემი ვიზიტი დამთავრებულად ჩავთვალე, ჯანლონითსავსეებმაც მანიშნეს

გაგრძელება. იხ. „ჩვენი მწერლობა“, 20

და მათ შორის ჩავდექი, რათა მწყობრი ნაბიჯით დაგვეტოვებინა განსაწმენდელი. ეს რიტუალიც, ინსტრუქციით იყო გათვალისწინებული, მაგრამ არა, იმ დღეს ნამდვილად არ ეწერა ინსტრუქციებს შესრულება. ბატონმა ბესარიონმა ხელის აწევით შეგვაჩერა და ისევ მე მომმართა, — ჯალათი!.. პროფესიონალი ჯალათი!.. და კიდევ, ჩემო კარგებო, ერიდეთ ფემინიზირებულ კულუარებს! — ერიდეთ ფემინიზირებულ კულუარებსო! — და წამსვე დაამატა, — ამოვარდება ქარიო! — მერე მოგვიახლოვდა, ჯანლონითსავსეები აქეთ-იქით გასწია და მხარზე ხელი მომხვია. ახლა უკვე, მე და ბატონი ბესარიონი ერთად ვიდექით ჯანლონითსავსეებს შორის! — აააა! — გამოცდილი ლოტბარივით მოგვაწოდა ტონალობა და დაიწყო: — ამოვარდება ქარი-ი-ი, ამინდი შეიცვლება-ა-ა... — ზლაპრული ხმა ჰქონდა, ზლაპრული! — ჩემი პატარა თინა-ა-ა, ჩემი აღარ იქნება-ა-ა... — ჯანლონითსავსეებსაც სცოდნიათ სიმღერა! — არ ამოვარდე ქარო-ო-ო, ამინდი არ შესცვალო-ო-ო... — შეხმატკბილებულად მღეროდნენ! — ჩემი პატარა თინა-ა-ა, სხვას არ გაატანო-ო-ო...

**ღმერთო ჩემო, ბანს ხომ მე ვაძლევდი, მე!**

— ფხუკო! — წასკდა სიცილი გივის, — ეს დენიკინის დროინდელი სიმღერა საიდან გაგახსენდათო! — სიცილს ვერ იკავებდა, ასეთი ჩვევა ჰქონდა, თუ ერთხელ რაღაცაზე გაეცინებოდა, მერე ველარ ჩერდებოდა. ყველამ იცოდა ეს და მოთმინებით ელოდნენ როდის გადაუვლიდა სიცილის უაზრო შემოტევა. შიომ კი, დაივიწყა, არ გაითვალისწინა ეს, ერთსა და იმავეს უხსნიდა, ბრაზობდა, — დაიჯერე, რასაც გეუბნები, დაიჯერეო! — ის კი, იცინოდა... **იცინოდა... იცინოდა... არაფერიც არ დაიჯერა!**

— მე ვნახე ის ადგილი, ვნახე! ფაიზულინის რა მოგახსენო, მაგრამ მე, ნამდვილად არ მეძინა ორი ღამეო! — უყვებოდა მარის, — სიკვდილის მკრთალი შუქის ფონზე, ყოველგვარი ჩვენი მოქმედება, უაზრობის ელფერს იძენსო!

— ყოველგვარიო?! — შეეკითხა მარი.

## ლირიკული გადახვევა

სულ უფრო და უფრო ივსებოდა ჰაერი, გასაფრენად გამზადებული, ქარის მომლოდინე გრძნობებით, და ქარიც, გრძნობდა რა, რომ ელიან, ემზადებოდა, მანამდე კი, ნაადრევი რომ არ ყოფილიყო მისი მობრძანება, ნიავს აგზავნიდა დასაზვერად. აივლ-ჩაივლიდა შორიახლოს ნიავი, ყურს უგდებდა მათ საუბარს და თუმცა პატარა იყო და ამგვარ დავალებას პირველად ასრულებდა, მაინც უკვირდა, რატომ გამომგზავნა ქარმაო, ალბათ, უნდა გაკვირვებოდა კიდეც, რადგან არაფერი გაეგებოდა იმისა, რასაც ისმენდა, ვერ ხვდებოდა ვინ იყო კედი, ან რატომ ჰქონდა ხეების სუნი, ან რატომ ამბობდა მარი, — არ ვარგა, ხეების სუნი აქვს კედის, ბევრად სჯობს, ხეების სურნელითაა კედი გაჟღენთილიო! — მაგრამ ხანდახან, ამ აბდაუბდაში, ნაცნობ სიტყვებსაც ისმენდა, მაგალითად მოცარტი, სულაც არ იყო მისთვის უცხო! ქართა თაობიდან თაობაში გადადიოდა ნამდვილი ამბავი, რომ თურმე ერთხელ, დიდი ხნით ადრე, ყველაფრის წამლეკავ დიდ ქარიშხალსაც კი, ჩაუცხრო რისხვა მოცარტის მუსიკამ, და იმის ნაცვლად, რომ მიელეწ-მოელეწა ყველაფერი და ძირფესვიანად ამოეძირკვა ბებერი ხეები, ნაზი სტვენით გადაევლო მათ, მხოლოდ ფოთლები შეურხია, თანაც ისე ფრთხილად, რომ ფოთოლთა შრიალს არ ჩაეხშო ის ღვთაებრივი ჰანგები. ხშირად სმენია ეს ამბავი — თითქმის ყოველთვის, როდესაც, სადღაც შორიდან, ძალიან გასაგები ბგერათა წყობა რომ აღწევდა მათ სმენამდე, უფროსები იხსენებდნენ რისხვაჩამქრალ დიდ ქარიშხალს და სინანულით ამბობდნენ, — ეგეთი დიდი ქართა მეუფე კარგა ხანს ალბათ არ გვეყოლებაო!

მარიც, რაღაც ამგვარს ამბობდა და ნიავს უხაროდა, რომ არ იყო მთლად უბირი და მცირე ცოდნა მასაც გააჩნდა! ამ დროს კი, შიო, უკვე ლაპარაკობდა ბაირონ ჯანისზე — მისი პირველი კონცერტი გაიხსენა, ფილარმონიის ბალის თითქმის ცარიელ დარბაზში რომ ჩატარდა, მერე, ისიც გაიხსენა, ფანჯრიდან რომ გადაძვრა რიხტერის კონცერტზე და კიდევ ბევრი რამ გაიხსენეს, — გლენ გულდი, მაინც სულ სხვააო! — ხშირად იმეორებდა მარი. ეს კი, რაღა თქმა უნდა, სიხარულს უნელებდა ნიავს, არაფერს ეუბნებოდა არც რიხტერი, არც ჯანისი და არც ვიღაც გულდი, ისევ უცნობ სიტყვათა გროვა და ამის გამო, ნირწამხდარი ბრუნდებოდა ქართან, — არაფერიც არა ხდება და ალბათ არც მოხდებაო! — მაგრამ ქარი უკან აბრუნებდა, მოთმინებით ელოდა, როდის მიხვდებოდა ნიავი, რომ თვალებში უნდა ჩაეხედა მათთვის, მაგრამ რადგანაც ამას ნიავი, ვერა და ვერა, ვერ ხვდებოდა, მობეზრდა ლოდინი, — თვალებში ჩახედე, თვალებში და მაშინ მიხვდები ყველაფერსო! — დაარიგა, თანაც უსაყვედურა, — შენ თვითონ უნდა მიმხვდარიყავი, დროა უკვეო!

და მართლაც, თვალები ყველაფერს ამბობდნენ! ჩახედა თუ არა მათ, თვალებში ნიავმა, უმალ ქარის მოსახმობად გავარდა, ქარმაც ირწმუნა მისი და წამოყვა, მონდომებულმა გაშალა ფრთები, მაგრამ ამაო გამოდგა მისი ნადილი, ვიღაც კედის და ბენჯის, ბავშვის და ლენჩის ზურგს ამოეფარნენ და საიდანაც არ მოუარა ქარმა, ვერსაიდან ვერ მიუდგა, ვერც თვალებში ჩახედა და გაბრუნდა უკან ნაწყენი, მორჩა, აღარ მივალ მათთანო, და ასეც იქცეოდა, აღარ აქცევდა ყურადღებას, მისი მომლოდინე გრძნობების სურვილს, ოღონდ ეგ იყო, რომ ნიავს არ უკრძალავდა მათთან ყოფნას, გამოცდილების მიღებაც არ იყო ურიგო! ნიავი კი, ისე მიეჩვია მათი საუბრების ყურის გდებას, ისე დააინტერესა ხეების სურნელით გაჟღენთილმა გოგონამ, დანიის პრინცმა და სხვა ამბებმაც — გაუტანლობაზე, ქიშპობაზე, სიძულვილზე და სიყვარულზე ლაპარაკმა, იმ მღელვარე დღეებზე, იმ სიხარულზე, იმ ოცნების ახდენაზე, ის საოცნებო დროშა რომ აფრიალდა სასახლეზე, მერე უაზრო სროლებზე, შეცდომებზე, მონანიებაზე საუბრებმა, რომ გატრუნული ეჯდათ ფეხთით და მთავარი ავიწყდებოდა, თვალებში რომ უნდა ჩაეხედა მათთვის! ერთხელ კი, როცა გაახსენდა და თვალებში ჩახედა, გრძნობების ისეთი კორიანტელი დაინახა, რომ თავქუდმოგლეჯილი გავარდა ქართან, — ჩქარა წამოდი! ჩქარა! დადგა დრო! დადგა დროო! — სხაპასხუპით იმეორებდა, ხელს კიდებდა, ექაჩებოდა, — ჩქარა წამოდი, გეხვეწები, წამოდიო! — და დაუჯერა ქარმა, დაუჯერა და ისეთი ძალით მოვარდა, რომ მსწრაფლ აიტაცა მათი გრძნობები, ზურგზე შეისვა, გაშალა ფრთები და ის-ის იყო უნდა გაფრენილიყო და წარეტაცა, სადღაც შორს, ცხრა მთას

იქით, შორს ყველასაგან, რომ სულ ბოლო წამს, ქალმა ესა თქვა, — მერე, სახლში როგორ გამიშვებო! — და ხელი შეუშვა კაცმა ალვირს, ქალიც უეცრად დადარდიანდა, ქარი კი, როგორც უეცრად მოვარდა, ისევე უეცრად ჩაცხრა, თუ მაგრად არ ჩასჭიდებდნენ ალვირში ხელს, უფსკრულში ჩაჩეხვას ვერ ასცდებოდნენ, უფსკრულისთვის კი, ისინი ნამდვილად არ ემეტებოდა, ამიტომაც, ფრთხილად ჩამოსვა ძირს და გაეცალა, უხმაუროდ, ჩუმად, ოღონდ წასვლისას, მათ გასაგონად ჩაილაპარაკა: — სასურველი ქარი ყოველთვის არ იქროლებსო!

— სად იყავი აქამდე!.. ჰო, ჰო, სად იყავი აქამდე! — ფეხები დააბაკუნა მარიმ და სიბრაზისაგან აცახცახდა, — ეს რა მიყავი, რად გინდოდა, რატომ მომიგონე?!. რისთვის?! ნუთუ ანა საკმარისი არ იყო შენთვის?!. მითხარი!.. ხმა გამეცი! — მაშინდელივით, ქარიშხალში მოხვედრილ ბელურას ჰგავდა მარი.

ნიავი კი, ნიავი ამაოდ დაეძებდა ხეების სურნელით გაჟღენთილ გოგონას, ეძებდა და ვერ პოულობდა, სად არ იყო, კუთხე-კუნჭული არ დაუტოვებია, სხვა არ უნდოდა, სხვა არ აინტერესებდა, რადგან შეუყვარდა ის გოგონა, არ ენახა, მისი არაფერი იცოდა და მაინც უყვარდა! — ხეების სურნელითაა კედი გაჟღენთილიო! — მარის სიტყვები ახსენდებოდა და ისევ დაჰქროდა აღმა-დაღმა, მაგრამ არსად არ იყო ის გოგონა, ხეების სურნელით გაჟღენთილი გოგონა, და როდესაც მისი ნახვის ყოველგვარი იმედი გადაეწურა, დადარდიანდა ნიავი, თუმცა რაღა ნიავი, უკვე ქარი, დადარდიანდა და ღვინოს მიეძალა, არაყსაც, ქროლვას ვინ ჩივის, ძლივსღა დაფარფატებდა, და მაინც ეძებდა! ბოლოს, ყველას რომ მოაბეზრა თავი, გაიყვანეს ქალაქგარეთ და ქვები დაუშინეს, განდევნეს, მოიკვეთეს! და გადაწყვიტა,ზღვაში დავიხრჩობ თავსო... **ქალი წყალში იდგა და იყურებოდა შორს, მაგრამ აღარსად იყო ადრინდელი აღტაცება, თითქოს ზღვამ შთანთქაო და აღარც ტალღები ეალერსებოდნენ მის ლამაზ ფეხებს.** და მოფარფატდა ამ დროს სასოწარკვეთილი ქარი, მოფარფატდა და სანამ ზღვაში, ფარფატ-ფარფატით ჩაეშვებოდა, ჩვეულებისამებრ, ერთი-ორჯერ, ძლივს გააქნია დაუძლურებული ფრთები და თურმე, ესეც საკმარისი აღმოჩნდა! **ზღვის ტალღები ნაზად ეხებოდნენ, ეალერსებოდნენ ქალის ლამაზ ფეხებს.** ისევ გააქნია ქარმა ფრთები და ისევ მოეფერა ტალღები ქალს...

**ზღვის სურნელითაა ანა გაჟღენთილი...**

5

*ამა და ამ წლის, ამა და ამ თვის, ამა და ამ რიცხვზე, გაცილებით ადრე (გაგრძელება)*

აღელვებული როზინგი ბოლთასა სცემდა და თანაც სიგარეტს ეწეოდა. როზინგი და სიგარეტი?! ეს წარმოუდგენელი იყო და სანამ, პატარა თინაზე სიმღერით გახალისებული, ზედმეტად განაზებული ჩემი თანმხლებები გაოცებისგან პირს დაალებდნენ, როზინგმა მანამდე ანიშნა თვალით, დაგვტოვეთო და ამის გამო უფრო გაოცებულებს, ვაააც კი არ ათქმევინა, ხელმეორედ, ისე მკაცრად მიანიშნა კარისკენ, რომ ისინი უსიტყვოდ გაიძურწნენ, თუმცა კანონით, სასტიკად იყო აკრძალული პაციენტის დატოვება მთავარ ექიმთან და მის მოადგილესთან, მათი ჯანლონითსავსე სხეულების გარეშე. ამ ამბავმა, ცოტა არ იყოს, შემაფიქრიანა და ცოდვა გამხელილი სჯობს, შემაშინა კიდეც — რადგანაც ასეთმა, წესრიგის მოყვარულმა პიროვნებამ კანონი დაარღვია და თანაც, სიგარეტი მოწია, ეტყობა მართლა რაღაც დამიშავებია!

**როზინგს ერთი ნაკლი გააჩნია, გვარი არა აქვს ქართულიო!** — ხშირად სმენია ავთანდილ შარაბერიძეს, — ულვაშსაც იმიტომ ატარებს და ხანდახან, საუბრისას, რაცხას და ბოშოს იმისთვის ამბობს, რომ ამით, თავისი ქართველობა დაამტკიცოს და ბარონის შთამომავლობა დაფაროსო! — ნეტა ვინ მოუგონა?.. საიდან მოიტანეს?.. რის ბარონი, რა ბარონი! რომელ შთამომავლობაზეა ლაპარაკი? მამამისი ვასო რა შუაშია? ან, ბაბუამისი პავლე? ღარიბზე ღარიბესი, ერთი ქცევა მიწაც რომ ვერ დაუტოვა თავის შვილს და ლუკმა პურისთვის, შავ მუშად დააწყებინა მუშაობა მაღაროში... ესენი კი, ბარონის შთამომავლობაო!.. ანდა ულვაში ავიღოთ, რა ულვაში აქვს, კაცი ორი თითით რომ დაიფარავს, განა ეს ულვაშია? აი, ულვაში ის იყო, ის რომ ატარებდა! იცოცხლე, სიამოვნებით დაიყენებდა ისეთ ულვაშს, მაგრამ ამაზეც, ამ ერთი ციცქნა ულვაშზეც გაგიჟდნენ, — შენ რა, ის ხომ არ გენატრება, თქვენებურიო?! თუ, იქ, თქვენიანებს გინდა თავი მოაწონო, ულვაშებდამშვენებული რომ აპირებ იქ ჩასვლასო! — მარტო მე ხომ არ ვატარებ ულვაშს და ბუდიონს რომ თავი დავანებოთ, თვითონ ლენინსაც ხომ მშვენიერი წვერულვაში ამშვენებდაო! — ასე შეეძლო თავის დაცვა, უძლიერესი არგუმენტი იქნებოდა, ხმასაც ვერ ამოიღებდნენ, მაგრამ მაშინ, შეიძლება რამე სხვა შარი მოედოთ და მის მაგივრად სხვა გამოეგზავნათ, მსურველები აკლდათ თუ რა?! თანაც, უფროსის სიტყვა მისთვის კანონი იყო, ყოველთვის ემორჩილებოდა დისციპლინას და ამიტომაც გადაწყვიტა, ჯანდაბას მაგათი თავი და ეს ულვაშიცო, მოვიპარსავ და რაღა ექნებათ სალაპარაკოო! სხვა მხრივ, მის ანკეტას, როგორც ამბობდნენ, სულ კრიალი გაუდიოდა! მაგრამ, ეტყობა მაინც შეეტყო სინანული და ერთ-ერთმა იმათგანმა, დიდი ბიუროს წევრმა, მის დასაცავად, ან ვინ იცის, ეგებ მის დასაცინადაც, სთქვა, — თავი დაანებეთ, რას ჩააცივდით, ეს ხომ ჩარლი ჩაპლინის ულვაშია, იმისას სულაც არა ჰგავსო! — და ატყდა გაუთავებელი სიცილ-ხარხარი, მერე კი, როცა დაწყნარდნენ, თვით იმან, პირველმა, უთხრა, — გქონდეს ეგ ულვაში, ატარე, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროსო! — მაგრამ ამის შემდეგ, ახალი სადარდებელი გაუჩნდა, ადრე, არც კი უფიქრია, რომ ჩარლი ჩაპლინის მსგავსი ულვაში ჰქონდა, ან რატომ უნდა დაფიქრებულიყო, ვის რაში აინტერესებდა მისი ულვაში, ახლა კი, დაფიქრდა, სასაცილოდ არ ამიგდონ, იქ, ჩემიანებმაო. ახსოვდა, ზედმეტი სახელების შერქმევა რომ უყვარდათ, რამე არ შემარქვანო, მაგრამ, მიუხედავად ამ შიშისა, მაინც ვერ შეელია ულვაშს, მამამისი ვასო, ყოველთვის ეუბნებოდა, კაცის ნამუსია ულვაშიო, ამანაც იმოქმედა, და კიდევ, ბოლოს და ბოლოს, რამდენიც უნდა ილაპარაკონ იმათ, მე ხომ მაინც ქართველი ვარო! და იპოვა გამოსავალი, დაიწვრილა ის ორი თითის დადება ულვაში, ახლა უკვე აღარ ჰგავდა ჩარლის ულვაშს, ვერც იმას იტყოდნენ, იმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულვაშს ჰგავსო, და ვერც იმას, სად გინახავთ უულვაშო ქართველიო!.. ახლა კი, ესენი აუტყდნენ, რა გახდა ეს ულვაში?! ყველას ჯიბრზე, აილებს და მოიპარსავს, მერე რაღას იტყვიან? ან მაშინ რას ბრძანებდნენ, მართლა ისეთი, იმისნაირი ულვაში რომ დაეყენებინა?! ხმას ამოიღებდნენ კი არა, შიშით ჩაიფსამდნენ!.. აი, ის იყო, თუ იყო, ნამუსიანი ულვაში!.. რაცხას და ბოშოს, მე კი არა, აკადემიკოსებიც ამბობენ, აი, თუგინდ კაკი, ნარდის თამაშის დროს, სულ რაცხას არ გაიძახის, ჩემი უკვირთ მაგ ოხრებს ყველაფერიო!.. არა, მაინც ვინ იყო როზინგი? ვერაფრით ვერ დაადგინა, ყველა ენციკლოპედია გადაქექა, მაგრამ როზინგი ვერსად აღმოაჩინა, ვერც ვერავის ჰკითხა, რცხვენოდა, თავს გათქვამდა, ისე იქცეოდა, ვითომ არ იცოდა რა სახელი შეარქვეს, მაგრამ როდემდე დამალავდა? ის ბიჭი, სულ ბარონობით მიმართავდა, ბარონო და ბარონოო!.. იმისთვის მაინც ეკითხა, ისე, ვითომ ხუმრობით, სხვათა შორის, გამაგებინე ერთი, ვინაა ეგ როზინგი, კარგი კაცია თუ ცუდიო, მაგრამ ვერ ჰკითხა, სახუმარო საქმეზე არ ჰყავდა დაბარებული, ზედმეტი მოსდიოდათ! პირდაპირ აიკლო იორამმა — მაგიდაზე, საბუთს საბუთზე უდებდა, დასმენას დასმენაზე, ამას აკეთებენ, ამას ამბობენ და მომეცი უფლება, ზომები მივიღოო! დროზე უნდა შეეჩერებინა, თორემ თავსაც დაილუპავდნენ და მასაც მიაყენებდნენ ზიანს. იორამს მისი თვალთვალიც ევალებოდა და მიანიშნა კიდეც, მიანიშნა კი არა, დაუფარავად უთხრა, შენ მიეცი უფლებაო, თუმცა ჯერ მაინც ვერ შებედა პირდაპირ ეთქვა, შენი ბრალიაო! მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება შებედოს კიდეც და ცოტა უარესიც აკადროს! ჰო, უფლება მისცა, რა მოხდა მერე, სასაცილო, ხალხის გასამხიარულებელი წარმოდგენა უნდა დაედგათ, კაკიმაც ურჩია, — გაუშვი, ნება მიეცი, გულზე მოეშვებათ, ორთქლი თუ დროზე არ გამოუშვი ქვაბს გახეთქავსო!.. — მაგრამ ეტყობა, ვერ მოზომეს, ან არ ისურვეს და ზედმეტი მოუვიდათ, — ეს ქვეყანა საპყრობილეა, ასე ამბობენო! — ეუბნებოდა იორამი, — თანაც გილიოტინასაც ამზადებენო! — ამან მართლა შეაფიქრიანა, და კიდევ კარგი, იმ ბიჭმა აუხსნა, რომ დანიაზე იყო ლაპარაკი, წიგნიც ანახა, სადაც ეწერა, დანია საპყრობილეაო! გილიოტინა კი, ბუტაფორიაა, სათამაშოო! წიგნი დაატოვებინა, ხაზი გაასმევინა იმ ადგილზე და წავიდა თუ არა, იორამი დაიბარა, ხუმრობით უთხრა, — მეტისმეტი მოგდის, აქ ბიჭო, დანიაზეა ლაპარაკი, აი, ნახე, დანიაა საპყრობილე! და თუა საპყრობილე, იყვეს, შენ რა გენაღვლება, თვითონ იტეხონ თავი, ჩვენ რა გვესაქმება დანიასთანო! — წიგნი მიაწოდა და სანამ, იორამი სათვალეს მოირგებდა და ხაზგასმულ ადგილს წაიკითხავდა, გილიოტინის ამბავიც აუხსნა, — სათამაშო ყოფილა, ბუტა-ფო-რიაო! — დაუმარცვლა უკანასკნელი სიტყვა. პასუხი არ გაუცია იორამს, ხმის ამოუღებლად დადო წიგნი მაგიდაზე, მხოლოდ ყბა აუკანკალდა, ასე ემართებოდა აღელვებისას, ეს კი დაუშვებელი იყო, მის დანახვაზე სხვებს უნდა ეკანკალათ, ამიტომაც ჩააბარეს საპატრონებლად ასეთი საპასუხისმგებლო უბანი და არავის რომ არ შეემჩნია მისი ეს სისუსტე, სუნთქვის შეკვრამდე კუმავდა პირს და ასე აღწევდა სასურველ შედეგს, მაგრამ სამაგიეროდ, უჰაეროდ დარჩენილი გული, ისე მძლავრად უწყებდა ძგერას, რომ მერე, როცა აღელვებით გამოწვეულ ყბის კანკალს იმორჩილებდა, ქოშინს ვერ უხერხებდა ვერაფერს და ვინც კი, ამ დროს თვალს შეავლებდა ძველებური ორთქლმავალივით აქშუტუნებულ იორამს, ერთ დასკვნამდე მიდიოდა — მძიმედაა ავად და ალბათ, ასეთ ავადმყოფ კაცს დიდი დღე არ უწერიაო! მერე, სხვებსაც უზიარებდნენ თავიანთ აზრს და თითქმის ყველა მისი მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი, დარწმუნებული იყო, რომ შიშისდამცემი უწყების ბატონპატრონების უერთგულესი ქვეშევრდომი, ყოვლისშემძლე და ყოვლისმცოდნე, მალე გამოემშვიდობებოდა წუთისოფელს, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, ჯოჯოხეთური სარდაფებით განთქმულ შენობას. მხოლოდ ახლობლებმა იცოდნენ ქოშინის ნამდვილი მიზეზი და მათ შორის, რა თქმა უნდა, ავთანდილ შარაბერიძემაც, ამიტომაც დაამშვიდა აღელვებული იორამი, — მე მივიღე უკვე ზომები, ვესაუბრე, დავარიგეო, — თან მოეფერა კიდეც, — შენ კი, განაგრძე შენი საქმე, ისევე იმუშავე, როგორც მუშაობდი, სიფრთხილეს თავი არასოდეს სტკივა, საჭირო კაცი ხარ, ჩემო იორამ, საჭიროო!

რა არ შეუძლია ტკბილ სიტყვას! დაწყნარებული გაუშვა იორამი, მაგრამ სასაცილო ის იყო, რომ იორამს უფრთხოდა, მისი ეშინოდა, საფრთხე კი, თურმე სულ სხვა მხრიდან ელოდა, იმისგან, ვისგანაც ვერ წარმოიდგენდა, ან როგორ წარმოიდგენდა, ის კაცი ხომ ყოველ ცისმარე დღეს მისი ქებით იწყებდა და მისი ქებითვე ამთავრებდა... ვინ იფიქრებდა!.. თუმცა იორამმა რამდენჯერმე გააფრთხილა, პირდაპირ არ უთქვამს, მაგრამ მიმხვედრი უნდა მიმხვდარიყო გადაკვრით ნათქვამს, — ეგნატეს სოფლელს ერიდეო! — ვერ მიხვდა, ეგნატე არ იცოდა, ვინ იყო და აბა, მისი სოფლელი საიდან ეცოდინებოდა, არადა უნდა გაეგო, უნდა მიმხვდარიყო, მაგრამ რომც მიმხვდარიყო, დაიჯერებდა?! ჰო, არ დაიჯერებდა, არც მერე დაიჯერა და მიიღო კიდეც, ახლა ხომ დაიჯერა, ხომ მიხვდა, ვინც იყო ეგნატეს სოფლელი! ის კი, იცავდა, ყველა გააფრთხილა, თავი დაანებეთ, ენერგიული და პატიოსანი კაცია, ნეტა მაგის მონდომება თქვენ მოგცეთ ღმერთმაო! ერთხელ, ნარდის თამაშის დროს, კაკიმაც უთხრა, — მოიცილე თავიდან, ვფიქრობ საშიში კაცია, მაგის თვალებს შეხედე და ყველაფერს მიხვდები, ნახე რა ცივი, გაყინული მზერა აქვსო, — მერე გაიცინა, — ნახშირივით შავია და წყლისფერი თვალები აქვსო! — კამათელი გააგორა და მიუხედავად იმისა რომ ქვა მოუკლა, მაინც გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა, — საკვირველია, არა?! — ვერ გაიგებდი, ნარდზე ამბობდა თუ მის თვალებზე, ორი გაგორების შემდეგ კი დანებდა, — დაუნდობელი თვალები, დაუნდობელი თვალებიო! — თავისთვის ჩაილაპარაკა, ნარდი აალაგა, ვახშამზე უარი თქვა და გამოემშვიდობა, — შენი დამარცხება შეუძლებელია, თუმცაო... — და ისე წავიდა მეტი აღარაფერი უქვამს. ნარდის თამაშის დროს და საერთოდ, შინაურ გარემოში, ყოველთვის შენობით ლაპარაკობდნენ, კაკის თავის საუკეთესო მეგობრად სთვლიდა, მაგრამ ხანდახან მლიქვნელობას ამჩნევდა და უკვირდა, რაში სჭირდებაო, მართალია, აკადემიკოსი მისი წყალობით გახდა, დაეხმარა, თუმცა დახმარება არც სჭირდებოდა, რა, განა არ ეკუთვნოდა? — აბა, სხვა ვინო?! — ფიქრობდა, სხვა, კაკიზე ღირსეული კაცი არ ეგულებოდა. ეჰ, გვიან მიხვდა, რომ ნარდის თამაშის დროს მრავალი

მნიშვნელოვანი საქმე წყდებოდა, ყველაფერს უჯერებდა კაკის, ჰო, ყველაფერს და რაღა მაშინ გაჯიუტდა?! დიდი აზარტული მოთამაშე არასოდეს ყოფილა, მაგრამ მოგება სიამოვნებდა, ასეა, ყველა კაცს მოგება ურჩევნია წაგებას და გამონაკლისი არც ის იყო — თითქმის ყოველთვის უგებდა კაკის და ეს უხაროდა. მხოლოდ მერე გაიგო, რომ თურმე კაკი, მთელ ქალაქში სახელგანთქმული მონარდე ყოფილა და ახალგაზრდობაში კი, ცნობილი ყომარბაზი! ჰოდა, ეს ცნობილი ყომარბაზი, ყოველთვის აგებდა მასთან, ის კი არ იგებდა, კაკი აგებდა, მხოლოდ ბოლოს გამოამჟღავნა თავისი ნიჭი, ექვსი მარსი და ექვსი ოინი მოუგო ზედიზედ, — არ გეწყინოს, ერთხელ, მეც ხომ უნდა მოვიგო, აბა, სად არის ისე საქმე, რომ სულ შენ იგებდე, არ ყოფილა შენი დამარცხება შეუძლებელიო! — და მრავალმნიშვნელოვნად ჩაიხითხითა. ამის შემდეგ, აღარ გამოჩენილა, ავად ვარო, შემოუთვალა, არც დაურეკავს, ეჰ, კარგი ყნოსვა ჰქონიაო, მაგრამ არ იცნობს, კარგად არ იცნობს იმ კაცს, ის არ შეარჩენს, ის არავის არაფერს არ შეარჩენს, ავთანდილ შარაბერიძესთან მეგობრობას არ აპატიებს, როგორ ვერ ხვდება ამას კაკიო! — და ხმამაღლა გაიმეორა, — ავთანდილ შარაბერიძესთან მეგობრობას არ აპატიებსო! — თითქოს ვიღაც სხვა იყო ავთანდილ შარაბერიძე, და თვითონ, ახლანდელი, ფიქრებში ჩაძირული ავთანდილ შარაბერიძე კი სხვა, თუმცა, თითქოს კი არა, ასე იყო, ნამდვილად ასე, ის ავთანდილ შარაბერიძე გამოეყო მას, ის ცალკე არსებობდა, ცალკე იყო ის ცხოვრებაც, ერთად აღებულ ყველა ბარონს რომ შეშურდებოდა, იმ მეორეს კი, ფიქრებში ჩაძირულს, ერთი სურვილი ჰქონდა მხოლოდ, ერთი ბარონის შესაშური ცხოვრებით დაესრულებინა სიცოცხლე. — ისე არ გამწირავენ, ასე იქნება, ნამდვილად ასეო! — ან იქნებ, ნაადრევად მინებდა ბედს? იქნებ, კიდევ შეიძლება ბედისწერის წალმა შემობრუნება?! არა, დააგვიანა, სამწუხაროდ დააგვიანა, ან იქნებ, საბედნიეროდ? იმდენი სიბინძურე დაგროვდა მის ირგვლივ, რომ ჩაიხრჩობოდა ამ სიბინძურეში, ვერ მოახერხებდა, ვერ გააღწევდა ნაპირამდე ამდენი ცურვით დაღლილ-დაქანცული, არადა, თვითონ არ დააგროვა ეს სიბინძურე?! თვითონ არ შეუწყო ხელი?! — ჩემდა უნებურად, ჩემდა უნებურადო! მე სიკეთე მინდოდა, მხოლოდ სიკეთე, სხვანაირად კი გამომივიდა, ცოდვილების ქვეყანაში სიკეთეს რა ხელი აქვსო! — თითქოს ასე უთხრა იმ ბიჭმა, თუ თვითონ მივიდა ამ დასკვნამდე? ის, მეორე ავთანდილ შარაბერიძე მივიდა, პირველს რომ განუდგა, ის! ჰო, ის ბიჭი, ცოდვის ამოუშლელ კვალზე ელაპარაკა, კაენის ცოდვაზე, ღლესაც რომ არ აძლევს გასაქანს ადამიანს, მაინც, ძალიან უცნაური ბიჭი იყო, სახელიც რომ უცნაური ერქვა, ნეტა, სოფრომი თუ ჰქვია ვინმეს? მამაშვილურად დაარიგა, მას შემდეგ, როცა დაწყნარდა, როცა დარწმუნდა, რომ დანიაზე იყო ლაპარაკი, ისიც თითქოს ყველაფერზე დაეთანხმა, — ბნელეთით მოცულ ჭკუას მოჩვენება ეწვევა ხშირადო! — ასე უპასუხა, მაშინ ეგონა, რომ სოფრომი თავისთავზე ამბობდა, ბოდიშს უხდიდა, მაგრამ ახლა ხვდება, რომ თავისთავს არ გულისხმობდა, თითქოს წინასწარ ჭვრეტდა, ბნელეთით მოცული ჭკუა, სულ სხვა რამეს ნიშნავდა! კიდევ რაღაც თქვა, სამყაროზე, მოლეკულებზე, ატომებზე, მაგრამ მაშინ სულ არ აინტერესებდა ეს, მხოლოდ მერე გაახსენდა, როგორც მშიერ ადამიანს ახსენდება სადღაც მიგდებული კონსერვის ქილის არსებობა, მაშინ გაახსენდა, როდესაც ნელ-ნელა შემოეცალა ხალხი, როდესაც ლარისაც, მისი ლარა, თურმე!.. ჰო, მერე გაახსენდა, სიმარტოვემ მაგრად რომ მოუფათურა სულში ხელი, არა, ყველაფერი ძველებურად იყო, ნარდიც, ნადირობაც, ვახშმებიც, მაგრამ ეს უკვე აღარ ახალისებდა, აღარ უხაროდა, თითქოს მხოლოდ მოვალეობას იხდიდა! — ქარს მოაქვს ყველაფერი და ქარსვე მიაქვსო! — ასე თქვა იმ ბიჭმა. ბოლოს, მაინც გაუბრაზდა, კინაღამ მაგიდაზეც დაურტყა ხელი, კაკის უდიერად ხსენებამ გააბრაზა. — ხალხი უნდა გაამხიარულო, ეს გევალება შენო! – ისევ დაარიგა, დაუყვავა, იმან კი, დაუფიქრებლად უპასუხა, — ეს კაკის საქმეა, ის ხომ თქვენი მასხარაა და ამის გარდა, სხვა არაფერი ევალებაო! — ამან გააბრაზა, მაგარამ ბიჭმა, დაინახა თუ არა, რომ გაბრაზდა და ხელიც აღმართა მაგიდაზე დასარტყმელად, იმწამსვე გაუღიმა. იმ ღიმილმა, ხელი ჰაერში გაუშეშა, შემდეგ ნელა დაუშვა, არ დაუკრავს მაგიდისთვის, რაც ძალზე იშვიათად ხდებოდა, თუ აღმართავდა ხელს, ხელის მოძრაობა ყოველთვის მაგიდასთან შეხებით მთავრდებოდა, ხანდახან მაინც ხომ უნდა ეგრძნოთ, რომ ძალაუფლება მის ხელში იყო. ის ბიჭი კი, უღიმოდა, ღიმილით განაიარაღა, მერე, თავი ისევ დანიით იმართლა, — იმათი პრინცი ამბობს ასე, — მე თქვენი მასხარა ვარო! — და თავი დაუკრა, მასხარასავით დაუკრა, ლამის მიწამდე, — აბა, კაცმა სხვა რა გააკეთოს, უნდა იმხიარულოს, თქვენო ბრწყინვალებავო! — თქვენო ბრწყინვალებავო, ამან დააბნია, თორემ შეიძლება ეკითხა, ვინაა როზინგი, რატომ მეძახით ასეო? თან უსაყვედურებდა, ნამუსზე შეაგდებდა, მიახვედრებდა რომ სწყინდა, კარგი ბიჭი უნდა ყოფილიყო და ალბათ გაუგებდა, მაგრამ ვერ ჰკითხა, კაკისთვის გამოიდო თავი, ის კი...

როზინგი, თავში ჯადოსავით ჩაუჯდა, მოსვენება წაართვა, თითქოს რაღაც ცუდის მომასწავებელი იყო, ეს მისთვის უცნობი როზინგი! ვიღაცას უნდა მოეხსნა ჯადო! ოღონდ ვის?.. ვის?.. კაკისთან რატომღაც არ უნდოდა ამ საკითხზე საუბარი, გუმანით გრძნობდა, რომ კაკი არ გამოადგებოდა, კაკი ვერ ახსნიდა ჯადოს! ვინ, ვინო? და დიდი ფიქრის შემდეგ, შალვა ორბელი დაიბარა. შემთხვევით გაახსენდა, მასზედაც შემოვიდა საჩივარი, ოღონდ ოჯახურ საკითხთან დაკავშირებით. ამ საჩივარმა გაახსენა შალვა, ყველა ამბობდა ჭკვიანი კაციაო, თანაც ყველაზე მეტად ისტორიკოსებს აფასებდა, ყოველთვის შურდა მათი, კეთილი შურით, როგორც ამბობდნენ თეთრი შურით, ძალიან მოსწონდა ეს სიტყვა, თეთრი შური, ჰო, თეთრი შურით შურდა, და კიდევ, სიტყვა ემპირიოკრიტიციზმი მოსწონდა ძალიან, ემპირიოკრიტიციზმი! ძლიერად ჟღერდა, პირდაღებულები უსმენდნენ პირტიტველა ჯარისკაცები, და არა მარტო ისინი, სერჟანტები და უმცროსი ოფიცრებიც! — კარგი პოლიტმუშაკი ვიყავი და საერთოდაც, რა კარგი დრო იყოო! — ნინა მოაგონდა, პირველი ცოლი და თვალზე ცრემლი მოადგა. უკანასკნელ ხანს, მის ყოველ გახსენებაზე ასე ემართებოდა, ახლა ნანობდა დიდი ხნის წინანდელს, თუმცა რაღა დროს სინანული იყო, — ეჰ, ყველაფერი ლარას ბრალიაო! — გადარია კაცი, ცეცხლივით იყო ლარა, ლაროჩკა, მჩქეფარე, как шампанское ტანგო იყო ასეთი, „Брызги шампанского“,

პირველად სწორედ ეს ტანგო იცეკვა ლარასთან, ისე მიეკრა ცეკვის დროს, ვნებით დაბურული თვალებით ისე ჩააშტერდა, რომ ყველაფერი დაავიწყა, მაგრამ რად გინდა, მერე, ახლოსაც არ გაიკარა, თუმცა ომის დროს ასეთი ამბები სწრაფად ხდებოდა, ერთი დღის სიხარულით ცხოვრობდნენ! ჰო, არაფერი გამოსდიოდა, სიცილ-კისკისით უძვრებოდა ხელიდან, ცეცხლისმფრქვეველი ქალი იყო ლარა, თვალთაგან ცეცხლისმფრქვეველი და ამ ცეცხლით დამწვარ-გახელებული, იმდენჯერ ჩაიყვანა წყაროსთან წყლის დასალევად და წყალი არ დაალევინა, სანამ ყველაფერთან ერთად ემპირიოკრიტიციზმიც არ დაავიწყა... აი, მაშინ კი, ცოლობა სთხოვა და წერილი მისწერა ნინას, ასე და ასეო, რა ვქნა, ომია, ტყვიის წვიმის ქვეშ ვართ და გამიგე, მაპატიე, შეიძლება ცოცხალი არც კი დავრჩე და თუ გადავრჩი, მოგხედავთ, უყურადღებოდ არ დაგტოვებთ, შენ და ჩემს პატარა სვეტლანასო. ამაყი ქალი იყო ნინა, როგორც შენ გინდა, ისე მოიქეციო, ბარათით აცნობა და მორჩა, აღარაფერი სმენია მასზე, სხვაგან გადავიდა საცხოვრებლად, გაქრა. იმწამსვე ანახა ეს ბარათი ლარას, მაინც არ გასჭრა, — ახლავე მითხოვე ცოლადო! — ამას კი დრო სჭირდებოდა, — არა და არაო, თუ მოინდომებ, შენ ყველაფერს შეძლებ, ტყუილა ხომ არა ხარ, კომისარიო! – Ну, черт с тобой, блядь! — უთხრა პოლკის მეთაურმა და მისი ანკეტა, სადაც ეწერა, რომ ცოლ-შვილიანი იყო, ნაკუწებად აქცია. — ვიცოდი, ვგრძნობდი, დიდი კაცი რომ გახდებოდი და ამიტომ არ მოგეშვიო! — ხშირად ეუბნებოდა მერე ლარა. — ეჰ, მაგან დამღუპა, მაგანო!.. ჰო, შალვა ორბელი რომ დავიბარე, იმაზე ვფიქრობდი, აქეთ-იქით დამიხტის ფიქრი, ცუდი ნიშანია, ეტყობა მართლა დავბერდიო.

ქალაქგარეთ წავიდნენ სავახშმოდ. ყველას გაუკვირდა, კაკი რომ არ იახლა, მის გარეშე ხომ ლუკმას არ ტეხდა, კაკი, მხოლოდ ნარდს კი არ ეთამაშებოდა, საქართველოს ისტორიასაც აცნობდა, მოსწონდა მისი მონაყოლი, თურმე კარგი ხალხი ვყოფილვართ ქართველებიო! მერე, იგივეს ლარას უამბობდა, თავიდან ისიც ვერ მალავდა აღტაცებას, — Вот Царица, понимаю! — თამარზე ამბობდა. ერთხელ კი, სიცილ-კისკისით რომ გაახელა, უთხრა, — Называй, меня, Царицой! — იმანაც, მწყურვალი რომ არ დარჩენილიყო, — „მოია ცარიცაო!“, — თუ „ცარიცა“ ვარ, დიადემა, ან გვირგვინი მაჩუქეო, თუ მისი არა, სხვისი მაინც, ოღონდ ოქროსიო! — ჰო, ჰო! აუცილებლადო! — ოღონდ წყალს დაწაფებოდა და თუგინდ, ყველა გვირგვინი და დიადემა მოეთხოვა, კინაღამ გაბრიყვდა, მართლა დააპირა მუზეუმიდან რომელიმე გვირგვინის გამოტანა, დიდი ამბავი, ერთით ნაკლები თუ იქნებოდა, მაგრამ დროზე მოეგო გონს, შეშინდა კიდეც, უკვე თითქოს რაღაცას გრძნობდა, მის ირგვლივ უცნაურად აირია ყველაფერი, ლარაც ხშირად საეჭვოდ კისკისებდა და მერე, ვილაცებზე სთხოვდა, დაეხმარეო. ის უარს ვერ ეუბნებოდა და უკუღმა დაიწყო ტრიალი მისმა ბედის ბორბალმა. ერთხელ კი, უკვე აშკარად ნაძალადევად აკისკისებულ ლარას თხოვნაზე უარი რომ უთხრა და მის დამშვიდებას შეეცადა კაკის მონათხრობით თევდორე მღვდელზე, ლარამ დაუფარავად მიახალა პირში ის, რასაც ეტყობა დიდი ხანია გულში ატარებდა: — Ты что, Ивана Сусанина не знаешь?!. Хватит, надоел вашими предками, у нас и Екатерина была! И Иван Грозный! И Петр Великий! И вообще, кто вы такие, что выпендриваетесь?!. Вас еще не проучили как следует, вас надо всех в Сибирь сослать, в Сибирь! — აქ კი, უკვე თავი ვერ შეიკავა, იფეთქა მასში ქართულმა სისხლმა და გემრიელი ალიყური აჭამა, თანაც ალიყურზე მწარე სიტყვებიც მიაყოლა: — Молчи сука! Как ты смеешь, полковая блядь! — მაგრამ იმწამსვე უკან დაიხია, თითქოს გაჩერდა, გაიყინა აჩქეფებული ქართული სისხლი, ჟრუანტელმა დაუარა, გასაქცევად გამზადებულ, შეშინებულ ლარას ხელი ჩაავლო და მუხლებზე დაეცა მის წინ, — Прости, прости старого дурака! Прости, милая! — ეჰ, არავინ არ იცის, რა დარდი ტრიალებს ადამიანის გულში!.. Старый дурак!.. ჰო, ქალაქგარეთ დაპატიჟა შალვა ორბელი, — ეტყობა გულახდილი საუბარი მინდოდა, ეტყობა მაშინ შემომეპარა სევდის... სევდის... — ჭია ვერ გაიხსენა, — ჩერვ... ჩერვ... ჩერვი მატლია... სევდაზე კი ითქმის... — თითქოს ვიღაცამ უკარნახა, — სევდის ჭიაო, ჰო, სევდის ჭია, თუმცა მაშინ ვინ იფიქრებდა, თუ ასე უკუღმა წავიდოდა ჩემი საქმე, ან მე, თვითონ, განა წარმოვიდგენდიო!

პირდაპირ, მისვლისთანავე, სუფრასთან დაჯდომა არ უყვარდა. ეს იცოდნენ მისმა მასპინძლებმა და გაშლილ მაგიდას არასოდეს არ ახვედრებდნენ. ღელვა ეტყობოდა შალვა ორბელს, ვერაფრით ვერ მიმხვდარიყო რატომ გამოიძახეს და თანაც, რატომ დაპატიჟეს, უნდოდა ეკითხა, მაგრამ საუბარი არ გამოუვიდათ, რადგანაც ავთანდილ შარაბერიძეს ჩვევა ჰქონდა, რამდენჯერმე უნდა გასულიყო სამზარეულოში, თვითონ უნდა ენახა როგორ ცხვებოდა კეცზე ხაჭაპური, ამოლესილი ლობიოს გასინჯვაც სიამოვნებდა, ხელისგულზე იდებდა და ისე უსინჯავდა გემოს. ყველაზე მეტად, ლობიო, ხაჭაპური და ზუთხი უყვარდა, ოღონდ თევზების მეფის ქართულ სახელს ვერ ეგუებოდა, ზუთხი, რაღაც არ შეესაბამებოდა მის გაგებას, ცუდად ჟღერდა, "ასეტრინა" სხვა იყო — "ასეტრინა!", ისევე როგორც "იკრა ასეტროვაია". ისე კი, თითქმის აღარ ურევდა ქართულში რუსულ სიტყვებს, თავისუფლად შეითვისა ქილაც, კათხაც, ლუდიც, ქაშაყიც, ერთადერთი გამონაკლისი "ასეტრინა" იყო, ისე უყვარდა, იმდენ მოგონებებს ულვიძებდა, რომ ვერ ელეოდა მის რუსულ სახელს.

— მობრძანდითო! — მაგიდასთან მიიპატიჟა შალვა ორბელი. — რაცხა, თავს ვერ გრძნობთ თავისუფლადო! — ასე უთხრა, ჭიქა ჭიქას რომ მიუჭახუნეს. — არა, რას ბრძანებთო! — უპასუხა შალვამ. ღვინო, რაღა თქმა უნდა, კახური იყო.

— ვერაფრით ვერ მივხვდი, რატომ მიბარებდა შარაბერიძე, ყველა ჩემი ცოდვა მოვიძიე გონებაში, მაგრამ ვერაფერი აღმოვაჩინე ისეთი, შარაბერიძეს რომ დააინტერესებდა... ისე, პიროვნულად, არ იყო ცუდი კაცი, კეთილიც იყო, ბევრს ცდილობდნენ მისი დამქაშები, მაგრამ აშკარად ცუდი ვერაფერი ჩაადენინეს, იმ ამბავს თუ არ ჩავთვლით... ხომ ხვდები, რასაც ვგულისხმობ?.. ალბათ, ის ცოდვა, მაინც მაგის კისერზეა!.. მართალია, ახალი დანიშნული იყო, ვერ გაერკვა სიტუაციაში, თანაც ვფიქრობ, რომ მოატყუეს, მაგრამ პატარა ბავშვი ხომ არ იყო, უნდა განეჭვრიტა, უნდა მიმხვდარიყო!.. არა, რამდენიც არ უნდა ეცადო, ვერ გაამართლებ!.. ასეა, ჩემო

კარგო, გაუნათლებელ ადამიანს რომ დაგასვამენ თავზე... აი, ბესარიონ ბორცვიშვილი რომ ყოფილიყო მის ადგილზე, მსგავსი არაფერი მოხდებოდა!

შიომ იცოდა, რომ ბესარიონ ბორცვიშვილი ხშირად ტრაბახობდა, ჩემი საუკეთესო მეგობარია შალვა ორბელიო, მაგრამ თუ შალვა ორბელიც ასეთი დადებითი აზრისა იყო მის შესახებ, ამას ვერც კი წარმოიდგენდა. შეპასუხება გადაწყვიტა, მაგრამ დროზე გადაიფიქრა, ახლა კამათის დრო არ იყო, მას სხვა რამე აინტერესებდა — შალვა ორბელს შეეძლო მცირეოდენი ნათელი მაინც შეეტანა, უკვე მთლიანად აბურდულ-დაბურდულ საქმეში.

— რაცხა არ გამომივიდა კარგადო. — მომიბოდიშა, ძლიერი იმერული კილოთი ლაპარაკობდა, აქ რომ ჩამოვიდა, ქართული თითქმის გადავიწყებული ჰქონდა, ამიტომაც გააკეთეს მასზე არჩევანი... ქართულის სწავლა რომ დაიწყო, ეტყობა, მის მეხსიერებაში ბავშვობისდროინდელი მეტყველება ამოტივტივდა, ან იქნებ, სულაც კაკის ოინები იყო, ხომ იცი, რა კვიმატიცაა, შეიძლება იმან იხუმრა და იმერული კილოთი დააწყებინა ლაპარაკი... ორი-სამი ჭიქის შემდეგ მივხვდი, რომ რაღაც აწვალებდა, რაღაცის გაგება უნდოდა და ამიტომ დამიბარა, მაგრამ ერიდებოდა, რცხვენოდა, შორიდან მოუარა, — რაცხა მინდოდა მეკითხა შენთვისო, — თქვენსა და შენს, ხშირად ურევდა ერთმანეთში, თითქოს მასში ერთმანეთს ებრძოდა ტრადიციული ქართული ზრდილობა და სალდაფონური უხეშობა... მწერლობაზე ჩამომიგდო სიტყვა, რაღაც სისულელე მკითხა, პრიმიტიული კაცი იყო ის უბედური, თუმცა რატომ უბედური, უბედურები ჩვენ ვიყავით, ასეთებს რომ ვემორჩილებოდით და ველაქუცებოდით კიდეც!.. მაგრამ, თითქმის მთელ გვარს რომ ამოგიწყვეტავენ და ერთადერთი გადარჩენილი შენა ხარ, თანაც ყველაფერი გახსოვს, კარზე კაკუნიც და ჩექმების ბრახუნიც, დაემორჩილები, აბა რა ჯანდაბას იზამ!.. ეჰ, ჩემო კარგო, შორიდან ადვილია მსჯელობა!.. შემდეგ, ახალი შეკითხვა დამისვა, ისე დახარა თვალები და ისეთი მორიდებით შემეკითხა, რომ იმწამსვე მივხვდი, ეს იყო მისი მთავარი შეკითხვა... როზინგი ვინ იყოო? წარმოდგენა არა მქონდა, ვინ უნდა ყოფილიყო როზინგი, პასუხი რომ ვერ მიიღო, ბარონიო დაუმატა, ბარონი როზინგიო?.. ბარონი როზინგი არ ვიცი, მაგრამ ვიცი ბარონი როზენი-მეთქი... — არა, როზინგი, ბარონი როზინგი! ასე მითხრა იმ ბიჭმა, ბარონი როზინგიო! — აი, მაშინ გავიგე პირველად სოფრომის შესახებ!.. მერე, შემეკითხა, — ეგ ბარონი როზენი ვინღააო? — ჰოდა, ვუამბე 1832 წლის შეთქმულების შესახებ, ალექსანდრე ორბელიანზე, ელიზბარ ერისთავზე, სოლომონ დოდაშვილზე, როზენზე, შეთქმულების გაცემაზე, იასე ფალავანდიშვილზე... — იქნებ როზენი, იქნებ როზენიო... — რამდენჯერმე გაიმეორა, — იმ ამბავს არ მპატიებენ, მაგრამ მე, არაფერი დამიშავებია, ვინ მკითხა რამე, ხომ გჯერაო? — და თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე თუ არა, მითხრა, — ნუ გეშინია, შენს თავს არ მოვახსნევინებ, ოღონდ, ბიჭო, იცოდე ოჯახი არ დაანგრიოო! — ბიჭოო! ასე მითხრა, სიბრაზისაგან ძალა წამერთვა, ხომ გაგიგია, აღშფოთებისგან გამოწვეული უძლურება, მგონი არსებობს, რაღაც ამის მსგავსი გამოთქმა ფსიქოლოგიაში, ჰოდა, ეს უძლურება საკუთარ თავზე გამოვცადე! — იმ გოგოს თავი დაანებე, ოჯახი არ დაანგრიო იცოდეო! — გამიმეორა, — მე მაგან დამღუპაო! — და თვალზე ცრემლი მოადგა.

შიოს მოეჩვენა, რომ შალვა ორბელსაც ცრემლი მოადგა, თვალი მოაშორა ფიქრებში წასულს და იგრძნო, როგორ აელენა სახე, სულ სხვა რამის გაგება უნდოდა და სულ სხვა რამე გაიგო. შალვა ორბელი კი, ფიქრებით წარსულში დაბორიალობდა და არ იცოდა, რომ ის, ადრინდელი, ყველასაგან დავიწყებული ამბავი, მის გარდა, თუ კიდევ ვინმეში გამოიწვევდა მღელვარებას. მერე, ისე გააქნია თავი, თითქოს ფიქრების განდევნა უნდაო და გაეღიმა.

— Был за мной такой грех!.. ქალები, ჩემო ძმაო, ქალები! Эта девчонка влюбилась в меня, მეც, ცოტა არ იყოს თავგზა ამებნა!.. Чертенок, маленкий чертенок!

და ისე აუელვარდა თვალები, რომ აშკარა იყო, ვერ მოერია თავის ფიქრებს, ვერ განდევნა ის ღიმილი, ნაღვლიანიც და სიხარულის გამომხატველიც, მხოლოდ და მხოლოდ, ანც გოგონას რომ ეკუთვნოდა, იმ პატარა ეშმაკუნას, სიყვარულს რომ აფრქვევდა და მზად რომ იყო, იმ სიყვარულისთვის თუნდ მთელ ქვეყანას ამხედრებოდა. იღიმებოდა შალვა ორბელი და მარტო იყო თავის ფიქრებთან, არ არსებობდა სხვა არაფერი, ის დიდი უბედურებაც კი, რაც გადახდა და რამაც ჩაუკლა საბოლოოდ იმედის უკანასკნელი ნაპერწკალი, სადღაც სულის სიღრმეში რომ ულვივოდა. ჰო, თითქოს ყველაფერი ისევ ისე იყო, ძველებურად და ახლაც, როგორც მაშინ, თვითონ უნდა ამოერჩია, იმ ორი გზიდან ერთადერთი — ამხედრებოდა ისიც მთელ ქვეყანას, თუ მოეთოკა თავისი ვნება და როგორც ასაკი და გამოცდილება კარნახობდა, გონებას დამორჩილებოდა.

შიო კი, შალვა ორბელის პირისპირ მჯდომი, სახეზე ალმურმოდებული, სულ სხვა რამეზე ფიქრობდა, უკვირდა, როგორ გააბედინა, როგორ მისცა ამის უფლება შარაბერიძესო, ღვინო რატომ არ შეასხა, ან, სხვას თუ ვერაფერს მოახერხებდა, სუფრა მაინც რატომ არ მიუტოვაო?! ნუთუ, ის სავარძელი, რომლის შენარჩუნებასაც შეპირდნენ, ასე ძვირადღირებული იყოო?!. მარიზე, უკვე აღარ ფიქრობდა, არ ჰქონდა მნიშვნელობა მარი იქნებოდა თუ ვიღაც სხვა, თუნდ ქუჩის ქალი, სულერთია, შალვა ორბელს ხომ უნდა დაეცვა თავისი ღირსება?! და როცა იგრძნო, რომ ალმურმა გადაუარა, უკვე თამამად მიაპყრო მზერა შალვა ორბელს და უფრო მეტად გაუკვირდა, ასეთმა კაცმა როგორ აიტანა, როგორ დაიმორჩილა სიამაყე, ნუთუ მართლა სავარძლის გამოო?! მაგრამ, შალვა ორბელი ნამდვილად არ იყო ის კაცი, სავარძელს რომ ჩაბღაუჭებოდა! ან იქნებ, საქმეს სჭირდებოდა ის სავარძელი?!. იქნებ, ამისთვის აიტანა შეურაცხყოფა, ეროვნულ საქმეს სჭირდებაო?! ნუთუ, მართლა ასე იყო?! და თუ ასე იყო, ღირდა კი ამ საფასურად, უპატრონო ძაღლს, რომ სამადლოდ ლუკმას მიუგდებენ, ისე მოპოვებული, ის, მცირე, ნაწილობრივი სიმართლის თქმის უფლება?! ადრე თუ გვიან, სიმართლე ხომ მაინც იტყოდა თავის სათქმელს, ხმამაღლა იტყოდა, იღრიალებდა, ყველას გასაგონად იღრიალებდა! რა, განა ასეთმა ჭკვიანმა კაცმა ეს არ იცოდა?! მაშ, რა იყო მიზეზი, ნუთუ, ისევ და ისევ, ის წყეული, ძვალრბილში გამჯდარი შიში?!. ერთი სული ჰქონ-

და ეკითხა ეს, ბატონი შალვასთვის, მისგან გაეგო, მისგან მოესმინა სიმართლე, მაგრამ ვერ გაბედა, მოერიდა, მიხვდა რომ სულ სხვაგან იყო შალვა ორბელი, სასურველ ქარს მინდობილი დაფრინავდა მოგონებათა სამფლობელოში და დიდი მკრეხელობა იქნებოდა მისი დაბრუნება ცოდვილ მიწაზე, თანაც მისი ნათქვამიც გაახსენდა, ეჰ, ჩემო კარგო, შორიდან ადვილია მსჯელობაო!

**შორიდან ადვილია მსჯელობა!**

ჰო, შორიდან ადვილი იყო მსჯელობა, განსჯაც და ამიტომ ფიქრობდა ასე დაჟინებით, თუმცა კი, კარგად იცოდა, თუ განსჯიდა შალვა ორბელს, ამით საკუთარ თავსაც განსჯიდა, მათ ხომ უფროს-უმცროსობის მიუხედავად, ბევრი რამ აკავშირებდათ, და რაც მთავარია, ის წყეული შიში, რაღაცის შიში, შიში-სიფრთხილე, და თუ, ბატონი შალვას შიში უფრო დიდი იყო, სიფრთხილეც მეტი, სწორედ უფროს-უმცროსობის გამო, მან ხომ ისე ახლოდან დაინახა ყოვლის მომსვრელი ცელის მბზვინვარება, ისე ახლოდან, რომ მისი ცივი წივილიც კი გაიგონა! სხვა განსხვავება ალბათ არ იყო, თვითონაც ხომ იდგა არჩევანის წინაშე და ხომ გადადგა კიდეც ნაბიჯი, თუმცა მაშინ დარწმუნებული იყო, რომ სწორი ნაბიჯი, სინდისით ნაკარნახევი, მაგრამ სინამდვილეში... სინამდვილეში, რალა თქმა უნდა, მაინც შიშის გამო! და დრო რომ გავა, ალბათ თვითონაც ასე იმართლებს თავს, შორიდან ადვილია მსჯელობაო! და სხვას რომ თავი დავანებოთ, მათ ხომ ერთი და იგივე ქალი უყვარდათ, თუმცალა, ერთს მხოლოდ წარსულში აბრუნებდა ეს სიყვარული, ხოლო მეორეს კი, მომავლის იმედს ულვიძებდა. და ამ შემთხვევაშიც, სხვაობა დიდი არ იყო, ერთი მოგონებებით ცხოვრობდა, მეორე — ოცნებით, თუმცა აქაც, შალვა ორბელს გააჩნდა მცირე უპირატესობა, მან მოგონებათა სასარგებლოდ, დიდი ხნით ადრე გამოიტანა განაჩენი, მას კი, ეს განაჩენი გამოსატანი ჰქონდა და მისთვის, ძნელი იქნებოდა, ძალიან ძნელი, მარის წარსულში მოხსენიება, თუნდაც ფიქრებში, თუნდაც ვილაცასთან საუბრისას, — ასე იყო, ჩემო კარგო, ესე ამბავი სიყვარულისაო! — ერთი რამ იყო მხოლოდ უცნაური, ფიქრთა ამ დინებაში, რატომღაც აწმყო გამორიცხა, თითქოს აწმყო საერთოდ არ არსებობდა! რატომ?.. ვერა, ვერ გასცა პასუხი ამ შეკითხვას, ისევ მომავალს ჩაებღაუჭა, — ვნახოთ, ვნახოთო! — თავი დაიიმედა და განთავისუფლდა ფიქრებისგან. ეტყობა, შალვა ორბელმაც იგივე მოახერხა და მის მზერას, მოგონებათა სამფლობელოში ხეტიალისგან დაღლილი მზერა შეაგება, კიდევ ერთხელ გაუღიმა იმ წარსულ დღეებს და ფეხზე წამოდგა. ძლიერ შვენოდა ჭაღარა თმა, მაღალსა და ბეჭგანიერს, წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა. ის კი, უყურებდა რა, მის ჯიშიან მიხრა-მოხრას, კიდევ ერთხელ დარწმუნდა თავისი ვარაუდის უტყუარობაში, თუ რატომ კაკანებდა ტყვიამფრქვევი ასე დაუნდობლად შორაპნის მიდამოებში, დარწმუნდა და სხვა, მეორე მზერით დაინახა, როგორ მოძვრებოდნენ სოროებიდან დამშეული ვირთხებივით ძაბრქუდჩამოფხატულები, შპალებიანები, რომბებიანები, სამხრეებიანები, ყველა ჯურის და ყველა რანგის კომისრები, ჩეკისტები, ცეკისტები, ინსტრუქტორები, მეთვალყურეები, მეციხოვნეები, მაბეზღარები, შტატიანები, უშტატოები, მოხალისეები, მოხალისე ჯალათები, მოხალისე დამსმენები, ზოგი ტანმოკლე, დაგვალული, ქონდრისკაცი, ზოგიც მაღალი, მხარბეჭიანი, თუმცა უჯიშო, ყველა ეშმაკთან წილნაყარი!



*მხატვარი აივენგო ჭელიძე*

**და იქუხა ბერდანკამ!**

**და დაუცხრომლად ირჯებოდა ამხანაგი მაუზერი!**

**და ხმარობდა მარჯვედ „ტეტეს“ ჩეკისტი!**

**და ღმუოდა განუწყვეტლად ის წყეული საბარგო ავტო!**

უცნაური ღიმილით იღიმებოდა შალვა ორბელი, თითქოს მიუხვდა ფიქრთა დინებას, — მე მაქვს შენთან ერთი შეკითხვა, იქნებ ამიხსნა, გამაგებინო, თორემ მე, ჩემი ჭკუით ვერაფერს ვხვდებიო. — და შეეცადა ღიმილი დაეფარა, ცელქ ბავშვსა ჰგავდა, ისეთი გამოცანის გამოცნობას რომ გთხოვს, რასაც პასუხი არ გააჩნია.

— ერთი მითხარი თუ კაცი ხარ, ხომ ვაღიარებთ, რომ ჩეკასნაირი სატანისტური დაწესებულება არსად,არც ერთ დროს,არც ერთ ქვეყანაში არ ყოფილა, ახლა ხომ დაფარული არა არის რა, და მე არ მესმის, ახლანდელები, რატომ უწოდებენ თავს ისევ ჩეკისტებს? რატომ იფხორებიან ჰალსტუხიანი ინდაურებივით, როცა ამბობენ, ჩვენ ჩეკისტებიო!.. ჰო, თუ კაცი ხარ, მითხარი, რაშია საქმე?! ნუთუ ასე ეამაყებათ იმათი მემკვიდრეობა?!. თუ?!. თუ?!. — და ამ დროს, უკვე აღარ იღიმებოდა და აღარც წამიერად აელვარებულ ანც ნაპერწკლებს აფრქვევდა. პასუხს არ დაელოდა, იმ მრავლისმომცველი თუს შემდეგ, პასუხი თავისთავად ნათელი იყო. — ისე კი, საკითხავია, ვინ უფრო დიდი ნაძირალაა, ის, ვინც საბარგო ავტოს აღმუვლებდა, თუ ის, ვინც ლექსებით ქებადიდებას ასხამდა ამ წყეულ ავტოს! ასეა, ჩემო კარგო, როგორც შექსპირი იტყოდა, საკითხავი, აი, ეს არის?!. ეს ისე, სხვათა შორის, რატომღაც მომეჩვენა, რომ შენც დაახლოებით იგივეზე ფიქრობდი, ხომ არ ვცდები?.. რა ვიცი, ხანდახან ტელეპატიურ თვისებებს ვამჩნევ საკუთარ თავს.

საათზე დაიხედა შალვა ორბელმა, — რა დრო გასულაო, — თავისთვის ჩაილაპარაკა და ისევ, საუბრის ადრინდელ თემას დაუბრუნდა.

— ჰო, სოფრომზე მითხრა შარაბერიძემ, კარგი ბიჭია და თავი არ დაილუპოს, რას აჰყოლია ბაქარს და მისთანებსო, რა შუაში იყო ბაქარი, ან მე რატომ მითხრა ამის შესახებ, ვერ მივხვდი... ალბათ, ასეთი ინფორმაცია ჰქონდა... რაც შეეხება იმ საკითხს, შენ რომ გაინტერესებს, მეც ზუსტად იმდენივე ვიცი, რაც თქვენ... — თვალი მოაშორა შალვა ორბელმა, დაპატარავდა თითქოს, სიტყვებს ტკეპნიდა, ფრთხილობდა, სინითლემაც გადაურბინა, — ისე კი... ისე... თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ... მე ვფიქრობ... რომ ყველაფერი... ყველაფერი იორამის სინდისზეა... იორამის!

შეიძლება ასეც იყო, ყველა იორამს აბრალებდა. იორამი რომ ერთ-ერთ გადამწყვეტ სიტყვას იტყოდა, ეჭვი არავის ეპარებოდა, საეჭვო სხვა რამე იყო, იორამი უკვე არავისთვის არავითარ საშიშროებას აღარ წარმოადგენდა, გაჭრილი კოზირის ტუზი იყო, მაგრამ არსებობდა ჯერ კიდევ გაუჭრელი ჯოკერი, ამ ჯოკერს კი, ყველა უფრთხილდებოდა, ან იქნებ, უფრთხოდა კიდეც!.. რატომ?!

შეეცოდა შალვა ორბელი, და რაღა თქმა უნდა, მასთან ერთად, საკუთარი თავიც, ღმერთო, რა დავაშავეთ ისეთი, რომ მთელი ცხოვრება ტყვეობაში ყოფნა მოგვისაჯე, შიშის ტყვეობაში ყოფნაო! და თავის კიდევ ერთ ვარაუდში დარწმუნდა — "კალაშნიკოვი" და "მაკაროვი", "მაუზერის" და "ტეტეს" ღვიძლი შვილები არიანო, ისევე როგორც დღევანდელი ნილბიანები და მათი ჰალსტუხიანი უფროსები, რომბებიან-შპალებიანებისო! — და ფიქრი, შალვა ორბელის ხარხარმა გააწყვეტინა.

— ემპირიოკრიტიციზმი რა არისო, შარაბერიძემ, თუ კაცი ხარ ამიხსენი, მთელი ცხოვრება მაგ სიტყვას ვხმარობ და აზრზე არა ვარო! გესმის, ემპირიოკრიტიციზმი რა არისო?!.

გულიანად იცინოდა შალვა ორბელი და ეტყობოდა რომ ამ სიცილით, თავსაც იმართლებდა და სიცოცხლის უნარსაც იმტკიცებდა.

**არა, არა, ზედმეტად მკაცრად მსჯელობს სოფრომი შალვა ორბელზე.**

— უცნაური სახელია სოფრომი... უცნაური! — კარგა ხნის დუმილის შემდეგ თქვა როზინგმა და კვლავ სიჩუმემ დაისადგურა. ნათელი იყო, რომ ჩემს წინ სხვა ადამიანი იდგა, დაფიქრებული და სევდიანი, რომელსაც ერთი სული ჰქონდა, ამოეთქვა გულში დაგროვილი დარდი, ვილაცისთვის გაეზიარებინა ტკივილი, მიეცა გზა აბობოქრებული გრძნობებისთვის, რათა გული არ გასკდომოდა. მივხვდი, თავს ებრძოდა, იმასაც მივხვდი, რომ სიმარტოვე სტანჯავდა, უჰაერობით იხრჩობოდა, მაგრამ მე რა შუაში ვიყავი, ამას ვერ ვხვდებოდი, თუმცა, რა ვიცი, იქნებ ვერც კი მამჩნევდა, იქნებ, მისთვის სულ ერთი იყო, ვინ იდგებოდა მის წინ, ან იქნებ, სულაც მოულოდნელად შემოუტია სიმარტოვის საშინელმა განცდამ?!. ვუყურებდი და... მეცოდებოდა! მეცოდებოდა კაცი, რომელიც არ მიყვარდა, ადამიანი, რომელიც იმ ხალხის მსახური იყო, ვინც ტყვეობა მომისაჯა, თანაც ჩვეულებრივი მსახური კი არა, მსახურთუხუცესი! და თურმე, ის ვისაც ტყვეების ზედამხედველობა ჰქონდა დავალებული, თვითონაც ტყვე ყოფილა, მარადი ტყვე, რომელსაც ტყვეობიდან თავის დახსნის მცირეოდენი სურვილიც კი არ გააჩნდა, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ არ იცოდა რა იყო თავისუფლება, და მეორე, რაც მთავარია, წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რომ თვითონაც ტყვე იყო! შევყურებდი როზინგს და მსგავსი ფიქრები არ მეშვებოდა, ის კი, სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა და მხოლოდ იმის შემდეგ, ვინ იცის უკვე მერამდენე სიგარეტი რომ ჩაასრისა, თითქმის სავსე საფერფლეში, როგორც იქნა დაარღვია დუმილი.

— სოფრომი... სოფრომი... — რამდენჯერმე გაიმეორა და შევატყვე, რომ ცრემლებს ძლივს იკავებდა. — დიდი ხნის სიცოცხლე არ მიწერია, ვიცი, ვგრძნობ!.. — და ატირდა, ეს ხელმწიფის ტოლი კაცი, — ქალი მღალატობს, ბიჭო... ქალი! — ღაპალუპით ჩამოსდიოდა ცრემლები, ცხვირსახოცს, უსარგებლო ნივთივით ატრიალებდა ხელში და გული რომ იჯერა ტირილით, მხოლოდ მერე გაახსენდა მისი დანიშნულება, თვალები შეიმშრალა და ოდნავ დამშვიდდა.

— ეგნატეს სოფლელი დამღუპავს!.. მეც და ალბათ, ბევრ სხვასაც!.. ფრთხილად იყავი, ფრთხილად!.. შენც მისი მსხვერპლი გახდები... ოღონდ შენი სული გადავა სხვაში!.. ჩემი კი... ჩემსას, მხოლოდ წყევლა-კრულვით მოიხსენიებენ!.. ასეა!.. ასე იქნება!.. — როზინგმა ზურგი შემაქცია, ფანჯარა გამოაღო, ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და ისევ გაიმეორა, — ჰო, ასე იქნება!

დიდხანს იდგა გაუნძრევლად, მხრებში მოხრილი და დაპატარავებული, მერე, ნელ-ნელა გაიმართა და მე მომეჩვენა, რომ გადაწყვეტილება მიიღო და ამ გადაწყვეტილების მიღებით გამოწვეულმა სიხარულმა მოიცვა მთელი მისი არსება, თითქოს ვგრძნობდი კიდეც, როგორ იბადებოდა მასში რწმენა, რწმენა იმისა, რომ საჭიროა მხოლოდ ერთი ნაბიჯის გადადგმა, მხოლოდ ერთის, ერთადერთის და...

და გავარდებოდა მეხი მოწმენდილ ცაზე, შემოცვივდებოდნენ ჯანლონითსავსეები, მივარდებოდნენ სისხლში მცურავს, დაღვრილი სისხლით მოითხვრებოდნენ, ტელეფონს ეცემოდნენ, სიხარულს ვერ დაფარავდნენ და შემოვარდებოდა ბესარიონ ბორცვიშვილი, კი არ შემოვარდებოდა, შემოფრინდებოდა, დახედავდა შუბლგახვრეტილს და იყვირებდა: — ტირანი მკვდარია! — თუ ამას არა, რაღაც მსგავსს წამოიყვირებდა, მაგრამ ბოლოს, აუცილებლად, — გაუმარჯოს დემოკრატიასო! — ასე დაამთავრებდა. მერე კი, აქვითინებული, მუხლებზე დაეცემოდა უსულო სხეულის წინ, ჯანლონითსავსეებიც თავში ხელებს წაიშენდნენ, პირველ ხმას, თავიანთ ხმებს შეუერთებდნენ და შეხმატკბილებულად ამღერდებოდნენ, — არ ამოვარდე-ე-ე ქარო-ო-ო, ამინდი არ შესცვალო-ო-ო!.. — და მე ვიქნებოდი არასასურველი მოწმე, მოწმე, რომელიც უნდა გაქრეს, უნდა აორთქლდეს! **არ ვარგა, როდესაც სიკვდილის წინ დანაშაულს გრძნობ... მთელი ჩემი ცხოვრება თავს დამნაშავედ ვგრძნობ... დანაშაულია, რომ ვცოცხლობ, რომ ვსუნთქავ, რომ დავიბადე...** შეშინებული, თვალით ვზომავდი მანძილს ჩემსა და როზინგს შორის, ნეტა, თუ მოვასწრებდი ხელის შეშლას? თუ მარდად მოვიქცეოდი, თუ იმწამსვე ვისკუპებდი, როგორც კი ხელს ჯიბისკენ წაიღებდა, შეიძლება მომესწრო, შეიძლება გადამერჩინა და ამით, საკუთარი თავისთვისაც ამეცილებინა საფრთხე. კუნთები დავძაბე, ნახტომისთვის მოვემზადე, მაგრამ როზინგს, ხელი ჯიბისკენ არ წაუღია, პირიქით, ორთავე ხელი აღმართა და მცირე ხნის შემდეგ დაიქნია, ისევ აღმართა და დაიქნია, მერე ისე აიქნია ხელები, თითქოს ბუზების განდევნა უნდოდა, იქნევდა ხელებს და თან ბურტყუნებდა, — წადი,

ნადი!.. შორს, შორს!.. შორს ჩემგან!.. შორს!.. — სასწრაფოდ მიხურა ფანჯარა და ჩემკენ რომ შემობრუნდა, უკვე თითქმის დამშვიდებული იყო.

— იქნებ, ვცდები, ბიჭო?!. იქნებ, ვცდები, ა?!.

აბა, რა მეპასუხა?!

— თუ არა, ჯანდაბას ყველაფერი! ასე არა თქვი, ქარს მოაქვს ყველაფერი და ქარსვე მიაქვსო! — საბოლოოდ დამშვიდდა და ზარით, ჯანღონითსავსეები იხმო. — სოფრომი... სოფრომი!.. მართლა უცნაური სახელია, თუ ჰქვია ვინმეს, შენს გარდა სოფრომიო? — პასუხს არ დაელოდა და ჯანღონითსავსეებს ჩემი წაყვანა უბრძანა.

ისევ ჩამიყენეს შუაში ჯანღონითსავსეებმა და ისევ დასჭექეს ომახიანად, — არ ამოვარდე-ე-ე ქარო-ო-ო, ამინდი არ შესცვალო-ო-ო, ჩემი პატარა თინა-ა-ა, სხვას არ გაატანო-ო-ო! — ისეთი აღმაფრენით მღეროდნენ, ისე ხალისიანად მიაბიჯებდნენ, რომ თავი, დიდი ოქტომბრის რევოლუციის რომელიღაც წლისთავის აღსანიშნავ დემონსტრაციაზე მეგონა, ძალაუნებურად, მარჯვნივ გავიხედე, სადაც ვარაუდით ტრიბუნა მეგულებოდა და ვაშა დავიძახე! ჭეშმარიტება ყოფილა თურმე, ქარს მოაქვს ყველაფერი და ქარსვე მიაქვსო! თუმცა, ვინ უწყის, იქნებ ეს მხოლოდ სენტიმენტალური გრძნობებით შეპყრობილი ადამიანის შეხედულებაა...

რატომ ვეჯავრები, რატომ არ ვუყვარვარ ხალხსო? — ბოლო დროს ამაზეც ფიქრობდა ავთანდილ შარაბერიძე. ერთხელ კაკის ჰკითხა: — რომ აშენებდა ის კაცი, ხომ იმიტომ დაარქვეს აღმაშენებელიო? — დიახო! — დაეთანხმა კაკი. — მერედა, მეც ხომ ვაშენებ, ჩემს დროს, განა ნაკლები აშენდაო? — მართალი ბრძანდებიო! — ისევ დაეთანხმა კაკი. — აბა, მე რატომ მაგინებენ, რატომ არ ვუყვარვარ ხალხსო?! — არც ამ შეკითხვამ დააბნია კაკი. — ალბათ, სიცოცხლეში იმასაც აგინებდნენ, იმის დროსაც ასე იქნებოდა, ადამიანი მაშინაც ადამიანი იყო, უმადური, დაუნახავი და როგორც ყოველთვის ხდება, მერე დაუწყებდნენ ქებას, მერე შეარქმევდნენ აღმაშენებელს! შენც ასევე, დრო რომ გავა, მერე დაგაფასებენ, მერე შეგარქმევენ მეორე აღმაშენებელსო! — მაშინ ესიამოვნა ამის მოსმენა, მაგრამ რად გინდა, მერე, თურმე კაკიმ ქვეყანას მოსდო ეს ამბავი, — ბედნიერი ხალხი ვართ, მეორე აღმაშენებელის დროს ვცხოვრობთ, მესამე კი, თავის რიგს ელოდება, ეგნატეს სოფლელიო!

შალვა ორბელმა კი ასე უპასუხა: — ემპირიოკრიტიციზმი რეაქციული, სუბიექტურ-იდეალისტური მიმართულებაა ფილოსოფიაში, იგივე მახიზმიო. — მაგრამ რა იყო მახიზმი? ალბათ, იგივე ემპირიოკრიტიციზმი!.. ბარონი როზინგი, თუ ბარონი როზენი?! მაინც უპასუხოდ დარჩა მთავარი კითხვა! რაც შეეხება დავით აღმაშენებელს, — დავით აღმაშენებელი... დავით აღმაშენებელი კი...

6

*ამა და ამ წლის, ამა და ამ თვის, ამა და ამ რიცხვის შემდგომ განვითარებული მოვლენები.*

— დავითი, აპატიებდა?!. თუ ჩემი ძმა ხარ, იგნატე, მითხარი, აპატიებდა?! — ამ შეკითხვით იწყებდა ყოველ სამუშაო დღეს იმანუილი. უნდოდა, ძალიან უნდოდა, იგნატესაგან მოესმინა, იგნატესაც დაედასტურებინა, რომ საჭირო იყო ძლიერი ხელი და დამნაშავეები უნდა დასჯილიყვნენ, რომ ლმობიერება კარგს არაფერს მოუტანდა არც ხალხს და არც ქვეყანას. ახლაც, ვინ იცის უკვე მერამდენედ, იგივე შეეკითხა, მაგრამ იგნატემ, ამჯერადაც არ უპასუხა, მხოლოდ ერთხელ დაარღვია დუმილი, — ასე მთავრდება ეს წუთისოფელიო... — თანაც, იმანუილს კი არ უპასუხა, თავისთვის თქვა, არც დაფიქრებულა, თითქოს ვაღაცის ნაკარნახები გაიმეორა. **ასე მთავრდება ეს წუთისოფელი!** ამის შემდეგ აეკვიატა ეს სიტყვები, ვერა და ვერა, ვერ მოიცილა, ვერც ეს სიტყვები და ვერც ამ სიტყვებთან ერთად გაჩენილი, უცნაური, მისთვის აქამდე უცნობი ფიქრები. **არა გრიალით, არამედ სლუკუნით!** იმანუილი კი, ვერაფერს ხვდებოდა, ყოველდღე ეკითხებოდა ერთსა და იმავეს და ცოტა არ იყოს სწყინდა კიდეც, პასუხის ღირსად რომ არ თვლიდა იგნატე. ადრე ხომ, თვითონ იგნატე ამტკიცებდა იმავეს და ხშირად იგონებდა წარსულს, — ეჰ, სადაა ის დრო, თორემო!.. — ამიტომაც ეკითხებოდა, ბოლო დროს მოწყენილობას ამჩნევდა და მისი გახალისება უნდოდა, ის კი, ისე იქცეოდა, ვითომ არაფერი ესმოდა, ვითომ ყრუ იყო, ანდა, ხანდახან ისე შეხედავდა, თითქოს იმანუილს ამ ცხოვრებისა არაფერი გაეგებოდა, თითქოს აბდალი იყო და მართლა არ იცოდა, რომ დავით აღმაშენებელი დამნაშავეს არ დაინდობდა!

იმანუილისაგან განსხვავებით, იგნატეს არ მოსწონდა ეს სამუშაო. თავიდან უარზე იყო, — რაც არ მეხერხება, არ მეხერხებაო, თავს ზემოთ ძალა არაა, არადა არაო! — მაგრამ იმანუილი შეეხვეწა, — მარტო ვერ აუვალ ამ საქმეს, დამხმარე დამჭირდება, სხვასთან მუშაობა კი გამიჭირდებაო! — ჰოდა, იგნატემაც ხათრი ვერ გაუტეხა, იმანუილი ხომ ყოველთვის მის გვერდით იდგა, ყოველთვის უჭერდა მხარს, ყველაზე ხმამაღლაც ხომ ის გაჰყვიროდა, — ბრავო! ბრავო!.. ბრავისიმოო! — როცა ემხში შესული იგნატე, "ო, სოლე მიოს" ასრულებდა, თანაც შეპირდნენ, სპექტაკლში მიგაღებინებთ მონაწილეობას და შეიძლება გამღეროთ კიდეცო. ალბათ, ხათრთან ერთად ამანაც იმოქმედა და იმანუილს, დახმარებაზე თანხმობა განუცხადა, თუმცა, კაცმა რომ თქვას, იმანუილს დიდი დახმარება არც სჭირდებოდა, დიდებული დურგალი იყო, ისე უზადოდ ხმარობდა ხერხსა და შალაშინს, რომ დატკბებოდი მისი ცქერით. ყურში ფანქარგაჩრილი დადიოდა, ზომავდა, ხაზავდა, რანდავდა, ხერხავდა, აჭედებდა და ისეთი აღმაფრენით, ისეთი მიზანდასახულობით და თავგამოდებით მუშაობდა, რომ მისი შრომის ნაყოფი, დღითი დღე იძენდა ხორციელ სახეს! თავდაპირველად კი...

**თავდაპირველად კი...** თავდაპირველად, ორი ვერტიკალური ძელი და ზედ გადებული ხარიხა, სახრჩობელას უფრო წააგავდა, მხოლოდ მერე, როცა ფიცარნაგზე შეაყენეს, იცვალა იერი და დაემსგავსა იმას, რაც სინამდვილეში უნდა ყოფილიყო, ხოლო, ფიცარნაგს ცამეტსაფეხურიანი კიბეც რომ მიადგეს, მაშინ კი, უკვე ნამდვილად ირწმუნა — სასწაულის მოხდენა შესძლებია მიზანდასახულ და თავგადადებულ შრომასო!

ყველაზე მეტად ის მოსწონდა და ახარებდა, რომ მასთან პაემანზე მისულს, ცამეტი საფეხური უნდა აევლო,

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ზუსტად ცამეტი, არც მეტი, არც ნაკლები! **ცამეტი!** ცამეტი დიდებული რიცხვი იყო, ცამეტი წარსულს ახსენებდა, იმ მღელვარე დღეებს, როცა ყველას, დიდსაც და პატარასაც, ქალსაც და კაცსაც, პირზე მისი სახელი ეკერა! იმ დროს, დიდების მწვერვალზე იმყოფებოდა და რაღა თქმა უნდა, არც საკვები აკლდა, აკლდა კი არა, თავზე საყრელად ჰქონდა და არც მომავალზე ფიქრით იტკივებდა თავს, ფიქრისთვის სად ეცალა, ჯარასავით ტრიალებდა! ეჰ, კარგი დრო იყო, კარგი! მაგრამ ერთ რამეზე მაინც სწყდებოდა გული, მაშინ მის გარეგნობაზე არავინ ზრუნავდა! ეგ კი არა, რა დასამალია, ხანდახან, არც ასუფთავებდნენ, ჰო, დღევანდელი გადასახედიდან თუ შეხედავდა, მოვლა ნამდვილად აკლდა და ეს, მართლაც საწყენი იყო, მაგრამ კრინტიც არ დაუძრავს, ერთი საყვედურიც კი არ დასცდენია, ჯერ ერთი იმიტომ, რომ თანაბარ პირობებში იმყოფებოდნენ, მომვლელებიც ქანცგაწყვეტამდე შრომობდნენ, დღესა და ღამეს ასწორებდნენ, და მეორეც, რაც მთავარია, რწმენა გააჩნდათ, სჯეროდათ, რომ დიდ საქმეს აკეთებდნენ, იმედით სულდგმულობდნენ, იმედი ჰქონდათ, დადგებოდა დრო, როცა ღირსეულად დაუფასებდნენ ამაგს და ისე გააკრიალებდნენ, ისე გაალამაზებდნენ, რომ მტერსა და მოყვარეს თვალს დაუბრმავებდა! **იფ!.. შვიდჯერ ცამეტი პლუს ორი!..** ცამეტი სხვანაირად ჟღერდა, ცამეტი მიძინებულ იმედს აღვიძებდა! ახლაც, კიდევ ერთხელ გადაითვალა საფეხურები და ცამეტმა საფეხურმა, კარგა ხნის დაუნაყრებელს, შიმშილით გამოწვეული აუტანელი შეგრძნებაც კი გადაავიწყა და კიდევ ერთხელ ირწმუნა, მიუხედავად იმისა, რომ სხვა დრო იყო, სხვა ქვეყანა, სხვა ადათ-წესები, სხვა ხალხი, მაინც, როცა საბოლოოდ დაასრულებდნენ, როცა სრულყოფილი გახდებოდა, თოკებისაგან თავდახსნილი, პროჟექტორის სხივებით აელვარებული ბასრი ფოლადი, ტაშის გრიალში, ზუსტად, გაანგარიშებისამებრ დაეცემოდა იქ, სადაც საჭირო იყო! მანამდე კი... მანამდე, საზეიმო გახსნა იქნებოდა, ორკესტრით, ოვაციებით, ვაშას შეძახილებით, საბურველსაც ჩამოხსნიდნენ და მიტინგზეც ორატორები ქებას არ დაიშურებდნენ, არც მისთვის, არც მისი გამომგონებლისთვის და რა თქმა უნდა, არც მის ამშენებლებს დაივიწყებდნენ. პოეტიც გამოინახებოდა, ლექსს რომ უძღვნიდა აელვარებულ ფოლადის დანას!

**წლის საუკეთესო საბავშვო წიგნი**

წლის საუკეთესო საბავშვო წიგნის პრესტიჟული ბრიტანული ჯილდოს – კარნეგის მედლის – ლაურეატი ირლანდიელი მწერალი ქალი შიბან დაუდი გახდა, რომელიც 2007 წლის აგვისტოში კიბოთი გარდაიცვალა. მისი თხზულება „ბავშვი ჭაობიდან", რომელსაც მიენიჭა „კარნეგი", 2008 წლის შემოდგომაზე გამოვიდა და კრიტიკოსთა უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. გაზეთ „გარდიანის" ცნობით, „კარნეგის მედალი" პირველად მიანიჭეს ავტორს გარდაცვალების შემდეგ.

ნაწარმოების მთავარი გმირი 16 წლის მოზარდია, სახელად ფერგიუსი, რომელიც ჭაობში გოგონას გვამს აღმოაჩენს და ფიქრობს, იგი ირლანდიის რესპუბლიკური არმიის მსხვერპლიაო, სინამდვილეში კი ეს ნამარხი 2000 წლის წინანდელია. შემდგომ ნაწარმოებში იკვეთება მელის — გოგონა ჭაობიდან — და 1980-იანი წლების დასაწყისში ჩრდილოეთ ირლანდიაში მცხოვრები ფერგიუსის ხაზები, თავის ტერაქტებით, საპროტესტო შიმშილობებითა თუ კონტრაბანდით.

2009 წელს „კარნეგი" სამოცდამეთორმეტედ გადაიცა. მის ლაურეატთა შორის იყვნენ ტერი პრატჩეტი, ფილიპ პულმანი, კლაივ სტეიპლს ლიუისი.

ღირსი არ იყო თუ რა?! და ელოდა, იმ საზეიმო დღეს ელოდა, ელოდა და ოცნებობდა, ოცნებაში ხედავდა, პოეტს ხედავდა, პოეტი აინტერესებდა ყველაზე მეტად, მისი ხმაც ესმოდა — გილიოტინელა, გილიოტინოლა!.. — ალბათ ასე დაიწყებდა, მოფერებით, სიყვარულით იქნებოდა გაჟღენთილი მისი ყოველი სიტყვა... გილიოტინოლა!.. მერე, თანდათან გამკაცრდებოდა, მრისხანება შეერეოდა ხმაში, მუშტს შემართავდა და... ნეტა რას შეადარებდა? ვეფხვს ალბათ, ან ლეოპარდს, ისე, არც ჯიქი იქნებოდა ურიგო, მაგრამ ვეფხვი, მაინც სულ სხვა იყო — ვეფხვს გავხარ, ვეფხისებრ შემართული ხარ! შიშის ზარსა სცემ, ყველა ჯურის მოღალატეს და ნაძირალას, და მათ სიცოცხლეს უსვამ წერტილს ელვისებურად!.. გილიოტინელა, ჩემო გილიოტინოლა! — პოეტს რბილი ლ-თი გაჯერებული, გაქონილი ხმა ჰქონდა, მაღალ ცეცხლზე დადგმულ ტაფაში აშიშხინებულ ღორის ხორცს რომ აქვს ისეთი. **ვენირ... მონ შეერ!.. ვენირ!.. გაზაფხულდა, ბუჩქის ძირას, თავს ინონებს ნაზი... ქარი?!. ქარი, ჯერ კიდევ განაბული იჯდა ბუჩქის ძირას და ნაზი იასავით... გილიოტინოლა...**

ეჰ, რომ გვცოდნოდა, რა მოყვებოდა ჩვენს ჩანაფიქრს, აუცილებლად ყურად ვიღებდით სტეფანეს რჩევას, — რად გინდათ, ეგ ოხერი გილიოტინაო! — მართლაც, რად გვინდოდა?! თუმცა თავიდან, აზრადაც არ მოგვსვლია ნამდვილი გილიოტინის გაკეთება, ჩვენ, სულ სხვა მიზანი გვქონდა, ბუტაფორია უნდა ყოფილიყო, ბუ-ტა-ფო-რი-ა! ოღონდ ზუსტი ასლი, შესაშინებლად გვინდოდა, განათების ეფექტიც მოვიფიქრეთ, ეჰ, იცოცხლე, კარგი იქნებოდა კოპერფილდის მსგავსი ილუზიონისტი გვყოლოდა, მაგრამ უბედურებაც ის იყო, რომ არ გვყავდა! არ გვყავდა და მაინც გამოჩნდა კაცი, რომელიც შეგვპირდა, — ყველაფერს ისე შეგისრულებთ, როგორც თქვენ გინდათო! — და მის ნათქვამში ეჭვი რომ არ შეგვეტანა, სეტყვასავით დაგვაყარა, — ეფექტზე ნუ იდარდებთ, ეფექტი ჩემზე იყოს, თქვენ ოღონდ ნამდვილის მსგავსი ააშენეთ, მერე კი, მე ვიცი და ჩემმა ბიჭობამ, მუყაოს დანა ისე აელვარდება, ფოლადისა ეგონებათ, მარტო იმათ კი არა, თქვენც, თქვენც ჩემო კარგებო! კოპერფილდი ვინაა, იმდენი ფული რომ მქონდეს, ყველას დაგაწყებინებდით ფრენასო!.. — და კიდევ დიდხანს ილაპარაკა, ბოლოს კი, მაღალფარდოვანი ტირადით დაამ-

თავრა, — ასეა, ბატონებო, ასე! თვით ცხოვრებაა ილუზიაო! — ჩვენ, მშვენივრად ვიცოდით, რომ საქართველოში, არათუ კოპერფილდის, კიოს მსგავსი ილუზიონისტიც კი არ გვყავდა, მაგრამ იმდენად დიდი იყო ჩვენი სურვილი, მოულოდნელი ეფექტით გაგვეოგნებინა ყველა, რომ დავთანხმდით და ერთხმად გადავწყვიტეთ, იმ ოხერი გილიოტინის აშენება, სამუშაოს შესრულება კი, იგნატესა და იმანუილს დავავალეთ, თუმცა ამ შემთხვევაში, უფრო მართებულია, იმანუილსა და იგნატეს, რადგან პირველი ვიოლინო, ღმერთისაგან დურგლობის ნიჭით დაჯილდოებული იმანუილი იყო. **ისე უზადოდ ხმარობდა ხერხსა და შალაშინს, რომ დატკბებოდი მისი ცქერით!** იგნატე, ვერ იყო ამ საქმეში ისე დახელოვნებული, დახელოვნებული კი არა, თითქოს ორი მარცხენა ხელი ჰქონდა, მაგრამ რადგანაც იგნატე ცაცია იყო, ალბათ მასზე უნდა ითქვას, ორი მარჯვენა ხელი ჰქონდაო!..სწორედ ცაციობა იყო მისი მთავარი ღირსება. მის ცაციას ვერავინ უძლებდაო, ვერც რინგზე და ვერც... ვერც... ღამით... დაკითხვებზე... ამბობდნენ, კაციც კი შემოაკვდაო!.. ძნელი სათქმელია, სიმართლე იყო ეს თუ არა, ამის მნახველი არავინ ყოფილა, ენას კი, ძვალი არა აქვს, ყველაფრის თქმა შეუძლია, მაგრამ წარსულში, რინგზე რომ ისე ხმარობდა ცაციას, როგორც იმანუილი ხერხსა და შალაშინს, ეს სრული ჭეშმარიტება იყო და ამ ჭეშმარიტებას, იმათთან ერთად, ვისაც რინგზე მისი გამოსვლები ახსოვდა, დიდი ოქროს მედალიც ადასტურებდა, საზეიმო დღეებში, იგნატე გულზე რომ იკიდებდა.

იგნატემ, თავიდან მტკიცე უარი განაცხადა, — ეგ საჩემო საქმე არ არისო! — დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა და როგორც იქნა დავითანხმეთ, თუმცა, ალბათ, მაინც იმანუილის ხათრით დათანხმდა, ისე კი, რას არ შევპირდით, კარგ გასამრჯელოს, სპექტაკლში მონაწილეობას და რაც მთავარია, ამ სპექტაკლში, "ო, სოლე მიოს" შესრულებასაც კი! ახლა უკვე, შეიძლებოდა მუშაობის დაწყება, მაგრამ ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება გვიშლიდა ხელს — არავინ არ იცოდა როგორი იყო სინამდვილეში გილიოტინა!

დიდი ფიქრისა და განსჯის შემდეგ, თითქოსდა უკვე ჩიხში მოხვედრილებმა, მაინც მივაგენით ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებას — იმანუილსა და იგნატეს, საფრანგეთის რევოლუციის ამსახველი ფილმები ვანახეთ! იმანუილმა, იგნატესაგან განსხვავებით, რამდენჯერმე ნახა ეს ფილმები და იმ კადრებმა, სადაც გილიოტინის დაუღალავი მუშაობა იყო ასახული, სრული თუ არა, ნაწილობრივი წარმოდგენა მაინც შეუქმნა, ნახაზები შეადგინა, ყურში ფანქარი გაიჩარა, ხერხსა და შალაშინს ხელი მოკიდა და დაგვატკბო თავისი ცქერით!..

— სიტყვა სიტყვაა! გექნებათ გილიოტინა, აუცილებლად გექნებათო! — დაგვაიმედა იმანუილმა.

**სიტყვა სიტყვაა!**

— სიტყვა სიტყვაა!.. გექნება გილიოტინა!.. აუცილებლად გექნება!.. ერთ კვირაში!.. არაფერს გეკითხები... არ მაინტერესებს რისთვის გჭირდება... ვდუმვარ!.. კარგი, ხუთ დღეში!.. უფრო ადრე ვერ მოხერხდება! ბოლოს და ბოლოს, მასალას ხომ უნდა გაშრობა?.. სველი მასალით დურგლები არ იმუშავებენ და გინდაც იმუშაონ, რად გინდა მიბრეცილ-მობრეცილი!.. მე, უკვე აღარაფერი მესმის, მაგრამ მაინც არაფერს გკითხავ, პირობა პირობაა! მე, სიტყვის კაცი ვარ!.. მიბრეცილ-მობრეცილზე თანახმა ხარ?!. გამაგიჟებ, შენ! ბოსტნის საფრთხობელა გჭირდება, თუ?.. სამი დღე იყოს, სამი დღე და ბასტა! მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს!.. ჩემი ბრალია, ჩემი!.. რას გადაგეკიდე, ჯანდაბამდე გზა გქონია!.. — მეგობარმა, ჯიბიდან ბოთლი ამოაცოცა, — კარგად იცი, რომ ჯანდაბისთვის არ მემეტები, იცი და სარგებლობ!.. აჰა, გამომართვი, "ჩივს რეგალი" არაა, მაგრამ "ჯონ უოკერსაც" არა უშავს!

შიომ ბოთლი მიიყუდა.

— ეე, გეყოფა, ცოტა მეც დამიტოვე! — ბოთლი გამოართვა მეგობარმა, — შენს უკუღმა მონყობილ ტვინს გაუმარჯოს!.. **მე ჭკუიდან შეშლილი მხოლოდ მაშინა ვარ, როცა ქარი ჩრდილო-დასავლეთით უბერავს; სამხრეთის ქარში კი, ბაყაყიყლაპიას და ქორს ერთმანეთში კარგად გავარჩევ.**

ჩვენდა მოულოდნელად, ყველა დაინტერესდა გილიოტინით. **ღმერთს გეფიცებით, არასდროს არ დავიჯერებდი, ჩემის თვალითვე ასე ცხადად რომ არ მენახა.** ხმამაღლა მსჯელობდნენ, რჩევას იძლეოდნენ და როგორც ასეთ დროს ხდება, ერთი ერთს ამბობდა, მეორე მეორეს, — ასე კი არა, ისეო! **ეს უცნაური ამბავია, მგონი აქ რაღაც თვალთმაქცობაა.** ყველა თავისას ამტკიცებდა, ძველ წიგნებს იშველიებდნენ, ნახატებსაც. — აქ, ასეა, ხომ ხედავთ, თავი ასეთ ჭრილში უნდა გააყოფინოთო! — ვიღაცამ, გაცრეცილი, გაყვითლებული ფურცლები მოიტანა. — აქ, ტყვიის გილიოტინის მოქმედებაა აღწერილი, პაპაჩემის არქივში აღმოვაჩინე, ნახეთ, რა გენიალური იდეაა, თავის დროზე არ მიაქციეს ყურადღება და შეიძლება, ახლა მაინც გამოდგესო! — ზოგი კი, სულაც საპროტესტო გამოსვლებისთვის ემზადებოდა, — ჩვენს ტრადიციას რატომ ვღალატობთ, რა ოხრობად გვინდა გილიოტინა, ძელზე გასმას , თვალების დათხრას ანდა დასაჭურისებას რატომ ვივიწყებთო! — ჩვენ კი, ვდუმდით! ვდუმდით, რადგან ყველას თუ ავუხსნიდით, რომ გილიოტინა ბუტაფორია უნდა ყოფილიყო, ჩვენი ჩანაფიქრი ჩაიფუშებოდა და მოულოდნელი ეფექტით ვერავის გავაკვირვებდით, თანაც არავინ არაფერს გვეკითხებოდა, ძე ხორციელი არ დაინტერესებულა, რად გინდათ, რისთვის გჭირდებათ, ეს ოხერი გილიოტინაო! ალბათ, ამაზე უნდა დავფიქრებულიყავით, მაგრამ ნურას უკაცრავად, აინუნშიც არ ჩაგვიგდია, მხოლოდ ერთადერთი მიზანი გვქონდა, დროზე დაგვემთავრებინა სამუშაო და კიდევ ის, რომ ჩვენი ჩანაფიქრი, განდობილების მეტს არავის სცოდნოდა. ამ მიზნის მიღწევას კი, უკვე აშკარად აფერხებდა ზედმეტი აურზაური. უაზრო კითხვა-პასუხი დიდ დროს აკარგვინებდა იმანუილსა და იგნატეს, თანაც, ადვილი მოსალოდნელი იყო, რომ რომელიმე ცნობისმოყვარე, ჩვენი საიდუმლოს მოზიარე გამხდარიყო. აი, ამ დროს გაგვახსენდა, იგნატეს, ან იქნებ, იმანუილის ნათქვამი, — საჭირო კაცია, გამოცდილი, უნდა გამოვიყენოთ, აბა, ისე არაფერი გამოგვივაო! — და დახმარებისთვის იორამს მივმართეთ. იორამმა, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე განგვიცხადა, — სად იყავით ამდენ ხანს, მე დიდი ხანია გელითო! — და ჩვენი გაკვირვებული მზერის დანახვაზე გულიანად გადაიხარხარა, — რა

გიკვირთ, ჩემო კარგებო, ხომ გაგიგონიათ, ორმა იცის და ღორმაც იცისო! **სამხრეთის ქარში კი...** ასე რომ, გინდათ თუ არ გინდათ, მეც განდობილი ვარ და რადგან განდობილი ვარ, სხვა გზა არა მაქვს, უნდა დაგეხმაროთ და დაგეხმარებით კიდეც! ყველაფერი მოვიფიქრე, ყველაფერი გავითვალისწინე, ვიცოდი, აუცილებლად მომაკითხავდით და თუ არ მომაკითხავდით, მაშინ... ჰოოო!.. — და თითი დაგვიქნია, თითქოს ხუმრობით, მაგრამ მაინც დაგვიქნია! — ფუშე ხომ გაგიგონიათ, ყმაწვილებო? — უკვე ყოველგვარი ხუმრობის გარეშე შეგვეკითხა იორამი. **ბაყაყიყლაპიას და ქორს ერთმანეთში კარგად გავარჩევ...** იორამმა, უმალ გაასაიდუმლა იმანუილისა და იგნატეს საქმიანობა და დურგლები სამუშაოდ, საგანგებოდ გამოძებნილ, შენიღბულ სარდაფში გადაიყვანა. მშვენიერ ადგილს მიაგნო, საკონცერტო დარბაზის ქვეშ, ზევით ცეკვა-თამაში, ქვევით კი!.. ვინ იფიქრებდა რომ!.. და რომ მაინც არ ეფიქრათ, ჩვენი სახელით, ოფიციალური განცხადება გააკეთა. — არავითარი გალიოტინის მშენებლობა არ მიმდინარეობს და ყველაფერი ეს, მხოლოდ ვალაცების ბოროტი ხუმრობაა და ამ ვილაცებს, მალე გამოააშკარავებენ და საკადრისსაც მიუზღავენო! — იმავდროულად, თავის ხალხს ხმები გაავრცელებინა, — რის გილიოტინა, რა გილიოტინა, თქვენ ხომ არ გაგიჟდით, რა დროს გილიოტინაა, ხომ არ გავიწყდებათ, რომელ საუკუნეში ვცხოვრობთო! — და ამას ისე დამაჯერებლად ამტკიცებდნენ, რომ მათ სიმართლეში ეჭვი არავის ეპარებოდა.

ვინ იყო ეს ხალხი, საიდან მოვიდნენ, ან როგორ მოახერხა მათი გაწრთვნა იორამმა, არავინ იცოდა, თითქოს უხილავები იყვნენ, უხილავები, მაგრამ ხშირად გვეჩვენებოდა, რომ ადრე ჩვენს შორის ტრიალებდნენ, გვერდით გვედგნენ, თვალებშიც გვიყურებდნენ, გვამხნევებდნენ, ჩვენსავით ფიქრობდნენ და აზროვნებდნენ... და ვინ იცის, იქნებ ასეც იყო და არაფერიც არ გვეჩვენებოდა! **ქარი ჩრდილო-დასავლეთიდან უბერავდა!..** იორამი კი, სიამოვნებისაგან ხელებს იფშვნეტდა და ყოველი შეხვედრის დროს, ერთსა და იმავეს გვეუბნებოდა, — ასეა, ყმაწვილებო, ასე!.. ფუშე ხომ გაგიგონიათო?!.

იმანუილმა, გასაიდუმლოებულ გარემოში, ენერგიის ახალი მოზღვავება იგრძნო, გაათკეცებული ძალით განაგრძო მუშაობა და ალბათ მალე, სავსებით დააკმაყოფილებდა ჩვენს მოთხოვნას, რომ არა, ერთი მოულოდნელი მოვლენა – **(მოგეხსენებათ ალბათ, რომ სტანისლავსკის სისტემის მიხედვით, მოვლენების ზუსტი განსაზღვრა განაპირობებს მსახიობთა თამაშის დამაჯერებლობას, ეს კი სპექტაკლის წარმატების საწინდარია. სხვათა შორის, ამავე აზრს იზიარებდნენ, სტანისლავსკის თაყვანისმცემელი ქართველი თეატრალებიც.)** საფრანგეთიდან დოკუმენტაცია მივიღეთ: ნახაზები, გათვლები, ფოტოსურათები, ინსტრუქცია, ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც საჭიროა ნამდვილი გილიოტინის შესაქმნელად! თანაც გვატყობინებდნენ, — პატივცემულო ბატონებო, სიამოვნებით ვასრულებთ თქვენს თხოვნასო! — თქვენს თხოვნასო!!. ვის თხოვნას?!. ჩვენ რომ ფრანგებისთვის არაფერი გვითხოვია, ცხადზე უცხადესი იყო, ჩვენ იმანუილის შედგენილი ნახაზებიც გვაკმაყოფილებდა, ამიტომაც, თავისუფლად შეგვეძლო არც კი ჩაგვეხედა ფრანგების გამოგზავნილ მასალებში. ასეც ვაპირებდით, მაგრამ ცთუნებას ვერ გავუძელით, ჩავიხედეთ და... და დავინტერესდით! მერე, ვილაცამ თქვა, — თუ ვაკეთებთ, ბარემ ისეთი გავაკეთოთ, რომ მტერსა და მოყვარეს თვალი დაუბრმავოსო! — ეჰ, ამ დროს უნდა გაგვხსენებოდა სტეფანეს რჩევა, — მოეშვით მაგ ოხერ გილიოტინასო! — მაგრამ სამწუხაროდ არ გაგვახსენდა! სიმართლე ყოფილა, მადა ჭამაში მოდისო, ჩვენ უკვე გემრიელად შევექცეოდით წვნიანს და მეორე თავ კერძზე, რომლის შიშხინი და საამო სურნელი, ჩვენს სმენასა და ყნოსვას ელამუნებოდა, უარს როგორ ვიტყოდით!.. და არც ვთქვით!

აღმოჩნდა რომ, ცივილიზებულ და ჰუმანურ საზოგადოებაში, მრავალი სასიკეთო ცვლილება განუცდია გილიოტენის გამოგონებას **(გავრცელებული აზრი ექიმ გილიოტენის ავტორობის შესახებ სიმართლეს არ შეეფერება, თანაც ასეთი მექანიზმი უფრო ადრე გამოიყენებოდა შოტლანდიაში და მას ერქვა — „შოტლანდიელი ქალწული“.)** — კისერთან დანა-ნაჯახის შეხება, დაახლოებით ათჯერ სწრაფად ხდებოდა და კალათაც, სადაც მოკვეთილი თავი ვარდებოდა, ასევე სწრაფად უჩინარდებოდა. ნახაზებში, ყველაფერი ზუსტად იყო აღნიშნული და მათემატიკურ ფორმულებს, შენიშვნაც ერთვოდა. შენიშვნაში აღწერილი იყო ყველასათვის ცნობილი ფაქტი, თუ როგორ გააწნა სილა ჯალათმა ლეგრომ შარლოტა კონტეს მოჭრილ თავს, მაგრამ მრავალთათვის, და რა თქმა უნდა, ჩვენთვისაც, უცნობი იყო ლეგროს შემდგომი ბედი — თურმე ლეგრო, ძალიან განიცდიდა თავის საქციელს და ამის გამო, სიცოცხლის ბოლომდე იტანჯებოდა. კალათის სწრაფად გაუჩინარების იდეაც, აქედან იღებს სათავესო, აღნიშნავდნენ შენიშვნაში, — ჩვენი კონსტრუქცია, ასპროცენტიანი გარანტიით იცავს ლეგროს მსგავს პიროვნებებს მომავალი ზნეობრივი ტანჯვა-წამებისგანო! და თანაც, რაც უნდა იყოს, როგორ დანაშაულთანაც უნდა გვქონდეს საქმე, გასისხლიანებული თავის ამოღება კალათიდან და მაყურებლისთვის მისი ჩვენება აპლოდისმენტების მისაღებად, არაეთიკურია და არაესთეტიკურიცო!

ეტყობა, სიახლეების ავტორები, ესთეტიკურ მხარესაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ — ყველაფერი ისე იყო გათვალისწინებული, რომ დღეში, თუნდაც ასი თავი გაეგორებინა ბატონ გილიოტინას, ის მაინც კოხტა, კოპწია, ქათქათა უნდა ყოფილიყო! აღარ იყო საჭირო არავითარი სამანქანე ზეთი, მას სისხლი სცვლიდა! თავმოკვეთილი სხეულიდან ღვარად მომდინარე სისხლი, ერთ ადგილზე გროვდებოდა და ქიმიური ნივთიერებების ზეგავლენით ფერდაკარგული, გახამებული მიტკალივით თეთრი, ისეთი საპოხე მასალა ხდებოდა, რომ ტაოტი ანუ სოლიდოლი და თვით, შევრონის უმაღლესი ხარისხის ზეთი, მასთან ახლოსაც ვერ მოვიდოდა — ესთეტიკურიც იყო და ეკონომიურიც!

ამ გზით დაზოგილი თანხა, შეგიძლიათ, როგორც გნებავთ ისე გამოიყენოთ, მაგრამ ჩვენი აზრით, უმჯობესია გილიოტინის მომსახურე პერსონალს ხელფასი გაუზარდოთო! — მომსახურე პერსონალში ვინც იგულისხმებოდა ყველასათვის ნათელი იყო და ამან, ცოტა არ იყოს, გუნება გაგვიფუჭა. ეტყობა ფრანგები, ველურებად გვთვლიდნენ, აბა, სხვა რა უნდა იფიქრო, როცა ჯალათისთვის ხელფასის მომატებას გთავაზობენ! მათ, ჩვენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩანაფიქრი რომ სცოდნოდათ, ასეთ რამეს ნამდვილად არ შეგვკადრებდნენ, მაგრამ რადგან შეგვკადრეს, წესით და რიგით, ნაკუწებად უნდა გვექცია ქაღალდების მთელი ეს გროვა და სანაგვეში მოგვესროლა. ასეც ვაპირებდით, რომ არა, ისევ და ისევ, ცნობისწადილი, და კიდევ კარგი ცნობისწადილს დავემორჩილეთ, თორემ გულში სამუდამო ხინჯი დაგვრჩებოდა და ვერასოდეს გავიგებდით სიმართლეს — თურმე, არც ისე ყოფილა საქმე, თურმე, ჩვენც არ ვყოფილვართ წყალწაღებულები და ჩვენგან, არც ისე შორს ყოფილა ცივილიზაცია და ჰუმანურობა! **ბოთლზე დასმა, იგივე ძელზე გასმაა!** ინსტრუქციის უკანასკნელი თავი, მთლიანად ილუზიის ეფექტს ეთმობოდა. ასე რომ!..

ინსტრუქციაში დეტალურად იყო აღწერილი, თუ როგორ უნდა მიგვეღწია სრული ილუზიისთვის ანუ იმ ეფექტისათვის, რომელიც ჩვენი ჩანაფიქრის არსს წარმოადგენდა. მითითებული იყო პროჟექტორების სახეობა, ადგილი, სადაც ისინი უნდა დაგვემაგრებინა, როგორ უნდა გამოგვეყენებინა სარკეები, როდის აგვენთო შუქი, როდის ჩაგვექრო, რომ მაყურებელს დაეჯერებინა — ყველაფერი მეჩვენება, მართლა კი არ კვეთენ თავს, თამაშობენ, რადგან გილიოტინა ნამდვილი არ არისო! — და ამის გაფიქრებისთანავე, სარკეების მდებარეობის სწრაფი შეცვლის შემდეგ, უმალ სხვა აზრი უნდა გასჩენოდა. — ყველაფერი რეალურია, გილიოტინაც, მოკვეთილი თავიც, თავწაჭრილი, აფართხალებული სხეულიც, ყველაფერი! და სანამ მაყურებლის გონებაში სრულყოფილად ალიბეჭდებოდა ეს შემზარავი სურათი, კვლავ პირვანდელ მდგომარეობას უნდა დაბრუნებოდა, რომ ყველაფერი ეს, მხოლოდ და მხოლოდ თამაშია, და თუ, სარკეების გადაადგილება ზუსტად, სქემის მიხედვით მოხდებოდა და გამნათებელიც შესაფერის ოსტატობას გამოამჟღავნებდა, მრავალგზის გამეორების შემდეგ შეიქმნებოდა სრული ილუზია — თან არის და თან არ არის! არსებობს გილიოტინა და თან არ არსებობს! არსებობს და არც არსებობს! ვარსებობთ და არც ვარსებობთ! ყველაფერი ფილოსოფიურად იყო გააზრებული! **ძელზე გასმა იგივე სარზე წამოცმაა, სარზე წამოცმა კი იგივე...**

იორამსაც, ფილოსოფიური აზროვნების შესაშური უნარი აღმოაჩნდა და უმალ მიხვდა, რომ იმანუილისა და იგნატეს მისია თითქმის დამთავრებული იყო და ახალი პროექტი, მხოლოდ, სხვადასხვა პროფესიის ადამიანების ერთობლივი შრომის შედეგად განხორციელდებოდა. — დღევანდელ დღეს, ასეთ ვითარებაში საიდუმლოს ვერ შევინახავთო! — ასე განგვიცხადა, — და რადგანაც, ამხანაგებო და მეგობრებო, ბერია ცოცხალი აღარაა, საჭიროა მუშაობის განსაიდუმლოება, სულერთია, მაინც გაყონავს, დღეს ხომ არავის არაფრისა არ ეშინიაო!

გილდენსტერნისა და როზენკრანცის კოსტუმები ეცვათ, თავიანთი ტანისამოსი ვერსად ვერ იპოვნეს. წუხელ ისე შეუბერეს, თავი რომ არ დაკარგეს, ისაა გასაკვირი! ძალიან აინტერესებდათ რას აკეთებდნენ, ხედავდნენ, მაგრამ ვერ ხვდებოდნენ. — ბრმები კი არა ვართ, ვხედავთ, მაგრამ ვერ ვხვდებითო! — ასე ამბობდნენ. გილდენსტერნისა და როზენკრანცის ნაცვლად, ერთმანეთს ჰამლეტსა და ოფელიას ეძახდნენ.

იორამი კი განაგრძობდა, — სპეციალისტები მოიძებნებიან, აუცილებლად მოიძებნებიან, ოღონდ ეგ არის, ენას კბილს ვერ დააჭერენ, კბილები მარტო საღეჭად კი არ მოუცია ღმერთს, ხანდახან სხვა დანიშნულებითაც უნდა გამოიყენოო!.. ბერიამ, ატომურ ბომბზე მუშაობა ისე გაასაიდუმლა, რომ ძე ხორციელმა არაფერი არ იცოდა, საწყენია, ძალიან საწყენია, რომ ის ცოცხალი აღარ არისო! — ჩვენ აღარაფერი გვკითხა და სარდაფიდან, პირდაპირ სცენაზე ამოატანინა იმანუილისა და იგნატეს ნაცოდვილარი, თანაც დაგვამშვიდა, — ნუ გეშინიათ, დადგება დრო და ის სარდაფიც დაგვჭირდება! აი, მაშინ ნახავთ, რა მოცეკვავეცა ვარ და როგორ კოხტად ვცეკვავ შალახოსო! **ქარი კვლავ ჩრდილო-დასავლეთიდან უბერავდა!..** ეჰ, ის ნაცოდვილარი კი, სანამ გილიოტენის გამოგონებაში შეტანილ ცვლილებებს გავეცნობოდით, სანახევროდ დამთავრებული გვეგონა. **ერთხელ მაინც რატომ არ დაუბერა ქარმა სამხრეთიდან?!. რატომ?!.** მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ, კბილებს მხოლოდ საღეჭად არ ვიყენებდით და ენას მაგრად ვაჭერდით, მაინც, უკვე ყველამ ყველაფერი იცოდა! იცოდნენ და ელოდნენ, საზეიმო გახსნას ელოდნენ, სანახაობას, ცეკვა-თამაშს, შალახოს!

გილიოტინა კი, უფრო და უფრო მშვენდებოდა და ცამეტსაფეხურიან ფიცარნაგზე ამაყად მდგარი, სხვებთან ერთად, ისიც ელოდა, დიდი ხნის მშიერი, საკვებს ელოდა. მართალია, ისე იყო აღტაცებული მიზანდასახული და თავგამოდებული შრომის შედეგით და ისეთი ნეტარებით მოელოდა საზეიმო მიტინგზე პოეტის მიერ, მის სადიდებლად წარმოთქმულ ლექსს, რომ შიმშილის გრძნობა ეკარგებოდა, მაგრამ მაინც, საკვები საჭირო იყო! უნდა ამოქმედებულიყო, თორემ უმოქმედობისაგან დაჟანგდებოდა, და მერე, როცა ჟანგი მოედებოდა, ნამდვილ ბუტაფორიად იქცეოდა და უკვე ველარავინ შესძლებდა მის ამუშავებას. ყველა, ამის შესახებ ლაპარაკობდა და არავინ იცოდა, სიმართლე იყო ეს თუ არა, არც აინტერესებდათ, ვილაცების ნათქვამს იმეორებდნენ, ინსტრუქციას იშველიებდნენ, — ინსტრუქციაში წერიაო! — თუმცა, ინსტრუქციისთვის თვალიც კი არ მოეკრათ, — ინსტრუქციაში ვარგისიანობის ვადაა მითითებული, აბა, რა გგონიათ, წამალს ხომ აქვს ვადა, ვადაგასული წამალი ხომ უვარგისია? ჰოდა, თუ გარკვეულ დრომდე არ ამოქმედდება ჩვენი წამალი, ბოსტანში დადგმულ საფრთხობელას დაემსგავსება, საფრთხობელა კი, რა ჯანდაბად გვინდა, საფრთხობელების მეტი რა გვაქვსო!

ყველამ ყველაფერი იცოდა და მაინც, არავინ არაფერი არ იცოდა!

არავინ არაფერი არ იცოდა და მაინც, დაიწყო!

— შემოვიდნენ წითლები-ი-ი, ატყდა დავიდარაბა-ა-ა! — მოულოდნელად ამღერდა იმანუილი. — ჰა, იგნატე, რაღას უყურებ, მომეცი მეორე ხმა! ბიჭო, ხომ ხედავ, სიმღერა მეც შემძლებია!

— ბოსტნის საფრთხობელა!.. ბოსტნის საფრთხობელა! — სულმოუთქმელად ხარხარებდა იორამი. ხალხი კი, აღტაცებული იყო. **შემოვიდნენ წითლები-ი-ი...**

— Утром чай, вечером чай, Игнатик мой, не скучай! — იორამიც ამღერდა და იგნატეს გამხნევება სცადა, — კაცი არ ვიყო, თუ შენი ცაცია ისევ არ დამჭირდეს!.. Выше голову, мой чемпион!

და დაიწყო ის, რაც უნდა დაწყებულიყო!

**დასასრული შემდეგ ნომერში**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დავით კიკნაძე**

# არყოფნის იქით

გივი მისაღებ ოთახში შევიდა და დივანზე მიწოლილი ცოლი გაფითრებული კაცის დანახვაზე მიხვდა, დღეს ცუდი ამბავი მოხდაო.

— რა? — ჰკითხა მან ქმარს.

კაცს ხმა არ ამოუღია.

— თქვი!

— ხელფასი მომპარეს! — უთქვა გივიმ და თითქოს გულზე მოეშვა.

— ახლა რა ვქნათ?

— გავყიდი რამეს!

— მაინც?

კაცს ხმა არ ამოუღია.

— ლომბარდში ჩაბარებულ დედას ნაქონ ბეჭდებზე რა ვქნათ?

— თოფს გავყიდი!

ქალს ტირილში გაეცინა.

— ვის რად უნდა ახლა შენი თოფი და ძაღლი ამ ღორების ქვეყანაში?

— იშვიათი „ზაუერია"! ძვირი ღირს!

— ბიჭს რა ვაჭამო? — ახლა თავის თავს ჩაეკითხა ქალი ხმამაღლა.

— ძაღლს გავუშვებ! — დაუფიქრებლად წარმოთქვა ეს სიტყვები გივიმ.

— აი, მაგას კი მართლა იზამ! — ისე თქვა ქალმა, ქმარი მიხვდა, მისი გაშვებაც უნდოდა მზიას სახლიდან.

კედლის საათმა დარეკა. ამას გავყიდი, გაიფიქრა ქალმა და ქმარს მკაცრად უთხრა:

— გიოს მოსვლამდე ძაღლი გაუშვი!

უხმოდ გავიდა კაცი ოთახიდან, ქვევით ჩავიდა, საკუჭნაოდან ძაღლი გამოუშვა და მასთან ერთად გავიდა ქუჩაში. სამალავიდან საჭმელი აიღო და ნელი ნაბიჯით წავიდა ვაკის პარკისკენ. ძაღლი საჭმლის სუნს გრძნობდა და პატრონის ირგვლივ წრიალებდა.

— მოიცა! — უთხრა ძაღლს კაცმა და პარკში შევიდნენ. აქა-იქ მოხუცები და ბავშვები ისხდნენ. გივი ცარიელ სკამზე დაჯდა და პარკიდან ორცხობილა ამოიღო. ნატეხ-ნატეხ აჭმევდა და იცოდა, ბოლოჯერ ასეირნებდა და აჭმევდა თავის უტყვ ოთხფეხ მეგობარს.

ჯერ ერთი და მერე ბევრი, დიდი და პატარა ქოფაკი მიესია გივის და პანტურას. პირდაპირ პირიდან ართმევდნენ მანან-წალები ძაღლს საჭმელს. გივი პანტურას გამოესარჩლა. ბომბ-ორა ქოფაკმა შეუღრინა, გივიმ ფეხი აუქნია და ძაღლი შარვალში სწვდა კაცს კბილებით. შეშინებულმა კაცმა პარკი ესროლა ძაღლს და შარვალგახეული უკანმოუხედავად გაიქცა. გონს თავის სახლთანღა მოეგო. კართან შეჩერდა და წკავწკავი გაიგონა. მიიხედა და პანტურა იდგა გივის გვერდით.

— მაპატიე! — უთხრა კაცმა და უიმისოდ შევიდა შინ.

---

დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა", 20

— გამიმეტა! — გაიფიქრა ძაღლმა და კარს იქით დაკარგულ სამყაროს მიუგდო ყური.

კაბინეტში შევიდა გივი. დივანი ასწია და იქიდან თოფი და ჩანთა ამოიღო. კარგად იყო შენახული დიდი ხნის უხმარი თოფი. კარგადაც გაიყიდება, გაიფიქრა და ასე დაიმედებულმა რწმენა იპოვა. დივანის კალთა ჩამოსწია და ზედ დაჯდა. ამაყი და იმედიანი იყო ახლა ხვალინდელი დღის მოლოდინში.

### IV თავი

გივიმ ხელ-პირი დაიბანა და სამზარეულოში შევიდა. ვიდრე ფულს არ ვიშოვი, შინ პურს არ ვჭამ. გაიხსენა თავისი პირობა და კარის წინ შედგა. გიო ჩაის სვამდა და ბუტერ-ბროდს ღეჭავდა.

— კიდევ გინდა? — ჰკითხა დედამ.

— თუ სხვა რამე გვაქვს?

— მაინც რა?

— დილით ჩაი, სადილზე ბოსტნეულის სუფი, საღამოს ისევ ჩაი! ჯარში ხომ არა ვარ, ოხერი!

— ნუგბარს მამა მოგიტანს!

— ეჰ, არ არის გივი „განგსტერი"!

— რა არა ვარ? — იკითხა კაცმა.

— საქმის კაცი!

— ექიმი ვარ მე!

— ჰო, ვიცი, დიდი და ჰუმანური იდეები ანუხებს ექიმ გივი ლაშხს!

უცებ გაბრაზდა კაცი და შვილის ყურის გასაწელად გაიწია. წინ ცოლი გადაუდგა და სისინით უთხრა ქმარს:

— გაბედე და ხელი შეახე!

გივიმ შვილს გახედა. ბიჭი ილუკმებოდა და დაცინვით უყურებდა მაღალი დედის წინ მდგარ მოკლე და მსუქან კაცს. გივი ოთახიდან გავიდა და კაბინეტში შესულს გუშინდელი ნაფიქრი გაახსენდა. თოფი უნდა გავყიდო! დივანის ცალი მხარე ასწია და იქიდან თოფი და ვაზნები ამოიღო. ჩანთაც მოიტანა, ნივთები შიგ ჩაალაგა და წინკარში გავიდა. „რქებზე" გიოს ქურთუკი არ ეკიდა.

— ბიჭი სად არის? — გასძახა ცოლს.

— სკოლაში წავიდა.

— მე რატომ არ დამიცადა?

— მარტო უნდა ბიჭს სიარული!

— ჩემგან მარტო ფული გინდათ თქვენ!

— ჰოო! შენ რომ სახლში ფული მოგაქვს, იმას რა დათვლის ან რა დახარჯავს!

გივი კიბეზე ჩავიდა და კარი გაალო. წინ პანტურა დახვდა. პატრონის დანახვა გაეხარდა და ადგილზე აცეკვდა. მიყვარს, გაიფიქრა გივიმ და იქვე შერცხვა. ჩქარი ნაბიჯით გაუყვა თავის გზას. ძაღლიც აედევნა. ვაკის პარკი გაიარეს და გივი სამარშრუტო ტაქსში ჩაჯდა. თავისუფლების მოედანზე ჩამოვიდა და „მონკავშირის'' მაღაზიაში შევიდა. ნოქარს მიესალმა და ვიტრინაც დაათვალიერა. სავსე იყო მაღაზია ცალ და ორლულიანი თოფებით. ნახევრად ავტომატური კარაბინებით და გივიმ იკითხა:

— საქმე მაქვს, თუ შეიძლება?

— გისმენთ!

— თოფი მაქვს გასაყიდი!

კაცს გაეცინა და ღიმილით თქვა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნეტა, რაც არის, ის ათ წელში გამაყიდინა!

— სპეცშეკვეთით გაკეთებული „ზაუერია"!

ნოქარი ვიტრინას მიუბრუნდა და ცალ-ცალკე ჩამოთვალა საქონელი:

— „ზაუერი", „ოლან გოლანდი", მაუზერი. ეს „ტულა" კი ჟუკოვის პირადი იარაღია.

— რა ვქნა? — ჰკითხა გივიმ.

— იცით, მე იარაღს ვერ დავიტოვებ!

იქნებ ფასს მიგდებს, გაიფიქრა გივიმ და ახლა თოფის შეფასება სთხოვა ნოქარს.

— არ გაიყიდება! — უარი თქვა ნოქარმა.



მხატვარი მზია დედანაშვილი

გივიმ თავი დახარა და დამშვიდობების სიტყვასთან ერთად გაიპარა მაღაზიიდან.

ფეხით გაუყვა გივი სახლის გზას. რა უნდა ვქნა? ეკითხებოდა კაცი წყენით საკუთარ თავს. ჩემი ოქრო რომ იყოს, ისიც არ იყიდება. შვილი რომ შვილია, იმასაც კი არ უნდა ჩემთან ერთად სიარული. დღეს ისე წავიდა სკოლაში, არც კი მითხრა. იქნებ ზედმეტი ვარ და თავი უნდა მოვიკლა, ა? ჩანთას დახედა და აზრმა შეზარა. სად წავიდე, ა? ისევ ჩაეკითხა თავის თავს და ვაკის პარკში ჩავიდა. ცოტა ხანს აქ ვიქნები, გაიფიქრა და, სირბილით მიეხალა გივის პანტურა.

— ა, აქა ხარ? — ჰკითხა კაცმა ძაღლს და სკამზე დაჯდა. პარკს მოავლო თვალი. უმთავრესად მოხუცები და ბავშვები იყვნენ პარკის ეზოში. თავისი ბავშვობა გაიხსენა გივიმ. ისიც დაჰყავდა აქ გადიას. უვლიდნენ და ანებივრებდნენ. მე რომ ბავშვობაში მივლიდნენ, მე თუ ვუვლი ისე გიოს? გაიფიქრა და შერცხვა. სცადა, აღარ ეფიქრა და პარკს მოავლო მზერა.

მტრედების გუნდი გოგმანებდა აუზის ირგვლივ. ფრთხილად მიეპარა პანტურა გუნდს განაბული და ისკუპა. ცხვირწინ აუფრინდა ყველა ჩიტი ერთად გაწბილებულ მონადირეს.

ნადირობა რომ ვიცოდე, კაცი შინ ხორცს მიიტანდა, გაიფიქრა გივიმ და სიცილი აუტყდა. ძაღლმა პატრონს ახედა და იწყინა. დამცინის ეს რეგვენი! ორ-სამჯერ ახლდა გივი მამას სანადიროდ, მაგრამ ალღო ვერ აუღო ბიჭმა ამ საქმეს. ერთხელ კი სასწაული მოხდა და მწყერი ჩამოაგდო. გახარებული გიორგი მთელი წელი უსრულებდა ყველა სურვილს შვილს.

შადრევანთან ორი ბებია მივიდა. მოხუცები ხორბლის მარცვალს ყრიდნენ ძირს და მტრედებს ეძახდნენ.

კიდევ დარჩა კეთილი ხალხი, გაიფიქრა გივიმ და უცებ სურვილი გაუჩნდა, ორივე ბებერი ადგილზე მოეკლა. ჭრელი და თეთრი მტრედი და მისი ხუნდი უცებ მოფრინდნენ და მარცვლის კენკვას მოჰყვნენ. ორივე ბებია შორიახლოს მდგარ სკამზე დაჯდა და ჩანთიდან ორი ნაჭერი ნამცხვარიც ამოიღეს.

მშია, გაიფიქრა გივიმ და ძაღლს გახედა. მოწყენილი იწვა პანტურა მის ახლოს.

საჭმელი ხომ არ ვუშოვო, ა? გაივლო გივიმ გუნებაში და ჩანთას დახედა. რატომაც არა, რო? გაიფიქრა და ჩანთა გახსნა. თოფი ააწყო, გატენა და ძაღლს უბრძანა:

— წინ! — და თვითონ ფეხზე ადგა. თოფის დანახვაზე პანტურა გუნებაზე მოვიდა და მტრედების გუნდს მიაშტერდა.

ნაბულზეა, გაიფიქრა გივიმ და სადაც ბევრი იყო ერთად, ის ჯგუფი აირჩია. თოფი დაუმიზნა და ჩახმახს თითი გამოჰკრა.

თოფმა დაიქუხა და წივილ-კივილი ატყდა მთელ პარკში. სამი მტრედი ერთად დაიჭრა და პანტურა ნადავლს ეცა. იქვე მანანწალა ძაღლები გაჩნდნენ და პოინტერი უცებ გაძარცვეს.

— თქვენი დედა მე...

— შეიგინა, ალბათ, პირველად გივიმ და ახლა ქოფაკებს ესროლა მეორე ტყვია. ხუთიოდე ძაღლი დაიჭრა ერთად და, მათ შორის, პანტურა.

— არ გაინძრე! — გაისმა ბრძანება, — დააგდე იარაღი!

გივიმ გვერდზე გაიხედა და ორი იარაღმომარჯვებული, სამოქალაქო სამოსში ჩაცმული ახალგაზრდა კაცი დაინახა.

— დადე თოფი! — იყვირა ერთმა და გივიმ ვერ გაიგო, ვინ იყო ეს ორი ბიჭი.

უცებ გაისმა სროლის ხმა და გივის რაღაც მძიმე და ცხელი მოხვდა მკლავში. მიხვდა, დაჭრეს და ძირს ეგდო. ერთმა იარაღი აართვა გივის, მეორემ პისტოლეტი დაუმიზნა.

— ვინ ხარ, ოხერო! — ჰკითხა კაცმა.

— ექიმი ვარ!

— ექიმი კი არა, გიჟი ხარ, შენი დედა რო... — უყვირა კაცმა და ფერდში ფეხი ჩასცხო. გივი ორად მოიკეცა და ახლაღა დაინახა მის ირგვლივ შეკრებილი ხალხი.

რა უნდათ, ნეტა? გაიფიქრა და თვალები დახუჭა.

ცოტა ხანში პატრული და სასწრაფო მანქანა მოვიდა.

— რა ხდება? — ჰკითხა ოპერს პატრულმა.

— „ბარიგას ვმწყემსავდით" და ამან კი ნადირობა არ გააჩაღა პარკში?!

სასწრაფო მანქანაც მოვიდა და ახლა ექიმი დაადგა გივის თავზე. ექიმმა ერთხანს უყურა გივის და ბოლოს ხელით შეეხო. იმანაც თვალი გაახილა და ექიმმა ჰკითხა:

— შენ გივი ლაშხი არა ხარ?

— კი, — დაეთანხმა გივი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე ლევანი ვარ, ურუშაძე.

— კლინიკაში უნდა გადავიყვანოთ! — თქვა ექიმმა და პატრული და ოპერი დაეთანხმნენ. გივი საკაცეზე გადააწვინეს და სასწრაფოს მანქანაში ჩასვეს.

— ტელეფონი მითხარი!

გივიმ ნომერი თქვა.

— ცოლს რა ჰქვია?

— მზია.

ლევანი მზიას დაუკავშირდა და მომხდარი აუხსნა. მეცხრე საავადმყოფოში დაიბარა და მანქანა კლინიკის ეზოში შევიდა. მისაღებში ლევანმა გივის პროფესია აუწყა კოლეგებს და ყველა უცებ ამოძრავდა.

ქირურგმა ჭრილობა ნახა და არხეინად თქვა:

— მარტო კუნთია გაგლეჯილი! ადგილობრივი ანესთეზია ეყოფა და ისე გავკერავთ. ხვალ-ზეგ კი გავწერთ!

გივის არაფერი უთქვამს. მცირე ოპერაცია უცებ დამთავრდა და გივი მეორე სართულზე აიყვანეს.

სისხლდაკარგულს და გამაყუჩებლით გაბრუებულს უცებ ჩაეძინა და მხოლოდ ხელის კვრაზე გაიღვიძა. მზია იდგა გივის თავთან.

— ეს რა ქენი? — ჰკითხა ქალმა.

— თოფი ვერ გავყიდე!

— პარკში რა მოხდა?

— ძაღლისთვის მინდოდა საჭმელი მეჭმია!

— გიოზე არ გიფიქრია?

— შინ მინდა!

— დარაჯი გყარაულობს!

— რა დარაჯი?

— პოლიციელი! და აქედან ციხეში მიყავხართ!

— მეე?

— არა, მე!

გივის შეეშინდა და ყველაფერი გაიხსენა.

— ესე იგი, მიჭერენ?

— უკვე დაგიჭირეს! გარეთ პოლიციელი გდარაჯობს!

გივიმ გამოსავალი ვერ იპოვა. შესცივდა და შეშინდა. რეზო და მისი პროფესია გაახსენდა.

— რეზო უნდა ნახო! — უთხრა ცოლს.

— როგორ? შენ არ თქვი, ის ჩემი ამხანაგი არ არისო?

— მაშინ გავბრაზდი.

ზიზღი აირეკლა ქალის თვალებში. უხმოდ და სწრაფად გავიდა პალატიდან.

— იმას უთხარი! — მიაძახა ქალს ქმარმა.

მარტო დარჩენილი გივი მართლა შეშინდა, საწოლიდან ადგა და კართან მივიდა. დერეფანში პოლიციელი იჯდა პალატის წინ. სულჩამკვდარი გივი ბანცალით მივიდა საწოლთან, ლოგინში ჩაწვა და თავზე საბანი წაიხურა. ტუჩებზე მლაშე გემო იგრძნო და მიხვდა, მარტო იყო ამქვეყნად და ეს ცრემლიც მალე შეშრებოდა მის სიბნელით დაბრმავებულ თვალებზე.

## V თავი

დილით პალატაში ექთანი შევიდა.

— დილა მშვიდობისა! — თქვა ქალმა და გივის მკლავში ნემსი გაუკეთა. ექთანი ოთახიდან გავიდა და გივიმ აცეტონის გემო იგრძნო პირში. გვერდი იცვალა და ხელი ეტკინა. ფიქრში წასულს გიო გაახსენდა. რა მითხრა? განგსტერი არა ხარო. იმას დანაშული კარგი საქმე ჰგონია. და აი, შვილს არ ვუყვარვარ! მე კი მამაჩემი ღმერთი მეგონა. თავისი ნებიერი ბავშვობა თვალნათლივ დაინახა. მიხვდა კაცი, ვერ უვლიდა თავის შვილს ისე, როგორც მას უვლიდა მამამისი. მარტო კარგი ცხოვრება არ არის მამა-შვილს შორის ერთობის განმსაზღვრელი, გაიფიქრა გივიმ და იქვე გაახსენდა, როგორ შეხვდა გიო რეზოს და რა ნაწყენი გაშორდა საკუთარ მამას. მანქანაში არ ჩაჯდა მის გამო. არა, რეზო ჩემზე მეტად არ უყვარს! უბრალოდ, ბიჭია და მანქანის ინტერესი აქვს. აი, კარგად გავხდები და მეც რამეს ვიზამ. აღარ მინდა ექიმობა და მორჩა! სხვა რა უნდა ვაკეთო? პაციენტი პოლიკლინიკაშიც კი არ მაკითხავდა, უფასოდ რომ მემკურნალა, სახლში ვინ მომივა და თან ფულს ვინ გადამიხდის? დანტისტი მაინც ვიყო! ეს თერაპევტობა რა ჯანდაბაა! ანალგინი და ნოშპა — თვითონვე სვამენ და მორჩა! აღარც გამოწერა სჭირდება წამალს! ეჰ, ბიზნესის რომ გამეგებოდეს რამე! იქნებ მძღოლი გავხდე! რეზო გაიხსენა და იქვე გადაწყვიტა. სჯობს, მშიერი მოვკვდე, ვინემ ,,შოფერი" ვიყო!

პალატაში კარი გაიღო და ოთახში მზია და რეზო შევიდნენ. ათლეტური აღნაგობის იყო ნავარჯიშევი კაცი.

— გაუმარჯოს! — მიესალმა რეზო მეზობელს.

მზიამ ოდნავშესამჩნევად დაუკრა თავი ქმარს და საწოლის კიდესთან დადგა.

— სხვა რა ხდება? — იკითხა რეზომ.

გივიმ ვერაფერი თქვა და თვალები ძირს დახარა. პატარა და მახინჯი ბიჭი იწვა ახლა ლოგინში.

— ეი, არ გაიბუტო! — ხუმრობით შეეხმიანა როხროხა კაცი გივის.

ბანდიტების მოურავი მე ტყუილად არ დამეხმარება, გაიფიქრა გივიმ და ცოლს შეხედა.

— ახლა საქმე! — თქვა რეზომ და ლაპარაკი დაიწყო, — მტრედებს რომ ესროლე, ეს ხულიგნობაა. სტატია ორ წლამდეა და პირობითითაც შეიძლება შეცვლა, მაგრამ ოპერს რო თოფი დაუმიზნე, ეს უკვე სხვა რამეა და, არც თუ ადვილი საქმე! რამე უნდა ვქნათ, თორემ ცხრა წლამდე გაქვს მუხლი!

— რა უნდა ვქნა?

— ფული უნდა ამ საქმეს!

— მე და ფული, საიდან? მე ექიმი ვარ, ყაჩაღი კი არა!

— ეს იმათ არ აღელვებს! თვითონ იცი, რა დროში ვცხოვრობთ!

— სახლი რო გავყიდოთ? — იკითხა მზიამ.

— გიო? — შეუბრუნა კითხვა გივიმ.

მზია გაჩუმდა.

— ეს საქმე ცალკე გაარკვიეთ! — თქვა რეზომ და გივიმ იეჭვა: იქნებ ამას უნდა ჩემი სახლის ყიდვა, ა?

,,შოფრის'' შვილი გიორგი ლაშხის, მამაჩემის ბინაში იცხოვრებს და იბოგინებს. იქნება და, მზიაც ამას დარჩეს და სულ გაიხარებს მამაჩემი საფლავში!

— კარგი! — თქვა მზიამ, — მე გიო მყავს მისახედი. შენ კი იფიქრე!

— მეც მოვდივარ სახლში!

— არა, გივი, შენ გარეთ დარაჯი გყავს!

— რა ხდება, პატიმარი ვარ?

— ჯერ ეჭვმიტანილი, — აუხსნა გივის რეზომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერე?

— მერე გირაოს სახით ფული უნდა გადავიხადოთ და სასამართლომდე გარეთ იქნები!

— სად მაქვს მე ფული?

— მაგ ფულს მე გასესხებ!

გივი გაჩუმდა.

რეზომ კი სიცილით ჰკითხა:

— ვაკის პარკში რომ სროლა ატეხე, რუსეთთან ომი გეგონა თუ სასწავლო წვრთნა გქონდა?

— მეჩქარება! დანარჩენი სახლში! — თქვა მზიამ და პალატიდან გავიდა.

— მეც საქმე მაქვს! — თქვა რეზომ და ისიც მზიას გაჰყვა.

ერთად წავიდნენ, გაიფიქრა გივიმ და გულზე ცეცხლის ალი მოედო. მე მარტო დამტოვეს. აღარ იცოდა, რაზე უნდა ეფიქრა.. ეს ოხერი, მე ციხეში უნდა ჩავჯდე, ვიღაც „შოფრის" შვილი კი მამაჩემის სახლში იბოგინებს გიორგი ლაშხის რძალთან. შიმშილი იგრძნო და ახლა ამან გაამწარა: იცის მზიამ, ამდენი ხნის მშიერი ვარ და, პური რა არის, ისიც კი არ მოიტანა. თავზე საბანი წაიხურა და აცეტონის სუნმა კინაღამ დაახრჩო. უკვე ვიწამლები, გაიფიქრა და აქედან გაპარვა გადაწყვიტა. კარებთან მივიდა და გარეთ გაიხედა. პოლიციელი იჯდა პალატის წინ, სკამზე და გაზეთს კითხულობდა. შემდეგ ფანჯარასთან მივიდა. თავი უბრუოდა და მაღალი ეჩვენა ექვსიოდე მეტრი მიწამდე. ისევ ლოგინში ჩაწვა და ჭერს ახედა. დიდი ხნის ურემონტო პალატის ჭერი ჭუჭყიანი და ატკეჩილი იყო. საკანი როგორია? ჩაფიქრდა გივი და ახალი შიში ჩასახლდა მის გონებაში. იქ ქურდები არიან, გაიფიქრა და შიშია თუ სისუსტისგან კანკალმა აიტანა.

## VI თავი

— ნემსი! — დაიძახა ექთანმა და გივიმ გაიღვიძა. დილა იყო. მედდამ ნემსი გაუკეთა და პალატიდან გავიდა. კაცმა პალატას მოავლო თვალი. რაღაცით და ეს ოთახი ქვაბულს ჰგავდა. თვალები დახუჭა და შიგნით რაღაც ამოძრავდა. ის რაღაც კი, ვით ვიოლინოს ჯოხი, პირდაპირ გივის შიშველ ნერვებს მტკივნეულად ეხებოდა. თვალი გაახილა და სულში ის რაღაც ოდნავ დაწყნარდა. ვაკის პარკი გაიხსენა. მე მტრედი დავჭერი, იმათ — მე. ჩიტი მეტია ამქვეყნად თუ გივი ლაშხი? იკითხა საკუთარ თავში და იქვე დაასკვნა: აქ ადამიანი მოკვდა და მისი ადგილი ფულმა და „შოფრის" შვილმა დაიკავა. ნადირობა, მწყერი და მამის ქებაც გაიხსენა. მტრედი და „შოფრის" შვილი ფასეულია, მწყერი და მე — არა. უცებ აუტყდა სიცილი გივის და იცინოდა მანამდე, სანამ ხმა ჩაეხლიჩებოდა და სუნთქვა შეეკვროდა. ტკივილი იგრძნო და კითხვა გაუჩნდა: რამ აფიქრებინა მამაჩემს ჩემი ექიმობა? არა, ეს დედაჩემმა დაიჩემა, ჩემი შვილი ექიმი უნდა იყოსო. ისე, მაშინ რა? ექიმი კაცი იყო და ვოლგა — მანქანა.

მზია და რეზო გაახსენდა. საიდან ასე ახლოს, ა? მე ვთხოვე, მოიყვანე-მეთქი. ახლა გიოს მისწვდა ფიქრში. ჩემი ზუსტი ასლია, მაგრამ ბუნებით დედას ჰგავს. ზედმეტად პრაგმატულია. თითქოს ახლა ხდებოდა, ნათლად გაიხსენა გივიმ თავისი ქორწილი. დედებს შორის გადაწყდა მზიას და გივის ქორწინება. მაშინ გივის არც ცოლი უნდოდა და არც შინ ჯდომა. უარი თქვა ასეთ საქმეზე. დედამ კი ძალით წაიყვანა შვილი შეხვედრაზე და მზიას დანახვამ გააოგნა პატარა კაცი. არც კი ეგონა, ამ ქალაქში ასეთი ლამაზი გოგო თუ ცხოვრობდა. თაფლის ფიჭაში დაბადებულ ფერიას ჰგავდა მზია. ქცევა იყო ეს თუ მოძრაობა, ზღაპრის მზეთუნახავს უფრო ჰგავდა, ვინემ რეალურ ქალს. სუფრა გაიშალა, უფროსებმა მოილხინეს. უხმოდ იჯდა გაოცებული გივი და მის ნახვით გულნატკენი მზიაც. სმაში უფროსები შეთვრნენ და მზიას ცეკვა სთხოვეს. ცეკვის მასწავლებელი იყო მზიას მამა. ერთად იცეკვა მამა-შვილმა. ლამაზი იყო ორივე და ლამაზი იყო ცეკვაც. თამადამ გივიც ჩართო ცეკვაში და ანგელოზს აკიდებული მახინჯის დანახვაზე სტუმრებს სიცილი აუტყდათ. მოკლე და მსუქანი ბიჭი ნაჭრისგან შეკერილი დათუნიასავით ბრუნავდა. ცეკვაში აფრენილი ფერიის ნიკაპს ძლივს სწვდებოდა.

ამაყი კაცი იყო გივი ლაშხი და ეს სიცილი გამოწვევად მიიღო. არც გავლენა და ფული აკლდა ამ კაცს და ღარიბი და ლამაზი გოგოს ბედიც აქვე გადაწყდა.

უძრავად იჯდა სიძე-პატარძალი ქორწილის სუფრასთან. ხალხი სვამდა და მღეროდა, ცეკვავდა და მხიარულობდა. გვიან დაიშალნენ და ცოლ-ქმარი ცალკე მოასვენეს. უარი უთხრა მზიამ ქმარს პირველ ღამეზე და სიძე-პატარძალი გამთენიამდე სკამებზე ისხდნენ. დილით დედას უამბო განაწყენებულმა დედიკოს ბიჭმა ცოლის უარი. დედაც, ნაზი ქუმსიაშვილი, ძლიერ გაბრაზდა.

არ უნდა იყოს აქ საქმე ისე, ჩვენ რომ გვგონია! განაცხადა მან და, მზიამ ქმრის სახლიდან წასვლა გადაწყვიტა. მამამთილმა არ დაანება და მზიას მშობლები გამოიძახა სალაპარაკოდ. იფიქრეს, იმსჯელეს. სიძე-პატარძალს არაფერი ჰკითხეს და მზია ქმართან დარჩა, მაგრამ ღამით ისევ უარი თქვა ცოლქმრული სარეცლის გაზიარებაზე. სიძე და პატარძალი ისევ სკამებზე ისხდნენ მთელი ღამე.

დილით კი ომი დაიწყო გივის დედასა და მზიას დედას შორის. ისევ კაცებმა გადაწყვიტეს საქმე და მზიას მამამ აუხსნა, თუ ის აქედან წამოვიდოდა, არა მარტო თავს დაიღუპავდა, არამედ თავის უმცროს დასაც დაუკარგავდა გათხოვების, ესე იგი, ცხოვრების მშვიდად და ღირსეულად გაგრძელების საშუალებას. მას კი, მის მშობელ მამას, ხალხში თავი აღარ გამოეყოფოდა. ცრემლმორეული კაცი იდგა მზიას წინ და ქალიშვილმაც ვერ გაუძლო მამის ასეთ თხოვნას. მოკლედ, მზიამ მამა შეიცოდა და დარჩა ქმრის ოჯახში. ამ ღამით კი, სანამ გივი ცოლთან შევიდოდა, წინდაწინ არაყი დაალევინეს და ასე გულმოცემული შევიდა ქმარი ცოლის ოთახში. ნასვამი გივის დანახვაზე მზიას გაეცინა. ბიჭმა ეს მიპატიჟებად მიიღო და ცოლს ჩაეხვია. კოცნა სველი იყო და სექსი — მტკივნეული. საჯიჯგნ ხორცად აღიქვა ამ ღამით მზიამ თავისი თავი და ეს პირველი ღამე... მერე კი ისწავლა და თვალებს ხუჭავდა და სახეს აბრუნებდა ქმართან ყოფნის დროს.

გივის კი ყველაფერი მოსწონდა და ბედნიერიც იყო.

რა დრო გავიდა ქორწილის შემდეგ და მზიას ასაკი არ შეტყობია. ისევ უზადოდ ლამაზი იყო მზია ქადაგიძე. გივიმ ამოიხვნეშა და სცადა სხვა რამ ეპოვა ფიქრსა თუ ოთახში. ქვაბ-პალატის ყურებას თვალების დახუჭვა არჩია და უცებ რაღაც მოაწვა ყელში. ამოუშვა და აცეტონის სუნი და გემო იგრძნო. საჭმელი არ მიჭამია, გაიხსენა გივიმ და უფრო მეტად განაწყენებულმა ისევ უარი თქვა არარსებულ საჭმელზე.

პალატის კარი გაიღო და ოთახში მზია და რეზო შემოვიდნენ.

— გაუ... მონადირეს! — იცინოდა რეზო.

— ადექი, სასამართლოში მივდივარ! — საქმიანად უთხრა ცოლმა ქმარს.

— რა ხდება?

— გირაო რეზომ გადაიხადა და გამოძიების დამთავრებამდე შინ იქნები!

— მერე?

— მერე ფულია საჭირო!

— ეს რატომ?

— ესე იგი, მე ვინადირე ვაკის პარკში და მე დავუმიზნე თოფი ოპერს? — იკითხა ნერვებაშლილმა ქალმა.

გივი გაჩუმდა. მოტანილი სამოსი ჩაიცვა და უხმოდ გაჰყვა მზიას და რეზოს უკან. დერეფანში პოლიციელი შეუერთდათ. ოთხივე ეზოში გავიდა და რეზოს მანქანაში ჩასხდნენ. ფიქრობდა და ვერ გაეგო გივის, რა ხდებოდა მის თავს, ცუდი რაღაც, უსაშველო. მანქანა დაიძრა თუ არა, შვილისთვის ნათქვამი უარი გაიხსენა. გიო ამ მანქანაში არ ჩავსვი და ახლა კი მე თვითონ ვსეირნობ რეზოს ავტოთი. არა ვარ გიოსთან მართალი, გაიფიქრა გივიმ და სული აუქოთდა კაცს. მანქანა სასამართლოს შენობის წინ შედგა. ყველა შიგნით შევიდა და რეზომ გივის კაბინეტის წინ დაცდა უბრძანა. თვითონ კი ოთახში თამამად შეაბიჯა. გივიმ გარემო დაზვერა. მზიას ბადრაგი უცქერდა.

ახალგაზრდა ბიჭი იყო რიგითი და არც მზია ჩანდა მასზე უფროსი. ძონძებში ჩაცმული ქალის სილამაზე თითქოს უფრო თვალშისაცემი გამხდარიყო ქმრისთვის. ადვილად მისაწვდომი ეჩვენა გივის თავისი ცოლი. გაბრაზდა და ბადრაგს მკაცრად უთხრა: მე აქედან სახლში ვბრუნდები! ბადრაგმა გაიღიმა და თვალი მოაშორა მზიას. ყველა ჩუმად იყო და დროც ძლიერ გაიწელა. როგორც იქნა, კაბინეტიდან გრძელფეხება მდივანი გოგო გამოვიდა და გივი მიიხმო.

მოსამართლის კაბინეტში პატარა ბიჭი მისჯდომოდა მაგიდას. მან ალმაცერად ახედა გივის. პუტკუნა, წითელი ლოყები ჰქონდა ბიჭს.

„პაცანა“, გაიფიქრა გივიმ.

— ეს არის? — იკითხა მოსამართლემ.

— ჰო, ესაა ქალაქში დიადი მონადირე!

ორივეს გაეცინა.

— ორ თვეს გაძლევ დროს! — უთხრა მოსამართლემ გივის და მკაცრად გააფრთხილა, — ქალაქიდან გასვლა კი არ გაბედო!

გივიმ ხელწერილი დაწერა და რეზოს ნიშანზე გარეთ გავიდა.

დერეფანში მზია და ბადრაგი ლაპარაკში გართულიყვნენ. გივი ორივეს მიეახლა და ბადრაგს მკაცრად უთხრა: მეც თავისუფალი ვარ და თქვენც!

ბადრაგი დაემშვიდობა, გივის ჯიბრზე მზიას გაუღიმა და ნელი ნაბიჯით წავიდა თავის გზაზე.

მალე რეზოც გამოვიდა კაბინეტიდან და გივის თვალი ჩაუკრა. სამივე ეზოში გავიდა და მანქანაში ჩასხდნენ. ვაკეში, უბანში, ქუჩიდან ქუჩაზე უცებ გავიდნენ. თავის სახლთან მორბენალი კურცხალი დაინახა გივიმ და იყვირა:

— პანტურა!

— ეგ არ გამაგონო! — იკივლა ქალმა.

— რა გინდა, უყვარს კაცს ნადირობა! — იხუმრა რეზომ და მანქანა გააჩერა.

ცოლ-ქმარი მანქანიდან ჩამოვიდა.

— მადლობა? — შეახსენა მზიამ ქმარს. გივი გამოერკვა და მადლობა ისე თქვა, რომ რეზოს, ცოტა არ იყოს, შეეცოდა ეს ტანმორჩილი და მახინჯი კაცუნა.

— ხომ არ შემოხვალთ? — ჰკითხა მზიამ.

— არა! — უარი თქვა რეზომ და იქვე გაშორდა მეზობლებს.

ძაღლმა პატრონთან მიირბინა. ყეფდა და ხელს ულოკავდა. ზურგზე კი ჯერ კიდევ შეუხორცებელი ჭრილობა ემჩნეოდა. ჩემი ნასროლია, გაიფიქრა გივიმ და მზიას ჰკიდა თვალი, რომელიც მას მისჩერებოდა. ხმა არ ამოუღია, ისე შევიდა კაცი შინ.

გივი ტელევიზორთან დაჯდა და ეკრანი არ ჩაირთო.

— რა, გაფუჭდა? — იკითხა მან.

— არა, ელექტრონის ფულია გადასახდელი!

გივიმ თავი დახარა. ფული! ფული! ფული! იმეორებდა გონებაში და კიბეზე ფეხის ხმა გაიგონა.

— გიო! — იყვირა მის არსებაში გაღვიძებულმა მამამ და ფეხზე წამოხტა.

ბიჭი ოთახში შემოვიდა და არც კი გაუხედავს მამისკენ. გივი შვილს დააკვირდა და ახლა დაინახა, თვალი ჰქონდა ბიჭს დალურჯებული.

— ეს რა არის? — ჰკითხა შვილს.

— ლოტოს კოჭს მეძახიან!

— მეც მეძახდნენ, მერე რა?

— მერე ის, შენ რომ არ გგავდე, იქნება და, არ მომხვედროდა!

— აბა, ვის უნდა გავდე?

— მზიას! — თქვა ბიჭმა და სამზარეულოში შევიდა.

გივი სავარძელში ჩაჯდა და რაღაც ეხამუშა. ერთხანს კედელს უყურა და უცებ მიხვდა, კედელზე საათი აღარ ეკიდა.

— მზია! — იყვირა გივიმ.

— რა იყო?

— საათი სად არის?

— გავყიდე!

— რატომ?

— საკვებად მარტო ჰაერი არ გვყოფნის და ხანდახან პურსაც ვყიდულობთ, რისთვისაც ბოდიშს გიხდი!

გივი მიხვდა, აღარ იყო ის აქ არავინ; არავინ კი არა, არაფერი! უხმოდ გავიდა მისაღები ოთახიდან კაბინეტში. აქ მაგიდასთან დაჯდა და მინის ქვეშ ფოტო მოხვდა თვალში. თავისი დედ-მამის სურათი იდო მინის ქვეშ. ფოტო გამოიღო და კარგად დააკვირდა. მამა სიმპათიური კაცი იყო. მე კი დედას ვგავარ, კარგის ჯიბრზე! შენიშნა გივიმ თავს და უცებ გაბრაზდა. სურათი გადახია. ნაკუწებად აქცია და მოისროლა. ოთახში მიმოიფანტა ფოტოს ნაფლეთები. ვერც აქ ყოფნა შეძლო და საწოლ ოთახში გავიდა. ტანზე გაიხადა და სარკეში ჩაიხედა. თავიდან ბოლომდე შეისწავლა თავისი სხეული. მოკლე, მსუქანი, ბანჯგვლიანი, სათვალიანი ორეული უყურებდა. ამდენი ხანია არ მიჭამია და მაინც არ გავხდი! გაიფიქრა და ტანის დაბანა გადაწყვიტა. აბაზანის ოთახში კი არც სინათლე იყო და არც ცხელი წყალი. ისევ საწოლ ოთახში დაბრუნდა და ლოგინზე მიწვა. მშიერს, დაღლილს, ნაწყენს, სუსტს მალე მოერია რული და, ძილში წასულს, დილამდე არაფერი გაუგია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## VII თავი

დასცინოდა გივის მთელი თავით ტანმაღალი და მხარბეჭგაშლილი კაცი. დამცინის ოხერი, გაიფიქრა გივიმ და საყვედურის სათქმელად პირი გააღო. იქვე გაეღვიძა და მიხვდა, სიზმარი ენახა. გაიხარა და გულაღმა დაწვა. ჭერს ახედა და მოპარული ხელფასი გაახსენდა. უცებ ეცვალა გუნება და გულზე სევდა შემოაწვა. რეზო და სასამართლო გაიხსენა. ფულს ვიშოვი და პირდაპირ სახეში მივაყრი. ფიქრი დაიჯერა და ფეხზე ადგა. ოთახში ისევ ბნელოდა. ჯერ არც ფანჯარაში ჩანდა მზე და ნათელი. ტუალეტისკენ წავიდა. ნათურის ღილაკს თითი მიაჭირა და სინათლე არ ჩაირთო. ხარჯია დასაფარი, უთხრა საკუთარ თავს და იქვე დაასკვნა: ყველას ვალი მე მაქვს, ამ უნიტაზისაც კი. თავის თავზე გაეცინა. ჩაბჟირებამდე იცინოდა.

— რა ხდება? — იკითხა სამზარეულოდან მზიამ.

— უნიტაზი ვალს ითხოვს.

ჩემზე ჭკვიანი ყოფილა, გაიფიქრა ქალმა, მაგრამ ხმამაღლა არაფერი უთქვამს.

გივიმ დაიბანა, ჩაიცვა და ცოლს შორიდან დაუძახა: სამსახურში მივდივარ!

გარეთ ციოდა და ფეხი უცურავდა. გზის ფული? გაუელვა უცებ. ახლაღა გაახსენდა მწარე რეალობა — პოლიკლინიკა დაიხურა. ხელფასი რომ არ მოეპარათ, ბეჭდებს დავიხსნიდი და ამ დღეში არ ვიქნებოდი. შედგა და დაფიქრდა: სად მივდივარ? აზრს დაუწყო ძებნა. იმედის ძაფს მოებღაუჭა. იქნებ რამე შეიცვალა?! გაიფიქრა და გზა განაგრძო. ვაკის პარკს გვერდი აუარა, არ უნდოდა, ვინმეს რომ ეცნო. ვაკე-საბურთალოს დაღმართი სრიალით ჩაიარა და ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე ავიდა. პოლიკლინიკის შენობაში შევიდა. სიცივე და სიბნელე იდგა დერეფანში. კაბინეტში შეიხედა და გაიხარა, მისი ექთანი ადგილზე იყო.

— ესე იგი, ვმუშაობთ? — იკითხა გივიმ და თავის სკამზე დაჯდა.

— ერთი-ორი კაცი მაინც დავდივართ სამსახურში. გამოძახება მაინც არ არის. ტელეფონიც არ მუშაობს.

კაბინეტში დანტისტის ექთანი გაუფრთხილებლად შევიდა და კარებშივე შედგა. ერთ წამში კი ღიმილით იკითხა:

— აბა, გივი ექიმმა ვაკის პარკში მტრედები დახოცა და დააპატიმრესო?

თითქოს ბრინჯი გადმოიბნა უცებ გამსკდარი ტომრიდან. ვუუუუ, რაღაც ასეთი ხმა ამოუშვა გივიმ ყელიდან. აზრის მაძიებელ გონებას ტანი მიეხმარა. ფეხზე წამომხტარი კოტიტა კაცი ბურთივით გავარდა კაბინეტიდან.

მანქანის მუხრუჭის ჭრიალმა მოიყვანა თვალდაბნელებული კაცი გონზე. მძღოლის გინება გაიგონა და უცებ გაიფიქრა, ის მტრედი ჩემთვის არ მომიკლავს. ძაღლს შიოდა და იმისთვის მინდოდა. უცებ შებრუნდა უკან. სირბილით დაბრუნდა სამსახურში და ჭორაობაში გართულ ქალებს მთელი ხმით უყვირა:

— ჩემთვის არ მომიკლავს მტრედი, ძაღლისთვის მინდოდა მეჭმია! — ეს თქვა და შლეგივით უკან გამოვარდა.

ძლივს მიდიოდა გზაზე. დაღლილი და გასავათებული მივიდა შინ. სვენებით ავიდა მეორე სართულზე და მისაღებ ოთახში სავარძელში ჩაესვენა. უცებ ასტკივდა ყველაფერი. შიოდა და სწყუროდა. რაღაც ბოხი ხმა ჩაესმა. საწოლი ოთახიდან მოდიოდა თითქოს ეს ბგერები. მიაყურადა. მედგრად ჭრიალებდა ხის საწოლი. ადგა, მივიდა და კარი გააღო. გაშრა. გაიყინა. პირზე პატარა ბავშვივით ჩამოედინა ლორწკი.

მზიას კოჭწვრილი და თეძოსთან სავსე და გრძელი ფეხები მხრებზე გადაეწყო რეზოს. ბანჯგვლიან უკანალს ენერგიულად აქნევდა და გრძნობას მინდობილი ქალი ავხორცული კვნესით ახალისებდა მისი ვნების მეუფესა თუ პატრონს.

რეზო და მზია გამოერკვნენ. ორი ნწყვილი თვალი ერთად მიაჩერდა გივის. ერთ წამში ქალის ხმა გაისმა:

— გადი და გამოვალთ!

გივი მექანიკური თოჯინასავით შებრუნდა, ისევ სავარძელში ჩაჯდა და თავი ჩაჰკიდა, გამოირთო. კარგა ხანი გავიდა, სანამ ოთახიდან რეზო და ხალათში გამოკრული მზია გამოვიდნენ. ორივე მის წინ დივანზე დასხდა. რეზომ მშვიდი ხმით თქვა:

— ცუდი რამ მოხდა, მაგრამ აჯობებს, თუ საქმეს არ გავართულებთ!

თითქოს კარი ურდულით ჩაერაზოთ, ანდა ბოთლის საცობი ფისით დაეგმანოთ. გივის არაფერი ესმოდა, ვერაფერს გრძნობდა. სავარძელში უფრო იდო, ვიდრე იჯდა. არც ხმას იღებდა, არც ინძრეოდა. სიცოცხლის ნიშატი გაჰქრობოდა.

რეზო მიხვდა, რომ ამ კაცს მისი ერთი სიტყვა არ ესმოდა.

— წავალ! — თქვა და ადგა.

გივი ისევ უძრავი და უხმო იდო სავარძელსა და საკუთარ გვამში. უფრო კი — არსად, არაფრობაში, არყოფნის იქით გადასულიყო.

მზია ზიზღით უმზერდა ქმარს. რეზო წავიდა და აღარც ქალი გაჩერდა მისაღებ ოთახში, სამზარეულოში გავიდა.

უამრავი წამი, წუთი და საათი უძრავად იდო გივი. წინ გიომ ჩაუარა და დედასთან შევიდა სამზარეულოში. წამი წუთს მიება, დღე — ღამეს. კაცი არ განძრეულა. იდო ასე ერთ ადგილას გარინდებული.

დილით გიო სკოლაში წავიდა. შვილი გაისტუმრა და მზია დაუჯდა ქმარს წინ. კაცის ჩამქრალ მზერას ერთ წამს უხმოდ შეხედა და მოკლედ თქვა ყველაფერი ერთად:

— უნდა გავშორდეთ!

კაცის გულ-გვამი და ენა კვლავ უძრავი იყო, არაფრის მოსურნე...

— მესმის, — გააგრძელა ქალმა, — გიოს და მე მთელ სახლს არ დაგვითმობ. გავყიდოთ, გიოს ცხოვრება მოვუწყოთ. შენ და მე თითო ოთახის ფული ავიღოთ და დავიშალოთ! — ეს თქვა ქალმა და გამომცდელად შეხედა კაცს.

ისევ უძრავი იყო გივის გვამი.

— შენ გელაპარაკები! — ბრაზით თქვა ქალმა.

ისევ უხმო იყო კაცი.

— მძორო! — თქვა ქალმა და ოთახიდან გავიდა.

სკოლიდან გიო დაბრუნდა. მამას წინ ჩაუარა და სამზარეულოში შევიდა. ნასადილევს გივისთან შევიდა და მოკლედ უთხრა:

— მოდი, შენ შენთვის იცხოვრე, ჩვენ ჩვენთვის ვიქნებით! სახლი უნდა გავიყოთ!

უძრავი იყო გივი. არც ხმა გაუღია და არც რაიმე განცდა ან ნერვის მოძრაობა შეტყობია.

ბიჭი მამას გაშორდა. ორი დღე ისე გავიდა, გივი არც კი გატოკებულა. მზია და გიო მის წინ გადი-გამოდიოდნენ, ის კი არც იძვროდა.

— ხო არ მოკვდა? — ჰკითხა გიომ დედას.

ქალი წამით დაფიქრდა და მიხვდა, რაღაც ისეთი მოხდა, რაც მას არ ესმოდა. კაცთან მივიდა და ხელით შეეხო. უძრავი ტიკინა იდო სავარძელში. ექიმი! — გაიელო ქალმა გუნებაში და გაახსენდა, რომ გივი თვითონ იყო ექიმი. არა, ეს რა ექიმია! — გაიფიქრა და კაცს გაშორდა. კიდევ ერთი დღე გავიდა და იმის გამო, რომ მისაღები ოთახი უაზროდ იყო დაკავებული, ექიმი გამოიძახა.

ნახევარი დღე ელოდა უფასო სასწრაფოს და, როგორც იქნა, მოვიდა. თეთრულვაშიან ბერიკაცს ექთანი გოგო მოჰყვა. მზია შინ შეუძღვა მათ და გივის უძრავი ყოფის აღწერისას ისიც აღნიშნა, რომ თვითონ გარინდებული კაციც, ანუ მისი ქმარი ექიმი იყო.

მოხუცი ექიმი პაციენტის წინ დაჯდა.

არ შეუმჩნევია გივის ვინმეს მოსვლა.

— აბა, კოლეგა, ბრძანე, რა ხდება! — ღიმილით მიმართა ექიმმა გაშტერებულ კაცს.

ისევ მდუმარედ იდო თუ ესვენა გივი სავარძელში. ექიმი ხელით შეეხო. არც ახლა განძრეულა ცოცხალი გვამი.

— წყალი თუ დალია, ან ტუალეტში თუ გავიდა? — იკითხა ექიმმა.

— აა, არა! არ განძრეულა!

— რამე ხომ არ უთქვამს?

— არა, სულ ჩუმად არის!

— მოულოდნელად რაიმე ცუდი ხომ არ მომხდარა?

— არ ვიცი, სამსახურიდან მოვიდა, სავარძელში ჩაჯდა და მას მერე ასეა! — იცრუა ქალმა.

— რა დრო გავიდა?

— ალბათ, სამი დღე.

— როგორ! კაცი სამი დღე საწოლში არ წოლილა და არაფერი ილონეთ?!

— არ ვიცი.

— რა არ იცით?

— არ ვიცი, რა უნდა ვქნა...

— ფსიქიატრია გამოსაძახებელი!

— როდის დავუძახოთ?

— ჩვენ გამოვიძახებთ! — მოკვეთილად თქვა ქალის საქციელით უკმაყოფილო ექიმმა და ექთანს ფსიქიატრი გამოაძახებინა.

შუახნის სათვალიანი ქალი იყო ფსიქიატრი. მაღალი და გამხდარი. დაკვირვებული მზერა ჰქონდა და სიმშვიდე აღბეჭდოდა სახეზე.

— ბატონი გივი ჩვენი კოლეგაა, — აუხსნა მას თერაპევტმა.

— ეს კარგია, მოგვეხმარება! — თქვა ქალმა და გივის ხელზე მოეფერა.

ისევ უძრავი და უგრძნობელი იყო კაცი, უფრო გვამი რომ ეთქმოდა.

ქალმა სამედიცინო ჩაქუჩი ამოიღო ჩანთიდან და მუხლისთავებზე მიარტყა პაციენტს. ვითომ არც შეხებოდეს.

— ეს არ მომწონს! – თქვა ქალმა და ექთანს ნემსი სთხოვა. ახლა ნემსი უჩხვლიტა კაცს ხელზე. გივის კანზე ხორკლმა დააყარა და ექიმმა ამოიხვნეშა.

— რა არის? — ჰკითხა თერაპევტმა.

— ცუდი ამბავია ამის თავს!

ოთახის კარი გაიღო და ბიჭი დედას მიეახლა.

— მოხვედი, შვილო! — გაიხარა მზიამ და შვილს სამზარეულოსკენ გაუძღვა.

— რა სჭირს? — ისევ იკითხა თერაპევტმა.

— მუტიზმია, მაგრამ რა სიმძაფრის, რა ვიცი. ეტყობა, ელდა ეცა.

— ნამდვილად!

დიასახლისი მოიძიეს ექიმებმა და ოთახში არ იყო.

— ქალბატონო, — დაუძახა მზიას ფსიქიატრმა.

დედა-შვილი ერთად გამოვიდა მისაღებ ოთახში.

— თუ შეიძლება ფურცელი და კალამი მოგვეცით!

— გიო, მოიტანე! — უთხრა მზიამ შვილს და ბიჭმა დავალება შეასრულა.

მაგიდაზე დააწყვეს ქაღალდი და კალამი.

— გვითხარი, რა გინდა! — თბილად სთხოვა ფსიქიატრმა გივის.

ნაკვთი არ გასტოკებია გივის სახეზე.

— ყველანი სხვა ოთახში გავიდეთ! — ითხოვა ფსიქიატრმა და სამზარეულოში გასვლის შემდეგ დედა-შვილს მიმართა, — რიგრიგობით შედით მასთან და სთხოვეთ, თქვას ან დაწეროს, თუ რამ უნდა.

ჯერ მზია შევიდა ქმართან ოთახში. ხუთ წუთში გამოვიდა და მოკლედ მოჭრა: — უძრავია!

შემდეგ გიო გავიდა და ოდნავ მოგვიანებით დაბრუნდა. ხელში ნაწერი ფურცელი ეჭირა. ფსიქიატრმა ბიჭს ფურცელი გამოართვა და წაიკითხა:

— მამა გირჩევნია თუ მანქანა?

სახლშია პრობლემა, გაიფიქრა ექიმმა და ბიჭს ჰკითხა,

— რა უპასუხე?

— მანქანა!

უცებ ეცვალა ქალს სახე. სანდომიანი ექიმის ნაცვლად მკაცრი პროკურორი იდგა სამზარეულოში. თუმცა ქალმა მალევე დაიმორჩილა თავი და თერაპევტს უთხრა:

— ფსიქიატრიულშია გადასაყვანი!

— მძიმეა? — იკითხა კვლავ მოხუცმა ექიმმა.

— ესენი კი! — მიხედა დედა-შვილს ექიმმა.

— რა სჭირს? — ვითომ ვერ გაიგონა ფსიქიატრის ნათქვამი მზიამ.

— მუტიზმი!

— ეგ რას ნიშნავს?

— საკუთარ თავში ჩაიკეტა და შეიძლება დიდხანს არ დაეკონტაქტოს არავის.

სასწრაფო მანქანიდან საკაცე ამოიტანეს. არ გასძალიანებია და არ დამორჩილებია, ისე დადეს გივი საკაცეზე და სახლიდან წაიყვანეს.

მზიამ ბინის კარი მიხურა და შვილს ჰკითხა:

— ახლა რა ვქნათ?

— ხო გინდოდა გაშორება? — ჰკითხა ბიჭმა.

— ჰო, თავისთავად მოხდა ყველაფერი, — თქვა ქალმა და შვილი ისევ სამზარეულოში შეიყვანა. ქალს არ დავიწყებია სკოლიდან ახლახან მოსული უსადილო შვილის მოვლა და დაპურება.



გივი ალხაზიშვილი

## დილის კონცერტი
**(ძველი ალბომი)**

მზე ისე ამოდის და ისე ნათდება,
ამოდის, ნათდება და შემოეფლითა
ბინდი და შენ იგრძენ — ამოხვალ ასევე
და ამოიხედავ შენივე ფერფლიდან.

სარკმელი არაა სამყაროს ეკრანი
და არც რეკვიზიტი არ არის ეგ ჩოხა,
აქვე რომ ჰკიდია და არ ელოდები
ვინმე რომ გაგითლის ბზის კომბალს ხელჯოხად,

რომელიც შემოგრჩა ბიჭვინთის ჭალადან
ნივთიერ მტკიცებად და ხსოვნის ფრაგმენტად,
რომ სანაპიროსთან ცოცხალი ბზის სუნი
ართობდა ნესტოებს, თანაც ხმის გაკმენდა

გიყვარდათ დროდადრო, როდესაც სათქმელი
ქრებოდა გასაგებ წუთების თანხმობით,
თქვენ გქონდათ იმედი მომღერალ ხმოვნების
და ერთხორც ქცეული ორივე თანხმოვნის.

ზმნა რომ იბადება, მწკრივებს და სერიებს
უსხლტება, გაივლის პოულობს სასურველს
და სიმებიანთა ბგერების ხაოებს
ამრავლებს ხემი და საკრავებს სასულეს

ჩაბერავს ბებერი სამყარო ხელახლა
და გასკდომაზეა დაღლილი ფილტვები,
შენ ისევ იქითკენ, რადგანაც ამოდის,
კიდევაც ნათდება და იქით მიილტვი...

აი, აფხაზეთი, ოჯახურ ალბომში,
და მოჭრილ ბზასავით, როგორც რელიკვია,
სიზმარში ეყრდნობი, როგორც ხეიბარი,
მოკვეთილ კიდურს და ისევ შენი ჰქვია.

შენ გესმის მოქცევის ფშვინვა და შხუილი
და შენი ფანჯარა — ბებერი გემბანი
მიცურავს უცნობი დღეების კვალდაკვალ
და კურსი მცდარია ან გაუგებარი

და ისევ ტივტივებ, და რადგან ტივტივებ,
ვერ ხვდები სარკმელი რად გექცა მინურად,
შენ ლუზა ჩაუშვი საკუთარ ტკივილში,
და ახლა ჩაშვებულ ლუზასთან მიცურავ.

* * *

*ქ-ნ ნანა ფურცელაძეს*

კი არ გაურბის, ხელი ეზრდება მოსაფერებლად
შენსკენ, ვინც აქ ხარ, ცასთან ერთად
და რა თქმა უნდა, უფრო მიწასთან...

გული ჭასავით რომ ლივლივებს —
მხოლოდ მაშინ იხედება სიტყვა თვალიდან,
რადგან ფურცელი გაუდაბნოვდა,
და შენი ფიქრი
ბედუინთა მუალაკებს ისე წააგავს,
რომ გულში იწერ,
იმახსოვრებ
და ელოდები გულისფანცქალით,
რომ პირველსავე შემხვედრს გაანდო,
მაგრამ არ იცი,
ის ოდესმე მოვა თუ არა
და საერთოდ — ყურს ვინ დაგიგდებს?!

აი, სიტყვები, ველარავის რომ გააგონებ,
აქვე ხარობენ კაქტუსებივით
და ეკლებს შორის ყვავილი უჩანთ....

დღე-ღამეები — ჩრდილებივით იეროგლიფებს
ახლაც წერენ და შლიან ქვიშაზე
და ქარები
ნაფეხურებსაც წამოკრეფენ და მიალაგ-მოალაგებენ
და ქარავანთა მოქანავე ძილღვიძილშიაც
მონატრებულ ტაქტს პოულობენ მუალაკები.

შენ ცხოვრობ ქვიშის საათივით
და წინაპართა ნამცეცებით როცა ივსები
ამავე დროს ცარიელდები...

## სახლი

ბრუნავს კარუსელი
და ჩემში ილვიძებს
იგი, ვინც აქამდე იყო გალურსული,
მე ვეძებ სიტყვებს და ხელს რომ მოვიჩრდილავ
სხივების თვალია ყველა ნალურსმევი.

აქამდე, რატომღაც, არასდროს ვუსმენდი,
იმ ბგერას, რომელიც ჩემშიაც ვიბრირებს,
რომ იგი ფრთა არი, რომელმაც დაკარგა
მეწყვილე, ეს სივრცე რომ გადავიფრინე.

...და იმ ზღვის ხმაურით ვივსები დროდადრო,
ზღვის ნიჟარებია, თითქოს, ეს ყურები,

მე ვკარგავ სიმაღლეს და დაბლა ვეშვები —
საკუთარ სიღრმეში და მზე მესხურება,

რომელიც ამოდის უშორეს ხსოვნიდან —
თუ მართლა ამოდის, ან იქნებ ექოა,
რომელიც მოგესმის და ხედავ კიდევაც
და ამ ვირტუალურ ფანდს ვერ შეეგუა

ჩემი არსებობის ყოველი დღე-ღამე,
რომ ეძებს მზისა და მთვარის სანიშნებელს,
რომ არ ამერიოს წიგნივით გაშლილი
სამყარო და ვცადო, სადაც არ მიშვებენ

იქითკენ გაღწევა და დრომ გადამფურცლოს
წინარე გვერდივით და მერე არშიას
უცნობი მიაწერს, ის ადრეც აქ იყო,
ის დღესაც აქ არი და თავის სახლშია.

* * *

დრო არსად, შენც არსად: და ჰარი-ჰარალი.
და ეს ლიტცხოვრება ისევ ბჟუტურია,
წამოდი, წავიდეთ, სადაც დრო არ არი,
ჩამოვხსნათ ღამეულ ცას ბიჟუტერია

თვალებით, სიმწრისგან რომ დაცარიელდა
და ვცდილობთ უსიტყვო დუმილი ვამრავლოთ
ცხოვრების სამანთან თუ და-სალიერთან,
სადაც აღარავინ არ არის საბრალო,

არავინ, რადგანაც შევაცვდით კულისებს,
თვალების დახუჭვას და მერე გახელას,
შევაცვდით ერთმანეთს და ვინც ვიგულისხმე,
ველარც კი ვიხსენებ რა ჰქვია სახელად,

მე არსად, შენ არსად, ის არსად, არსაით
მიმავალ დროშია ასე რომ შევტოპე
და ამ ძილ-ბურანში წავაწყდი მკვდარ საიტს
და ვუსმენ, ტიპები ჩემზე რომ ყბედობენ.

* * *

მოხეტიალე სულებისთვის...ღამით რომ კვნესენ...
და მერამდენედ გეშინია ფანჯრის გაღების,
რომ არ უსმინო, რას ყვებიან ძველი ბაღები,
ჟამი რომ გადის, შენთან ერთად და უშენოდაც,
ისევ აგრძელებ მოლოდინის დაქუცმაცებას,
ფუსფუსი დროის მოსაკლავად მუდამ გშველოდა.

ვერ გაგიგია უმიზეზოდ ვინ გენატრება,
რა გენატრება, ანდა რატომ მელანქოლიობ,
სამოთხის განცდა, შენში ჩარჩა, როგორც სქოლიო, -
არ იკითხება და იხსენებ, მხოლოდ ბუნდოვნად,
რაც თითქოს იყო, თითქმის იყო, ანდა არც იყო
და რა თქმა უნდა, არასოდეს დაგიბრუნდება.

დუნე დღეები უგემური ნადგომ წყალივით
უნდა შეცვალო და სხვა დროში სცადო წათრევა,
მობეზრდათ ფიქრებს სათბურებში გამოზამთრება
ვერ მიივიწყეს ალმოდებულ დღეთა გუზგუზი,
რაღაც იცვლება წიგნის გაშლით, ფანჯრის გაღებით,
წაღიღინებით, გულის გახსნით, გულში ფუსფუსით.

## დეპეშა

*მეგობარ პოეტს*

ცვივა ნაფოტები,
ჩვენი ნაფოტები...
თუმცა აღარ ვართ,
თითქმის აღარ ვართ,
აღარ დავრჩით.

მხოლოდ სიკვდილი თუ მოგვძებნის...

ჩვენ აღარ ვართ.
იმ სიტყვებში ვიგულისხმებით,
გულგრილობა რომ მსჭვალავს
არცოდნის უდარდელობით,
რადგან ცოდნა წუხილს ამრავლებს.

გვჭრიან და ცვივა ნაფოტები.

უნდა შევგროვდეთ,
დავენახოთ, რომ აღარა ვართ,
რომ ცარიელ თვალების ფსკერზე
ჩაფერფლილა ჩვენი დღეები,
რომ არ გასულან, მაგრამ უკვე აღარ არიან.
აღარ.. აღარ... თითქმის აღარ ვართ..

გვჭრიან და ცვივა ნაფოტები.

შეხედე,
ისე გაზრდილა ჩვენი მწუხარება,
რომ ერთმანეთს ველარც კი ვამჩნევთ.
გვაყურადებენ, რა წამოგვცდება,
როცა ბაგეს გახსნის ჭრილობა
და ტკივილი ილაპარაკებს.

* * *

ამოიკითხავ ხელნაწერს შენში
ადრეც რომ იყო,
ახლაც, ყოველდღე რომ იწერება და იკითხება
და იშლება და იჩხაპნება და იწერება
არავისთვის, აღარავისთვის,
მხოლოდ სისხლისთვის,
გულისცემისთვის და დუმილისთვის,
რომელიც ზოგჯერ სიტყვას ინახავს.

საშიში მზერა გიმახსოვრებს
და მან, ვინც შენში იქექება,
ჰორიზონტიც ყულფად გიქცია.

ფუქსიტყვაობის უდაბნოში
გზა დაგეკარგა
და ჩალასავით სათქმელს იცოხნი.

მობინადრეთა მთქნარებისგან
იორთქლება ფანჯრის მინები;

იმ სახლში ისევ სულებს უხმობენ
და სპირიტიზმით თავს იქცევენ
გაუთხოვრები.

შენ ვინც გიყვარს,
კვლავ საკუთარ სუნთქვაში ეძებ..

* * *

შემოიხედა შენს ფანჯრებში
თოვლის სინათლემ.

მეცო-სოპრანო
გამებს ახვევს დაბლიდან მაღლა
და პირიქით და ასე წრეზე...

ნამღერებული აბრეშუმი მარტოსულ ალტის
აქვე რომ იყო, ჰაერით გრძნობდი,
ვისთვისაც ერთხელ თითქმის აალდი,
როცა ოთახი გაანათა თოვლის სინათლემ.

და აირევა ათასი ფიქრი,
ვერ გაიხსენებ ტკივილს მორჩენილს,
მოვა სტუმარი და შენს სადარდელს
იტყვის მოხუცი ვიოლონჩელი.

## მეოთხე შეჩერება

სხვაგან არა.
ის შენში კვნესის
და მადლიერი უნდა იყო,
რადგან ნუხილი აქამდე მოგყვა
და ბნელ ღამეს ისევ გინათებს.

შენი ფანჯარა —
ჩარჩოში ჯვარი,
ბავშვობას კი არ გადაჰყურებს,
ის ჩარჩოს კარგავს,
ქლამინდივით რომ ჩანს ღრუბელი ჩამავალ მზეზე.

აქ მალე მოლი ამოივლის
და კრამიტი გადმოიხედავს..

წონასწორობა ცალთვალაა თარაზოსავით
და ხანდახან ცალ თვალსაც ხუჭავს,
შემოეყრება როცა შვილი მწუხარე დედას...

ეს ყველაფერი
ამ დღესავით ღამეში ხდება
და აჩრდილებიც აქ ჩნდებიან
დაუშრეტელ ტკივილის შუქზე..

## სასულე ორკესტრის თანხლებით

სახლი, რომელიც თვალს გაყოლებს თავის ფანჯრებით
და ფანჯრებიდან გადმომზირალ ძვირფას ბინადრებს
გვერდს ვერ აუქცევ, რადგან შენში ჩასახლებულან
და შენთან ერთად სახლიც დადის და რაც ინატრე —
საყვარელ რაკურსს ეძიებ და ისევ პოულობ
და მამაშენის უსაშველოდ ნაცნობ სილუეტს —
«კრასნაია მასკვას» საიდუმლო სუნით გაჟღენთილს,
დღეებს ხსოვნაში ჩაჭედილებს და ჩასილულებს,
დედასთან ერთად თვალს აარიდებ,
როგორც საბჭოურ რელიკვიას და სისულელეს.

ისინი ახლაც შენში ცხოვრობენ,
მხოლოდ შენში და სხვაგან აღარსად
და როგორც იქნა შენც ხომ გეღირსა,
იჯდე შენთვის და ფიქრსგამობმულმა
წაიფარფატო ცაში ფრანივით,
და გადმოხედო ორსართულიან
სახლებს მაღლიდან და ჩაიკარგო
საკუთარ თავში.

რადგანაც თვალი შეგაჩვიეს, რომ შენ არა ხარ,
არც უნდა იყო,
რომ სხვებს ხელი არ შეუშალო,
როდესაც ბჭობენ,
სალონების ორფეხა კატებს —
რა უფრო უყვართ — «ვერლიბრი თუ კონვენციური»,
თუ ურჩევნიათ, რომ ტაჯმაჰალს მზერით შეერწყან
და აღუდგინონ ბარელიეფს
ცოცხალი ტაქტი...

მე გამაფრთხილეს:
მას არასდროს არ ება ასო,
და ამიტომაც
ტაჯმაჰალზე არ ებაასო.

და მე გავჩუმდი...

მხოლოდ შენში და სხვაგან არსად,
ის ფრაგმენტები ცოცხლდებიან
გარეთ რომ იყო და აღარ არის,
ისინიც თავის სიტყვებს ეძებენ,
რათა შეაღონ და შინ შევიდნენ და ჩაიმალონ,
რომ ველარავინ გაიგონოს, ვერ წაიკითხოს
და ხელნაწერშიც ვერ შეაღწიონ,
იყვნენ თავისთვის ვორდის ფაილში
და წაუშლელად წაშლილები
და გასაქრობად შემკრთალები
ასე შერჩნენ ელექტრო-ხსოვნას.

გახსოვს, ოდესლაც სასაფლაოსკენ
პროცესიას ორკესტრი რომ მიაცილებდა,
სპილენძის ჯგუფის ხრინწიან ბგერებს
და თეფშების ამაზრზენ ლაწანს,
შეეძლო შიში დაეთესა,
და აქამდე გამოჰყოლოდა მეხსიერებას:

მაშინ სიკვდილიც სხვაგვარი იყო,
თითქოს უფრო დამთრგუნველი
და ამავე დროს მუსიკალურ-თეატრალური.

სასაფლაოს დირექტორის კაბინეტში სიცოცხლე ჩქეფდა..

მისი მაგიდაც ქელეხის სუფრის ფილიალს ჰგავდა,
საპახმელიო ბორჯომის და ლუდის ბოთლებით.

რაფაზე ქოთნის მცენარეების
მოტივირებულ ყვავილობას ვიმახსოვრებდი
და საკუთარ  გულისცემას ისე ვუსმენდი,
როგორც სხვისას,
ჩემში რომ ცხოვრობს და ხმას არ იღებს.

რა გამოვიდა?
ჩემი ხსოვნა სასაფლაოდ მაინც ვერ იქცა,
სადაც ყოველდღე ვხვდები მდუმარე პერსონაჟებს,
არასდროს რომ არ საუბრობენ
და არსებობენ ფრაგმენტულად,
მყისიერად არეკლილები, მოძრავ კადრებში,
სადაც სიცოცხლე წარსულივით იგულისხმება,
სამგლოვიარო მუსიკასავით,
როცა სასულე ორკესტრის ჟღერა
ხიდის აგებას წაიჩალიჩებს
სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის.

ემშვიდობები შპს «ქარონს»
და შენ, თებერვლის ნელ-თბილო ქარო,
სავსე ხარ მარტის მოახლოებით
და ეგ ცრემლები რაც უნდა ღვარი,
და გადაევლო ქალაქს ქარ-წვიმად,
არ მიგატოვებს, ვინც გამოგზარდა
და სივრცეებში გადაგარწია.

ქარი ყოფილა ეს სიცოცხლე,
უკან მოხედვა
ველარ მოასწარ,
წლები ისე გადაირბინე
და წაიყოლე
მშენებარე სახლის ფრაგმენტი
და წინა ეზო,
სადაც მოლი ისევ ბიბინებს.

კედლები მაღლა,
მერე ჭერიც მაღლა ასწიეს,
დაგამახსოვრდა
ის დურგალი და კირითხურო,
ვინც აშენებდა, რომ წავიდა,
ის შენშიც დარჩა,
ისიც ხსოვნიდან გიპასუხებს,
როცა კითხულობ.

გზაგასაყართან შეყოვნებულს
გდევენ ქარები
საყრდენს გაცლიან
და გულდასმით გხდიან სახურავს,
თუმცაღა ქალაქს
აღარც ახსოვს ამ მასივებში
რამდენ თაობას უმასპინძლა
და ემსახურა.

მიდი-მოდიან და შენც ტოვებ
სხეულს თანდათან
და უსმენ სიტყვას,
გულივით რომ ფეთქავს მალიმალ,
წაიოცნებებ:
ნეტა სული ღვინოსავით დამალევინა...
რადგანაც გული სიტყვად გექცა
და იმალება,
სადაც ყველაზე საიდუმლო სამალავია.

## ბაბუა
**(აღდგენილი პორტრეტი)**

ხედავს
სისხლით გატიკნილი წურბელები -
როგორ იკლაკნებიან წყლიან ქილაში.

მოხუცი წევს და
ნათესაურ კავშირს ვერ გრძნობს წურბელებთან,
საერთო სისხლის  მიუხედავად,
თუმცა ზიზღითაც ველარ უყურებს.

უნებლიეთ შეამჩნევს სურათს,
საიდანაც ბიჭი დაჰყურებს,
რომელიც ტუჩთან მალავს ღიმილს,
თვალები კი ნაღვლიანი აქვს,
უფრო, ვიდრე ამ სურათის გადაღებისას.

აქვე ჰკიდია ძველი რადიო,
და ორმოციან წლების ამბებს ზოგჯერ ჩიფჩიფებს.

აღარ უსმენს მოხუცს რადიო
და არც რადიოს უსმენს მოხუცი
და მერამდენედ აღმოაჩენს
თავის ნაკვთებს შვილის სურათზე.

ზოგჯერ უკვირს: როგორ ისწავლა მოთმინება.

ის ფანჯრასთან მოშრიალე ხეს
თვალს შეავლებს
და იმ ხეზე შესკუპებული ბიჭი თვალწინ წარმოუდგება,
ისევ სურათად რომ უნდა იქცეს
და ისევ ზიზილით გადმოხედოს იმავე ქილას
წურბელებიანს.

დაუხმარებლად ამოიყვანს იგი წურბელას
და კისერზე დაისვამს, მარცხნივ.
აი, მთელი მისი საქმე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველი მუყაოს რადიო და
ბიჭის სურათი მეათასედ გაცოცხლებული,
და უჩარჩოო წარსულიდან ფრაგმენტების ამოხეტება
და წურბელების გამოკვება
და თვალის იქით გაპარება,
სადაც აღარ იქნებიან წურბელები,
ყოველ დღე რომ ართმევენ შავ სისხლს,
აღარც სისხლი აღარ იქნება.

იმ ოთახში შესვლა ყოველთვის მეშინოდა..

ამდენ ტანჯვისგან სისხლიც შხამად გადაექცა
და წურბელები უკვე პირსაც არ აკარებდნენ.

წამლის შუშებით სავსე ტუმბოზე
ხელისგული რომ ასვენია,
როგორც ფოთოლი, ქარმა შინ რომ შემოიტანა
და მიაფინა სახლის დუმილს –
ასე ყვითელი და ძარღვიანი –
მაჯისცემის ხმა იქიდან აღწევს
ამ ბუნდოვან საუკუნემდე.

**სანიშნებელი**
**(საავადმყოფო ფურცელი)**

...ყაზარმისაკენ ვბრუნდებოდი
და თავს ვჩრიდი აირწინაღში,
რომ არ დავეხრჩვე ქვიშიან გრიგალს...

ახლა აქ ვარ შენი დახსნილი
იგივე ჟამი მიდი-მოდის,
მაგრამ შეგრძნებებს
არ შეუძლიათ რაიმე რომ გადაარჩინონ
და როგორც ხედავ, ეს ყოველივე
და მეტადრე როგორც განიცდი, უნდა გაქრეს,
გაქრობაა საიმედო თავშესაფარი.

ქრ.. ქრ..ება. შუქი ქრება..
ქრ..ქრ..ება ქრომატულად,
მაგრამ ალბათ უფრო მარტივად...
გადანაცვლება აკრობატული —
ქარი რომ დაქრის, სადაც უნდა და როცა უნდა
დაქრის, ქრ. ქრ. ქრ. ქრ..ოლვის იმიტაცია,
განქარვება და ქარის დევნის გახსენება.

უდაბნოს ქარვა ჰორიზონტთან დნება ყოველთვის...

ქრ. ქარი, ქორი და  ქორო ნუ ფრენ..
და ვაჟთა ქორო, და ქარავანი ქორონიკონის.

ისევ მაბოდებს და გარდაცვლილ დედას ვეძახი
და საკუთარი ხმის მეშინია.
წავიდა დედა და სიზმარშიც არ მეჩვენება.

იცი, ძმაო, იმიტომ ვქრები, რომ ვარსებობ,
თორემ თრაქლის დაუბადებელ ყრმათა ტირილი
დღემდე აღწევს ჩემს ღამეებში
და კედლებს ბზარავს.

გულს მიღონებს მიტოვებულ სულების კვნესა,
როგორც ძველი სანიშნებელი
ინიშნავს ჩემში ტკივილის ფურცელს
და გახსენებაც მეშინია და ვერც ვივიწყებ.

გაქრობაა სიმედო თავშესაფარი....
გაქრობა შენში...

**1958**

მენატრებოდა ის,
ვინც სიზმარშიც არ მენახა,
მაგრამ მწყუროდა მასთან ისე მიახლოება,
რომ მისი სუნთქვა მეგრძნო სახით..

იმედი მქონდა, რომ ძილში მაინც
განახლდებოდა უეცარი მიახლოება უცნობ გოგოსთან,
მუდამ ვარდნით რომ მთავრდებოდა
და მერე შიშით უეცარით,
რომ მე ავად ვარ მოურჩენელ ავადმყოფობით
და ზაფხულის მწიფე სისავსით
და იმ სიზმარში ჩამალვა მსურდა, საიდანაც გამომაძევეს.

გარეთ კი ისევ თბილი ქარი დაქიქინებდა
და წყვეტდა ვაშლებს, როგორც მე ვიყავ მოწყვეტილი
და საამო ვარდნით შემკრთალი.



# სიფაქიზე, რიდი, მაღალი ღირსება

ოსტატის ლექსი მაინც სხვა მოვლენაა, სხვანაირად იკითხება, ტექსტი თითქოს წაკითხვამდე მოდის შენამდე, წაკითხვის შემდეგ კი შენ მიდიხარ მასთან, უკან უბრუნდები, კიდევ უფრო უახლოვდები, რათა ხელმეორედ გაიარო პოეტური განდობის გზა და დარწმუნდე, რომ ის, რაც წაიკითხე, შენია, შენთან არის, შენში იმყოფება, როგორც ფიქრისა და განცდის კანონიკური ნაწილი.

რა არის გივი ალხაზიშვილის პოეზიის სპეციფიკური ნიშანი?

უთუოდ ტკივილი, თავისი კლასიკური გაგებით. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ტკივილის გარეშე ლექსი ალბათ არც ამოითქმება, მაგრამ გივის ლექსებში თავისებურია ამ გრძნობის გამოხატვის ფორმა და შინაარსი — ეს არის სიფაქიზე, რიდი და მაღალი ღირსება.

პოეტური ხატები და წარმოდგენები ისე მონაცვლეობენ რეალურისა და ირრეალურის ზღვარზე, რომ ქმნიან ფერად ჰორიზონტს, სადაც იმედის შუქივით იკვეთება შინაგანი მოძრაობის მთავარი მიზეზი — სიცოცხლე.

ყველა დეტალი, ლექსის ყველა კომპოზიციური ელემენტი ამტკიცებს, რომ ავტორი მხოლოდ შთაგონებას ენდობა.

ამას გარდა, საინტერესოა ისიც, თუ როგორ აბალანსებენ სარითმო წყვილები ერთმანეთს. აქ არის მოულოდნელობის ეფექტი და ვირტუოზული ტექნიკის დემონსტრირება.

მაგალითად, რა უნდა გაურითმო სიტყვას „ვიბრირებს“, რომ რამენაირად გააწონასწორო ვერბალური გაუცხოების განცდა? პოეტი არჩევს სიტყვას „გადავიფრინე“, რომელიც, ერთი მხრივ, ანეიტრალებს პირველი სიტყვით შემოტანილ სიხისტის განცდას, მეორე მხრივ, ქმნის მოულოდნელობის თვითკმარ ეფექტს.

ეფექტი არა თავისთავად, არამედ ეფექტი მთლიანობის სამსახურში — აი, გივი ალხაზიშვილის პოეტური ხელწერა.

სწორედ ამ მთლიანობის შექმნას ემსახურება სხვა დეტალებიც, კერძოდ, თვალშისაცემი ფორმალური ხერხი, ჰარმონიული გადატანები — ტაეპური და სტროფული ანჟანბემანები. ამასთან ერთად, რაღა თქმა უნდა, ირონია, ესთეტიზმის აუცილებელი პირობა... და ყველაფერი ეს ერთი პოეტური მიზნისთვის — დაბრუნდეს და ჩაიმალოს იმ სიზმარში, საიდანაც ოდესღაც გამოაძევეს.

**მალხაზ ივანიძე**

## პოეზია



გრიგოლ მეგრელიშვილი

### იანვრის ღამეში

უძილობისას ავანთებ კანდელს,
გადავიკითხავ ფსალმუნის ბწკარებს,
რომ გული ერთხელ კვლავ აკანკალდეს,
ტყვე ფრინველივით მოაწყდეს კარებს.
ორ ლურჯ, ვარსკვლავზე თეთრ ვარსკვლავებად
მგზნებარე ფიქრით ავჩუხჩუხდები;
არ მომინდება მე უკვდავება,
უბედო ბედზე არ შევწუხდები.
მაგრამ ტკივილებს ისევ ალმიგზნებს
მოხეტიალე იანვრის ქარი.
„მე მოვალ, მეტყვის, და მსურს შენს მიზნებს
თეთრი ნაბადი გადავაფარო“.
მეტყვის: „წაიღეს მბრწყინავი თვლები,
დაგიჭკნა ნატვრის იაგუნდები,
დღეს მის რჩეულად აღარ ითვლები,
ან არასოდეს მოაგონდები“.
და წამებაში გრძნობა დათვრება,
აქვითინდება ნაზი ამური!
როგორც ლოთს ღვინო, მომენატრება
კეკლუცი ტანი ცელქ ნიამორის.
ოცნება შავად დამეხავსება,
ვნახავ თეთრ კოშკებს, ვნახავ თეთრ ბაღებს,
და სახე ჩემი მიემსგავსება
უსიყვარულოდ ჩამჭკნარ ზამბახებს.

### ბედის მდინარე

იქროლე, ქარო, იქროლე
აახუხჩუხე ქალებში ჩალა,
პირველი სხივი სასიყვარულო,
დიდი ხანია, გადაიხარა
ოცნება ტკბილი სიყმაწვილისა
ტან-სილოვან მთებს შემოემალა
– და გაიპარა.
ქარო, დაჰქროლე ბედის მდინარეს,
ველურ ნაპირებს შეუთამაშდი,
გაშალე მწუხრი, გაშალე მწუხრი,
ფიქრს თანამგზავრად მხოლოდ შენ დაშთი.
ბედის მდინარე – ისევ ისე კვლავ მიმდინარე
შავი ტალღები იშლებოდა, კვლავ ერთდებოდა;
ქარი კი კრთოდა, მე ვუძახდი – ყრუ ნაპირებზე
ჩემი ძახილი ქარის ზუზუნს ზედ ერთვებოდა,
აედევნა და მაცდურ ტალღებს დაემორჩილა,
ვინ იცის, როდის დაილუპება – განაპირდება
ან ვინ დაეძებს, ვინ ინაღვლებს ობოლ საფლავზე,
მერე რა ვუყოთ, თუ არავინ არ ატირდება!..
ფიქრი, რა ფიქრი, დაყვა ნაპირს გამალებული,
ბედის ტალღებმა შეათამაშეს, შეიტივტივეს:
სული მისდევდა, მისტიროდა აცრემლებული,
მეც კი მოვსთქვამდი, სამშობლოს მთებმაც კი დაიტირეს.
რა კარგი იყო დაკარგულ დროში ტოლებში ვრბოდი,
ჩემი გრძნობები იმედიანად დაფრენდა ველად:
საყვარელ მდელოს ვუალერსებდი, – არ ვშორდებოდი,
იდუმალ ძახილს თან მივყვებოდი მე უდარდელად.
რარიგ მიყვარდა, როგორ ვეტრფოდი კეკლუც გაზაფხულს,
ტურფა გაზაფხულს, ოცნების ბაღებს ყმაწვილობისას;
ნისლი დამძიმდა – ვხნავ მინდვრებს, უშნოდ გადახნულს,
ვინლა მომასმენს უმანკო ლოცვას პირველ ყრმობისას.
ფიქრი გამშორდა მოცისკროვნე, შვების მომცემი,
სულიც მას გაყვა, – მეც თან გავყვები ამ მოკლე დროში.
რა დამშთენია, რომ ვინუგეშო ამ ქვეყანაში?!
ქარი დაქშუის თეთრ სართულებში და ჩემს სადგომში.
აწი გავყვები ბედის ძახილს – ვერანა ტალღებს
ის ხომ ისეა; ყველგან უნდობი და მოსიმღერე;

ქარი იქროლებს, ითარეშებს უსაზღვრო დროში,
უსიყვარულოდ დავილუპები რა ვუყოთ მერე
ბედის მდინარევ, შენს ტლუ ტალღებში
თუ მომინახო სამარე ადრე –
შენ გენაცვალე, შენი ჭირიმე,
სამშობლოს ველზე გამრიყე სადმე

ობოლ სამარეს, მიტოვებულს ხრიოკ ველებზე,
დასძახებს წერო ღრუბლიანი, რო შებინდდება
წყალი ჩაივლის ტალღების ღიღინს გაატანს სივრცეს,
მხოლოდ სივრცეში სამშობლოს ლანდი აქვითინდება.
ბედის მდინარევ, – მე ვუძახდი ყრუ ნაპირებზე,
ჩემი ძახილი ქარის ზუზუნს ზედ ერთვებოდა.
იქროლე, ქარო, იქროლე შემოუბერე სიცარიელეს,
ეს დღე შენია;
მეც აგადევნებ თავგანწირულ სევდის სიმღერას
აბა, მეტი რა დამშთენია.

## ტრიოლეტები ბრძოლის ველიდან

*მეოთხე ბატარეას*

1

ღამის ჯაშუშის დაზვერვა შლის ყანას ტალღებად
და განგაშს ეტრფის ცეცხლიანი მძაფრი ოცნება;
მოცეკვავე ვარ, ვით ბრწყინვალე ჩემი ბალღობა,
ღამის ჯაშუშის დაზვერვა შლის ყანას ტალღებად
და ფოლადური მტკიცე მკერდის ტყვიით გალხობა
კვლავ მენატრება და ნატვრაში ფიქრს ემგოსნება.
ღამის ჯაშუშის დაზვერვა შლის ყანას ტალღებად
და განგაშს ეტრფის ცეცხლიანი მძაფრი ოცნება.

2

ტყით აზუზუნდა ხმა თოფისა, ხმა შორეული
და კვამლის მური ანაცრისფრებს უნისლო თაღებს.
ასტყდა ხმაური, სტვენა, ქშენა ალშერეული
ტყით აზუზუნდა ხმა თოფისა, ხმა შორეული.
დავითვერ ცეცხლით და ჩემი „მე“-ს „მე“ – ორეული
მცხუნვარე ყვავილთ სურნელით რწყავს
სულის ოთახებს.
ტყით აზუზუნდა ხმა თოფისა, ხმა შორეული
და კვამლის მური ანაცრისფრებს უნისლო თაღებს.

3

სწვიმს ხშირი ტყვია მკერდგაწყვეტილ კრიალოსნებად
და თვით ფოლადის ვეშაპები შფოთავს, პირს აღებს,
ცად ყლურტულობენ ყუმბარები, როგორც ფრთოსნები.
სწვიმს ხშირი ტყვია მკერდგაწყვეტილ კრიალოსნებად,
გველად კლაკნილი მაშხალები შორს იტყორცნება;
ცეცხლის კაბებით მოსილს ვხედავ ტყეს, ჭალებს, ბაღებს.
სწვიმს ხშირი ტყვია მკერდგაწყვეტილ კრიალოსნებად
და თვით ფოლადის ვეშაპები შფოთავს, პირს აღებს.

## ტრიოლეტები ლილის

ჩემს ლექსებში ნისლი დაიბანაკებს
და მაისის მზიან ქორწილს არ ველი,
მწუხარება მოვა, მიამხანაგებს,
ჩემს ლექსებში ნისლი დაიბანაკებს.
ეტირება გულს ეკლებზე დანაგებს.
მითხარ, ლილი, ვინღა მექნეს მფარველი!
ჩემს ლექსებში ნისლი დაიბანაკებს
და მაისის მზიან ქორწილს არ ველი.

ვინ ესტუმროს კოშკს ბადახშით ანაგებს,
ვინ მიმღეროს თმის წაბლისფერ ფოთლებში!
ბრილიანტით ვსეტყვავ თვალთა დანაკებს;
ვინ ესტუმროს კოშკს ბადახშით ანაგებს.
ჩემს ოცნებას დაღლილობა განაგებს,
აღარ მრჩება ღვინო თასებ-ბოთლებში.
ვინ ესტუმროს კოშკს ბადახშით ანაგებს,
ვინ მიმღეროს თმის წაბლისფერ ფოთლებში!

არ ვზეპირობ ლექსს ბრწყინვალეს და ნაქებს,
ჩამქრალია ტრფიალების სანთლები,
ბრილიანტით ვსეტყვავ თვალთა დანაკებს,
არ ვზეპირობ ლექსს ბრწყინვალეს და ნაქებს.
ჩამქრალია ტრფიალების სანთლები,
ბრილიანტით ვსეტყვავ თვალთა დანაკებს,
არ ვზეპირობ ლექსს ბრწყინვალეს და ნაქებს.

მითხარ, ლილი, დამიბრუნებ წანაგებს
თუ გადავსცე სხვას ბედის კამათლები?!
არ ვზეპირობ ლექსს ბრწყინვალეს და ნაქებს
ჩამქრალია ტრფიალების სანთლები.

*1919 წ.*

## სონეტი გამგზავრების წინ

ამამჩქეფარებს, როცა ბრძოლად გავემგზავრები
ალერსი თოფის მოელვარის და ჩახმახ-მალის;
დამიმორჩილებს სიალმასე მე პირ-ლალ ხმალის –
ანორაკის ფერით გაშუქდება თვალთა მავრები.

და სულერთია – ვის ვუყვარვარ, ვის ვეჯავრები,
სიკვდილის ჩრდილქვეშ დავინახავ ყოვლის მძლე
ხალისს,
შარავანდედი ვერ შემამკობს ბრწყინვალე ხვალის,
გამასვენებენ მჭმუნვარებით ომის მთავრები.

ნეტავ იმ ჭაბუკს, ვინც მტრის მკერდში ხმალს
ამგოსნებს,
სატრფოს მაგიერ ვნებით ჰკოცნის ტყვიებს ჯადოსნებს,
ლაჟვარდ ძარღვებში უჩქეფს სისხლი ლალ-მეწამული

მაშ ბედაური!.. მსურს ავენთო ამაყი ჟინით,
მტრის რჩეულ რაინდთ თავს ვესხმოდე მშხამავ ყიჟინით,
რომ ვერვინ მკადროს: „საყვარელი მომეც მამული!“

გრივერ ფარულავა

# სილამაზისა და სიყვარულის ცეცხლში განათლული

*

## გრიგოლ მეგრელიშვილი

მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიის ავყამიანობამ ბევრ ღირსეულ მამულიშვილს დიდი ცხოვრების გარიჟრაჟზევე ჩაუქრო სულის ლამპარი. ერთი მათგანი იყო გრიგოლ მეგრელიშვილი, რომლის ლექსები „მთის ნიავის“ ფსევდონიმითაც ქვეყნდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში 1914-1919 წლებში.

გრიგოლ მეგრელიშვილის შემოქმედებითი ცხოვრება, მუხლჩაუხრელი მეომრული ღვაწლი და გასაოცარი სიკვდილი ერთი დიდი კანდელია, საქართველოს სულიერი ცხოვრების ტაძრის საკურთხეველზე რომ დაანთო ოცი წლის ჭაბუკმა.

110 წელი შესრულდა მთის ნიავის დაბადებიდან, 90 წელიწადი მიილია მას შემდგომ, რაც ოსმალო ასკერებმა, სერვერ-ბეგ ქობლიანელის ბრბომ, უდეს გადალმა, ქვაბლოვანის მიდამოებში (ახალციხის სამხრეთით), ოთხი ტყვიით სიცოცხლეს გამოასალმეს ჭაბუკი პოეტი, რომელიც მათ ერკინებოდა აქ მესხეთის გამოსახსნელად. ამ დღიდან კიდევ 40 წელი რომ გავა, გიორგი ლეონიძე სიყრმის მეგობრის საფლავთან იტყვის:

დავიწყებულო,
დამიწებულო,
დანაცრებულო ყრმაო პოეტო,
თათრის ტყვიებით დაძინებულო,
შენი წყლულები გულს შემოენთო!
— ღიმილის ბიჭო, შენ აქ რა გინდა,
შთამომავლობამ გმირად გახსენა;
ხომ დაიცალე, ძმაო, სისხლიდან,
ძველი მესხეთის გამოსასხნელად!..
გურიის მთებო, მოგისამძიმრებთ,
გაჩუმდა ჩანგი თქვენ რომ გფეროზდათ;
ჩასჭკნა ყვავილი, რომელიც იქნებ,
მთელ საქართველოს გადაჰფენოდა!

გრიგოლ მეგრელიშვილი დაიბადა 1898 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ შუა ფარცხმაში გერასიმე მეგრელიშვილისა და პისტი ყენიას ოჯახში.

პოეტის სახელი და შარავანდედიანი აჩრდილი ბავშვობიდანვე მომყვება. ბავშვობა და სიჭაბუკის პირველი წლები კი დედულში, „გურიის ქიშკრად“ წოდებულ სოფელ საჯავახოში, გავატარე. გურიის მთათა წინა ზოლი ხავერდის კედლად რომ მიჰყვება კოლხეთის დაბლობს დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ, ამ სოფელთან ორასიოდე მეტრზე უახლოვდება რიონს, რათა მერე კვლავ დაშორდეს, კარი გაგვიღოს იმერეთისაკენ. ამ სოფელში გვესტუმრებოდა ხოლმე პოეტის და ოლღა მეგრელიშვილი. სტუმარი და მასპინძლები ხშირად საუბრობდნენ გრიშას (ასე მოიხსენებდნენ პოეტს) შესახებ. ბებიაჩემი — ანასტასია ყენია, ღვიძლი და იყო გრიგოლ მეგრელიშვილის დედის პისტისა. ასე რომ, დედაჩემი, ვერა ხაბეიშვილი, და მთის ნიავი დეიდაშვილები იყვნენ. როცა პისტის ფარცხმაში დავტიროდით, იგონებდა ბებიაჩემი, გრიშა ჯერ კიდევ აკვანში იწვაო.

ცხრა თუ ათი წლის ვაჟიშვილი გერასიმე მეგრელიშვილს ქუთაისის გიმნაზიაში მიუბარებია. 1914 წელს მომავალი პოეტი თბილისის გიმნაზიის მეხუთე კლასში გადავიდა.

ფარცხმიდან ქუთაისში (შემდგომ თბილისში) მიმავალი გრიგოლი აუცილებლად შეჩერდებოდა ორპირში (საჯავახოდან ორ კილომეტრზე მდებარე სოფელში, სადაც ადრე დედაჩემის მშობლები სახლობდნენ. მერე რიონის მიწოლამ აყარა ეს სოფელი, ტიციან ტაბიძის ლექსებში ასე ხშირად მოხსენიებული). პატარაობიდანვე დედის ალერსს მოკლებული დისშვილის გამორჩეული გულთბილობით შეცბუნებულ ბებიაჩემს თურმე ასე დაამშვიდებდა გრიგოლი: დეიდას დედის სუნი ასდისო.

ხოლო როცა თბილისიდან — უკვე დავაჟკაცებული გრიშა — მშობლიურ ფარცხმას მიეშურებოდა, ზოგჯერ მეგობრებიც (მწერლობაში ფეხის შესადგმელად შეღერებულნი) მოჰყვებოდნენ: ალექსანდრე ქუთათელი თუ დემნა შენგელაია, შალვა კარმელი, სიკო ფაშალიშვილი თუ ნიკო ასათიანი... სამტრედიის ვაგზალზე ჩამოქვეითებულნი სანავარდოზე მოჭრიდნენ გზას, ბორნით რიონს გადმოლახავდნენ და ორპირში მოვიდოდნენ. კოპიტის ხისგან გამართულ ოდაში კოპიტისავე კუნძებით აგუზგუზებულ ბუხართან ქართულ ლექსსა და ცოლიკაურის ნაჟურს ჭაშნიკს უსინჯავდნენ. მეორე დილით ბაბუაჩემს, ლავრენტი ხაბეიშვილს, ბრტყელძირა კოლხურ ნავში ჩაუსხდებოდნენ, რათა შემდოვრებული რიონის ფარვატერსა თუ მონიოში ჩაყრილ „ანკელარებში“ გაბმული ზუთხი თუ ლოქო ამოეყვანათ.

დარიან დღეებში ცხენებზე შესხდებოდნენ, ორპირის ატეხილ ჭალებს კაკლის ხეებით, ბალამწარათი, კვიჭიჭა მსხლებითა და პანტა ვაშლებით გადაბურვილებს, დაუვლიდნენ, ნარიონალების სანაპირო თხმელნარებსა და ლაქაშებში შეყუჟულ ნადირ-ფრინველს დააფრთხობდნენ.

ნაშუადღევს სასურველ სტუმრებს ზოგჯერ ბაბუაჩემის ნათესავები და ნათელ-მირონები, ნანეიშვილები თუ კორძაიები, რიონგალმა, სანავარდოში, გადაიწვევდნენ. ახალგაზრდებს განსაკუთრებით ბარნაბ ნანეიშვილის ოჯახში სტუმრობა ახარებდათ. აქ მათ სილამაზით განთქმული თანატოლი მარიამ ნანეიშვილი ელოდებოდა, ხოლო სუფრას ნატიფი სილამაზით შლიდა მარიამის დედა ქრისტინე მიქელაძე.

სიკო ფაშალიშვილი იგონებდა 1924 წელს: „პირადი მეგობრობით დავუკავშირდი მას (მთის ნიავს — გ.ფ.) და ეს მეგობრობა გრძელდება ჩემი ახალგაზრდობის ერთი მზიანი პერიოდი" (ალბათ, იქ და მაშინ მოიხაზა დემნა შენგელაიას გულსა და გონებაში ზოგიერთი კონტური თუ შტრიხი რომანისათვის „სანავარდო"; და ალექსანდრე ქუთათელის რომანისათვის — „პირისპირ", რომლის ერთი პერსონაჟის — გრიგოლ ცაგურიშვილი — პროტოტიპი გრიგოლ მეგრელიშვილია).

ძველ მეგობრებს თბილისის გიმნაზიაში შეემატნენ თანაკლასელები გიორგი ლეონიძე და ნიკო კეცხოველი. იმავე წრეში ტრიალებდნენ: გრიგოლ ცეცხლაძე, დავით მებუკე (ცვარ-ნამი), დავით ალლაძე, ირაკლი დიდიძე, მიხ. ხერხეულიძე, ვახ. კილაძე, მიხ. ლოლობერიძე, ბიძინა რამიშვილი და სხვები. მთის ნიავის გულითადი და ერთობ ახლობელი უფროსი მეგობარი იყო შიო მღვიმელი. ხოლო მაშინ უკვე დიდად ღვაწლმოსილმა იოსებ იმედაშვილმა, ფართოდ გაუღო „თეატრისა და ცხოვრების" კარი ჯერ კიდევ მხოლოდ 16 წლის გრიგოლ მეგრელიშვილს.


მხატვარი ნინო დვალი

1917 წ. გრიგოლ მეგრელიშვილს გიმნაზია დაუმთავრებია, 1918 წ. იგი უკვე ახალგახსნილი თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტია. უეჭველია, რომ ჭაბუკი პოეტი იჯდა პირველ ლექციაზე, რომელიც უნივერსიტეტში, 93-ე აუდიტორიაში, წაიკითხა ივანე ჯავახიშვილმა 1918 წლის 30 იანვარს. ცნობილია, რომ ქართული უნივერსიტეტის მესაძირკვლემ იმ დღეს აუდიტორიაში მსხდომთ (და ფეხზე მდგომთ) მამულისა და მეცნიერების ტრფობის დიდი, გაუნელებელი ცეცხლი დაუნთო გულში. ზუსტად ერთი წლის შემდეგ (სწორედ 30 იანვარს 1919 წლისა) ოსმალო ასკერებმა ტყვიებით დაფლითეს პოეტის გულიც და ფილტვებიც. ასე რომ, ჭეშმარიტებას ბრძანებს ზაურ მეძველია, როცა მთის ნიავის დალუპვის ფაქტზე იტყვის: „ცხადია, იგი ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი პირველი სტუდენტია და მარო მაყაშვილთან ერთად უნივერსიტეტის გამაბრწყინვებელთა სასახელო წარმომადგენელი".

ამ წერილის მიზანი არ არის გრიგოლ მეგრელიშვილის პოეტური მემკვიდრეობის განხილვა. პოეტის ნაწარმოების მეორე, ერთობ შევსებული გამოცემა, უკვე მზადაა. იქვეა მთის ნიავის ღვაწლის წარმომჩენი დოკუმენტები და ორიოდე ნარკვევი, შემოქმედებას რომ ეხება („ბედის მდინარე", — ასე ჰქვია კრებულს). აქ კი ჩვენ ვცდილობთ, საზოგადოებას გავუცოცხლოთ ცხოვრება და მეომრული ღვაწლი პოეტისა, ღვაწლი, რომელიც თავისთავადაა პოეზია მამულიშვილური სიყვარულისა. ამაზე იტყვის სიკო ფაშალიშვილი გრიგოლ მეგრელიშვილის დალუპვასთან დაკავშირებით დაწერილ წერილში: „მის სიტყვაზე უფრო მძლავრი მისი ბუნება გამოდგა. მან მტრის ტყვიას მიუშვირა და გაახვრეტინა ის ლამაზი, ცეცხლით ანთებული გული, სადაც ეგეთის ძლიერებით სცემდა ნაკადი ქართველი მამულიშვილობისა და რაინდობისა".

აი, რას წერდა მთის ნიავის ქუთაისელი მეგობარი ნიკო ასათიანი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, გაზეთ „ჩვენი ქვეყნის" რედაქტორი, 1919 წ. 4 თებერვალს: „მახსოვს ორი კვირის წინად გრიშა თბილისს რომ გაემგზავრა ლეგიონში ჩასაწერათ, — „სამშობლოს მსხვერპლად უნდა შევეწიროო", მითხრა გრიშამ გამომშვიდობებისას. გიმნაზიის მერხს მოშორდა თუ არა, სტუდენტი გრიშა ჯარში ჩაეწერა. იგი ყველა ფრონტზე გმირულად იბრძოდა. მისი გულმკერდი დამშვენებული იყო გიორგის ჯვრებით(!). ამხანაგ ჯარისკაცებში მისი სახელი ლეგენდისებურ გმირად იყო მონათლული. ოფიცრებს იგი ისე უყვარდათ, როგორც მგოსნებს თავისი ლექსები. იგი აჩქარებული მებრძოლი იყო და სწყუროდა თავისი სისხლი ყველა ფრონტზე დაეღვარა". პოეტის მეორე მეგობარი იგონებდა: „ბათუმის, ტუაფსის, საჩხერის ომების შემდეგ ნაციონალისტი გრიშა მეგრელიშვილი ღირსეულ მონაწილეობას ღებულობდა, უკანასკნელი ახალციხის ფრონტებზედაც პირველი მოთხოვნისთანავე წავიდა" (ლადო კიკაბიძე, 1919 წლის 5 თებერვალი. აქ სიტყვა „ნაციონალისტი" ნიშნავს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრს. მთის ნიავის ეროვნული ღვაწლის შთამბეჭდავად გაცოცხლებისათვის ძირითადად და საგანგებოდ პოეტის თანამედროვეთა სჯას მივაპყრობთ ყურადღებას).

ზოგი რამ ამ თავდაუზოგაობაზე საჯავახოში ბებიაჩემისგანაც მსმენია; მაგალითად, ასეთი ამბავი: გერასიმე მეგრელიშვილი (მამა) თურმე უკანასკნელ ფრონტზე მიმავალ შვილს სამტრედიამდე რომ აცილებდა, ჩვეულებისამებრ, ღამის გასათევად ორპირში შეჩერებულან. გერასიმეს ცოლის ნათესავებთან გაუმჟღავნებია, რომ აშინებდა კიდევ ახალ ომში მიმავალი შვილის ბედი: „სადაც ჩხუბია, ყველგან

ეს გარბისო“. შვილს ასე უპასუხია: ნუ გეშინია, მამაჩემო, საშიში და სასირცხვო ახლა კერიასთან ჯდომააო.

ჩანს, თანამედროვენი უკვე გრძნობდნენ, რომ რაღაც არაჩვეულებრივი, დროთა სამანების გადამლახველი იყო გრიგოლ მეგრელიშვილის სიცოცხლესა და სიკვდილში. შალვა ბუაჩელი წერდა იმავე 1919 წლის თებერვალში: „მასში გაიღვიძა ძველმა რაინდულმა საქართველომ. მისმა ცეცხლოვანმა ბრძოლის გენიამ წარსული და დღევანდელი საქართველო შეაერთაო“.

კიდევ ერთი ავტორიტეტული სჯა დავიმოწმოთ. შალვა კარმელი იტყვის: „საშიშ ჭრილობამ ვერ გაანელა ეთეროვანი ჩირაღდანი მისი სულისა და იგი უკანასკნელ ძარღვებით რაინდობდა... მეოთხე საბედისწერო ტყვიაც და ტკივილგაყრუებული უშიშარი ჯაზაირჩი, ძალით, სიკვდილის მუქარით, გამოიტაცეს მეგობრებმა ცეცხლის დელგმიდან. დაეცა სათაყვანო მესხეთის თოვლიან ხავერდზე. ამ თოვლის ეტრატზე დაეყინა დასისხლული სახელი გრიშა მეგრელიშვილისა“.

ჩვენ იმის თქმაც არგუმენტირებულად შეგვიძლია, რომ მთის ნიავის მამულიშვილური პათოსი არ იყო იმპულსური. პოეტის—მხედრის—ზვარაკის პიროვნული ძალა და მთლიანობა სოლიდურ ინტელექტუალურ და მსოფლმხედველობრივ საფუძველზე ყოფილა დამყარებული. ჯანსაღი და ბრძნული ჩანს გრ. მეგრელიშვილის ეროვნული თვალთახედვა. ლადო კიკაბიძე იმავე წერილში აღნიშნავს: „ეროვნული იდეებით გატაცებულ ახალგაზრდობას ერთი თვალსაჩინო, გაბატონებულ იდეურ ბოროტმოქმედებათა მამხილებელი მოაკლდა... დაწყებული მონაფურ წრეებიდან, სტუდენტობამდი, თავის შემეცნებას იმით იმდიდრებდა, რომ გამოეძებნა ყოველგვარი საშვალება, რათა ქართველი ერი ენახა ისტორიულ სახედაბრუნებული და სეპარატიულად გამოსული; ის ნაციონალური გზით გამოსული ახალგაზრდობა, რომლებთანაც ერთად მეგრელიშვილი საქართველოს ხსნას სხვაგან ეძებდა, ვიდრე სხვადასხვა ჯურის ინტერნაციონალობაში და „სოციალისტურ კეთილშობილებაში“; აი, ეს ახალგაზრდობა გრიშას ვერასოდეს დაივიწყებს და მისი დაკარგვაც მწარედ დაალონებს. ძვირად დაუჯდა ქართველ ერს „სოციალისტური კეთილშობილება“. მწარე დღეები გაგვიმზადა თითებით გატანილმა დეკრეტებმა“ (იგულისხმება ის გარემოება, რომ სოციალ-დემოკრატებს (მენშევიკებს) დამფუძნებელ კრებაში უმრავლესობა ჰყავდათ და, ამის კვალობაზე, კენჭისყრისას ანტიეროვნულ დეკრეტებსაც ამტკიცებდნენ. — გ.ფ.).

ამ წერილში ხომ ჭირისუფლისთვის ნიშნეული გრძნობათაა გამოტანილი სამზეოზე ის სენი თუ სატკივარი, რაც ქართულ ცნობიერებაში გაჩნდა მეოცე საუკუნის დასაწყისში და დღემდე ადამბლავებს ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას. ასეთ სიტუაციაში 19 თუ 20 წლის ჭაბუკი სწორად სჯიდა სამშობლოს მესვეურთა გონებრივი ელამობის შესახებ, ხსნის გზებიც უცდომელად ჰქონია მონიშნული.

პოეტის მსოფლშეგრძნებაზე საუბრის ამ კონტექსტში უთუოდ საგულისხმოა გრიგოლ მეგრელიშვილის დამოკიდებულება ბრესტ-ლიტოვსკის ზავთან, რომლის ძალითაც ლენინმა და ტროცკიმ, ხელისუფლების შენარჩუნების საფასურად, ხონჩით მიართვეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძირძველი ქართული მიწები ოსმალეთს. მაშინ იყო, რომ ამ ზავით ფრთაშესხმული ასკერები ახალციხეს, ოზურგეთსა და ქობულეთსაც შემოესივნენ. შალვა კარმელი იგონებდა: „ამ დროს ჩამოვარდა უადგილო და საქართველოსთვის სავნებო ზავი. დღესაც და მარადის ეხსომებათ მის (იგულისხმება მთის ნიავი. — გ.ფ.) მეგობრებს მგოსნის ცრემლში დაძირული თვალები შეურაცხმყოფელი ზავის გამო. მასში ტიროდა საუკეთესო გრძნობებით ახალგაზრდა მამულიშვილი. სამშობლოს სიყვარული მოითხოვდა მისგან გმირობას და ის ინვოდა შურისძიებით შეგინებულ ძმების სახელით“.

იმჟამინდელი სხვა წყაროებიდანაც ცხადად ჩანს: გრიგოლ მეგრელიშვილს არ სწამდა, რომ ძლივს აღორძინებულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას მოუვლიდა მარქსისტული იდეებით ნაკვები ხელისუფლება. ამგვარი ეჭვის სამსალა ჟონავს იმ სტრიქონებში მთის ნიავისა, რომელიც 1918 წელსაა დაწერილი და გიორგი ლეონიძეს შემოუნახავს:

**ჩვენ ჩვენის ხელით დავიჭრით ყელებს,**
**თუ ჩვენთვის დღესაც აღარ გათენდა.**

აკი „დაიჭრა“ კიდეც?! „ამ პოეტში, — იტყვის გიორგი ლეონიძე, — მშვენივრად თავსდებოდა ნაზი ლირიკოსიც და ტემპერამენტიანი ტრიბუნიც“. ხშირად გამოდიოდა მენშევიკების წინააღმდეგ „ქუჩის საუბრებში“. მენშევიკები და ბოლშევიკები ხომ ძმები იყვნენ, ერთ ნიადაგზე (მარქსიზმი) აღმოცენებულნი, ოღონდ გაყოფილნი, ნაჩხუბარნი ეგოისტური ინსტინქტების კვალობაზე.

ზ. მეძველია თითქოს მორიდებით მიგვანიშნებდა: „ნითელმა საქართველომ ახალი შტრიხი შემატა გრიშა მეგრელიშვილის უილბლობის ჯაჭვურ მოვლენებს, დროთა სრბოლამ და იდეოლოგიურმა ჟამიანობამ დიდი ხნის მანძილზე პოეტის საფლავი ჯაგებში ჩაკარგაო“. მხოლოდ ორიოდე ფრაზით გამოთქმული ამ თვალსაზრისის ჭეშმარიტებაზე ახლა სათანადო დოკუმენტები მეტყველებენ. გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში მუშაობისას მუზეუმის თანამშრომლის მარინე ყიფიანის დახმარებით ჩვენ მოვიპოვეთ ორი წერილი, გიორგი ლეონიძისა სიკო ფაშალიშვილისადმი და ნიკო კეცხოველისა ალექსანდრე ქუთათელისადმი, რომელთაგანაც ირკვევა, რატომ მოუნდა 40 წელი მეგრელიშვილის ჭირისუფლობა-გახსენებას, ხოლო მისი ლექსების გამოქვეყნებამ კიდევ 14 წლით რატომ დაიგვიანა.

უფრო მეტს ვიგებთ მეორე ბარათიდან. ამ ბარათით 1973 წლის 17 დეკემბერს გრიგოლ მეგრელიშვილის სიყრმის ერთი მეგობარი ნიკო კეცხოველი, მეორეს — ალექსანდრე ქუთათელს — დაბადების დღეს ულოცავს და ნობათად უძღვნის მთის ნიავის ნაწარმოებთა პირველ კრებულს — „შუქურვარსკვლავი“, რომლის შემდგენელ-რედაქტორიც თვითონაა:

„ძვირფასო საშა!

შენი დღევანდელი დღის აღსანიშნავად ამაზე ძვირფას ნობათს ვერ ვნახავდი. გიგზავნი ჩვენი გრიშას „შუ-

ქურვარსკვლავის“ პირველ ცალს. სტამბიდან ეს ესაა წამოვიღე.

ბევრი გადამხდა ჩვენი კულტურის ისეთ „მესვეურთაგან“, როგორიცაა (არ იკითხება!), მაგრამ წიგნს მაინც ეღირსა გამოსვლა.

იცოცხლე, იდღეგრძელე. ორმოცდათოთხმეტი წლის შემდეგ კიდევ შემოგცინა ჩვენმა კარგმა მთის ნიავმა.

შენი

**ნიკო კეცხოველი**

*1973, 17/XII“.*

აშკარაა: გრიგოლ მეგრელიშვილის, ვითარცა ანტიმარქსისტისა და ნაციონალური თვითმყოფობის გამორჩეული ქომაგის, ვინაობა და საქმიანობა ჩანიშნული ჰქონდათ კომუნისტური სახელმწიფოს უშიშროების ორგანოებს და მის სახელს ტაბუ ედო. 1959 წელს კი მოხერხდა მისი გახსენება, მაგრამ პოეტის ნაწერების გამოცემის ნებართვა ნიკო კეცხოველმა 14 წლის დავიდარაბის შემდეგ ძლივს გამოგლიჯა ცენზურას. ყველაფერი ეს კი ერთ რამეს დამაჯერებლად გვავარაუდებინებს: გრიგოლ მეგრელიშვილს რომ თურქი ასკერების ტყვია ასცდენოდა 1919 წელს, წითელი ქართველი არაკაცების ტყვიებს ნამდვილად ვერ გადაურჩებოდა 1924 თუ 1937 წლებში.

როგორც უკვე ცხადად ჩანს, სიყრმის მეგობრის ლამაზი სული მლვიძარებდა და ტკივილიან ანგელოზად თან სდევდა გიორგი ლეონიძეს ოთხი ათეული წლის მანძილზე. 1959 წლის აგვისტოში იგი ავიდა ჩოხატაურს (მანამდე დიდი პოეტი, რომელსაც 1937 წელს ძმა დაუხვრიტეს, ვერ უჭირისუფლებდა მთის ნიავს). მას დიდი თანადგომა აღმოუჩინა რაიკომის მდივანმა აკაკი გობრონიძემ. შუა ფარცხმის წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში, გვიმრით დაბურულ სასაფლაოზე, კითხვა-კითხვით მიაგნეს პოეტის უძეგლო და უნიშნო საფლავს, გაწმინდეს და ორი კვირის შემდეგ სამარეს რკინის მესერიც შემოავლეს (გიორგი ლეონიძე).

1959 წლის 11 სექტემბერს „ლიტერატურულ გაზეთში“ გამოქვეყნდა გიორგი ლეონიძის წერილი — „გრიგოლ მეგრელიშვილი (ჭაბუკი პოეტის სიკვდილის ორმოცი წლისთავის გამო)“ — და ლექსი „გრიგოლ მეგრელიშვილის საფლავზე“. იმავე გაზეთის 25 სექტემბრის ნომერში სიყრმის მეგობრის, პოეტისა და მხედრის ღვაწლის შთამომავლობისათვის შესახსენებლად აკად. ნიკო კეცხოველი ბეჭდავს ჭირისუფლისეული სითბოთი და ტკივილით გაჯერებულ წერილს — „განუწყვეტელი მოლოდინი“.

მეორე დღეს, 26 სექტემბერს, მთის ნიავის მშობლიურ სოფელ ფარცხმას ეწვია ქართველ მწერალთა ჯგუფი გიორგი ლეონიძის წინამძღოლობით. გაიმართა პოეტის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლიტერატურული დილა. 1973 წელს, როგორც ითქვა, ნიკო კეცხოველის გარჯითა და რუდუნებით გამოიცა გრიგოლ მეგრელიშვილის ნაწერების პირველი კრებული „შუქურვარსკვლავი“. აქ არის 30 ლექსი, 3 მცირე ზომის პოემა და ერთი ნოველა. ასე გაუცოცხლეს მთის ნიავის სიყრმისა და სიჭაბუკის მეგობრებმა შთამომავლობას მზაკვრულად მოკვეთილი ნიჭიერი პოეტი და დიდი მამულიშვილი.

ამასობაში მთის ნიავის მეგობარ-თანამებრძოლთა თაობა წავიდა, ჩვენს ქვეყანაში კი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი გარდაქმნისათვის ბრძოლამ ერთობ დაძაბული ვითარება შექმნა. 90-იანი წლების დასაწყისიდან კი უკვე დამოუკიდებელი საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სხვადასხვა მიზეზების გამო, ყურადღება ეროვნულ-კულტურული ინტერესებისადმი სახელმწიფოებრივ საზრუნავთა ბოლოში მოექცა. ასეთ ვითარებაში სრულიად არ გამკვირვებია, რომ 1998 წ. გრიგოლ მეგრელიშვილის დაბადების 100 წლისთავი არავის გახსენებია (თვით აკაკის, ვაჟას, ბარათაშვილის საიუბილეო თარიღები არ გაგვხსენებია!). დღეს ხომ ისეთი ამინდი დგას ჩვენს ქვეყანაში, რომ მოგონებებისა და ტრადიციებისათვის არავის სცალია. წარსულისათვის კი არა, აწმყოსთვისაც ველარ ვიცლით, ისე გამალებულები ვაშენებთ ბრწყინვალე მომავალს.

ჯერ კიდევ ამ ოცი წლის წინათ ვთხოვე უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის პედაგოგს, უახლესი ქართული ლიტერატურის მკვლევარ ზაურ მეძველიას გარჯილიყო მთის ნიავის ჯერ ისევ მიუკვლეველი ნიმუშების გამოსავლენად და შესასწავლად. ამ ნიჭიერმა მკვლევარმა დიდხანს და დაუზარებლად იშრომა ამ მიზნით. თავისი გარჯის ნაყოფი მან საპატრონოდ გადმოგვცა 2005 წლის ოქტომბერში. ამ შეხვედრიდან (რომელსაც ესწრებოდა პოეტის თანასოფლელი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი დურმიშხან ცინცაძე) ორიოდე თვის შემდეგ ქართული მწერლობის ეს თავმოდრეკილი მსახური გარდაიცვალა.

ზაურ მეძველიამ გადმოგვცა: 1. გ. მეგრელიშვილის 16 ლექსი, აქამდე მიუკვლეველ-გამოუცემელნი; 2. აქამდე უცნობი წერილები გიორგი ლეონიძისა, შალვა კარმელისა, შიო მღვიმელისა, სიკო ფაშალიშვილისა, ნიკო ასათიანისა, შალვა ბუაჩელისა, მიძღვნილნი მთის ნიავის დაღუპვისა და შემოქმედებისადმი; 3. მთის ნიავის მიერ თარგმნილი ედგარ პოს „ყორანი“ (მთელი ეს მასალა მკვლევარმა მოიძია 1914-1919 წლების ქართული ჟურნალ-გაზეთებში); 4. ბიოგრაფიული ნარკვევი „გმირი-პოეტი გრიგოლ მეგრელიშვილი (მთის ნიავი)“. ეს ნარკვევი ჩვენ უკვე გამოვაქვეყნეთ („ლიტერატურული პალიტრა“, 2008, 7).

ბევრი რამ გვიბიძგებდა და ვალად გვდებდა, გვეჭირისუფლა გრიგოლ მეგრელიშვილის ნაფიქრ-ნაღვაწის გადასარჩენად და საქომაგოდ (უპირველესად, მისი დიდი მამულიშვილობა და მშვენიერი ლექსები; ნათესაური სიახლოვე; დედაჩემი და ბებიაჩემი რომ მოინატრებდნენ ხოლმე, ეგებ მიმეკვლია გრიშას ნაწერებისათვის, ფარცხმიდან ადრევე წაღებულთათვის (ახლა უკვე ხელთ მაქვს გ. ლეონიძის ერთი ბარათი, დასტური იმისა, რომ ეს ასე იყო); ჩემი პროფესია).

2006 წელს შევუდექი ამ ჩანაფიქრის აღსრულებას. გადავჩხრიკე თბილისისა და ქუთაისის ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებში დაცული ჟურნალ-გაზეთები 1914-1919 წლებისა, მთის ნიავის მეგობარ მწერალთა არქივები. მივაკვლიეთ კიდევ 11 ნაწარმოებს (ისინი არაა კრებულში „შუქურვარსკვლავი“, არც ზაურ მეძველიას მიერ მოძიებულთა შორის).

გამოირკვა, რომ ალექსანდრე ქუთათელსაც ჰქონია შენახული მეგობრის რამდენიმე ლექსი. ორი მათგანი მწერალს თავისი რომანის — „პირისპირ“ — ადრინდელ გამოცემებშიც შეუტანია. პირველის სათაურია „მატო“. ეს

არის ვარიანტი უსათაურო ლექსისა „ვისროლე თვალნი, ვით საფირონნი“, რომელიც ჩვენ ზაურ მეძველიამ გადმოგვცა. მეორეა ასევე უსათაურო — „ომში დავეცი დაჭრილი“. ხოლო მესამე, — თითქოს რომანის ერთ პერსონაჟს რომ ჩაუწერია მომაკვდავი პოეტის სარეცელთან, ასე იწყება: „ჩემი აკვანი ჯავახეთის არის უდაბნო“.

ამგვარად, გრიგოლ მეგრელიშვილის თხზულებათა მეორე გამოცემა — „ბედის მდინარე“ — პირველს („შუქურვარსკვლავი“) მოცულობით თითქმის ერთიორად აღემატება. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ გამოცემაში პოეტის 1917-1919 წლების ლექსებიცაა თავმოყრილი. ბუნებრივია, რომ ჭაბუკი პოეტის უკანასკნელი წლების ნაწარმოებთა (რომელთაც ახლა პირველად ვეზიარებით) მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულება ცხადად აღემატება ადრინდელთა უმრავლესობას (გიორგი ლეონიძე ბრძანებდა: „რა უნდა ითქვას ყრმის შემოქმედებაზე, როცა ხელი მხოლოდ მორცხვად ეპოტინებოდა კალამსო“). ზაურ მეძველიას მიერ მოპოვებულ წერილებს მთის ნიავის შემოქმედებისა და საბრძოლო ქველობის შესახებ ჩვენც შევმატეთ რამდენიმე დოკუმენტი. მათ შორისაა შალვა კარმელის მშვენიერი ლექსი — „ორბის მხედარი (გრიგოლ მეგრელიშვილი)“.

წიგნი გამოდის შემოწირულობათა საშუალებით, გზით. საზოგადოებამ დაგვიდასტურა ისეთი თანადგომა, ახლა იმის პერსპექტივაც იჭვრიტება, რომ ღირსეული სახე მიეცეს გრიგოლ მეგრელიშვილის საფლავს სოფელ ფარცხმაში. ღვთისა და ღვთისმშობლის მადლი ფარავდეს ყველას, ვინც შეეწია საქვეყნო საქმეს.

2007 წლის აღდგომის ორშაბათს, 9 აპრილს, ავედით ჩოხატაურს და შუა ფარცხმის წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში მოვინახულეთ პოეტის საფლავი. მამა თომამ (სიხარულიძე) და მამა ბართლომემ (რუხაძე) აკურთხეს საფლავი. ითქვა სიტყვები. გამოიხატა წრფელი და სევდიანი სიხარული პოეტის დაბრუნების გამო.

ჩვენ ვარჩიეთ ქართველი საზოგადოების ცნობიერებაში გაგვეცოცხლებინა უკანასკნელი ერთი საუკუნის საქართველოს ისტორიის ბედუკუღმართობის, ავყამიანობის სიბნელეში ჩაკარგული კაცის, „დავიწყებული, დამიწებული“ პოეტისა და მხედრის სიცოცხლისა და ღვაწლის ძირითადი მომენტები.

გარიჟრაჟზევე ჩაიფერფლა ჭეშმარიტი პოეტური აღმაფრენა და თვალშეუდგამი სინათლის ბადალი მამულიშვილური სიქველე. ამ ნიჭთა დილა, შუადღე და დაისი, რომელიც, გიორგი ლეონიძის თქმით, „იქნებ მთელ საქართველოს გადაჰფენოდა“, მხოლოდ ექვს წელს მოიცავს. „რომ დასცლოდა, — იტყვის შალვა კარმელი, — მეგრელიშვილი აიშენებდა საკუთარ ხუროთმოძღვრების ყაიდაზე მთვარისქვის კოშკს, სადაც ფერიები შეფარებულ დაჭრილ უდაბნოს მგზავრებს გააგრილებდნენ ნელსაცხებლით და უმღერდნენ ლეგენდებს ალმას ტბის ლამაზ სირენებზე“.

მაგრამ არ დასცალდა!..

გრიგოლ მეგრელიშვილის ბედისწერა ახალციხის ფრონტზე, ქვაბლოვანის მიდამოებში, 1919 წლის 30 იანვარს გმირულად დაცემა კი არ იყო, არამედ სიკვდილის მოლოდინი, იმის შეგნება, რომ არ შეიძლება არ დაიღუპო. 15-16 წლის ყრმის ნაწერებში უკვე ილანდება სიკვდილის აჩრდილი: „... სიკვდილი გამიწევს ძმობასო“ („ლტოლვა“, 1914 წ.). ბედის მდინარის „შავი ტალღები“ მიაქანებენ ლირიკულ გმირს:

**უსიყვარულოდ დავიღუპები... რა ვუყოთ მერე...**
**ბედის მდინარევ, შენს ტლუ ტალღებში**
**თუ მომინახო სამარე ადრე —**
**შენ გენაცვალე, შენი ჭირიმე,**
**სამშობლოს ველზე გამრიყე სადმე...**
**ობოლ სამარეს, მიტოვებულს ხრიოკ ველებზე**
**დასძახებს წერო, ღრუბლიანი როს დაბინდდება...**

*(„ბედის მდინარე“, 1917 წ.)*

ახლა მივაყურადოთ პოეტის ერთ-ერთ უკანასკნელ ლექსს — „სონეტი გამგზავრების წინ“ (1918 წლის დეკემბერი). ვფიქრობთ, იგულისხმება გამგზავრება ახალციხის ფრონტზე, უკანასკნელ ომში:

**... და სულერთია, ვის ვუყვარვარ, ვის ვეჯავრები,**
**სიკვდილის ჩრდილქვეშ დავინახავ ყოვლის**
**მძლე ხალისს,**
**შარავანდედი ვერ შემამკობს ბრწყინვალე ხვალის,**
**გამასვენებენ მჭმუნვარებით ომის მთავრები.**

ხოლო ერთ-ერთ უკანასკნელ ლექსში — „ტრიოლეტები ბრძოლის ველიდან“, რომელიც თურქ ასკერთაგან მესხეთის გამოხსნის ომის ჟამს არის დაწერილი, ვკითხულობთ: „და ფოლადური მტკიცე მკერდის ტყვიით გალხობა კვლავ მენატრება და ნატვრაში ფიქრს ემგოსნება“.

შეუსრულდა! სამწუხაროდ, საბედისწერო ზმანებათაგან ყველაფერი შეუსრულდა. უსიყვარულოდ დაიღუპა. ხოლო მისი სამარხი დროთა განმავლობაში ჯერ „ობოლ სამარედ“ გადაიქცა და მერე დაიკარგა. დაიკარგა იმის მიუხედავად, რომ „ხრიოკ ველზე“ კი არ მდებარეობდა, არამედ — მშობლიური სოფლის, შუა ფარცხმის, წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში. ხოლო ჭეშმარიტად „ფოლადური მტკიცე მკერდის ტყვიით გალხობაც“ ნამდვილად მოხდა 1919 წლის 30 იანვარს. „მჭმუნვარებით“, ზღვა ცრემლით და ზღვა ხალხი აცილებდა თურმე მთის ნიავს უკანასკნელ გზაზე, მათ შორის — რამდენიმე თანამებრძოლიც (პოეტის ბიძის — ასლან ყენიასა და ბებიაჩემის ნაამბობიდან).

დიდი ტანჯვითა და ლამაზი სიკვდილით გადაიხადა გრიგოლ მეგრელიშვილმა თავისი განსაცვიფრებლად მაღალი სულის საფასური. ამ სულთან ზიარებას ნამდვილად ძალუძს, ცოტა მაინც გაალხოს ის სიცივე, რაც უკეთეს გრძნობათა და ნიჭთა დაჩიავებით ამ ერთი საუკუნის სიგრძეზე უფრო და უფრო ჩამოდგა ჩვენს არსებაში.

ქართული ლიტერატურის ისტორიაში არის მაღალი აზრით შთაგონებული ტანჯვა-სიკვდილის უმშვენიერესი პოეტური სურათები (უპირველესად, ჰაგიოგრაფიული ძეგლების ფურცლებზე), მაგრამ გრიგოლ მეგრელიშვილი, ალბათ, ერთადერთი პოეტია, ვინც ამ იდეალის მისტიკური ბრწყინვალებით თავად შეიმოსა თავისი ცხოვრების დასასრულით.

## მთარგმნელის წინათქმა

„ოდა მკვდარ კონფედერაციას" ალენ ტეიტის (1899-1979) — სახელგანთქმული ამერიკელი პოეტის, ესეისტის, საზოგადო მოღვაწისა და პოეზიის დარგში კონგრესის ბიბლიოთეკის მრჩევლის — ყველაზე ცნობილი ლექსია, რომელსაც ავტორი დაახლოებით ათი წელი წერდა; ასევე ეს პოეტის ერთადერთი ლექსია, რომელსაც ტეიტმა, ედგარ პოს ნაბაძვით (ქართულადაც არის თარგმნილი „ყორანისადმი" მიძღვნილი მისი ესეი „კომპოზიციის ფილოსოფია", ქართველ და ამერიკელ მწერალთა ესეები, 1989 წელი), ვრცელი ესეი — „ნარცისი, როგორც ნარცისი" — წაუმძღვარა, რადგანაც მიაჩნდა, რომ უამისოდ მკითხველს შეიძლებოდა გაუგებრად დარჩენოდა ლექსის პათოსი.

ტეიტი მიეკუთვნებოდა ე.წ. „მემამულეთა" გაერთიანებას, რომელიც სამხრეთის შტატთა თორმეტმა ცნობილმა ლიტერატორმა ჩამოაყალიბა და რომელსაც მიაჩნდა, ამერიკულმა ინდუსტრიალიზმმა ადამიანი ბუნებასა და, მაშასადამე, ამაღლებულ განცდებს გაუუცხოვაო. ცხოვრების დაჩქარებულ ტემპს რომ არ ჩამორჩეს, დიდი ქალაქის მკვიდრი დღემუდამ შრომობს და არ რჩება დრო, რომ ბუნებისაგან სულიერი საზრდო მიიღოს. მაშასადამე, თანამედროვე ამერიკელი გამოფიტულია და არ შეუძლია, წინაპრების მსგავსად, დიდი საქმეები აკეთოს.

სწორედ ამგვარი სულისკვეთებითაა გამსჭვალული „ოდა მკვდარ კონფედერაციას".

ტეიტის მკვლევარი, ლუის რუბინი, წერდა:

„ეს ლექსი დაწერილია ან სოლიფსიზმის დოქტრინის გავლენით (თეორიისა, რომელიც ქადაგებდა, ჩვენ, ადამიანები, სამყაროს მისი აღქმის პროცესში ვქმნითო), ან ნარცისიზმის, ან ნებისმიერი სხვა იზმისა, რომელიც ცხადჰყოფს, რომ ადამიანს აღარ შეუძლია ბუნებასა და საზოგადოებასთან ჰარმონიულად თანაცხოვრება."

ლექსის ლირიკული გმირი შემოდგომის საღამოს კონფედერაციის საძმო სასაფლაოს ჭიშკართან დგას. სასაფლაოსთან მდგარი კაციცა და საფლავებიც ნაწარმოებში ნარცისისტულ თუ სოლიფსისტურ სიმბოლოებად გვევლინებიან: სამარხის კარიბჭესთან მდგარი ადამიანი ავტორის თანამედროვე სამხრეთელის სიმბოლოა, რომელმაც, მართალია, იცის თავისი ჰეროიკული წარსული, მაგრამ თვითონ იმდენად მოკლებულია გმირულ სულისკვეთებას, რომ ისიც კი ვერ წარმოუდგენია, როგორ და რისთვის იბრძოდნენ მისი წინაპრები; ერთადერთი, რასაც იგი ხედავს და რაც მისთვის რეალურია, ჩამოცვენილი ფოთლებია.

ეს ლექსი თანამედროვე ამერიკელის მორალურ პრობლემებზეა — ამბობს ტეიტი:

„ჩვენ, რომელთაც გვაქვს ძალა, მაგრამ არ გაგვაჩნია იდეალები, გვაქვს ენერგია, მაგრამ არ გაგვაჩნია მიზანი, რაღა დაგვრჩენია, უბრალოდ ველოდოთ სიკვდილს, თუ — უარესი, ჩვენ თვითონვე დავაჩქაროთ ჩვენი სიკვდილის დღე?!"

პოეტის ირონია თვით ლექსის სათაურშიც ჩანს: როგორც თანამედროვე სამხრეთელს არაფერი უმემკვიდრია თავისი თავგანწირული წინაპრისაგან, იმდენად არაფერია საერთო პინდარეს მიერ შექმნილ სალექსო საზომსა და ტეიტის უცნაურ, ლექსთწყობის ყოველგვარი წესებიდან ამოვარდნილ ნაწარმოებს შორის, რომელშიდაც არც რითმა და არც რიტმი სტაბილური არ არის და ხელიდან უსხლტება მკითხველს:

„მე მგონი, ამ ლექსს „ოდა" იმიტომ ვუწოდე, რომ თანამედროვეობისადმი ჩემი ირონიული დამოკიდებულება კიდევ უფრო მკვეთრად წარმომეჩინა: ძველად ოდა ასახავდა ცხოვრებას, როგორც სახალხო დღესასწაულს, ამ ლექსის გმირი მხოლოდ და მხოლოდ სასაფლაოს კარიბჭესთან მდგარი მარტოხელა კაცია."



### ალენ ტეიტი

## ოდა მკვდარ კონფედერაციას

ჩამწკრივებულნი გრძელ რიგებად თავთავის სახელს
შეჰღრიალებენ ბნელ სტიქიონს საფლავის ქვები,
მეხსიერებადაკარგული ქარი ღრიალებს...
ფსკერდახეთქილი მიწის ვარცლი ისევ ივსება
ხმელი ფოთლებით, რომ ბუნება წესით და რიგით
შეხვდეს სიკვდილის ყოველწლიურ მარადისობას,
მერე კი ზეცის მრისხანე და შლეგი ტრიალი
ფოთლების ამბოხს ბედისწერის ნიხრით მიზომავს
და მომაკვდავის ქვითინივით ააშრიალებს.

წელს შემოდგომა ერთიანად გააჩანაგებს
მოგონებების უხვ მოსავალს მიწის კბილებზე
წამოგებული სხეულების — მათ ვერ მიაგნეს
სიკვდილს და მაინც ახლა ბალახს ანოყივრებენ.
შენ კი იფიქრე აწ გარდასულ შემოდგომებზე!
ამპარტავანი ნოემბერი ამ წლის ბარაქას
გულმოდგინებით გამოაფენს საფლავის ქვებზე,
მოუხეშავი და გახრწნილი ანგელოზები
საფლავის ქვებზე იშლებიან: ყბა – იქ, ფრთა –აქა.
და მათი ავად უტიფარი მზერის დანახვა
შენც გადაგაქცევს ქანდაკებად,
ჰაერს — ტალახად
და ლაფიანი უფსკრულისკენ მიგერეკება,
სადაც, როგორც ბრმა კიბორჩხალა, ამღვრეულ ზღვაში,
თავის საშველად საცეცების სავსავს მოჰყვები.

გაოცებულნი მხოლოდ ქარით, მარტოდენ ქარით
ფოთლები ბინდში ლივლივებენ, ძირს ეცემიან...

შენ კარგად იცი, ვინ არიან ამ კედელს იქით...
მხეცური რისხვა ბინდთან ერთად მომატებული,
ეს ღამეული ამბოხება ამღვრეულ სისხლის,
შენ კარგად იცი ეს ფიქვები, ცაზე გართხმული
ეს ცივი ნისლი, მძვინვარების იცი მიზეზი,
წყალდაწრეტილი, ამომშრალი აუზის ზიზღი,
გესმის დუმილი ზენოსი და პარმენიდესი.
შენ, ვინც იმ დღიდან ელოდები, რაც დაიბადე,
იტვირთო მათი ოცნებები, უეცრად ხვდები,
რა ცოტას ნიშნავს ეს სიკვდილი
და ქებას ლამობ
და ქებას უთვლი ზვიად ლანდებს,
მათ, ვინც ამ ხრეშის
ქვეშ წვანან ახლა, გზაშეკრულნი სამარადჟამოდ
ამ ჭიშკრის სამნით, ამ კედლების ყრუ მარწუხებში.

და ხედავ, ხედავ მხოლოდ ფოთლები
ფრენენ, ცვივიან და სულს ლაფავენ...

თვალუწვდენელი, მუდამ თვალწინ გედგას წარსული,
სულ თვალწინ გედგას გახლეჩილი მიწის პირიდან
ამოცვენილი დღენაკლული ჯარი ავსულთა.
ქვის ყორეები, ყორეები, კანაფის კვლები,
ანთიეტამი, მალვერნ-ჰილი, შილო, ბულ რანი.
წყევლას უთვლიდე ჩამავალ მზეს შემოგარსული
აღმოსავლეთის მხუთავი და მქისე ბურანით.

წყევლისლა შემძლე მარტოოდენ ხმელი ფოთლები
ტირიან შტორმში მოხვედრილი ბერიკაცივით...

შენ უსმენ ყვირილს: დამზრალ თითებს გიჟი ფიჭვები
იშვერენ ქუში სიჩუმისკენ, რომლის ხმელ ლუკმად
მალე იქცევი შენ — მუმია.
და მწევარ ძუკნას
კბილებჩამომძვრალს და სულთმბრძოლავს, მყაყე სარდაფში
ქარის მოთქმაღა ესმის მხოლოდ.
ახლა იმათი
სისხლის მარილი დავიწყების მორევს ამლაშებს,
ღვარცოფს, ოდესღაც გახელებულს, სიმშვიდეს მატებს.
და ჩვენ, რომლებიც დღეებს ვითვლით და მერე ნავსი
აწმყოს პერანგებმორგებულნი, რიდით აღსავსე
თავებს ვხრით ჩვენთვის აკრძალული დარდის წინაშე,
რას ვეტყვით ამ ძვლებს, საკუთარი სისხლით გალეშილთ,
ყოველ ცისმარ დღეს უფრო სქლად რომ ედებათ ხავსი?
რას ვეტყვით ნეტავ უსასრულო შლეგ სიმწვანეში
დაყრილ-დაფანტულ დათხრილ თვალებს,
მოგლეჯილ მკლავებს?
წვრილ რუხ ობობებს, რომ მოსულან და მალე წავლენ.
სიბნელე — როგორც აწეწილი ძაფის გორგალი
და მარტოხელა ბუს მოთქმაზე ტვინში მბორგავი
ათასი ფიქრი გააფთრებით ცდილობს მოგგვაროს
ლექსი, აქ დაფლულ გვამთა წარსულ რაინდობაზე.

ჩვენ ერთსღა ვიტყვით: ხმელი ფოთლები
ფრენენ, ცვივიან და სულს ლაფავენ...

ჩვენ ალბათ ვიტყვით მხოლოდ იმას, რასაც ფოთლები
ნოტიო ღამის დადგომასთან ერთად ჩურჩულით
ყველა კუთხეს და კუნჭულს მოსდებენ:
ღამეა ყოვლის დასაწყისი და დასასრული
და დასასრულთა შორის მცირე შეყოვნებანი
სავსეა ჩუმი ვერაგობით, მუნჯური წყევლით,
მზერა რომ უნდა გაგიქვავოს ან, როგორც ჯუნგლის
წიაღში ვეფხვი, თავს დაგაცხრეს თავის საკბილოს.
რას ვეტყვით სისხლში გაჯერებულ ამ ურყევ რწმენას,
რომელსაც სულ თან დავატარებთ? ეგებ ვათრიოთ
საფლავებამდე? უფრო მეტიც, ეგებ ამწამსვე,
აქვე გავთხაროთ საფლავები?
დატოვე ახლა
ეს ჩაკეტილი კარიბჭე და მრუდე კედელი:
მეწამულ ბუჩქში გარინდული კეთილი გველი,
ბნელ სიჩუმეში მოსისინე ერთგული მცველი
მიწის იმ ნაჭრის, მალე ჩვენც რომ გვექცევა სახლად.



ალენ ტეიტი

# ნარცისი — როგორც ნარცისი

## I

ამ პირველ და, სავარაუდოდ, უკანასკნელ სტატიაში, რომელსაც მე საკუთარი ლექსის შესახებ ვწერ, მინდა მოვუბოდიშო ედგარ პოს, რომლის მაგალითსაც ახლა მე ვბაძავ და რომელმაც ოდესღაც საკუთარი შემოქმედება გააანალიზა ესეიში „შეთხზვის ფილოსოფია". თუმცა ჩვენს დროში ავტორიტეტებს იშვიათად ერიდებიან, ხოლო მე ჩემი დროის შვილი გახლავართ. მართალი გითხრათ, ცოტა რამ თუ ვიცი იმ ლექსის შესახებ, რომლის მიმოხილვასაც ვაპირებ. ერთადერთი ის მახსოვს, რომ მისი დაწერა მინდოდა, ისიც არ ვიცი, კარგია ეს ლექსი თუ ცუდი, მითუმეტეს, არაფერი ვუწყი მისი შექმნის ფარული მიზეზების შესახებ.

როგორ იწერება ლექსი? საიდან მოდის იგი? ეს ფსიქოლოგებსა და პოეზიის მკვლევრებსაც აინტერესებთ. ბოლო ხანებში გულმოდგინედ არ წამიკითხავს გენეზისის არც ერთი თეორია. წლების წინათ კი ჯერ მისტერ კონრად ეიკენის გამოკვლევას გავეცანი, მერე, მგონი, მისტერ რობერტ გრეივსისას, მაგრამ საბოლოოდ დავივიწყე ისინი. სულაც არ დავცინი იმ ვარაუდებს, რომ ლექსის წარმოშობის მიზეზი შეიძლება ვერბალური მექანიზმები, სიზმრები ან გრძნობების შეკავება იყოს, არ არის გამორიცხული, რომ სამივე ეს ფაქტორი, და შეიძლება კიდევ ბევრი სხვაც, დიდწილად განაპირობებდეს ლექსის შექმნას. მაგალითად, ამ ბოლო დროს ფსიქოლოგები ბევრს ლაპარაკობენ კომპენსაციის თეორიის შესახებ. ისინი ამბობენ, რომ პოეზია გაუწონასწორებელი ადამიანის შეფარული მცდელობაა, თავი გაიმართლოს თავისზე ბედნიერთა წინაშე ანდა სამყაროს თავისეული აღქმა სხვისაზე აღმატებულად წარმოაჩინოს, რაც მას მცირე, მაგრამ მაინც თავდაჯერებას მატებს და, პოეტის აზრით, მეტ თავდაჯერებას შემატებდა იმ უფრო ბედნიერ ადამიანებსაც, მათ რომ თვალები არ ჰქონდეთ დაბრმავებული. მაგალითად, პოეტად შეიძლება იქცეს საკუთარი თავით უკმაყოფილო ავტომობილების გამყიდველი, რათა თავი დააღწიოს ცხოვრებისეულ სინამდვილეს — ყოველთვიურად გასაყიდი მანქანების რიცხვს — და პოეზიაში ჰპოვოს თავშესაფარი. ასე რომ, პოეტი, რომელსაც რეალურ ცხოვრებაში არ შეუძლია იყოს ის, ვინც სურს, და ყოველდღიურად მარცხს განიცდის, ქმნის თავისი უსიამოვნო მდგომარეობის ამსახველ შეთხზულ ვერსიას, რომელიც შეიძლება არც სხვებისთვის იყოს უინტერესო, რადგან იდეალური მანქანების გამყიდველი არ არსებობს. სამწუხაროდ, მეტნაკლებად ყველა ჩვენგანი იტანჯება. მე გამუდმებით ვკითხულობ ჩემი ლექსების შესახებ გამოთქმულ ამგვარ მოსაზრებებს და, თუ მათ ავტორებს დავუჯერებთ, ჩემი აუხდენელი ნატვრა ყოფილა, რომ კონფედერატთა გენერალი გავმხდარიყავ, ხოლო რადგან ჩემგან უკეთესი ვერაფერი ან არაფერი გამოვიდა, პოეტი გავხდი და ჩემი პიროვნული ამბიციების დასაკმაყოფილე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბლად ვიგონებ ამბებს, რომლებიც იმ საზოგადოებას, რომელშიც ვცხოვრობ, არაფრად არგია.

შესაძლოა, ამ მოსაზრებაში სიმართლე მარცვალიც არ იყოს, თუმცა იგი გვიბიძგებს საკუთარ არსს ჩავუღრმავდეთ და სწორედ მისი ზეგავლენით მეც მიზანშეწონილად მივიჩნიე, შემემუშავებინა გენეზისის საკუთარი თეორია, რადგან ხშირად მიიჩნევენ, რომ პოეტმა თავისი ლექსის წარმოშობის შესახებ ყველაზე მეტი რამ იცის. თუმცა ადამიანებს, რომელთაც ლექსის შექმნის თეორია აინტერესებთ, იშვიათად შეუძლიათ გამოიყენონ იგი. პოეტები თავისებურად პრაქტიკული, შედეგზე ორიენტირებული ადამიანები არიან. როგორია ლექსი მას შემდეგ, რაც ის დაიწერა? აი, ეს ადარდებთ და არა ის, თუ როგორ და რატომ იქმნება იგი. კითხვები „რატომ" და „საიდან" არასოდეს გამოვა ვარაუდის კულისებიდან, რადგან ისინი, ვინც ფიქრობენ, რომ პოეზიას ქმნიან, პოეზიას არასოდეს დაიყვანენ „ლაბორატორიულ ანალიზამდე". ერთადერთი ნამდვილი რეალობა, რომელსაც კრიტიკოსმა შეიძლება მზერა მიაპყროს, დასრულებული ლექსია. რატომღაც ზოგიერთ მკვლევარს უჭირს ყურადღება შეაჩეროს იმაზე, რაც ცხვირწინ უდევს, და ტელესკოპით ეძებს იმას, რისი დანახვაც შეუიარაღებელი თვალით არ შეუძლია, ანუ იმას, თუ საიდან მოდის ლექსი. ასეთი კრიტიკოსები ტყისმჭრელებს ჰგვანან, რომლებიც იმის მაგივრად, რომ იმუშაონ, იმას უკირკიტებენ, სად მოიპოვეს ის რკინა, რომლისგანაც მათი ნაჯახის ფოლადი იქნა დამზადებული. მე არ ვამტკიცებ, რომ ამგვარი კირკიტი ხელს არ უწყობს კვლევას, მაგრამ მას მხოლოდ მეორეხარისხოვანი როლი აქვს და არ შეუძლია დაიკავოს ლექსის, ანუ იმ მთავარი ობიექტის, ადგილი, რომელზედაც ყურადღება უნდა იქნას გამახვილებული. გენეზისის თეორიები, ჩემი დაკვირვებით, აკადემიური თვალსაზრისით, ცალკე განიხილება. სხვა ტიპის კრიტიკულ ნამუშევართა შორის ისინი უსარგებლოდ, მაგრამ არცთუ უინტერესოდ ითვლება: მე ამ მეთოდით განვიხილავდი იმ პოეტთა ნაშრომებს, რომლებიც არ მომწონს. ეს ყველაზე იოლი იქნებოდა.

ამას ყველაფერს იმიტომ ვამბობ, რომ, ასე მგონია, ჩემი თუ ნებისმიერი სხვა ავტორის ლექსი რაღაცის შეცნობის საშუალებაა: თუ ლექსი კარგი გამოვიდა, შეგამეცნებინებს იმას, რაც მანამდე არ ვიცოდით. უფრო სწორად, ლექსი ჩვენში არსებული ცოდნის სრულქმნაა; ჩვენ არ ვიცით, რისი თქმა უნდა ამა თუ იმ ლექსს, სამაგიეროდ, ვიცით, თუ რას ვდებთ მასში, ანუ ჩვეულებრივ ენაზე რომ ვთქვათ, ლექსი თავისთავადი, თვითკმარი ცოდნაა, არც მწერალს და არც მკითხველს არ შეუძლია მისი ინტერპრეტირება.

მე იგივე აზრი კიდევ სადღაც სხვა სიტყვებით გამოვხატე და დამაბრალეს, რომ ლოზუნგის „ხელოვნება ხელოვნებისათვის" მიმდევარი ვარ და ესთეტიკის არაფერი გამეგება. მაგრამ ნება მომეცით მკითხველს კათოლიციზმის ისტორიული პოზიცია გავახსენო: nulla salus extra ecclesiam. ეს რელიგიური ლოზუნგია. ალბათ არაფერია მიუღებელი ფრაზაში „ხელოვნება ხელოვნებისათვის," თუკი სერიოზულად აღვიქვამთ და მასში არ მოვიაზრებთ ინგლისში ბოლო 40 წლის განმავლობაში შექმნილ პოეზიას. რელიგია ყოველთვის ცდილობს ბურუსი მოჰფინოს მისი პრაქტიკული გამოყენების ასპექტებს და „ხელოვნება ხელოვნებისთვისაც" მხოლოდ მათ შეიძლება მოეწონოთ, ვინც ისეთ მოვლენებს ეძებენ, რომლებსაც პრაქტიკული დანიშნულება არ გააჩნია, მაგრამ ესთეტიკური ფუნქცია აქვთ: მაგალითად, ლექსებს და დეკორატიულ ბაღებს... მე მათ ნეგატიურ პოსტულატებად მივიჩნევ და ვცდილობ, ზოგიერთი მათგანი ლექსის — „ოდა მკვდარ კონფედერატების" — განხილვისას საილუსტრაციო მასალად გამოვიყენო.

II

ეს ლექსი სოლიფსიზმის თეორიის მიხედვით შეიქმნა, ფილოსოფიური მოძღვრებისა, რომელიც ქადაგებს, რომ ჩვენ სამყაროს მისი აღქმის პროცესში ვქმნით; შეიძლება იგი ნარცისიზმის ზეგავლენითაც დავწერე ანდა ნებიმიერი სხვა იზმისა, რომელიც ნათელყოფს ადამიანის მარცხს, ჰარმონიულად ცხოვრობდეს გარემომცველ ბუნებასა და საზოგადოებასთან. საზოგადოება (და თანამედროვე „ბუნება", რომელსაც საზოგადოება ქმნის), შეზღუდულ ასპარეზს გვთავაზობს ადამიანის ერთიანი არსის გამოსამჟღავნებლად, თანამედროვე ადამიანი თავის ენერგიას ნაწილ-ნაწილ ახარჯავს სხვადასხვა წვრილმან საქმიანობას. ჩვენს ეპოქაში, საზოგადოებას მონყვეტილნი, საკუთარი არსის ქექვას მივეჩვიეთ. ყველა საუბრობს ამ ნაკლოვანებაზე და საკმაოდ ბევრმა ისიც იცის, თუ როგორ გამოასწოროს იგი. როგორც მოქალაქეს, მეც მაქვს ჩემი რეცეპტი, მაგრამ, როგორც პოეტი, მე სოლიფსიზმის სევდისმომგვრელ ნაყოფს ვიმკი, და ეს ნაყოფი სულაც არ არის ის, რასაც მისი ფილოსოფიური არსი გვიქადაგებს.

გამიჭირდება სოლიფსიზმი და მკვდარი კონფედერატები რაციონალური არგუმენტით დავუკავშირო ერთმანეთს. ამგვარი მსჯელობით თავს გავისულელებ, რადგანაც ისეთი არაფერი ვუწყი სოლიფსიზმსა და მკვდარ კონფედერატებზე, რაც ასობით სხვა ადამიანმა არ იცის (შეიძლება სხვაზე ნაკლებადაც კი ვერკვევი ამ საკითხში: მკვდარ კონფედერატებს, სავარაუდოდ, ექნებოდათ გარკვეული პიროვნული მახასიათებლები, ხოლო მე მათ კრებით ორგანიზმად მოვიაზრებ. რაც შეეხება სოლიფსიზმს, მე გავწითლდებოდი იმ ფილოსოფოსთა წინაშე, რომელთაც ყველაფერი იციან ეპისკოპოს ბერკლის შესახებ. მე კი ამ ტერმინს მისი პირდაპირი ეტიმოლოგიით ვიყენებ). და თუ მე ვინმეს ეგოთი დაინტერესებას ნარცისიზმს ვუწოდებ, ლოგიკურად უვიცად წარმოვჩნდები, რადგან მხოლოდ იმას დავამტკიცებ, რომ მითოლოგიაში ვერ ვერკვევი. ნარცისიზმში მხოლოდ საკუთარი პიროვნებით ზედმეტ გატაცებას ვგულისხმობ, არა აქვს მნიშვნელობა, ეს სიყვარული იქნება თუ სიძულვილი. მაგრამ კარგმა ფსიქიატრმა იცის, რომ ნარცისიზმი მხოლოდ საკუთარი თავის სიყვარულს ნიშნავს და მას შეუძლია ამ თემაზე უფრო თანმიმდევრულად ილაპარაკოს, თქვას ამის შესახებ გაცილებით მეტი, ვიდრე მე ოდესმე ვიმედოვნებ ან მსურს, რომ ვიცოდე. და ის მავანი ფსიქიატრი პროფესიული თვალით დამაკვირდებოდა, თუკი მე ვიტყოდი, რომ ჩვენი მგრძნობიარობის ციყვის გალია, ჩვენი დროისათვის დამახასიათებელი მეტისმეტი თვითჩაღრმავება რაიმე კავშირშია მკვდარ კონფედერატებთან.

მაგრამ საინტერესოა, თვით ეს მავანი ექიმი რა თვალით უყურებს ლიტერატურას, რას ფიქრობს, როდესაც მის წინაშე ზღვა დუღს და ღორები დაფრინავენ, რადგან, თუკი პოეტი ნიჭიერია, პოეზიაში ასეთი რამ შესაძლებელია. ყველაფერი შესაძლებელია, რადგანაც ლექსში შეუსაბამო ელემენტები შეკავშირებულია არა ლოგიკის ძალით, რომელიც საგნებს გარკვეულ კატეგორიებად ყოფს და ურთიერთშეპი-

რისპირების კანონს უმორჩილებს, არამედ პოეზიაში ისინი თავმოყრილნი არიან, როგორც ადამიანის მიერ განცდილი და გამოცდილი ელემენტები, რომლებიც ლოგიკის მიღმა დგანან, თუმცა, თავის მხრივ, ლოგიკაც კიდევ სხვა გამოცდილების ნაყოფია. ნებისმიერი გამოცდილება გულისხმობს კონფლიქტს, ასეთია ჩვენი ბუნება, ხოლო ნებისმიერი კონფლიქტი შეიცავს დრამას. დრამატული გამოცდილება არ ექვემდებარება ლოგიკას, იგი შეიძლება შერბილებული იყოს მხოლოდ თანმიმდევრულობით, რომელსაც კრიტიკული ლიტერატურა ფორმის ელემენტად მიიჩნევს. მართლაც, ყველა კონფლიქტი, რომელსაც ლიტერატურა ასახავს და რომელიც ადამიანურ გამოცდილებაზეა აგებული, ყოველთვის შეიცავს ლოგიკურ დაპირისპირებას ან ფილოსოფიურ ანტინომიას. სერიოზული პოეზია ეხება ისეთ ფუნდამენტურ კონფლიქტებს, რომელსაც ლოგიკა ვერ წყვეტს: ჩვენ შეიძლება რაციონალურად მივუდგეთ კონფლიქტს, მაგრამ მიზეზის გაგება ვერ შეგვიმსუბუქებს მას. მისი საბოლოო შედეგი არის ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ფორმალური ხელახლა ქმნადობა, რომელიც „ყინავს" გამოცდილებას, ფორმულის სახეს ანიჭებს მას ისევე, როგორც ლოგიკა, მაგრამ პოეტურ ფორმულაში ლოგიკას ადგილი არ აქვს.

ნარცისიზმი და მკვდარი კონფედერატები ლოგიკურად ან თუნდაც ისტორიულად ერთმანეთს არ უკავშირდება. ისტორიული ურთიერთმიმართება დადასტურებული ფაქტიც რომ იყოს, ეს მაინც არ იქნება კავშირი ხელოვნების თვალსაზრისით, რადგან მშრალი ისტორიული ფაქტები მხატვრულ განცდებად ვერ ჩაითვლება. ასეთი კავშირი არ შეიძლება არსებობდეს სადმე, გარდა ლექსისა, რომელიც თვითონვეა განცდილი კონფლიქტი. რადგანაც კონფლიქტის მონაწილენი კონფედერატები არიან, ლექსი, თუ იგი წარმატებული აღმოჩნდა, იქნება განცდებად ქცეული ისტორიული ფაქტები, რომლებიც ამჯერად პოეზიის თემად გამოდგა. თვით ამ ლექსის ავტორსაც კი არაფერი ესაქმება რეალურ ისტორიულ ფაქტებთან, მარტოოდენ ის შეუძლია, რომ იგი მხატვრულ რეალობად აქციოს.

გამგები გაიგებს, რომ მე ოდნავადაც არ მივილტვი ამ ლექსში იმ ორი „იდეის" შერწყმისაკენ, რომლებზედაც უკვე ვისაუბრე. უბრალოდ აღვწერ იმ დაძაბულობასა და შრომას, რაც იდეათა ლექსად გადამუშავებას სჭირდება — ის ფაქტი, რომ ჩემი შრომა ათი წელი გრძელდებოდა, კარგად გვიჩვენებს, რომ სრულიადაც ვერ ვგრძნობდი თავდაჯერებას და ვერც ახლა ვგრძნობ. ყველა მცდელობა გავარკვიოთ, კარგია თუ არა ჩემი ლექსი, ვარგა თუ არა იგი სტილისა თუ ვერსიფიკაციის თვალსაზრისით, ბოლოს ერთ წერტილამდე მიგვიყვანს, საბოლოოდ პასუხი — კი ან არაერთ კითხვას უნდა გაეცეს: კონფედერატები და ნარცისიზმი ერთად ნაძალადევად არიან შეყრილნი თუ ავტორმა შეძლო მკითხველი დაერწმუნებინა, რომ ამ კერძო შემთხვევაში ასეთი კავშირი აუცილებელია? აუცილებელში ვგულისხმობ დროულს, კავშირს, რომელიც მხატვრული თვალსაზრისით არის აღმოჩენილი კერძო შემთხვევის მონაწილეთა შორის, და არა ისტორიულად დამტკიცებულსა და ფილოსოფიურად დამოწმებულს. თუკი ამ შეკითხვას, რაც ახლა დავსვი, დადებითად ეპასუხება, მაშინ ეს ლექსი ან ნებისმიერი სხვა, რომელსაც თავისი პრობლემატიკა აქვს, შეიძლება ითქვას, რომ შედგა: ადრე ის იყო ცხოვრების ის მხარე, რომელიც მხოლოდ შეგრძნების დონეზე ვიცოდით — ახლა კი გახდა გამოკვეთილი, ცხადი, დრამატული და „ფორმულარული"— და ეს არის ლექსის მიზანიც.

**ინგლისურიდან თარგმნა**
**ანი კოპალიანმა**



ეკა ბუჯიაშვილი

# ის ხედავს სიზმრებს... არაჩვენებურს

*

## ლია სტურუას პოეზიის საღამო

ლექსებს წაგვიკითხავს...

გამოქვეყნებისთანავე სრულიად ახლებურ სიტყვად რომ გამოჩნდნენ, არაერთგვაროვანი გამოხმაურებაც რომ მოიყოლეს, გამორჩეული კვალი რომ დააჩნიეს სალიტერატურო პროცესს და საკუთარი ნიშაც შექმნეს ქართულ პოეზიაში... აი, ასეთ ლექსებს წაგვიკითხავს.

გვეტყვის, რომ ამ ბოლო ხანს დიდად აღარ იტაცებს ეს საქმე, მაგრამ არის ოაზისები, სადაც ლექსის კითხვა უხარია. ასეთ ოაზისად მიაჩნია ჟურნალ „ჩვენი მწერლობის" სალონიც, სადაც ყველა და ყველაფერი ახლობლად მიაჩნია. აი, ეს ფართოდ გადაშლილი გვიმრაც კი, შემოსვლისთანავე რომ შეეგებება-ხოლმე. ამბობს, რომ ხშირად, როცა ადამიანები აწყენინებენ, მცენარეები უშუშებენ ტკივილს. ნაცნობი ხეებიც კი ჰყავს — ერთი თავისი სახლის ფანჯარასთან, რამდენიმე კიდევ — ბორჯომში.

— ასეთ „ნაცნობთაგანია" ეს გვიმრაც და მჯერა იმ ღელვას დამაძლევინებს, ახლა რომ განვიცდიო, — იტყვის ქალბატონი ლია სტურუა ჟურნალ „ჩვენი მწერლობის" სალონში, სადაც მისი პოეზიის საღამო გაიმართა.

— თუ ვინმე ქმნის დღეს სალიტერატურო პროცესს — ისეთს, რომელიც არის ღირსი იყოს ნაწილი ევროპული ლიტერატურისა, მათ შორის ქალბატონი ლიაც იგულისხმება, — თქვა შეკრებაზე **როსტომ ჩხეიძემ,** —

მის გამოსვლას სალიტერატურო ასპარეზზე მაშინვე მოჰყვა ხმაური. ზოგი სიხარულით შეეგება, ზოგიც ამრეზით, მაგრამ ესეც საჭიროა და აუცილებელი სალიტერატურო ცხოვრებისთვის.

არჩეული გზიდან არასოდეს გადაუხვევია, რადგან რასაც იგი წერდა, სრულიად ბუნებრივი იყო და არ ცდილობდა ხელოვნურად დაეცვა კლასიკური საზომები. ამიტომაც მოახერხა, რომ თავისუფალ ლექსში თავისი ხმა ეპოვნა — განსხვავებული, ორიგინალური, თუმცა ისიც ბუნებრივია, რომ წლების შემდეგ კლასიკური ჰარმონიაც მოენატრა და სონეტები გამოაქვეყნა.

ბოლო წლებში მისი პროზაული ქმნილებებიც გამოჩნდა — მხატვრულ-დოკუმენტური პროზის შესანიშნავი ნიმუშები, როგორც არა დამატება მისი პოეზიისა, არამედ სრულიად დამოუკიდებელი და თანაბარი ძალით შექმნილი ნაწარმოებები.

ქალბატონი ლიას მოღვაწეობის კიდევ ერთი ასპექტი არის ის, რომ იგი იმავე რანგის მკვლევარია ლიტერატურისა, რა სიმაღლისაც არის მისი პოეზია. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ იგი კარგი ორატორია, საუკეთესო მკითხველი თავისი ლექსებისა. ამის დასტური ეს შეკრებაც იქნება.



ლია სტურუა

* * *

**დალილა ბედიანიძე:**

„— ლია სტურუას პოეტური შემოქმედება მრავალმხრივ არის საინტერესო. იგი გამორჩეული პოეტია იმ თვალსაზრისით, რომ არის უაღრესად თანამედროვე და მისი პოეტური სამყარო ხასიათდება ევროპული აზროვნებით, ამასთან — ქართული სინამდვილითაც არის ნასაზრდოები. მისი პოეზია ინტელექტუალურია, ემყარება განსწავლულობას და მოითხოვს განათლებულ, გათვითცნობიერებულ, კვალიფიციურ მკითხველს. ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, ფრიად ელიტარულია და მოუმზადებელი მკითხველი მისგან სიამოვნებას ვერ მიიღებს.

ლია სტურუას ლექსების ერთ-ერთი მასაზრდოებელი წყარო არის ფოლკლორი, როგორც ქართული, ასევე — ანტიკური. ანტიკური მითოსია გამოყენებული ლექსებში: „ოდა სიზიფეს“, „პენელოპე“, „ანტიკური სონეტი“, „სიზიფეს ლოდი“, ხოლო ქართული — „წიქარა“, „სამშობლო“, „ხომ შეიძლება“, „ქალის ვედრება ღვთისმშობლის მიმართ“, „გამიგონია, მთიელ ხვარამზეს,“, „ბალადა მოჭრილ მარჯვენაზე“, „წითელა ბატონები“.

როგორც ანტიკური, ასევე ქართული მითოსისადმი პოეტის დამოკიდებულება შემოქმედებითია. იგი მითოსიდან იღებს და შემოქმედებითად ითვისებს როგორც სიუჟეტს ამა თუ იმ მითისა, ასევე ცალკეულ მხატვრულ სახეებსა და თემებს. ზოგჯერ ხალხურ ლექსსაც იყენებს პერიფრაზად (მაგალითად: „ხეკორძულას წყალი მისვამს“). ფოლკლორული სიუჟეტები და მხატვრული სახეები თანამედროვე ზნეობრივ პრობლემატიკასთან არის შეჯვარებული და მათ კათარზისული დანიშნულება აქვთ (მაგალითად: „ბალადა მოჭრილ მარჯვენაზე“ — ანუ პოეტის იმპროვიზირებული გასამართლება საქმოსანი და მედროვე „მსაჯულების“ მიერ). ფოლკლორი თემატურადაც ამდიდრებს ლია სტურუას შემოქმედებას და თითოეულ თემას ამუშავებს თავის მდიდარ სულიერ ცხოვრებასთან შერწყმით, სულიერ პრობლემათა გადაწყვეტის წარმატებითი მცდელობით.

ანტიკური მითოსის გამოყენებას საერთაშორისო ასპარეზზე გაჰყავს ლია სტურუა, მსოფლიო კულტურას ნაზიარები მკითხველის გულის გასახარად, ხოლო ქართული ფოლკლორი ეროვნულ მუხტს აძლიერებს მის ლექსებში“.

**გივი ალხაზიშვილი:**

„— მე კარგად მახსოვს უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის (ბესარიონ ჟღენტი რომ ხელმძღვანელობდა) ერთი მძლავრი თავდასხმა ჩემზე, რომლისგანაც სწორედ ქალბატონმა ლიამ მიხსნა.

მისი პირველი ლექსები ჯერ კიდევ შეიცავდა ნიშნებს გალაკტიონის პოეზიის გავლენისა. იყო დისონანსებით და ასონანსებით აწყობილი და, გარკვეულწილად, კონვენციური.

ლია სტურუას პოეზიაში უმთავრესია შეგრძნებათა ენა, რითაც იგი 60-იან წლებშივე გამოირჩა სხვებისგან. მისი პოეტიკა სრულიად განსხვავებულია და არასოდეს არავის ლექსში არ აგერევა.

როცა ვამბობთ, რომ იგი არის ევროპული ყაიდის პოეტი, იგულისხმება ის, რომ ლია სტურუას პოეზია თავის თავში მოიაზრებს სიურრეალისტურ დამოკიდებულებებს. რეალურისა და ირეალურის ზღვარზე ბევრი პოეტი დგება, მაგრამ ასეთი სტილისტიკით არა. მინდა მივულოცო მას ეს დღე და კიდევ ბევრი წარმატება ვუსურვო“.

**ნაილი ნეკერიშვილი:**

„— ძალიან რთული და მკაცრია ჩვენი დრო... და აჩქარებულიც. ჩვენ არ ვცხოვრობთ ათასი წელიწადი, ძალიან ცოტა ხნით გვხვდა წილად ამ წუთისოფელში ყოფნა... და ასეთ ყოფაში თქვენს პოეზიას შემოაქვს მთელი სამყარო ისეთი იმპულსით, როგორიც არის სამშობლოს განცდა...

თქვენს შემოქმედებაში არის არაჩვეულებრივი სახე დედისა და ეს ყველაფერი მიმაჩნია იმ დიდ დროდ, იმ „დიდ დედად“, უდიდესი წარმართობიდან უდიდეს ქრისტიანობამდე რომ მოგვიყვანა. თქვენ გაქვთ არაჩვეულებრივი

პოეტური სიტყვა, რომლის მსგავსი განახლება იქნებ არც არავის პოეზიაში მიგრძვნია ასე მძაფრად. თქვენ თქვენი ლექსით მუდმივად გადიხართ სწორედ იმ წრებრუნვას — წარმართობიდან უდიდეს ქრისტიანობამდე, ყოვლწამიერად ივსებით ამით და სიტყვასთან მიმართებაში ყოველთვის იღებთ ძალზე ბრძნულ გადაწყვეტილებას.

ჩემთვის ერთ-ერთი გამორჩეულია ქალის ფეხებზე შემდგარი ტაძრის სახე — ეს იმ პოეტური ხატთაგანია, ღრმად რომ ვინახავ ჩემს სულში..."

**დავით წერედიანი:**

„— ლია სტურუას პოეზია ძალზე დიდი და მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართულ ლიტერატურაში. პირადად მე თავს უფლებას ვერ მივცემ ასე სახელდახელოდ ვიმსჯელო ამ ყველაფრის შესახებ — ვიცი ჩემი ამბავი — საკუთარ სიტყვებში გავიხლართები, ამიტომ მინდა მხოლოდ მადლობა ვუთხრა მას იმისათვის, რომ ასეთი მშვენიერი წუთები გვაჩუქა!"

* * *

— სიტყვა ლია სტურუას პოეზიაზე რთულიც უნდა იყოს და მორთულიც, მაგრამ ამ სიტყვის წარმოსათქმელად რთული არ უნდა იყოს, რომ აღიარების ნიშნად ვთქვათ: ლიას პოეზიაო, — ასე დაიწყებს თავის გამოსვლას ბატონი **შოთა ბოსტანაშვილი** და ჩვეული ორიგინალური შეფასებით მიმოიხილავს როგორი შეიძლება იყოს სიტყვა ლიას პოეზიაზე. მისი თქმით, ეს შეიძლება იყოს სიტყვა კულტურის ნიშანთა სიმრავლეზე, სტილურ და ჟანრობრივ ნაირგვარობაზე, გნებავთ, მეტაფორათა სიუხვეზე, მეტაფიზიკურ, სიურრეალისტურ და სხვა გატაცებებსა თუ ა(ლ)ტაცებებზე, ვერლიბრის პილიგრიმობაზე, თეთრი ლექსის ადეპტზე, ცოდვასა თუ ცოდნაზე, თეთრი ლექსის ჩასახვაზე ქართულ პოეზიაში... ეს შეიძლება იყოს სიტყვა „დაკეტილ სახლ-კარზეც", მიუსაფრობაზეც, დაკარგული გასაღების ძიებაზეც, რაღაც კარნავალურზეც... არა მარტო სიტყვის წყაროზე და მისი ნაკადის ხასიათზე, არამედ ენერგიაზეც, სიუხვეზეც, ვარდნის სიმაღლესა და მისგანვე ასხლეტილ შხეფებსა და ანარეკლებზეც, მოდერნიზმის ექოსა და რუსთაველთან პოეტურ რეინკარნაციაზე...

— ლია სტურუას ქალური პოეტური იდეა და იდეალი თავად გადაიქცა განსიტყვებულ მშვენიერ ქალად. ამ ქალში ცხოვრობს ჩვენი თითო (და თოთო) საუკეთესო მე, მათ შორის ჩემიც...

ჩვენ ვიცით განკაცებული სიტყვა, ჩვენ ვიცით გალაკტიონი — განსიტყვებული კაცი, და ამიტომ ჩვენ ვსწავლობთ სიტყვას ლიას პოეზიაზე — ეს არის სიტყვა ახალ ნარგავზე ქართულ პოეზიაში, რომლის გარშემო დღეს უკვე მთელი ბაღნარია გადაჭიმული. ამ ბაღში ლია, მისი ვერლიბრელი მეგობრის, ბესიკ ხარანაულის ამბა ბესარიონივით მიდის და მილაპარაკობს, — იტყვის ბატონი შოთა.

მეტაფორებზე გაამახვილებს ყურადღებას თავის გამოსვლაში ქალბატონი **მაია ჯალიაშვილი**, მეტაფორებზე, როგორც ლია სტურუას პოეტური აზროვნების საყრდენზე და აღნიშნავს:

„— ლია სტურუა ბუნებით ესთეტია. ის მშვენიერებად აქცევს ყოველივეს, რისკენაც ფიქრს წარმართავს და რასაც მხატვრული სახეებით მოიხელთებს. იგი წერს კიდეც ერთგან, „სინატიფე მომისაჯესო". ამ თვალსაზრისით, მოდერნისტებს წააგავს, მისთვის ახლობელია უაილდისეული ესთეტიზმი. ის არ ცნობს სიმახინჯეს, მისთვის ყოველივე და, მათ შორის უსახურებაც, არტეფაქტად იქცევა და კეთილშობილდება.

ლია სტურუა მეტაფიზიკოსია. პოეზიით ცდილობს და ახერხებს კიდეც სიტყვათა მიღმა გასვლას, როგორც გრიგოლ რობაქიძე იტყოდა, სიტყვათა ასტრალურ სხეულებს მოიხელთებს, ემოციასა და ინტელექტს ისე შეაზავებს, რომ ზღვარის დადგენა ჭირს. სიტყვა მის პოეზიაში სუნთქავს, ფეთქავს, იზრდება და ფერად, მუსიკად თუ სურნელად გარდაიცვლება, რათა კვლავ ახლიდან იშვას და ლექსების პოეტურ განზომილებაში გააგრძელოს მარადიული და უსასრულო ცვალება.

სიტყვა ლია სტურუას პოეზიაში ღმერთია, პირველითგან რომ იშვა. სიტყვა მისთვის ხსნაა. ამ გზით აღწევს იგი თავს მატერიალურ სამყაროზე მიჯაჭვულობას. ის ინტელექტუალი პოეტია, ჯონ დონისეული მეტაფიზიკური მედიტაციებით რომ ცდილობს სამყაროს მთლიანობაში გააზრებას, დაფარული კანონზომიერებების მოხელთებასა და აღბეჭდვას.

ლექსი მისთვის თვითონვეა ერთგვარი შემოქმედი, რომელიც შექმნის პროცესშივე იძენს დამოუკიდებლობას და თვითონ კარნახობს პოეტს ცხოვრებას. რემბო წერდა: „შეცდომაა თქვა: მე ვფიქრობ, უნდა ითქვას: მე მფიქრობენ". რაღაც ამდაგვარი შეიგრძნობა ლია სტურუას პოეზიაში, იგი გადმოგვცემს, რას ფიქრობს მასზე ჰაერი, ღრუბელი, წიგნი თუ ხე... თვითონ გამტარივითაა, მედიუმივით, ჩვენამდე მოაქვს "უსულოთა და უასაკოთა" ვნებანი".

* * *

**დალი ფანჯიკიძე:**

„— მე მაინც მთარგმნელის თვალით ვუყურებ ხოლმე პოეზიას და მაინტერესებს მთარგმნელები როგორ ეპყრობიან თქვენს... ტექსტებს (ასე დავარქმევ, რადგან დღეს ძალზე მოდური ტერმინია)? ხომ არ ცდილობენ მეტაფორების დეკოდირებას, ტრადიციულზე დაყვანას? ხომ არ ამარტივებენ მხატვრულ ხერხებს და ხომ არ გამოარჩევდით ვისიმე თარგმანს, რომელზეც შეგიძლიათ თქვათ, რომ მოგწონთ და მასში საკუთარი თავი იცანით?"

**ლია სტურუა:**

„— საქმე ის არის, რომ წლების მანძილზე ჩემს ლექსებს ძირითადად მაინც რუსები თარგმნიდნენ, ახლა კი მათთან ურთიერთობები, მიზეზთა გამო, განყდა. ყოველთვის მომწონდა იუნა მორიცი... ბელა ახმადულინა შესანიშნავი პოეტია, მაგრამ რატომღაც მისთვის არასოდეს მიმიცია ლექსი, შესაძლოა იმიტომ, რომ სათარგმნი ტექსტი მისთვის ყოველთვის იყო საბაბი თავისი ლექსის დასაწერად.

პირადად მე არასოდეს მითარგმნია, მაგრამ რომ შევჭიდებოდი ამ საქმეს, ალბათ მეც თავისუფალ თარგმანს ვარჩევდი, ამიტომაც არ მოვკიდე ხელი. საერთოდ, ლექსი უნდა ითარგმნოს ოსტატურად და აუცილებლად ორიგინალზე დაყრდნობით. რაც შეეხება

მეტაფორებს, აკი გითხარით კიდეც, ჩემს პოეზიას ძირითადად იუნა მორიცი თარგმნიდა და მისი გადაწყვეტილება ყოველთვის მომწონდა. შესაძლოა რომელიმე იდიომი განსხვავებულად გადაჰქონდა, მაგრამ მთლიანობაში ის ჩემი ლექსი იყო.

ჩემი პოეზია უთარგმნიათ სხვა ენებზეც, მაგრამ რაკი ის ენები არ ვიცი, ვერც თარგმანის ხარისხზე მოგახსენებთ რამეს".

**როსტომ ჩხეიძე:**

„— როდესაც მორიცის თარგმანები დაიბეჭდა, გამოხმაურება თუ მოჰყვა რუსი კრიტიკოსების მხრიდან?"

**ლია სტურუა:**

„— თავის დროზე — კი, მაგრამ ეს იმდენად დიდი ხნის წინათ იყო, ნიუანსები დამავიწყდა კიდეც. ზოგადი შთაბეჭდილებებით — მოეწონათ. მახსოვს ერთ დღეს დამირეკეს და მითხრეს: თქვენთან შეხვედრა ევტუშენკოს უნდაო. შეხვედრისას მან აღნიშნა, ისეთი მეტაფორები გაქვთ, თქვენი გაცნობა გადავწყვიტეო.

კიდევ ერთი საინტერესო შემთხვევა მინდა გავიხსენო: პირველად რომ დავბეჭდე ლექსი (რომლის მერეც ცეკას პლენუმში არ გაუშვიათ და გაზეთი არ გამოცემულა, იქ ჩემი ლანძღვა არ ყოფილიყო), დიდი ხმაური მოჰყვა სტრიქონებს: ფიროსმანს უყვარდა ცა და არაყი, სხვა ყველაფერი ფეხებზე ეკიდა. მახსოვს, მაშინ ცეკას მდივანი გეგეშიძე იყო და ფორმულირებაც კი დამახსომდა მისი ფრაზისა, თითქოს მე შევლახე ქართველი ქალის კდემამოსილება...

აი, ამ ლექსის გამო ნოდარ ჩხეიძე მიყვებოდა: მე და გურამ რჩეულიშვილმა წავიკითხეთ, რატომღაც გადავწყვიტეთ, რომ ქუთაისელი იქნებოდი და ღამის ორ საათზე ვაჩერებდით ტაქსს, ქუთაისში მივდიოდით შენს გასაცნობადო".

**როსტომ ჩხეიძე:**

„— რომელი პოეტების გავლენას განიცდიდით თავდაპირველად და ახლა ვისთან გრძნობთ სულიერ სიახლოვეს?"

**ლია სტურუა:**

„— განვიცდიდი და განვიცდი ყველა იმ პოეტის ზეგავლენას, რომელიც მომწონდა და მომწონს. არა მხოლოდ პოეტის, მხატვრისაც, კინორეჟისორისაც, მუსიკოსისაც... ეს რაღაცნაირი სიმბიოზია, აი, ისეთი, სიმბოლისტები რომ ამბობენ: სიტყვა ესთეტიკური ფენომენია, რომელიც მოიცავს მუსიკასაც და ფერსაცო. რაკი პირველად იყო სიტყვა და იგი იყო ღმერთი; რაკი ხან ბურთივით გამოჩხირება-ხოლმე, ხანაც სიყვარულივითაა, დამყოლია... ამ ყველაფრის გამო სიტყვასთან ურთიერთობა ჩემთვის საოცარი რამ არის... და იმ პოეტების ჩამოთვლაც, რომელთა გავლენასაც განვიცდიდი, ძნელი იქნება ჩემთვის..."

**როსტომ ჩხეიძე:**

„— სულიერ ნათესაობას ვგულისხმობდი..."

**ლია სტურუა:**

„— სულიერი ნათესაობა, შესაძლოა, აბსოლუტურად სხვადასხვა პოეზიას მოიცავდეს. ასეთებად მიმაჩნია: დავით წერედიანი, გივი ალხაზიშვილი, ბესიკ ხარანაული... ბევრი ახალგაზრდაც მომწონს: მაია სარიშვილი, შოთა იათაშვილი, გეთიაშვილი..."

**როსტომ ჩხეიძე:**

„— რას იტყოდით ანა კალანდაძის პოეზიაზე?"

**ლია სტურუა:**

„— რა თქმა უნდა, ძალიან მომწონს, თუმცა ძალზე განსხვავებული პოეზიაა ჩემთვის".

* * *

**მანანა კვაჭანტირაძე:**

„— ჩვენ ყველას გვახსოვს, რომ ეს ორი სახელი — ლია სტურუა და ბესიკ ხარანაული სრულიად გამორჩეული მოვლენა იყო ჩვენს ლიტერატურაში. სხვათა შორის, ეს დრომაც დაგვანახა. ჩვენ მაშინ ძალიან გვიჭირდა ამ ორი სახელის დაკავშირება წინამორბედ პოეტებთან, თუმცა ახლა, როცა უკვე პროფესიონალური კუთხიდან ვუყურებ ამ ყველაფერს, ვასკვნი, რომ რამდენადაც ის გვიჭირდა, იმდენად მიადვილდება დავინახო მათი სიახლოვე მომდევნო თაობის პოეტებთან. ბესიკ ხარანაული ჩემთვის თანამედროვე პოეზიაში მამაკაცური საწყისის გამოხატულებაა, ლია სტურუა კი — ქალურისა.

ვუსმენდი ახლა ქალბატონ ლიას და ვფიქრობდი, რომ პოეზიის, პოეტური აღქმის და, მით უფრო, შექმნის ნიჭი, საოცარი რამ არის და ამ თვალსაზრისით ის ძალზე ძლიერია. მაშინაც ძლიერი იყო, როცა 60-იან წლებში შეეძლო ეთქვა: „მე არ გავჩენილვარ კაცის ნეკნიდან, მე არ შემიცდენია არავინ, მე ყელზე ცხელი მზეები მეკიდა და სულში სიკეთეს ვფარავდი".

ლია სტურუამ აბსოლუტურად ახლებური ხატი შექმნა ქალისა, ეს იყო გარკვეული გაბედულება, პროტესტი ან, იქნებ, თავხედობაც კი, მაგრამ ეს იყო, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავის რწმენა. მხოლოდ ნიჭიერ ადამიანს შეუძლია ასე ხმამაღლა თქვას ასეთი რამეები. ეს სითამამე ჩანს მის რაღაცნაირად კაშკაშა მეტაფორებშიც, დიდი სინათლე რომ ახლავს.

სულ არ მიკვირს ის, რომ უამრავი „იზმი" ჩამოითვალა ახლა ლია სტურუას შემოქმედებაზე საუბრისას. ეს არის ძალზე თანამედროვე, მთელი XX საუკუნის მომცველი პოეზია თავისი ტრადიციით, პოტენციური შესაძლებლობებით (აქ მეტაფიზიკური პოეზია და ჯონ დონიც კი ახსენეს ამ საკითხზე საუბრისას). მინდა აღვნიშნო კიდევ ერთი გამორჩეული ნიშანი მისი შემოქმედებისა — ინტელექტუალურობა. სწორედ ამ კალაპოტშია მოქცეული ლია სტურუას პოეტური ნაკადი. ეს ინტელექტუალიზმი გულისხმობს იმას, რომ პოეტს ენის მიმართ აქვს ისეთი დიდი პასუხისმგებლობა, რომ ახერხებს თავისი ძალზე ინტენსიური და მჟღერი სახეები თუ შეგრძნებები ანალოგიურ ენობრივ ფორმაში მოაქციოს. ლია სტურუამ ამ თვალსაზრისითაც, ბევრი ახალი შესაძლებლობა გახსნა.

როლანდ ბარტი ამბობს, რომ პოეზიაში არის ლოცვითი საწყისი. აქ ბატონმა შოთა ბოსტანაშვილმა ბრძანა, რომ სამყარო ფრაგმენტულად არის დაშლილი და პოეტი უკვე ენობრივ ფრაგმენტებში ეძებს საკუთარ თავს, მაგრამ მე ასე არ მიმაჩნია. ჩემი აზრით, თუ პოეტი ჩვენზე მოქმედებს, ეს უკვე არის ემოციებში ძიება, სამყაროსთან იმ ჩვენი პირვანდელი ურთიერთობის აღდგენის მცდელობა, რომელიც ყოველთვის არის პოეზიაში. ბედნიერია

ადამიანი, რომელსაც შეუძლია სამყაროსთან ერთიანობის განცდა მოიხელთოს (ხანდახან მაინც). აბა, სხვა რა არის ლოცვითი საწყისი, თუ არა ეს განცდა, მისი პერსონიფიკაცია ღმერთში... და ყოფიერებაში, რომელიც ჩვენს არსებობას მოიცავს".

**მაკა ჯოხაძე:**

„— ჩემი გოგოობიდან გამოყოლილი განცდა — ლია სტურუას სახელის ხსენებისას დედამიწა რთული, ნარინჯისფერი ხილვებით ილებება... ისინი ერთგვარი კვეთის ფუნქციასაც ასრულებენ, ანუ „მანვნის დედისას", როგორც პოეტს უყვარს თქმა. ამ შედედების უნარის წყალობით ისინი თავს უყრიან ადამიანური არსებობის სუბსტანციას, გაფანტულ, მოწამლულ ჰაერში გამონაბოლქვ, დაქუცმაცებულ სათნოებას, სიკეთეს, სიყვარულს, მუსიკას.

მათ გვერდითაა ბავშვები, ხეები, ძაღლები, ლია სტურუას ლექსების განუყრელი მოწმეები, მეგობრები, მსაჯულები.

ძაღლები! — თავიანთი უცნაური ერთგულებით, საკუთარი ღირსების ილუზიას რომ გვიქმნიან.

ბავშვები! — ჩვენი ცხოვრების ძახილის ნიშნები!

ლია სტურუას პოეზიაზე საუბრისას რაიმე აზრის ან ვერსიის საილუსტრაციოდ თითქმის შეუძლებელია მისი ლექსებიდან ამა თუ იმ ფრაგმენტის ციტირება. ეს მით უფრო საკვირველია, რომ მის სტრიქონებს არ აერთიანებს ტრადიციული ჯვარედინა ან პარალელური რითმა და რიტმი, რომელთა დატეხვაც გაფატრავდა ლექსის ერთიან მუსიკალურ ქსოვილს, დაჰკარგავდა აზრის მუსიკალობას და მოტივის გაფანტულ ბგერებს იმპულსებად დატოვებდა.

ერთი შეხედვით დაუმორჩილებელი, უსისტემო ხელწერა ლია სტურუას პოეზიაში მკაცრ შინაგან ლოგიკას ემორჩილება. ესაა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მხატვრული ლოგიკა და, რაც მთავარია, გამუდმებული ლტოლვა ჰარმონიისაკენ, გამუდმებული ძებნა მონატრებული მელოდიისა.

ლია სტურუას პოეტურ ხილვებს ყოველთვის ამქვეყნიური ვალი და სიმძიმე ადევს მხრებზე, ოღონდ ვფიქრობ, რომ ბოლო პერიოდის პუბლიკაციებში საკუთარი ხილვების უსიერ ტალანებს საკუთარი ხელითვე დაუწყო გაკაფვა. მეტაფორები თვითონვე გააფრინა, არ ვიცი სად (თბილ ქვეყნებში?) და როდემდე. არც ის ვიცი, რატომ...

იქნებ იმიტომ, რომ მეჩხერ ტყეში უკეთ გამოჩნდეს ცულისპირზე დატეული სიყვარული, რომელსაც თანდათან ჰკარგავს საზღვრებმორღვეული სამყარო".

* * *

„— ლია სტურუას შემოქმედებაზე დაუსრულებლად შეიძლება საუბარი. პირადად ჩემთვის ის ერთ-ერთი გამორჩეული პოეტია საქართველოში. როცა პირველად წავიკითხე მისი ლექსები, მაშინვე მივხვდი, რომ ეს პოეზია — აღმაფრთოვანებელიც და შერისხულიც — იყო სრულიად განსხვავებული რამ. ახლა კი მინდა გავიხუმრო — წარმოვიდგინოთ, რომ ბელა ახმადულინა ჩამოვიდა ლია სტურუას საღამოზე და ესალმება თავისი ლექსით. მე ვიცი, რომ ის დიდ პატივს სცემს ლიას შემოქმედებას, ქართული ლიტერატურის უმნიშვნელოვანეს და გამორჩეულ სახელებს შორის, მისთვის ლია სტურუაც არის. მას პირადად უთქვამს ამის შესახებ ჩემთვის", — იტყვის ქალბატონი **მზია ხეთაგური** და კიდევ ერთხელ დაგვიდასტურებს თავისი ნიჭის მრავალმხრივობას, როცა შესანიშნავ პაროდიას წარმოგვიდგენს რუსი პოეტი ქალისა და იმპროვიზირებული სტრიქონებით მიმართავს ქალბატონ ლიას, ზუსტად რომ მიუსადაგებს ლექსსაც და განწყობილებასაც.

* * *

**როსტომ ჩხეიძე:**

„— ქალბატონო ლია, თქვენ დიდი წარმატება მოიპოვეთ პროზაშიც და ხომ არ აპირებთ ამ ჟანრში მუშაობის გაგრძელებას?"

**ლია სტურუა:**

„— მგონი არა, მაგრამ იმ ყველაფრის თავიდან გამოცემა კი ნამდვილად მინდა, რადგან რაღაცები შევცვალე.

აქ „იზმები" ახსენეს და, მინდა გითხრათ, რომ კონსტანტინე ლორთქიფანიძემ, ვიდრე გამიცნობდა და დავმეგობრდებოდით, ასეთი რამ მითხრა: შენ გარყვენი ახალგაზრდობა შენი სტურუიზმებითო".

**ვახტანგ ბახტაძე:**

„— ქალბატონო ლია, რას იტყოდით ასე მოძალებულ გლობალიზმზე და რამე თქვენეული რეცეპტი ხომ არა გაქვთ მის შესაჩერებლად?"

**ლია სტურუა:**

„— გლობალიზმი ჩემთვის ძალზე მტკივნეული თემაა. არ შეიძლება პოეტი მისი წინააღმდეგი არ იყოს! არ შეიძლება მოგიშალონ სამშობლო, შენი სიტყვა, თვითმყოფადობა...

მე არ ვარ იმდენად ოპტიმისტი და არ მჯერა, რომ ბოლოს გლობალიზაცია არ გაიმარჯვებს, ერები არ მოისპობა და ეს სტიქია არ წალეკავს სამყაროს, მაგრამ პირადად მე სისხლის ბოლო წვეთამდე ვიდგები იქ, სადაც არის ჩემი ენა, ჩემი რწმენა და ფესვები.

როცა ახალგაზრდა ვიყავი, სულ მაბრალებდნენ პატრიოტიზმის ნაკლებობას (რადგან ჩემს ლექსებში არ იყო „გაუმარჯოს საქართველოს" და გულზე ხელს არ ვიბრაგუნებდი), ახლა ისე მომეძალა ეს გრძნობა, მაქსიმალურად გამოვთქვამ და, შესაძლოა, ცოტა ზედმეტიც მომდის, თუმცა... თუ ადამიანს არ აქვს სიტყვა, ე.ი. მას არ ჰყავს ღმერთი, სიტყვა ღვთის ერთ-ერთი სახეა. საბრალოა, ულმერთო და ურწმუნო ადამიანი, ამიტომ არ შეიძლება მოგეშალოს შენი რწმენა, შენი სამშობლო... რუსთაველზე ორი ჭადარი რომ მოჭრეს, მეგონა მოვკვდებოდი, მეგონა ხელი მომჭრეს, რადგან ჩვეულებრივი ჭადრები არ იყო ჩემთვის — აქ პაოლო იაშვილი იდგა, ლადო ასათიანი დადიოდა... ეს ხეები თბილისის სახე და ისტორია იყო. დავწერე კიდეც მაშინ: ქალაქის მელოტ სიცხეში აღარ მინდა გავლა... და თავგადაპარსულ ხეებთან ლამის კონტაქტი დავკარგე-მეთქი.

მე ეს განცდაც, ეს ლექსიც გლობალიზაციის წინააღმდეგ გაბრძოლება მგონია".

**რეზო ესაძე:**

„— მართლაც აჩქარებული დროა, უამრავი ტკივილი რომ მოგვიტანა ადამიანებს, მათ შორის მეც, მაგრამ თქვენ რომ ტკივილები გაქვთ, ქალბატონო ლია, თქვენ რომ

გისმენთ, ასე მგონია ყველას სატკივარი თქვენ განუხებთ და ვნანობ: ნეტავ კიდევ უფრო მეტი ტკივილი მქონდესმეთქი.

ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნდა ჩემი წერილი („ო, რა განრისხება იცის საქართველომ"), ბოლოდროინდელი ტკივილებით დაწერილი და წამოვიღე, რომ ჩემი სათქმელი გითხრათ — დღევანდელი, თორემ წლების წინათ მე თქვენ მოწყალების და გინოდეთ და მაშინ ვერ წარმოვიდგენდი, რომ იმ დროისათვის სრულიად უცნობ კაცს ირაკლი აბაშიძე დამირეკავდა და მომილოცავდა წერილის გამოქვეყნებას თქვენს შესახებ.

დღეს მე აქ მოვიტანე თქვენი კრებულიც, რომელშიც ერთ-ერთ ფურცელზე ასეთი რამ მიმიწერია:

მისი სახეები მოჩვენებებია... მოჩვენებად ქცეული, მოჩვენებებში მე, როგორც მოჩვენება შევდივარ, უკან გამოსასვლელ გზას ვერ ვპოულობ და უკვე შენი უბედურებით ბედნიერი, შიგნით ვრჩები... ვესწრაფვი მრავალკუთხედი წრედ ვიქცე, რომლის იქით ან ღმერთია, ან არაფერი, ერთი მაღალნოტიანი მუსიკის გარდა.

ამ პოეტესას მე ერთ დროს მოწყალების და ვუწოდე, რაც, ვფიქრობ, მის „კუზიან, გარკვეულწილად ტუჩებ და ფრჩხილებშელებილ ორეულს, რომელსაც ფართო წითელი ფოთლები გვალვის აცვივა მხრებზე" სავსებით შეესაბამება.

არა, ის ყველაფრის დედაა პოეზიაში!"

**ლევან ქურციკაშვილი:**

„— ამ პოეტურმა საღამომ რამდენიმე კადრი გამახსენა წარსულიდან. დედის შესახებ წაკითხული ლექსის შემდეგ, უწინარესად, ის დარდიანი ლია დამიდგა თვალწინ, წლების წინათ სრულიად შემთხვევით რომ შემხვდა ჯანმრთელობის სამინისტროში, დედის გასაჭირს რომ მიეყვანა და წუხდა.

მერე ის გამახსენდა, ერთ დღეს მისმა მეუღლემ, ელგუჯა ამაშუკელმა მთაწმინდაზე, მამადავითის მიდამოებში რომ წაგვიყვანა და ხელებგაშლილმა იმ არემარეს გადასძახა: „მშვიდობით, აწი მე ამ არეებს აღარასოდეს დავუბრუნდები!" მაშინ ყურადღება არ მიმიქცევია ამისთვის, მაგრამ... მას შემდეგ მე იგი აღარ მინახავს.

და კიდევ:

ერთხელ კახეთიდან მოვდიოდით ყველანი ერთად. გათენებისას შემოვედით თბილისში. ჩემს სახლში რომ შევდიოდით, თოფის გასროლა და ძაღლის ყმუილი შემოგვესმა. მეეზოვემ გვითხრა: ძაღლებს ხოცავენო. ლიას აქვს ლექსი ამ ეპიზოდზე, პირდაპირ ფიზიკურ ტკივილებს რომ იწვევს ახლაც...

მედიცინამ თავის ტვინის არქიტექტონიკა ექვს შრედ დაყო და მის შესწავლაზე იმტვრევს თავს. რამდენჯერ მიფიქრია და გამცინებია ამაზე (მითუმეტეს ახლა, რაც მედიცინის სფეროში მუშაობის ნახევარ საუკუნეს გადავაბიჯე) — ის შეგრძნებები, რომელიც თქვენ გადმოგაქვთ, მთელი ეს განცდები როგორ შეიძლება რაიმე შრეებში იყოს მოქცეული და რომელიმე სენსორულ ცნებებს ემორჩილებოდეს.

უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ თქვენც იმ განზომილებას ეკუთვნით, საიდანაც შეგიძლია თქვა: „მე ვხედავ სიზმრებს არათქვენებურს!"

იხარეთ და იდღეგრძელეთ!"

# თითო სტრიქონით მოტანილი იდუმალება

საოცარ სითბოდ და სინაზედ ჩამეღვარა სულში ნიკო სამადაშვილის უცნობი ლექსის ერთი სტრიქონი:

**„იქ ნისკარტებით რო მოჰქონდათ დილა ბეღურებს".**

წამიერი გაყუჩება და ღამის სიჩუმე თითქოს უცებ შეცვალა რიჟრაჟის ხალისიანმა ხმაურმა, ჩიტების ჟღურტულმა... რეალობაში დაბრუნებულს აგვისტოს ღამემ ასევე ახლახან წაკითხული შაბურა არაბულის სტრიქონი გამახსენა:

**„ზაფხულის ღამეებს მარცვლავდა ჭრიჭინობელი".**

გარეთ კი მართლაც ისე ხმიანობდა ჭრიჭინების ორკესტრი... მერე ფიქრმა სხვა საყვარელი, ბოლოდროინდელი სტრიქონები მოიძია.

**„ყვავილი... ნაზი სურნელით გამოქარგავს**
**ბავშვობის ბილიკს".**

X ს-ის იაპონური ლექსის ეს ფრაგმენტი ბავშვობის უდარდელ, ფერადოვან დღეებში გაბრუნებს და სახეს ულრუბლო ღიმილი გიცისკროვნებს. ოცნებით ძველ, ან უკვე დავიწყებულ და მტვერწაყრილ ბილიკებს მოგანატრებს...

სევდიან ფიქრს სევდიანი, ღამეული სტრიქონი მოჰყვება.

**„მეც ამ დღესავით ჩუმად ვღამდები".**

ასე გიორგი ლობჟანიძე სიკვდილისაკენ ადამიანის მარადიულ სვლას შეგვახსენებს, დღე-ღამის მონაცვლეობასავით გარდაუვალ კანონზომიერებას, რომელსაც ბინდის შემოსვლასავით თავისი აუხსნელი იდუმალება აქვს.

სიკვდილმა მამუკა წიკლაურის ლექსები ამოატივტივა, იქ გაბნეული ფიქრიანი სტრიქონები, კაცთა მოდგმისთვის დაწესებულ ამ ვალს ასე მრავალსახოვნად რომ გვიხატავს.

**„მშვიდობაში ეგ შენი მიწა!"** – ისე ამბობს პოეტი, თითქოს ხოხბისყელისფერ კაბას ან შინდისფერ ჩოხას გილოცავდეს და ამ სიტყვებით ისე გიიოლებს აღსასრულის მოლოდინს... მომაკვდავი ბასებას ნათქვამი კი:

**„ამვლელ-ჩამვლელმა მზემ გამცხრილა სპილენძის ცხრილით"**, წუთისოფელში ნატანჯი, გამობრძმედილი, გაუტეხელი კაცის მთელ ყოფას ხელისგულზე გიდებს.

ცხოვრება კი სად თქმულა მარტოობის გარეშე და გიკვირს **„ეს ქვადქცეული მარტოობა როგორ გაზრდილა ღაწვზე ხალივით"**.

ნუციკო დეკანოზიშვილი საკუთარ სიმარტოვეში ჩაგაბრუნებინებს მზერას და თითქოს გიმსუბუქებს ამ განცდას, რადგან გრძნობ, რომ ყველაფრის მიუხედავად, თურმე აქაც მარტო არა ხარ...

მთელი დღის განცდებით აფორიაქებულსა და დაქანცულს გიორგი კეკელიძე შემოგეშველება.

**„და საღამოთი საბნად დაღლა გადაიფარე".**

ასე ფიქრში, სტრიქონ-სტრიქონ ილევა „ღამე – მღვიმე გიშრისა", გარეთ კი, „მაღალი შუაღამის ზედა თაროზე" მთვარე ანათებს, „ცის დედისერთა" (ეს ელა გოჩიაშვილის მიერ დანახული მწუხრია).

და სანამ ისევ ჟურნალის კითხვას გავაგრძელებდე, ვფიქრობ — მადლობა უფალს, რომ ჩვენი სულის იდუმალ ოაზისად არსებობს პოეზია, ზოგჯერ სულ ერთი სტრიქონით მოგვრილი სიხარული და აღტაცება, რაც თუნდაც წამიერად გვილამაზებს დღევანდელ მრუმე ყოფიერებას.

**ეთერ ბერიაშვილი**

ეთერ თათარაიძე    ამირან არაბული

# ცოტა რამ „დევების ქორწილის“ ავტორზე

დიდი ხანია, რაც ეს ლექსი თავისი სასეირო, საუცხოო შინაარსით იქცევს და იზიდავს ხალხური პოეზიის მოყვარულთა ყურადღებას.

უცნაური და უჩვეულოა მასში ასახული „ნატყუარი“ ამბები, ირეალური პლასტების კასკადი, მექორწილეებად პერსონიფიცირებულ დევთა შთამბეჭდავი სახეები, თხრობის აღმავალი დინამიკა, ვიზუალური სიცხადე, კინემატოგრაფიული სიმკვეთრე და, საერთოდ, მძაფრი მხატვრული ექსპრესიულობა.

საცნაურია, ასევე, ირონიულ-იუმორისტული ნაკადის მძლავრი, უწყვეტი, ენერგიული მიმოქცევა, დრამატული სიტუაციის „გაშარჟების“ მცდელობა, საომარ არენად ქცეული ხთონური გარემოს ღიმილისმომგვრელ ხაზებში გადმოცემის წარმატებული ნადილი...



სოფელი ამღა

და რა იცოდა ამ არაორდინარული, ჩვეულებრივობის სადინარიდან ბევრი რამით ამოვარდნილი, განზე მდგარი პოეტური ქმნილების ავტორმა, რომ მის ნათქვამს ათწლეულების შემდგომაც ისეთივე გულისხმიერი მკითხველი, ყურის დამგდები და გამგები ეყოლებოდა, როგორიც მისი ხანმოკლე სიცოცხლის დროს, და, ალბათ, ვერც იმას წარმოიდგენდა, რომ მსოფლიოს ცნობილი მოაზროვნის თვალსაჩინო მხატვრული ნიმუშის კონტექსტში მოხდებოდა მისი სტრიქონებისთვის თვალის გადევნება და, რაც მთავარია, სარწმუნო, საფუძვლიან პარალელთა მოძიება და მიგნება...

ნოშრევან არაბულის წერილში „ნადიმი-ბერძნული და დევური ანუ ჩაშლილი ქორწილები“ („ჩვენი მწერლობა“, 2009, 18) ხსენებული ხალხური (უფრო სწორად – გახალხურებული) ლექსი ემოციური ფონის წარმოჩენის, მახვილგონივრული მინიშნებებისა და სიუჟეტის არსებით დეტალებსა თუ ეპიზოდებზე აქცენტის დასმის ნაცადი გზითაა განხილული. წერილის ქვესათაურად გატანილი შესიტყვება „იუმორისტული ასოციაცია“ ეგებ ზედმეტიც კია, იმდენად წააგავს „დევების ქორწილის“ პერსონაჟთა ზნე-ხასიათი, ქცევა და მოქმედება ლუკიანე სამოსატელის „ნადიმის“ გმირთა აწყვეტილ ღრეობასა და შარხათაბალიან ბატალიებს (გვინდა გავიმეოროთ, რომ ძველი ბერძენი ფილოსოფოსის ნაწარმოები მართლაც შესანიშნავად გადმოაქართულა ქეთევან ჯერვალიძემ)...

ისევე, როგორც ნოშრევან არაბულისთვის, არც ჩვენთვის აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, ვინ თქვა (თუ „ამოთქვა“) „დევების ქორწილი“: ბლოელმა ბაბუა გიგაურმა თუ ამღიონმა ობოლა წიკლაურმა. მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა თანამედროვეთა ანდა შთამომავალთა მოწმობა-მითითებანი სათანადო ფაქტოლოგიასა თუ არგუმენტაციას ემყარება, სასურველი და სავსებით მიზანშეწონილია (რასაკვირველია, სამართლიანიც!) ამა თუ იმ ზეპირსიტყვიერი ტექსტის ნამდვილი ავტორის ანუ პირველმთქმელის ვინაობის დადგენა.

დამსახურება და სახელი, თუკი ეს ხერხდება, არც უსახელო უფლისციხელის ბედის მოზიარე გმირებს უნდა დავუკარგოთ („ეგ დიდო მე მოვკალივ, სახელ არ დამიკარგოთავ!“ – ამბობს 1837 წლის ახალწლის ღამის დიკლოს საარაკო ბრძოლის დროს ბაშტეში ანუ გომურში მყოფი, სასიკვდილოდ დაჭრილი თუში ბიჭი, რომლის შორიახლო მისგან დანით განგმირული ლეკის ცხედარი ასვენია) და არც იმ მელექსეებს, რომელნიც უტყუარი გენეტიკური კოდის „კარნახით“ არჩევდნენ ერთმანეთისაგან იფქლსა და ქატოს და, მიუხედავად უსწავლელობისა, ადამიანურ განცდათა ლექსად გარდათქმის იდუმალ, ინდივიდუალურ ხელოვნებაში ტოლს არ უდებდნენ წიგნიერ, სწავლულ, სახელმოხვეჭილ პოეტებს...

რა ვიცით ლექსის ავტორებად სახელდებულ პირთა შესახებ?

აკაკი შანიძის „ქართული ხალხური (ხევსურული) პოეზიის“ შენიშვნებსა და ვარიანტებში ჩამწერი სიმონ (ბაბო) გაბური „დევების ქორწილის“ ავტორობას ბაბუა გიგაურს მიაწერს, ხოლო ერასტი ბალიაური და ნიკო მაკალათია ლექსის მათქვამად ობოლა წიკლაურს ასახელებენ.

აკაკი შანიძეს, როგორც ჩანს, ეჭვი ეპარებოდა სიმონ გაბურის სიტყვის სანდოობაში. ს. გაბურის სიტყვით,

ბაბუა გიგაურმა „ლექსი შეკრებილებაში წარმოთქვა და ხალხი სიცილით ილუპებოდა“. აკ. შანიძე შენიშნავს: „მგონია, რომ სიმონ გაბურმა (აქ, გვარ-სახელის ნაცვლად, მითითებულია ინდექსი – ავტ.) ამ ლექსთან არია სხვა ლექსი, რომელიც ამას ალბათ რამდენადმე ჩამოჰგავდა შინაარსით“ (გვ. 589).

ასე რომ, ინფორმატორთაგან ერთი ბაბუა გიგაურს თვლის ლექსის მათქვამად, ხოლო ორი – ობოლა წიკლაურს...

ახლა კი იმის შესახებ, ვინ იყო ობოლა წიკლაური და რამ ათქმევინა ლექსი, რომლის ზღაპრულ-მითოსური ხმიერება და საშიში „ინტერიერი“ დღემდე ხიბლავს ფანტაზიის შეუბორკავი გაქანებით შექმნილი პოეტური ნიმუშების დამნახავსა და დამფასებელ მკითხველს.

ნაამბობი, რომელიც თბილისში ჩვენ მეზობლად მცხოვრები არხოტიონი ქალბატონის, ობოლა წიკლაურის ძმისშვილის, ქეთო (აშექალ) წიკლაურისგან ჩავიწერეთ, შემდეგი შინაარსისაა: ობოლა იყო მინდია წიკლაურის (მეტსახელი: მერცხალა) უმცროსი ვაჟი. ჰყავდა ორი და, ორი ძმა: ნანუკა, მზექალი, აბიკა და ბაბუტა. ნანუკა იყო მარო ოჩიაურის დედა, ხოლო მზექალი – თოთია არაბულისა. აბიკას (იმსხვერპლა ზვავმა) ვაჟებს, რომლებიც ბოლოს დედოფლისწყაროში ცხოვრობდნენ, ერქვათ ქორძო და კობა. ბაბუტამ ხუთი შვილი გაზარდა: ნინო, მართა, ქეთო, ნათელისძე და ირაკლი... დღეს მერცხალას შვილიშვილებიდან სამია ცოცხალი: მარო ოჩიაური, ქეთო წიკლაური და თოთია არაბული. მერცხალას ყველა შვილი, ობოლას გარდა, დაოჯახებული იყო...

სხვათა შორის, მერცხალას პოეტური ნიჭის აღიარებაზე მეტყველებს აკაკი შანიძის ზემოხსენებულ კრებულში დაბეჭდილი მისი მაღალმხატვრული, ხევსურულ დიალექტზე უნაკლოდ გაწყობილი თერთმეტი მშვენიერი ლექსი. მერცხალას პიროვნული არსის ნაწილობრივ გასაცნობად ეს ერთი სახასიათო შტრიხიც იკმარებს: ყუნჭზე (კუნძი, მორის ნაჭერი – ავტ.) ფეხებშემოწყობილი ჭვარტლიან ფანდურზე უკრავს და მღერის. გარეთ წვიმს. ქაზდარზე ტბორი დგას. ალაგ-ალაგ შეთხელებული მიწური ჭერიდან ჩქეფით ჩამოდის წვიმის წყალი. ამლიონები ბანებს ტკეპნიან... შედის მეზობელი და გაკვირვებული ეკითხება: – ყუდრო-კარი ღვარს მიაქვს და რა გემღერება?! – ეხლადა სალექსო ამინდ! – პასუხობს მერცხალა და სიმღერას აგრძელებს...

მერცხალას ნათქვამია აკ. შანიძის კრებულში 265-ე ნომრად შეტანილი ლექსი „ბჭობა არხოტისა და ღილღოს შესარიგებლად“, რომელიც ამგვარად მთავრდება:

**გამაგრდით, არხოტივნებო!**
**გატეხით რა იქნებისა?**
**ვინაც მაკვდების, დავლმარხათ,**
**სხვა კიდევ გაჩინდებისა,**
**ჴმა შორად გაგვივარდების,**
**მტერი ქვე დაშინდებისა...**

ობოლას თბილისში უსწავლია (რომელ სასწავლებელში, დღეს ამის დადგენა უკვე ძნელია). ნესტიანი, მზეუხვედრი ბინა ჰქონია და ფილტვებით დაავადებულა. მდგომარეობა თანდათან გაუარესებია და მშობლიურ ამლაში, არხოტის თემში დაბრუნებულა. სნებოვანი პირქვე ჩაწვებოდა თურმე „საკვირაო ბორტვზე“ (ადგილის სახელწოდება – ავტ.) და მჭვივან (სუფთა, ძალიან წითელ) სისხლს აღებინებდა. ფილტვები ეშლებოდა და ღონეს კარგავდა... გარდაცვლილა ოცი წლისა.

ყოფილა ხუმარა, მხიარული. ჰქონია ლურჯი თვალები, შავი თმა და მსხვილი ტუჩ-პირი...

ერთხელ რძლისთვის, თამარისთვის (დედა ქეთო წიკლაურისა – ავტ.) გაუნდვია: გული მეუბნება, ავ ამბავს გავიგებთო... გასულა რამდენიმე დღე და ქისტებს ორი ბეწინა, ორივე წიკლაური, ერთურთის ახლო ბიძაშვილები, დაუხოცავთ. ამქვეყნიდან ორივე უნანილო წასულა... არ შეიძლებოდა, რომ ბერდიშვილების (არხოტიონი წიკლაურების ერთ-ერთი შტო – ავტ.) ჭირლხინს მათი შესანდობრის უთქმელად ჩაევლო... „ღლისთვალთ“ იმდენი ქისტი დასცემია ამლას, რომ იქაურობა ერთიანად დაბნელებულა და შავად მოქცეულა. მოხუცებს ახლები გაუფრთხილებიათ: არ ისროლოთ, აზრი არა აქვს, ბევრნიაო... ობოლას და ბაჴა წიკლაურს მტრისთვის წინ წამოუვლიათ, წინამძღოლი დაუთოფიათ, მოუკლავთ და წყალ და წყალ გაქცეულან. ბაჴა უცებ გაჩერებულა: დაიცა, ქალალდი დამსველებია, პაპიროზს ვერ ვუკიდებო. ობოლა გაჯავრებულა: რა დროს პაპიროზია, ჩქარა წამოდიო... ტყვიას ბზესავით გვაშლიდნენ და პაპიროზს ვერ ვუკიდებო!..

რამდენადმე განსხვავებულ სიტუაციას ვეცნობით შელმათ აშექალის (თინა გაბურის) დღემდე უცნობ, გამოუქვეყნებელ ლექსში, რომელიც ამ ოცდაათი წლის წინათ ჯუთაში ჩაგვაწერინა ბერდიშვილების ქალმა მძიმია წიკლაურმა.

ლექსს ახლავს მთქმელის მოკლე კომენტარი: „რომელიც ცხენს ათამაშებდა, იმისად ესრივ ობოლას წისქვილშიით. ობოლა იყვ მართაის ბიძა. იმაზეა ეს ლექს ნათქვამ, შელმართ ქალისა, აშექალისა“

**ღილღოთ წამავა ლაშქარი,**
**წვიმის არ სწვდების ცვარია,**
**ბალახნ იდებენ ენასა,**
**პირდაპირმ უთხრა ბანია.**
**შენს მეტმ ვერავინ დასწონა,**
**ვერვინ შაუკრნა გზანია,**
**თოფ დახკარ ჯარის უფროსსა,**
**დაბლა დაეცა მკვდარია...**
**თაოდ უჭირვლად დაბრუნდა**
**არწივი მეომარია,**
**მაღლისას შამაბოინდა,**
**შამაიგრუშნა მფარნია,**
**გვერდს ედგა შავი ღრუბელი,**
**ბაჴამ უჭირა მფარია...**

ამის მერე ლექსის სათქმელი სხვა განზომილებაში გადადის და ტრადიციული მხატვრული სახე-ხერხების მოხმობით იხატება სახელიანი ობოლას სულეთში

შესვლის ერთგვარად ამაღლებული, თითქოსდა საზეიმო სურათი:

**პარასკევ დალამებადა**
**ჯვარში ქუჩდების ჯარია,**
**არ სტანავ მენადირეი,**
**ამღას დასწერა ჯვარია.**
**მთელ სოფლის საიმედოო**
**შენი სიკვდილი ბრალია,**
**გაიგეს მაკეთეებმა,**
**ყინჩად აჭირდეს დანია,**
**ხმა გატყდა ფშავ-ხევსურეთა,**
**ამბავს იყოლებს ქარია...**
**ობოლა სულეთ შავიდა,**
**ციხის შაალა კარია,**
**აბიკა წამაეგება,**
**ერთურთს დახფელვენ ძმანია.**
**სათავეს გადააფდინეს,**
**ოქროს დაუდგეს სკამია:**
**— მაგვიხმე სახელიანი,**
**მენდალ გეკუთვნის, ჯვარია...**
**საწდე პატივად მიართვეს,**
**ზედ უკრავ კელაპტარია...**

დაბოლოს, მათქვამის ვინაობა:

**ამაგის მალექსებელი**
**თინა, გაბურის ქალია,**
**ლექს კი ვერა ვთქვი საფერი,**
**კაი ყმის შასადარია...**

ზამთრისპირის ერთ დიდ ღამეს ობოლას ძმის ცოლს თამარს, ჯუთელ მარაისძეთა ბაბუკის ქალს, მატყლის მჩეჩლები ჰყოლია. ამღაში ამ დროს დაბრუნებულა ობოლა ნადირობიდან და შინ მოკლული ჯიხვი მიუტანია. სანადიროდ მარტო, უამხანაგო ყოფილა. შესულა „მჩეჩელთ ნუხრაში" და ფანდური მოუთხოვია. გადაუწოდებიათ და დაუწყია დევების ქორწილის ლექსად მოყოლა: „დევების ქორწილს შაველსწვერო..." (მამა-შვილებიდან სამს – მერცხალას, აბიკას და ობოლას – ფანდურის ხმაზე ამბის „გალექსვის" შესაშური ნიჭი ჰქონიათ. „თავისპირისას" პოეტურ უნარს მოკლებული ყოფილა ბაბუტა – მთელ ხევსურეთში განთქმული მოსისხლე ქისტებთან შეუპოვარი ბრძოლებით). ასაკოვან ქალ-დიაცებს ტირილი მორევიათ: ვაიმე, ამ ბეჩავას ბოლო არ ექნება, რაკი დევების ქორწილს შაესწროო (სწამდათ, რომ დევების თავყრილობაში მოხვედრის მოხილვა საზიანოდ აუხდებოდა მომხილველს). მოხუცებს სიკვდილამდე სჯეროდათ, რომ ობოლა მართლა მოხვდა უწმინდურთა ქორწილში... ობოლას ეს ხილვა ჰქონია ჩორეხის სანადიროში, ჩორეხი ჰქვია მწვერვალს, რომელიც ერთმანეთისაგან მიჯნავს არხოტსა და ჩეჩნეთ-ინგუშეთს...

ობოლა წიკლაური ამაყი და თავმოყვარე ყოფილა. ესეც რძლისთვის, თამარისთვის გაუმხელია: შენს გარდა ვერავის ვეტყვი, ვიცი, რომ დამცინებენ, ღამეებს თეთრად ვათენებ, ჩვენებებში ვარ გართული, ვიტანჯები, ჩემი გასვენების დღესაც ვხედავო.

იტყოდა ხოლმე: კაცი მშიშარა, გულდედალი არ უნდა იყოს. ძალით ვერავის მოვეკვლევინები, და თუ მომკლავენ, ესეც არაფერი. ჩვენ ხომ ორ სამყაროს შუა ვცხოვრობთ, სიცოცხლეც ჩვენია და სიკვდილიც. გარდაცვალება მეორე სამყაროში გადასვლას ნიშნავსო...

და თუკი აკაკი შანიძის ხევსურული პოეზიის სანიმუშო კრებულში ობოლა წიკლაურის ავტორობით ცნობილ სამ უხარვეზო ლექსსაც (136, 137, 677) გაუსინჯავთ ფხასა და ჯავარს, იოლად დარწმუნდებით, რომ სწორედ მისებრი ხედვისა და აზროვნების კაცს შეეძლო დევების ღრეობის ფანტასმაგორიული სცენების ლექსად ქცევა და ამომღერება...

P.S. ნოშრევან არაბულის იუმორისტულ ასოციაციას ჟურნალ „ჩვენი მწერლობის" მომდევნო ნომერში გამოეხმაურა ბაბუა ალუდაური და (ქართველი) რეჟისორები „დევების ქორწილის" მიხედვით ფილმის გადასაღებად შეაგულიანა.

გამოხმაურება ბაბუასთვის ჩვეული უწყინარი იუმორის ზომიერი დოზითაა გაჯერებული და, ამასთან, არაორაზროვანი დასტურია წერილის ავტორის მიმართ გამოხატული მეგობრული პატივისცემისა.

იუმორი, მოგეხსენებათ, გადამდებია და თავს ნებას მივცემთ ჩვენც ღიმილით შევხედოთ და შევეხოთ ლექსის დასაწყისი სტრიქონის – „წამავალ სანადიროდა, ჯიჴვებს დაუწყებ ჭერასა" – ბ. ალუდაურისეულ გაგებას.

გამოხმაურებაში ვკითხულობთ: ლექსის ავტორი „ჩვეულებრივი მონადირე კი არ არის, არამედ ჯიხვებს ხელით იმორჩილებს".

წამიერად წარმოვიდგინოთ რეჟისორის (თუკი ასეთი მართლა გამოჩნდება) გასაჭირი, რომელმაც ფეხდაფეხ უნდა დაადევნოს და საღსალამათი ჯიხვი ცოცხლად დააჭერინოს მონადირეს!

საქმე ისაა, რომ პოეზიის საღვთო მადლის შიგნიდან შემგრძნობ, სულიან-ხორციანა ხევსურ ბაბუა ალუდაურს თვალთახედვიდან გაეპარა სიტყვის „ჭერა" მეორეული მნიშვნელობა. იგივე ობოლა წიკლაურის ერთ-ერთ ლექსში (აკ. შანიძე, ხევსრული... გვ. 677) არის ასეთი სტრიქონი: „დვირბინით ჭერა დაიწყა, თვალი შააგდა მზირთაო..." ფრაგმენტი ბესარიონ გაბურის „ჴევსურული მასალებიდან": „შუადღე რო მოსჯარდა, შაჴდეს მენადირენი მთაზე და მასთხოეს კიდე ჯვარს მადლი და ამაიღეს დვირბინები, დაიწყეს ნადირის ჭერა" (წელინდეული... გვ. 230); ივანე წიკლაურის ლექს-შედევრში „რამ დამაბერა" წერია: „...ვერ ნახვამ სიკვდილის დღესა დიაკონთ გიორგისამა, იმისგან თვალით ჭერამა ჩემ მისავალის გზისამა..." ანდა, გავიხსენოთ: „თვალი მიჭირავს შენზედა" და ა.შ.

ასე რომ, ზმნის საწყისი ფორმა „ჭერა" — ობოლა წიკლაურის ლექსში და დამოწმებულ მაგალითებში, ნიშნავს არა დაჭერას — შეპყრობას, დამორჩილებას, არამედ ცქერას...

ავსულთა შესახებ დიდხანს საუბარი და, მითუფრო, ბევრის წერა, როგორც ჩანს, დიდად სასიკეთო არ უნდა იყოს და, ვიდრე ჩვენც თავგზა აგვბნევია, უპრიანია აქ დავსვათ წერტილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარინე ტურავა

# ტრაგედია თამაშისეული სტილით

*

## ოთარ ჩხეიძის „ბორიაყის" მიხედვით

ხელნაწერი ლოცვანის წიგნის თავფურცელზე ნეტარ ავგუსტინეს წაუწერია: „რასაც ველოდებით, ჩაივლის იმის გავლით, რასაც ვჭვრეტთ, და მიდის იქ, რასაც ვიხსენებთ". ეს იდუმალი სიტყვები უდავოდ გამოდგებოდა ოთარ ჩხეიძის რომან "ბორიაყის" ეპიგრაფად. დიდი მწერალი, როგორც წესი, წინასწარმეტყველიცაა. კურტ ვონეგუტი წერდა მარკ ტვენზე: "ტვენმა არა მხოლოდ იწინასწარმეტყველა პირველი მსოფლიო ომიც და ყველა სხვა ომიც, სულაც განსაზღვრა ეს ქარტეხილები მისმა უმანკო ხუმრობებმა."

ოთარ ჩხეიძემ ათწლეულებით ადრე იწინასწარმეტყველა მეჯვრისხევისა და მერეთის, ტყვიავისა და ძევერას, ჯავახაანთისა და აჩაბეთის, ნიქოზისა და ფხვენისის, მთელი ლიახვის ხეობის, ისტორიული სამაჩაბლოს ახალი განსაცდელი. ივარაუდა, მათი განახლებული მოლოდინი ერთიანი საქართველოს ნაწილად და სისხლხორცად ალიქმებოდნენ სამარადისოდ... ამიტომაც დღეს კიდევ სხვაგვარი განცდით იკითხება "ბორიაყი", სხვაგვარი ტკივილით, სულის ფორიაქით.

ოთარ ჩხეიძის პროზასთან მიახლება ყოველთვის განსაკუთრებულ მზაობას მოითხოვს, "კაცი ვარგი" (შოთა რუსთაველი), „ვისაც აქვს სმენა გულსა" (ვახტანგ VI) და "ხარისხობრივი მაყურებელი" (თენგიზ აბულაძე), ამ შემთხვევაში ხარისხობრივი მკითხველი აუცილებელი პირობაა, რომ შედგეს მწერლისა და მკითხველის ბედნიერი შეხვედრა. "სამი სახის მკითხველი არსებობს: ერთი, რომელიც განსჯის გარეშე ტკბება, მეორე, რომელიც ტკბობის გარეშე მსჯელობს, და საშუალო, რომელიც ტკბობისას მსჯელობს და მსჯელობისას ტკბება" (გოეთე). სწორედ ამგვარი მკითხველი სჭირდება ოთარ ჩხეიძის პროზას, სიამოვნებასაც რომ მიიღებს, მაგრამ ფიქრით, რეფლექსირებით.

მე გამიმართლა და გვიან წავიკითხე "ბორიაყი", სწორედ იმ დროს, როცა ყველაზე მეტად მტკიოდა სამხრეთ ოსეთად წოდებული, საქართველოს უძველესი და ულამაზესი კუთხის ტკივილი, ამიტომაც თავიდან ვფრთხილობდი, არ მინდოდა ჯერ კიდევ ღია ჭრილობაზე მარილის მოყრა, მაგრამ მოხდა კი პირიქით. "მწუხარე სახის რაინდი თუ ისე უბრალოდ, სანტიმენტალური მოგზაური", ნიკუშა ჩაჩანიძე, რომელსაც ხალხური სიმღერების შეკრება განეზრახა შიდა ქართლში და რომელიც ჩემთვის აფხაზეთის ომში დაღუპულ ლევან აბაშიძესთან გაიგივდა (სწორედ ლევანი თამაშობს ნიკუშას როლს "ბორიაყის" მიხედვით შექმნილ გიორგი შენგელაიას ფილმში "ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა") ერთგვარ ხსნად მომევლინა, მომავლის იმედად. "ბორიაყის" სინდრომი გადმომედო, დავიჯერე ან ძალიან მინდოდა დამეჯერებინა, რომ მათი საქართველო არ გაქრება, არ გადაშენდება.

* * *

„ბორიაყი" 1924 წლის აჯანყების ამბების მხატვრული ხორცშესხმაა. აგვისტოს თვეში ძლიერი გამოსვლები მოხდა დასავლეთ საქართველოში, სადაც აჯანყებულებმა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დაატუსაღეს. რადგან საფრანგეთისა და ინგლისის დახმარების იმედი ფუჭი აღმოჩნდა, პირველი დღეების აღტაცებას მალე გულის გატეხვა მოჰყვა და მოძრაობა განელდა. საბჭოთა ხელისუფლების რეპრესიებს ისეთივე სტიქიური სახე ჰქონდა, როგორც აჯანყებულთა გამოსვლებს. სამეგრელოსა და ზემო იმერეთში, სადაც განსაკუთრებით ძლიერი გამოსვლები იყო, დიდძალი შეთქმული და არასაიმედო პიროვნება დახვრიტეს და გადაასახლეს. აღმოსავლეთ საქართველოში საბჭოთა მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობას ნაკლებ მასობრივი ხასიათი ჰქონდა. ამის მიუხედავად, განადგურებულ იქნა თითქმის მთელი ქართლ-კახეთის თავადაზნაურობა, დაღლილი და ინერტული, რათა რაიმე პოლიტიკურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობა მიეღო. დაიღუპა ქართველი ოფიცრობის დიდი უმრავლესობაც, რომელთა ნაწილიც შეთქმულებაში იყო ჩაბმული ან მას აშკარად თანაუგრძნობდა, ხოლო ნაწილობრივ ყოველივე პოლიტიკის გარეშე იდგა (წიგნიდან: გერონტი ქიქოძე, "თანამედროვის ჩანაწერები"). იმ წლებში საქართველოს თავდადებულ სამხედროთა მთელი პლეადა ჰყავდა: კოტე აფხაზი (ილია ჭავჭავაძის დისშვილი, ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის ყოფილი მარშალი, რომელიც სამხედრო ორგანიზაციას მეთაურობდა, დააპატიმრეს აჯანყების დაწყებამდე და დახვრიტეს 23 სხვა შეთქმულთან ერთად), ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, გოგი ხიმშიაშვილი, ელიზბარ გულისაშვილი, დიმიტრი ჩრდილელი, გიორგი მაზნიაშვილი, ალექსანდრე მაჭავარიანი, ლევან კლიმიაშვილი, სიმონ ბაგრატიონ-მუხრანსკი, ფარნაოზ ყარალაშვილი, გარდაფხაძე და სხვები.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელთანაა ქართველთა მაშინდელი თავგანწირვა დაკავშირებული. როგორც გერონტი ქიქოძე აღნიშნავდა: "საერთოდ შეთქმულებმა მეტი რომანტიზმი გამოიჩინეს, ვიდრე საღი პოლიტიკური გონიერება. ამ რომანტიზმის განსახიერებას წარმოადგენდა კახელ აჯანყებულთა ბელადი ქაქუცა ჩოლოყაშვილი, სახელოვანი ბიძინა ჩოლოყაშვილის შთამომავალი; ის დიდხანს აწარმოებდა ვაჟკაცურ ბრძოლას საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ, შემდეგ კი, როდესაც დარწმუნდა, რომ მის პარტიზანულ მოქმედებებს არავითარი პერსპექტივა არ ჰქონდა, თავისი რაზმით თურქეთ-

ში გადავიდა, ხოლო იქიდან პარიზში". ამ ამბების გახსენებისას ვაჟა-ფშაველას სახეც გაკრთება ჩვენს მეხსიერებაში. დიდი პოეტის უფროსი ვაჟი ლევან რაზიკაშვილი დუშეთის მაზრის მილიციის უფროსი იყო. 1924 წლის აგვისტოს ტრაგედიის შემდეგ მას ნაბრძანები ჰქონდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეპყრობა, რომელიც მისი თანაკლასელი გახლდათ. მიუხედავად მოსალოდნელი საფრთხისა, ლევანი ქაქუცას სამშობლოდან გაქცევაში დაეხმარა. პოეტის ვაჟი დააპატიმრეს და მას სასჯელის უმაღლესი ზომა მიუსაჯეს. სამი ქართველი მწერალი — შალვა დადიანი, პავლე ინგოროყვა და ალექსანდრე აბაშელი — ლევანის დასახსნელად ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტში სერგო ორჯონიკიძეს ესტუმრა. მან ლევანის გამოხსნაზე ცივი უარი განაცხადა — სამშობლოს მოღალატეების ხსნა არ არსებობსო. ლევანი დიდი პოეტის ვაჟა-ფშაველას შვილიაო, მოკრძალებით შეახსენეს სერგოს. ცოცხალი რომ იყოს, მაგ თქვენს ვაჟა-ფშაველასაც ზედ მივაყოლებდიო, ბრძანა მაღალჩინოსანმა ქართველმა (როსტომ ჩხეიძე, „ბედი პავლე ინგოროყვასი"; ლადო ავალიანი, "ლოდის წონა"...). ქაქუცა და მისი გადარჩენილი თანამებრძოლები ევროპაში გაიხიზნენ, მათმა დამოუკიდებელმა სამშობლომ, სერგო ორჯონიკიძისა და მის მსგავსთა წყალობით, მხოლოდ 1005 დღე იარსება.

* * *

სწორედ ამ დროს გადაწყვიტა უწყინარმა ინტელიგენტმა ნიკუშა ჩაჩანიძემ შიდა ქართლში მოგზაურობა, იშვიათი ხალხური სიმღერების ჩაწერა და შთამომავლებისათვის შემონახვა. მოგზაურობა ფათერაკიც არის, შთაბეჭდილებაც, ფიქრთა გასართველიც, საქმეც. სრულიად უცნაური, ამ ყველაფრის დამტევი და უფრო მეტიც კი აღმოჩნდა ნიკუშას ოდისეა, რაც მთავარია, არაპროგნოზირებადი, გაუთვალისწინებელი.

რთულ დროს გადაწყვიტა მოგზაურობა ჭაბუკმა კომპოზიტორმა. იმ დროს, როცა აქაურები ერედვის, ტბეთის ან ლომისის სერებზე შტაბის დაცემას ნატრობდნენ, რათა საკუთარი წვლილი შეეტანათ სამშობლოს გადარჩენაში. ყურმოკვრით იცოდნენ, რომ "ბრუნავს ერი დანახნაგებული", სადღაც აჯანყებაც მზადდება და საკუთარ წახნაგსაც ეძებდნენ, საკუთარი მისიის შესრულება სწყუროდათ. ხეთერელები კვირიას ელოდნენ — მაცნეს, "ღვთისშვილთა საბრძოლო მოქმედების მეთვალყურეს", ახალგაზრდა კომპოზიტორი კი თავის მისიაზე ზრუნავდა — უძველესი სიმღერები უნდა შეეკრიბა მისხალ-მისხალ და გადაერჩინა. რაღაც ზღაპრებში, დაუჯერებელ ამბებში უნებლიეთ გახვეული ნიკუშა არ არის კვირია, აბრალებენ კი, არ არის არავითარი შეთქმულების მაცნე, სახავენ კი. ქარისაგან ჰაერში დატრიალებული მტვერში ეფლობა ნიკო, ვიდრე ხელთუბანს მიაღწევდეს, მერე კიდევ უფრო ძლიერდება ბორიაყი, თვალსაწიერს უბინდავს მოგზაურს, რეალურ სახეს აკარგვინებს.

არ უნდოდა "ასცდენოდა გზასა თავისასა, მაგრამ ვინ უწყის განგება ვის რას უქადის, როცა სიკეთეს უმოძლვრებს გული, როცა სიკეთეს უკარნახებს ყველაი, გარშემო, და არც რო ძალუძს, აუქციოს გვერდი სიკეთესა, ქმნა სიკეთის ადვილი რო ჰგონია, — ჰო, ვინ უწყისო!"

შალვა ხეთერელია პირველი, ვისაც იგი აჯანყების მოსაწყობად გამოგზავნილი ჰგონია — ამიტომაც ნიკუშას მეშვეობით — საბრძოლო წარსულის დაბრუნებასა და ჭეშმარიტ მხედართმთავრობაზე ოცნებობს, სტრატეგიული გეგმასა და მოქმედების თავისუფლებას ითხოვს. მისი რძალი თეკლაც დიდი გამჟღავნების მოლოდინშია. ქიაღუებს შესჩეჩებიათ ბედი ერისა, ის კი გმირებზე ოცნებობს... ერთადერთი ადამიანი, ვინც რეალურად აფასებს სიტუაციას, ელიზბარ ხეთერელია, თავგადაკლული ექიმი, ყველა გაჭირვებულის მშველელი და ტალკვესი (ელიზბარის სახე სრულიად განსხვავებულია, მას მწერალი ანტითეზურად უპირისპირებს რომანის თითქმის ყველა პერსონაჟს, იგი ილია ჭავჭავაძის მთავარი ფორმულის — მოძრაობის, ქმედების ერთგვარი სიმბოლური ხორცშესხმაა).

კათარელებს, ოცხელებს, მაბკურელებს, ვარაზნელებს, არჯევნელებსა და იტრიელებს, რა თქმა უნდა, ხეთერელებსაც აღარ მოსდევდათ ძველი დიდება, არც სიმდიდრე, მხოლოდ თავადური თავმოყვარეობა შემორჩენოდათ და დაუთმობლობა. „უფიქრებლად შეასკდებოდნენ, ჩიტის კვერცხივით შეასკდებოდნენ, ვინც უნდა გადასდგომოდათ წინა." უილაჯობით, უსახსრობით იტანჯებოდნენ, ამიტომაც ადვილად დაიჯერეს, რომ ნიკო აჯანყების მოსაწყობად ჩამოსულა, შეთქმულთა მისამხრობად გარჯილა. მით უფრო, რომ ამას დაჟინებით ამტკიცებს ნიკოს თანამგზავრი ლეკო თათაშელი. "შემოდგომის აზნაურების" ღირსეული მემკვიდრე. კარგი თამადა და კარგი მოქეიფე — "ლეკო თამადობდა და ლეკო თვრებოდა."

ჯერ კიდევ გამასპინძლების უნარის მქონე ოჯახი და გაშლილი სუფრა სრულიად საკმარისი ასპარეზია მისთვის. იგი გრძნობს ქართლელი თავადების განწყობას და ამიტომაც დაჟინებით ამტკიცებს, რომ ნიკო აჯანყების მოსაწყობადაა მოვლენილი, საკუთარი როლიც არ ავიწყდება. ამით ლეკო პიროვნული მნიშვნელობის გაზრდასა და სასურველი სტუმრის სტატუსის აღდგენას ცდილობს. მისი მოზღვავებული ენერგია და მოქმედების უნარი აშკარად უპირისპირდება ნიკოს უნიათობას, საკუთარი პოზიციის დაუცველობას, როგორც ჯაყოს ენერგია და ცხოვრების ჟინი თეიმურაზ ხევისთავის ინტელიგენტურობასა და სულიერ სინატიფეს. ამასთან, ლეკო თათაშელის ამბოხი ინდივიდუალურია, პიროვნულია და სხვა ადამიანებთან სოლიდარობას არ ითვალისწინებს. მას ნაკლებად აქვს ერთიანობის, თანაზიარების განცდა, არც სხვების გამო პასუხისმგებლობის აღება შეუძლია. იგი პიროვნული ეგოცენტრიზმის ტყვეობაშია. ნიკო მხოლოდ საბაბია ლეკოს ბოღმის, პიროვნული ტკივილისა თუ არასრულფასოვნების გამოსავლენად.

მისი ტრაგიკომიკური სახის დახატვითა და მოვლენების ფინალური განვითარებით მწერალი ხაზგასმით მიგვანიშნებს 1924 წლის აჯანყების სპონტანურობაზე. ლეკო თათაშელი თავისავე მახეში გაება, გაერთო საკუთარი როლით და, როცა ყველაზე ნაკლებ იყო საჭირო ფსევდო-ჩვენების მიცემა, მაშინ გადაწყვიტა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არარსებულის აღიარება, რითაც ნიკოც გაწირა და სხვა უამრავი ადამიანიც. განსაკუთრებული ირონიითაა დახატული ლეკო თათაშელის ბოლო მონოლოგი: "იგულეთ სული, ტანჯული სული, სული ჩემი, ხალხნო და ჯამაათნო, მარად თქვენთანა!.. — შესძახა კიდევა თუ რამ შეეძლო, ოხვრაც მოადევნა და ესეც მოადევნა ოხვრასა, — ეს თავის მოკვეთის წინ უნდა მეთქვა, ვითომ არ მითქვამს, მერე ვიტყვი... მერე... — და მოწყდა, ისე დავარდა, ლამის მართლა რო დამგვანებოდა წამებულსა..."

მართლმსაჯულების აღმსრულებელნიც, ჩვენების ამღებნიც ბევრად არ განსხვავდებიან ლეკოსაგან, იმდენი სიბრძნე ნამდვილად არ გააჩნიათ, რეალური შეთქმული და აჯანყების მოთავე გაარჩიონ ფსევდო გმირისაგან, ან რაში სჭირდებათ?!

"ერთმა ჩეკისტმა, გვარად ობოლაძემ, გურიაში მრავალი სოციალ-დემოკრატი გლეხი დააჭერინა და დაახვრეტინა. როდესაც ის დღისით ლეხოურიდან, სადაც მრავალ სახლს მისი განკარგულებით ცეცხლი ჰქონდა წაკიდებული, ასი შეიარაღებული მხედრის ამალითურთ ოზურგეთში ბრუნდებოდა, ეტლში შეუვარდა ყოფილი გვარდიელი გოგია ღლონტი, რომელიც ცოლით ტყეში იყო გავარდნილი, მოკლა ობოლაძეც და მის გვერდით მჯდომი ოფიცერიც და უვნებლად მიიმალა. ამის საპასუხოდ საგანგებო კომისიამ დახვრიტა ოთხმოცამდე კაცი, უმთავრესად სოფლის მასწავლებლები, რომელთაც არც ობოლაძის და არც ღლონტის გვარები გაგონილი არ ჰქონდათ" (გერონტი ქიქოძე, "თანამედროვის ჩანაწერები").

ასეთ დროში მთელი საქართველოს დაჭერა შეიძლება, ყველა პოტენციური დამნაშავეა, რომ არაფერი ვთქვათ ეგზისტენციალური დანაშაულის არსსა და კანტის ვარაუდზე: "ნებისმიერი ადამიანი ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე შეიძლება დავაპატიმროთ ათი წლით და იგი სადღაც სულის სიღრმეში მიხვდება, თუ რატომ".

ლეკოსა და მისი თანამზრახველის შემთხვევაში, მტკიცებულებაც არსებობს — ნიკოს მიერ საგანგებოდ მოგზაურობისათვის შედგენილი რუკა, სადაც მონიშნულია თავადაზნაურული ოჯახები, რომლებიც ხალხური სიმღერების ჩაწერაში და იდეის განხორციელებაში უნდა დაეხმარონ. ეს რუკა "შეთქმულების გეგმად" მოინათლება და მას მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეეწირება.

ამ რომანით ოთარ ჩხეიძე „უპირისპირდება არა მხოლოდ კონკრეტული დროის ძალადობას (პიროვნებაზე), სულიერებისაგან დაცლილ იმის შაბლონებსა და ეტალონებს, არამედ გასაოცარი გამბედაობით უპირისპირდება ყოველი დროის ნაჩქარევ, უგემურ, წყალ-წყალა საქმიანობებში გართულ ყოფას, ფსევდომკითხველსა და ფსევდო ცხოვრებას" (ნაირა გელაშვილი). ამხელს ქვეყნის წინააღმდეგობრივ, ხშირად დაუფიქრებელ, განუსჯელ ისტორიას. ილიას შეფასებით: "ვაჟკაც იგია, ვინ მართალს ეტყვის ქვეყანას მცდომსაო, ვინ არ შეუდრკა მრავალსა, ხშირად მართლისთვის მწყრომსაო, ვინც კრავს უმანკოს ეკრძალვის და პირში უდგა ლომსაო." ეპოქას, სადაც კათალიკოსი ამბროსი ხელაია მოღვაწეობდა, მწერალი ლეკო თათაშელის მსგავსი ქართველებით წარმოგვიდგენს, რადგან მათმა ფატალურმა არსებობამ და უგუნურმა აქტიურობამ გადასწონა ბედისწერის სასწორი.

ოთარ ჩხეიძესთან ძალიან ძნელია თამაშისეულისა და არტისტულის გამიჯვნა არა არტისტულისაგან, ტექსტისა და ქვეტექსტის გაცალკევება, რაც შესაძლებელია ხშირად არ ემთხვეოდეს ერთმანეთს, მთავარისა და მეორეხარისხოვანის გარჩევა. ოთარ ჩხეიძე მრავალპლანიანი, რთული მწერალია ("XX საუკუნის პოეზია ვალდებულია იყოს რთული" — ტომას ელიოტი; "და რო გართულდა, ვთქვათ, თანამედროვე ქართული რომანი, არ ჩაითვლება ეს მწერლობის ახირებადა, ეს მკითხველის მოთხოვნილებაა" — ოთარ ჩხეიძე).

„ბორიაყი" მთელი ეპოქის ურთულეს ფსიქოლოგიურ პორტრეტს იძლევა, ეპოქისა, სადაც ერთმანეთის თანამედროვენი არიან კათალიკოსი ამბროსი ხელაია და სერგო ორჯონიკიძე, ვაჟა-ფშაველას უფროსი ვაჟი ლევან რაზიკაშვილი და ჩეკისტი ობოლაძე, 1924 წლის აჯანყების თავკაცი ქაქუცა ჩოლოყაშვილი და ლეკო თათაშელი... ძალიან ძნელია ამ ადამიანების მოქცევა საერთო დისკურსში, ყველა მათგანს საკუთარი კოდექსი და სამშობლო აქვს, ან სულაც არ გააჩნია. ყველა საკუთარი გზით მიდის ჭეშმარიტებასთან ან სულაც არ აინტერესებს ჭეშმარიტება.

„ავარდნილი დიდრონი ჭიაკოკონები, ალსა და ნაპერწკალს აეხია ჩაქუფრული ღამე. ხმებიც გაისმოდა შემზარავი, მოულოდნელი, უცნაური. საბედისწერო ხანძრის ალზე ფერიცვალების ტაძარიც ამოგიზგიზდა სისხლისფრადა, ანუ დაიკლაკნა სისხლის ღვედივითა, დაიკლაკნა, დაიზნიქა, დაიგრიხა, როგორც რომ ჟინი მარადიული წყურვილისა, სისხლის წყურვილისა". ძველი საქართველო: კათარელების, ოცხელების, მაბკურელების, ვარაზნელების, არჯევნელებისა, იტრიელებისა და ხეთერელების ნამდვილი საქართველო საბედისწერო ხანძრის ალზე იწვება, „დაღლილსა და ინერტულ" თავადობას ენერგიული ლეკო თათაშელი ენაცვლება, ლეკო თათაშელს — ახალი დროის მოწესენი და ამიერიდან სწორედ ასეთები განსაზღვრავენ მის ბედსა და მომავალს.

* * *

„ვერ გავიგეთო, ამხირებიან კრიტიკოსები და ავხირებივარ მეც ჩემი მხრითა. ჩაიკითხეთ და გაიგებთ-მეთქი: უკეთ რო ითქვას, ისინი რო ახირებულან, თორემ მე ჰო მართალი გახლავარ, მართალი ცამდისა: თუ ტრაბახობენ, რო გაიგეს ვაჟაი, ჯოისი გაიგეს, ელიოტი გაიგეს, გალაკტიონი გაიგეს, კაფკა გაიგეს, მერე როგორა ტრაბახობენ! — სხვა ვინ დარჩებათ გაუგებარი. თვალს თუ გაახელენ. კარგად თუ გაახელენ. კარგად თუ გაახელენ თვალსა."

ოთარ ჩხეიძის ამ სიტყვებმა ჯეიმზ ჯოისი მომაგონა, მისთვის დამახასიათებელი ირონიითა და ნიშნისმოგებით რომ ამბობდა, ჩემი ანალოგია-პარაბოლების თუ მითიურ-პარაბოლური სიმბოლიკის დანიშნულება, უამრავი რებუსი, ალუზია, ათასგვარი თავსატეხი კიდევ დიდხანს გააწვალებს კრიტიკოსებს, აუმღვრევს გულსა და გონებასო.

დაიბადა 1985 წლის 18 მარტს, თბილისში. სწავლობდა 24-ე საშუალო სკოლაში, ბოლო წელს კი 51-ე სპორტულ სკოლაში. 2007 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის ფაკულტეტი. 11 წლიდან დღემდე თამაშობს რაგბის. ამჟამად კლუბ „უნივერსიტეტის" წევრია. მეორე წელია, რაც წერა დაიწყო და პატარა მოთხრობების კრებულიც გამოსცა, სახელწოდებით „ღობე". „ჩვენ მწერლობაში" იბეჭდება პირველად.

ლადო კილასონია

# ციხე

გუშინ მეზობელი მომიკვდა, ალბათ ყველაზე კარგი მეზობელი, მთელ ამ ხის პატარა, ჭრაჭუნა და მოჩვენებითად კეთილ სამყაროში, ჩვენი ეზო რომ ეწოდება. დაიძინა და აღარ გაიღვიძა, შეიძლება გული გაუსკდა, ან კიბო ჰქონდა, ან საერთოდაც სიბერემ უწია, დრო მოუვიდა, არ ვიცი, ნაღდად არ ვიცი, უბრალოდ ერთ დღესაც აღარ გამოვიდა თავის ხის მორღვეულ აივანზე, რამაც რაღა თქმა უნდა მყისვე მიიპყრო ჩვენი ვასასების მუდამ სადარაჯოზე მდგომი და გამჭრიახი თვალი. ჯერ დაურეკეს, შემდეგ დაუკაკუნეს, ის კი პასუხს არ სცემდა, ემალებოდა, მაგრამ ვასასები რის ვასასები იქნებოდნენ, ასე ადვილად რომ დანებებულიყვნენ. იქამდე არ მოისვენეს, სანამ მის ხის, მტვრიან აივანზე არ გადაძვრნენ და ასე ლამაზად, ჩუმად, საკუთარ სავარძელში, ტკბილად ჩაძინებულს არ წაადგნენ თავს. სხვაგან, სხვა ეზოში ან სხვა ქვეყანაში, ალბათ ვერ შეამჩნევდნენ. ის ხომ ლამის მოჩვენება იყო, რომელსაც ხშირად ვაკვირდებოდი ჩემი ფანჯრებიდან, საშინლად გამხდარი, წელში მოხრილი, დამბლისაგან რაღაც უცნაურად მორღვეული სახით და თოვლივით თეთრი თმით, როგორ უხმოდ დასრიალებდა თავის ხის სახლში და ყვავილებს წყალს უსხამდა. მე არასოდეს გამიგონია მისი ხმა, არც ქუჩაში გასული მინახავს ოდესმე და არც სახლისაკენ მომავალი, არც მოცინარი, არც მოტირალი. ჩემთვის ის მოჩვენება იყო, ფანჯრიდან დანახული წარსულის აჩრდილი, რომელიც უბრალოდ დაავიწყდათ, დარჩათ საკუთარ სახლში. ჰო, სხვაგან, სხვა ეზოში ან სხვა ქვეყანაში, ნამდვილად ვერ შეამჩნევდნენ და ისიც თავისთვის გაიპარებოდა სადღაც შორს. მაგრამ აქ, ამ უცნაურ ხის ციხეში, რომლის სადარაჯოზეც ოდითგანვე მედგრად დგანან (ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარვარ), მემკვიდრეობით სამუდამო პატიმრები, თუ ზედამხედველი ვასასები, რომელთა საქმეა ყველაფერი, რაც ციხის შიგნით ხდება და არაფერი მის გარეთ, რომლებსაც თავი ნოეს შვილებად მოაქვთ, წარღვნის შემდგომ პერიოდში და არ იციან, ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ არც აინტერესებთ, თუ რა ხდება მათი პატარა ხის ხუხულის გარეთ, რომ იქ ცხოვრება თავისი გზებით მიდის, არავის ელოდება და მითუმეტეს არავის არაფერს ეკითხება, მისი გაპარვა შეუმჩნეველი არ დარჩებოდათ. არც დარჩენიათ, აკი გითხარით, თავზე წაადგნენ მძინარეს და მყისვე, თადარიგი დაიჭირეს. ჯერ ის უცნაური კაცი მოიყვანეს, ეგეთებს მუცელში რომ უჩხიკინებს რაღაცეებს, მერე ტანსაცმელი გამოუცვალეს და ხის ციხის სხვა მაცხოვრებლებსაც გვიხმეს — მოდით, რაღაცეებია გადასატან-გადმოსატანი, თან საცოდავს ნათესავებიც არა ჰყავს, კუბო რომ გაიტანონო.



— ჩემი ბიჭი ვერ მოვა, მკვდრის ეშინია, — დაიწყო ერთმა.

რეებს არ მოიგონებს ეს ხალხი?! მკვდრის ეშინია და დილაობით სარკეში ჩახედვისა არა? თავისი ერთადერთი ნიჭი, ერთადერთი გზა აქაურობიდან გაძრომისა, რაღაცა მართლა დიდის მიღწევისა, ქარს, ლუდსა და პლანს რომ გაატანა და სამუდამოდ დარჩა ხის ციხის ბინადრად. ალბათ შვილებსაც აქ გაზრდის, შვილიშვილებსაც და იმათაც მკვდრის შეეშინდებათ.

მაგრამ ვასასებმა მაინც თავისი გაიტანეს, ბიჭები შეგვყარეს და სარდაფში ტახტის ამოსატანად ჩაგვიშვეს. სარდაფი ჯერ კიდევ ბავშვობიდან არ მიყვარს, ბნელია და ვირთხებით გატენილი, ხოლო მაგ ტახტის უბრალოდ მეშინია, თავისთვის ავად რომ შეყუჟულა, რომელიღაც ბნელ, მტვრიან კუთხეში და ელის, როდის გაისმის კიბეზე მომავალი ნაბიჯების ხმა, როდის ჩასჭიდებენ ბიჭები ხელებს, ზევით, ეზოში აიტანენ, სადაც მოუთმენლად ელიან სველ ტილოებმომარჯვებული ქალები, რათა მტვერი გადაწმინდონ და შემდეგ მორიგი, დროულად თუ უდროოდ ჩაძინებული ხის ციხის ბინადარი წამოაგორონ ზედ.

ყველანი აქ ინვნენ: ბებიაჩემი მაკო, მოხუცი მეზობელი ნათელა, ერთ ბნელ ღამეს მდგმურმა რომ მოახრჩო ბალიშით, წამალში გაპარული თერჯოლა, დიდი თამადა და ლოთი გოგია. ყველანი აქ ინვნენ, ყველანი. არ ვიცი, აქამდე როგორ გადაურჩა ეს სიმახინჯე დაჩეხვას და შეშად გამოყენებას, ყოველ ახალ ჯერზე ემუქრებიან, კბილებს ილესავენ, მაგრამ არასოდეს ასრულებენ. აი, ახლა კიდევ ერთხელ ამოგვატანინეს, ისიც ნასიამოვნები სახით ათვალიერებს ეზოს და განსაკუთრებით იმ საცოდავს, მეორე სართულიდან, რამდენიმე თვის წინათ ერთი ყავარჯნით რომ დაბობლავდა მიხვეულ-მოხვეულ მაღალ კიბეზე, ახლა კი მეორეც ამოუდია იღლიაში და საკუთარი აივნიდან იცქირება შეშინებული და ბავშვივით უმწეო, და რომელსაც ალბათ ძალიან ცოტა ხანში წამოუგორებენ, ნაცრისფერ, დამტვრეულ ზურგზე.

ჰო, მაინც გავიხსენეთ! გადავწმინდეთ და სახლში შევიტანეთ. მე პირველად ვარ აქ, ბავშვობაშიც კი, როდესაც ყველაფერი, ციხის ყოველი კუთხე და ფიცარი მაინტერესებდა, არ გადმომძვრალვარ აქეთ და ახლა ძალიან უცხოდ მეჩვენება ეს პატარა, მოვლილი ხის სახლი. მრგვალი მაგიდა, წიგნების კარადა, ძველი, მტვრიანი და სქელი ტომებით გამოტენილი. გუსტავ ფლობერი, ჩინგიზ აიტმატოვი, ტოლსტოი, დოსტოევსკი, ბრედბერი.

— გევასა? — ჩამესმის ყურში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკან ვიხედები, გელაა, ჩვენი ციხის ბინადრების ძმაკაცი და აქაურობის ხშირი სტუმარი, სკოლაში სანაძლეოზე მერხის კუთხეებს რომ ამტვრევდა თავით, გაუპარსავი და, როგორც ყოველთვის, მთვრალი.

— ჰო, მაგარი წიგნებია, – ვეუბნები.

— რა წიგნები?! სურათებს შეხედე.

გაკვირვებული ვუყურებ კარადას, აქამდე როგორ ვერ შევამჩნიე, თაროზე შავ-თეთრი ფოტოები აწყვია. იქიდან კიდევ ვიღაც ახალგაზრდა და ლამაზი ქალი მიცინის.

— ეს.......

— ეგააა, – არ მაცლის გელა და კუბოსაკენ იშვერს ხელს.

მე ჯერ სურათებს ვუყურებ, მერე მიცვალებულს, არაფერი საერთო; პირველი ლამაზი ქალია, ხოლო მეორე ცვილის ძველი და სანახევროდ დამდნარი ფიგურა. მართალი ყოფილან ამერიკელები, თავიანთ სულელურ ფილმებში რომ გაიძახიან — გვჯერა იმისი, რასაც ვხედავთო. მე კი ის სულ ასეთი მახსოვდა და მეგონა, რომ...

— რამდენი წლის ხართ მისის ბენტლი?

— სამოცდათორმეტის.

— და რამდენის იყავით ორმოცდაათი წლის წინათ?

— სამოცდათორმეტის.

— და არასოდეს იყავით ახალგაზრდა და არასოდეს ატარებდით ასეთ ბაფთებსა და კაბებს?

— არასოდეს.

— და მთელი ცხოვრება ამ სახლში ცხოვრობდით?

— მთელი ცხოვრება.



მხატვარი ალექსანდრე სლოვინსკი

სიკვდილმა შეცვალა ასე? თუ რამე სხვამ? აუფ! მეც გავფილოსოფოსდი ეხლა, სიკვდილი და რამე, თითქოს ეგეთების, ან საერთოდ რამის გამეგებოდეს. მე ხომ სიკვდილი სულ ის მგონია, მთვრალი მამაჩემი რომ გაიძახის ხოლმე, არ მეშინია, მოვიდესო. ჰო და იმანაც არ აპატია, ერთი მოულოდნელად ამოდენა კაცმა წამის წინ, რომ ლამის ორთაბრძოლაში იწვევდა, ჩემს თვალწინ ამოაძვრინა სადღაც ფარულ ჯიბეში ჩამალული ჯვარი, რომელიც აქამდე არასოდეს მენახა, მაგრად ჩაბღუჯა აკანკალებულ ხელებში და ხმამაღალ მოთქმას მოჰყვა: „ღმერთო შენ მიშველე! ღმერთო შენ მიშველეო!" ვასასებიც იქ იყვნენ, მთელი ჩვენი ხის ციხის ხალხი, ყველა.

— არ გავუთენოთ? წესია მაინც, – ამბობს ყველაზე მაღლა, ლამის ციხის თავზე მცხოვრები მამსონხონ, ტრადიციებისა და ადათ-წესების შეუპოვარი დამცველი და რადიატორებისა თუ ჯართის რისხვა.

— გავუთენოთ, აბა რა, – იძახიან ბიჭები.

— გავუთენოთ, — ვამბობ მეც.

მიყვარს ეგეთი რაღაცეები. გასვენებებში ხომ ყველაზე მეტს იცინიან, ყოველ შემთხვევაში ჩვენთან. ეგ გათენებებიც მეტი არაფერია, თუ არა ძველი და, ვინ იცის, რამდენი სხვადასხვა გზებითა თუ მანძილებით დაშორებული მეგობრების კიდევ ერთი შანსი ერთად შეკრებისა და ბავშვობის მხიარული წლების გახსენებისა. ერთი პერიოდი მაგაში ჩვენი ძველი სადარბაზოს, ძველი კედლები გვეხმარებოდა, რომელზედაც ჯერ კიდევ ჩანდა, წითელი საღებავით დაჯღაბნილი, ძველი წარწერები "2pac, პაპა კარლო, კინგ-კონგა, მისხმულა" მაგრამ ნელ-ნელა მათ ადგილი ახალი თაობის პულვერიზატორებსა და უცნაურ დიდ ნახატებს დაუთმეს, სანამ სულ მთლად არ გაქრნენ. ჩვენ კი შეგვრჩა რამდენიმე ძველი, უკვე ლამის ტრადიციად ქცეული დაბადებისდღე და ასეთი ღამეები, რათა კიდევ ერთხელ მოვუყაროთ თავი დაშლილ, უკვე თითქმის დავიწყებულ სადმაკაცოს ნაწილებს და ერთი ღამით მაინც დავბრუნდეთ უკან. დღესაც გამოგვივიდა, კარგად წავედით.

— გახსოვს, ბებერ, ყვავი ფოთში რომ წაიყვანე დასასვენებლად, მთელი მაგისი ფული პოკერებში რომ წააგე და ათი დღე მშიერი გყავდა?

— კალიკები რომ დავლიეთ და შუა აძილენიაში ჯოკერის თამაში დავაპირეთ?

— ობობას წელში რომ ამორტყეს პანჩური?

მაგრამ მერე ის მოვიდა და ყველაფერი გააფუჭა. როგორც ყოველთვის კარგად ჩაცმული და როგორც ყოველთვის საქმიანი. მაგარი მურტალია, როდესაც ერთი შეხედვით ნორმალურ, წარმატებული ბიზნესმენის ლამაზ ნიღაბს ამოფარებულ, ბავშვობის ძმაკაცს უყურებ და გრძნობ, რომ უცხოა, რომ მასთან არაფერი გაკავშირებს და ერთადერთი, რისი გახსენებაც შეგიძლია, თუ როგორ აგატუზინათ რვა ძმაკაცს ერთმანეთში, "დაბადების დღეს რესტორანში ვიხდი და თქვენგან მხოლოდ ოთხის წაყვანა შემიძლიაო." არა ძმაო, მაგას ნაღდად ჩემი გამორფინისტებულ-გალოთებული, წამხდარი, მაგრამ მაინც ბოლომდე ჩემი ძმაკაცები მირჩევნიან, ვისთანაც მთელი ღამეები შეიძლება ვილაპარაკო რაღაც სისულელეებზე.

ის კიდევ უცხოა, ვიღაც სხვა, ძალიან ძველი დროიდან. ხანდახან გამკრავს ხოლმე — „ხომ არ გვშურს?" მაგრამ ეგრევე ვხვდები, არა, არანაირად, არცერთი წამით, არ მინდა ეგეთი ვიყო, რაღაცნაირი უცხო თუ დაკარგული.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რამდენი მოდის, სულ დავცინით, მერე წყინს და გარბის და თვეობით აღარ ჩანს ხოლმე.

ახლაც სათითაოდ ჩამოგვიარა, ამაყი სახით გადაგვკოცნა და სკამზე ჩამოჯდა.

— რას შვები? როგორ ხარ, ნიკუშ?

— რავი, ვარ რა, ვალებში გაჭედილი.

ბიჭებს გვეცინება, რადგან ვიცით, წინასწარ გვიჭრის გზას, ფული რომ არ ვთხოვოთ, იმას კი ვერ ხვდება, უკვე მეოთხე წელია, ყოველი ჩვენი შეხვედრა ასე, ამ შეკითხვით განზრახ რომ იწყება და რომ უბრალოდ დავცინით და მეტი არაფერი, რადგან წინდაწინ ვიცით პასუხი. ახლაც ასეა, ჩვენ ვიცინით, ის კი მაინც ვერ ხვდება, წყინს და მიდის. ნეტავი რა მოუვიდა? არა და ადრე არ იყო ასეთი.

— იმ იალოველებმა გააგიჟეს იესემში, ჭეშმარიტი გზიდან გადაიყვანეს, — ამბობს ღრმად მორწმუნე და სათნო პეტრე, დავინჩის კოდს რომ არ უყურებს — ცოდვააო, აი მოხუც პენსიონერებს კი ერთ კილო შაქარში ლამის ნახევარს რომ აკლებს, თავისი ჯადო, სახელდახელოდ გახვრეტილი და შემდეგ ამ ნახვრეტში ალუმინ ჩასხმული სასწორით და მხიარული შეძახილებით:

— აგარის შაქარი უკვე აქ არი! მოდი, ბაბუ, მოდი!

— კაცი ჟმოტი რომ იქნები, – ერთვება  უკვე მძიმე ავადმყოფი აბესალომი, მთელი ნახევარი საათი რომ ამოჰყავდათ მეორე სართულზე, მაგრამ დღემდე მაინც არავის, საკუთარ შვილსაც კი, რომ არ აკარებს თავის ძველ, მწვანე ვოლგას.

ჩვენ ზუსტად ისეთები ვართ, როგორებიც უნდა ვიყოთ, რადგან აქ, ამ ხის ციხეში გავიზარდეთ, სადაც არასოდეს, არავის არაფერი აინტერესებდა, ჭორების გარდა. ამბობენ, რომ ციხის გარეთ ყველაფერი იცვლება, წინ მიდის, მოძრაობს, არ ვიცი, არ ვყოფილვარ, მაგრამ იმას კი ნამდვილად ვხედავ, რომ აქ არაფერი შეცვლილა, თითქოს რაღაცის, ან ვიღაცის მომლოდინე დრო გაჩერებულა და ჩასძინებია. ჩვენთან ხომ წელიწადის სულ ორი დროა, დომინოსი, როდესაც სიცივე გვაიძულებს უგზო-უკვლოდ დაკარგული მეზობლის მიტოვებულ, ნესტიან სახლში გადავბარგდეთ, ომახიანად ვაბრახუნოთ შავი ქვები და არაყი მოვიშველიოთ გასათბობად — და ჯოკერის, როდესაც ჩახუთული სახლიდან გარეთ, გრილ სადარბაზოში ვინაცვლებთ, არაყს ლუდით ვცვლით, შავ ქვებს კი ფერადფერადი ქაღალდებით. ადრე აქ სტარიკები თამაშობდნენ, მერე მათი ადგილი ჩვენ დავიკავეთ, ახლა კი უკვე ჩვენს მაგიდასთანაც ჩნდებიან ახალგაზრდა სახეები, რომელთა ნაწილიც ადრე თუ გვიან აუცილებლად დაიკავებს ჩვენს ადგილს და ასე დაუსრულებლად. ეს ციხეა, ძველი, მორღვეული, ხის, მაგრამ მაინც ციხე, საიდანაც მხოლოდ ერთადერთმა კაცმა, ჩემმა ძმამ მოახერხა გაქცევა, გოგო შეუყვარდა შეძლებული ოჯახიდან, ცოლად შეირთო და ცალკე გადავიდა. ხანდახან თუ შემოივლის ხოლმე, მოგვიკითხავს და როდესაც ისევ ისე, ძველებურად ქუჩაში, იმავე ვადაგასული ხუმრობებითა და უდარდელი სახეებით მდგომებს დაგვინახავს, გარბის.

— ხვალ ორზე გავასვენებთ, – ამბობს მამსონიტო, – როგორც წესია, ისე.

— კარგით, მე წავედი, – ვამბობ, ვდგები და მივდივარ.

უკვე ვიცი, ხვალ რაც იქნება: “პატარებმა ყვავილები და სურათი ჩაიტანეთ, კუბო სამჯერ უნდა დატრიალდეს, რუჩკებს არ ენდოთ, კარი მოხურე, უნდა დავაჯახოთ, ტახტი წაუქციეთ, მოძრაობა გააჩერეთ, ცოტა გავატაროთ...” ვიცი და მირჩევნია სახლში ავიდე, სახლში, რომელსაც, მარტოობის გასადევნად წლების განმავლობაში ვტენიდი წიგნებით, მაგრამ არაფერი გამომივიდა. წიგნები ბევრი დამიგროვდა, მე კი მაინც მარტო დავრჩი. ვიცი, ადრე თუ გვიან ჩემი დროც მოვა, მეც მიპოვნიან ვასასები მძინარეს, ლამაზ ტანსაცმელს ჩამაცმევენ, წამომაგორებენ იმ საშინელ ტახტზე და მერე წამიყვანენ, მაგრამ მანამდე დიდი დროა. ჰოდა მეც ავალ, ჩემს მაგარ, ხის ლოგინზე წამოვგორდები, იქნებ რამე კარგი მაინც დამესიზმროს.



# დატყვევებული დროის პირისპირ

საინტერესოდ თხრობა მწერლის ის უმთავრესი ღირსებაა, რომელიც მას თავის შექმნილ სამყაროში მკითხველის მისაპატიჟებლად ეხმარება.

**ლადო კილასონიას ნოველა „ციხე“** რეალობის შეცვლის შეუძლებლობის თან აღიარებაა და თანაც შინაგანი, შეფარული პროტესტია, მსუბუქი ირონიით გამოხატული. ამასთანავე, მის მიერ მოყოლილი ამბავი ადამიანის დიდი სიყვარულითაა გამთბარი და გაჯერებული. ეს ის განწყობილება გახლავთ, რომელსაც შეიგრძნობთ ამ ახალგაზრდა მწერლის მოთხრობების წაკითხვისას. იგი არაფერს იგონებს, სინამდვილეს აღწერს და მაინც, თითქოს მის თხრობას ზღაპრის ელფერი დაჰკრავს... ასეთი განცდის გამომწვევი უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ „ციხეში“ დრო გაყინულია, გაჩერებულია... ეს „საოცრება“ თვითონ ამ „ხის პატარა, ჭრაჭუნა და მოჩვენებითად კეთილ სამყაროში“, ძველი, საერთოაივნებიანი და ეზოიანი სახლის, ანუ როგორც მწერალი უწოდებს — ციხის ბინადრებმა ჩვეულებრივ ამბად აქციეს.

ახალგაზრდა კაცი გვიყვება გარდაცვალების ამბავს მისთვის იმთავითვე მოჩვენებად ქცეული მოხუცი მეზობლისას, რომელიც მთხრობელისთვის, ბიჭობიდან მოყოლებული, „ფანჯრიდან დანახული წარსულის აჩრდილი იყო და რომელიც უბრალოდ, დაავიწყდათ, დარჩათ საკუთარ სახლში.“

მწერალთან ერთად მწარე რეალობის პირისპირ ვდგავართ — ადამიანი არავის სჭირდება, არავის ახსოვს, არავის აინტერესებს. არადა, მოჩვენებითად ყველაფერი წესისამებრ ხდება...

ახალგაზრდა ავტორისთვის გაკვირვების საგანია გარდაცვლილის ძველი, შავ-თეთრი ფოტოსურათი — ახალგაზრდა, ლამაზი ქალი რომ უცინის. „მართალი ყოფილან ამერიკელები თავიანთ სულელურ ფილმებში რომ გაიძახიან — გვჯერა იმისი, რასაც ვხედავთო. მე კი ის სულ ასეთი მახსოვდა და მეგონა, რომ...“

უცებ ახალგაზრდისთვის უჩვეულო სევდა იგრძნობა. არადა, ეს ხომ ჩვეულებრივი და ბუნებრივი სევდაა იმისა, რომ ადამიანი მოკვდავია და, ამასთან, თითქოს ხანდაზმულის შემგუებლური განცდაც ჩნდება, რომ დროსთან შეჭიდება ამაოა, მარცხისთვის იმთავითვე განწირული ხარ და ამას მხოლოდ გულგრილობით, ანდა იმ წუთიერი სითამამითა და გულადობით თუ აჯობებ, ბიჭს მთვრალი მამის სიტყვებად რომ აღბეჭდვია გონებაში: „არ მეშინია, მოვიდესო...“

თვითონ ნუთუ ამ „ციხეს“ და მასში გაჩერებულ-გაქვავებულ დროს უნდა დაატყუსაღებინოს თავი? სად არის მისი ადგილი? ნუთუ უნდა განმეორდეს აჩრდილად ყოფნისა და მარტოობის ტრაგედია?

ახალგაზრდა კაცმა უკვე იცის, ხვალ რა იქნება... საიდან იცის? ამ კითხვას ასე შეიძლება ვუპასუხოთ: გაჩერებული დრო ხომ მასთან სახლშია — „ციხეშია“!

მაგრამ არსებობს კარგი სიზმრის ნახვის იმედი და მკითხველსაც იმის განცდა ეუფლება, რომ უკვე „თავისიანად“ ქცეული ახალგაზრდა კაცი მკვდარ დროს და ამ „ციხეს“ თავის აშენებულ სამყაროს დაუპირისპირებს.

არა, ის ბრძოლას სულაც არ აპირებს, უბრალოდ, ცხოვრების შესაცნობად და მარტოობისგან თავდასახსნელად დრო კიდევ ეყოფა (ესეც ჩვენი ნაცნობი, დროის მარწუხებიდან გამოსხლეტილი ქართველური სილაღე და უდარდელობა!).

ასეთი კეთილშობილი ადამიანი მარტო არასოდეს დარჩება ბავშვობისდროინდელი იმ ძმაკაცისგან განსხვავებით, რომელიც წარმატებული ბიზნესმენის ლამაზ ნიღაბს ამოფარებული ძალიან „უცხოა“. „უცხოა“, რადგან მას, უბრალოდ, ადამიანის სიყვარულისა და მეგობრობის არაფერი გაეგება...

ამ ნოველაზე კი იმის თქმა შეიძლება, რომ ლადო კილასონიამ ადამიანის ფასი კარგად იცის და, ამასთან, გულწრფელობითა და გულითადობით აღბეჭდილი თხრობის ლაღი მანერით მკითხველს ისე უახლოვდება, რომ მასთან კვლავ და კვლავ შეხვედრის სურვილს ბადებს, იმ სასიამოვნო მოლოდინს, რაც ასე აუცილებელია ლიტერატურული ცხოვრებისათვის.

**თამარ ღონღაძე**

## ახალი თარგმანები



**დაიბადა 1981 წელს, სამწერლო ასპარეზზე 2004 წლიდან გამოჩნდა. მოღვაწეობს კინოდრამატურგიასა და რეჟისურაშიც.**

**დღემდე გამოცემული აქვს ოთხი წიგნი (რომანები და ნოველები). მისი ნაწარმოებები დაჯილდოებულია სხვადასხვა ლიტერატურულ კონკურსებზე: 2005 წ. — ირანის ისლამური რესპუბლიკის წლის საუკეთესო წიგნი; 2005 წ. — შაჰიდ ყანიფურის პრემია წლის საუკეთესო წიგნი; 2005წ. — საბავშვო წიგნის საბჭოს პრემია (წიგნისათვის "ფარსელები და მე"); 2006 წ. — ლიტერატურული პრემია "მეჰრეგანის" დიპლომი (რომანებისთვის „გველეშაპთა სასახლე" და "ჩიტის მთის საიდუმლო"); 2008 წ. — I-ს საერთაშორისო დიპლომი (ბიენალეზე, რომელიც დანიაში გაიმართა).**

**ნოველები "მწარე საყურე" და "მეხუთე" თარგმნილია მისი ნოველების უკანასკნელი კრებულიდან „მწარე საყურე" (2006)...**

არმან არიანი

# ორი ნოველა

### მეხუთე

დღეს პარკში სამი კაცი მოვკალი. მართალი გითხრათ, ჩემზე სულ არ არის დამოკიდებული. ყოველდღე თითო ამნაირი რამ შემემთხვევა ხოლმე და...

კაცმა რომ თქვას, მათთან მე რა ხელი მქონდა? — თავად მოკვდნენ. მართალია, ვაღიარებ, რომ ჩემს ძალაშია საქმე, მაგრამ...

მოიცათ, სულაც თავიდან გიამბობთ, რათა მერე თვითონვე განსაჯოთ:

დღეს საღამოს, მზის ჩასვლამდე რამდენიმე საათით ადრე, ქუჩაში გამოვედი, ცოტას გავისეირნებ-მეთქი. ჩვეულებრივ ასე ვიქცევი, რადგან თავის ტკივილს ცოტათი მიმსუბუქებს. ძალიან ბევრს ვფიქრობ ხოლმე. მკლავებისაგან განსხვავებით, ერთობ ძლიერი გონება მაქვს. ჩემი ძალაც ნამდვილად ამგვარი გონებისაგან უნდა მომდინარეობდეს, რადგან ასე დამანგრეველია. უწინ ამდენად ძლიერი როდი იყო — ბოლო ხანებში იმძლავრა ძალიან.

ერთი სიტყვით, როგორც არის. ჭიშკრიდან პარკში რომ შევაბიჯე, დავინახე ხეები, საქანელები, სასრიალოები, მოგზაური ოჯახები, რომელთაც მოლზე ფარდაგი გაეშალათ, ბავშვები და ის უბედური გოგონაც. ყველას აჩქარებით ჩავუარე.

ვერ ვბედავ, ვინმეზე მზერა შევაყოვნო. რაიმე უბედურებას გადაეყრება, თუკი მასზე ყურადღება შევაჩერე.

წავედი იმ ბოლო მერხისკენ, სადაც ჩვეულებრივ ვჯდები ხოლმე. ცოტა ხნის წინათ შეღებეს. ყვითელი იყო, ახლა გაამწვანეს. ყვითელი უფრო მომწონდა. ნამდვილად

არ ვიცი, რატომ შეღებეს მწვანედ. იქნებ იმიტომ, რომ მხოლოდ მე ვჯდები ამ მოშორებულ მერხზე?

ერთი სიტყვით, იქ დავჯექი და მიხაროდა, რომ ამ ფუსფუსისაგან მოშორებით ვიყავი. მაგრამ არ ვიცი, რატომაა ხალხი ასეთი? თითქოს გვერდები ექავებათო. სულ მოდიოდნენ და ჩემს გარშემო დაბორიალობდნენ.

მერწმუნეთ, არავინ მძულს. არც ის ბავშვები, თეთრი პუტკუნა ხელები რომ აქვთ და საყვარელი ხმები, არც მათი უფროსები, ბანჯგვლიანები რომ არიან და სქელკისერები.

უბრალოდ, მეცოდებიან.

მაგალითად, აი, ის პატარა გოგონა — დაწნული წაბლისფერი თმით. როცა მოვიდა და ჩემ სიახლოვეს ხმაური ატეხა და იმ სიფრიფანა, ფაფუკი კისრიდან წივილკივილის ხმა ამოუშვა, ვუთხარი:

— მშვენიერო ქალბატონო, თუ კიდევ ითამაშებ ამ ახლომახლოში, ერთ ლუკმად გადაგსანსლავ!

სულაც არ ვხუმრობდი, მაგრამ, მართალი გითხრათ, ვერ მიმიხვდა. სამაგიეროდ, დოინჯი შემოიყარა და შემტევად და ბავშვურად მიპასუხა:

— ვა! მაშინ ჩვე საწყლებმა სად უნდა ვითამაშოთ?

ვცადე, არ შემეხედა მისთვის. მასზე კონცენტრირება არ უნდა მომეხდინა. თავი ჩავღუნე და აღარაფერი მითქვამს. მანაც ერთხანს მათვალიერა და მერე იმ კოპლებიანი წითელი კაბით, ფუშფუშა სახელოები რომ ჰქონდა, საქანელებისკენ გაქანდა. არასოდეს დამავიწყდება, როგორ დაჯდა საქანელაზე, როგორ მივიდა მასთან კაცი და ჩქარ-ჩქარა გააქანა. ლამის გავგიჟდი.

შევეცადე, საქანელის ჯაჭვებისთვის არ შემეხედა. ძალიან მალე მივხვდი, რომ აზრი არ ჰქონდა, რადგან გოგონამ დაიკივლა და საქანელიანად მოპირდაპირე სასრიალოსკენ გაიტყორცნა.

დამიჯერეთ, თავისთავად მოხდა. თვითონვე ხართ მოწმენი, რომ მე არ ჩავრეულვარ, მაგრამ, როდესაც ხალხი პაწაწინა გოგონას ცხედრისკენ გაიქცა, საჩქაროდ პარკის უკანა გასასვლელიდან გავედი.

ყელში ბურთი მახრჩობდა, როდესაც გვერდით ცარიელ ქუჩაზე შევუხვიე. იმ ქუჩის სიჩუმემ ცოტა შვება მომგვარა.

ჩავუარე მოტოციკლს, რომელსაც დაღარული, ლამაზი მოყვანილობის საბურავები ჰქონდა. ის იყო, პატარა უბედურ გოგონაზე დავფიქრდი, რომ ზურგს უკან ძრავის დაქოქვის ხმა გავიგონე. რამდენიმე წუთის შემდეგ ორი ყმაწვილი დავინახე, მოტოციკლზე გადამსხდარებმა როგორ ჩამიქროლეს. ძლიერად აწვებოდნენ გაზს და საბურავებიც მოძრაობისას გაცილებით ლამაზი იყო — თეთრ მბრუნავ რგოლებს ჰგავდა, ასფალტზე რომ დაგორავს და წინ მიიწევს...

მძიმე სანახავი გახლდათ, როგორ გასკდა წინა საბურავი. მოტოციკლი ჰაერში ავარდა – ის ორი ადამიანიც. თვითონვე განსაჯეთ, ასეთი სისწრაფის დროს რაც მოხდებოდა.

როდესაც ქვის გალავანს თავებით შეასკდნენ, პატარა ქუჩაზე შევუხვიე და შინ დავბრუნდი — უფრო ნაღვლიანი, ვიდრე ოდესმე.

რომ ვუფიქრდები, ვრწმუნდები, რომ ეს ყველაფერი ჩემი ენერგიის ბრალია.

* * *

ოთხ ქალიშვილთან ვმეგობრობდი ერთმანეთის მიყოლებით, მაგრამ ყველანი რიგრიგობით დაიხოცნენ. ამდენად, მეტად აღარავისთან მიმეგობრია, რადგანაც არ მინდოდა, მათ რიცხვს მეხუთეც მიმატებოდა.

ზოგჯერ ვფიქრობ: ნეტავ რამდენია ჩემნაირი ამ ქვეყანაზე?

თუ ბევრნი ვართ, ალბათ, ჩვენი ბრალია იმ სიკვდილთა უმეტესობა, მთელს მსოფლიოში დღედაღამ რომ ხდება.

სულ აღარ დამრჩა მეგობარი. აბაზანის ერთი ტარაკანიც კი.

ვინ აგებს ამაზე პასუხს? თანდათანობით ეზრაილს* ვემსგავსები.

* * *

პარასკევს ისევ წავედი პარკში. საქანელები დაეკეტათ, ზედ რომ აღარავინ დამჯდარიყო. პარკის უფროსი იმ ამბის გამო დაესაჯათ. საბრალო!

დავჯექი ჩემს მერხზე და ვუცქერდი პარკს, ნელ-ნელა ხალხით რომ ივსებოდა. ვიფიქრე, უკეთესი ხომ არ იქნება, პარკში აღარ მოვიდე და საკუთარ თანამოქალაქეთა სიცოცხლე საფრთხეში არ ჩავაგდო?

საერთოდაც, გარეთ, ქუჩაში გამოსვლისათვისაც, შეძლებისდაგვარად, თავი უნდა ამერიდებინა. დიახ, ასე აჯობებდა ყველა თვალსაზრისით.

ჩემი მერხის მეორე კიდეზე ერთი ლამაზი ახალგაზრდა ქალი ჩამოჯდა. სახე მივაბრუნე და ცოტა შორს ჩავიჩოჩე. აქამდე არ მენახა. ქურდულად თვალი მოვკარი, რომ იმანაც სახე მიატრიალა.

აღარ შემიხედავს მისთვის, რადგან იმდენად ცნობისმოყვარე არ ვარ, რომ საფრთხე შევქმნა. ის კი არა, გული რომ მშვიდად მქონოდა, თვალებიც კი დავხუჭე. მეშინოდა, სიკვდილის დრო რომ დამიდგებოდა, ეზრაილიც არ მომეშთო.

რამდენიმე წუთში წასასვლელად რომ წამოვდექი, ის ჯერ კიდევ მერხზე იჯდა. გაზონებიდან ხმაური მოისმა. ვიღაც კაცისთვის ინფარქტს დაერტყა და იქვე მიწაზე დაცემულიყო. ძალიან მალე მის გარშემო იმდენი ხალხი შემოიკრიბა საცქერლად, კაცის ჭირისუფლებს ბილეთები რომ გაეყიდათ, კარგი ბიზნესი გამოუვიდოდათ. უფალს მადლობა შევწირე, რომ ეს მაინც არ იყო ჩემი ნახელავი. ამ მხრივ დარწმუნებული ვიყავი, რადგან მანამდე იმ კაცისთვის თვალი ერთხელაც არ მომიკრავს.

მერხზე მჯდომ გოგონაზე რომ მომხვდა მზერა, დავინახე, სახე ალეწოდა, მოკუნტულიყო და არ ინძრეოდა. ისიც მე მიყურებდა, თუმცა ჩვენი თვალები ერთმანეთს რომ შეხვდა, სასწრაფოდ მზერა ამარიდა. გულში გავიფიქრე: რა უცნაური სახე აქვს! აშკარაა, არ მიცნობს, თორემ ასე კეკლუცობად არ დაილვრებოდა.

ის იყო უნდა წავსულიყავი, რომ პირველსავე ნაბიჯზე ფეხი რაღაცაზე წამომედო და ისე დავეტაკე თავით ხეს, რომ გავიტეხე. ეგ კი არა, ღმერთს მადლობა უნდა შევწირო, რომ ასეთი ძალის პატრონი ვარ, თორემ ტვინს დავანთხევდი.

---

* სიკვდილის ანგელოზი.

ამ უჩვეულო შემთხვევაზე უცებ რაღაც აზრმა გამიელვა. ქალიშვილისკენ მივბრუნდი. თვალგაშტერებული შემომცქეროდა. ვუთხარი:

— თქვენ იყავით, არა?

გაჩუმდა და ხეებს გახედა.

გავუმეორე:

— შენი ნახელავია. შეხედე, თავი გამიტეხე!

ისე შემომხედა, თითქოს უნდოდა ეთქვა, წადი, ღმერთს მადლობა უთხარი, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი ხარო.

იმით გახარებულს, რომ ერთი ჩემნაირი ვიპოვე, თავიდან სისხლისდენა სულ გადამავიწყდა.

* * *

ეს მეხუთე ქალია, რომელიც ჩემს ცხოვრებაში შემოვიდა. რასაკვირველია, იგი ყველასგან განსხვავდება, რადგან ამბობს, რომ მე მეთხუთმეტე მამაკაცი ვარ მის ცხოვრებაში.



მხატვარი იანა ზაალიშვილი

**მწარე საყურე**

„სალამი, ჩემო ძვირფასო მუნა!

დავბრუნდი, როგორც იქნა. ხომ დაგპირდი, არა?

ჰოდა, მიხარია, რომ შენთან მაინც ვარ პირნათელი. საზღვარგარეთ სწავლის ეს რამდენიმე წელი მხოლოდ ფიზიკურად არ ყოფილხარ ჩემთან.

თვითონაც იცი, არც ერთი ქალისკენ არ გამიხედავს, სხვა რამეზე რომ არაფერი ვთქვა...

ამ ბოლო წინადადებას რომ წაიკითხავ, ვიცი, შენს ფაქიზ და საყვარელ გულში რას გაიფიქრებ: „ჩემი უსირცხვილოო", არა?

შევეშვათ ხუმრობას. რაც ვიყავი, ისა ვარ. ოღონდ ცოტა უფრო განათლებული.

შუადღისას, როცა მოვედი, ვუთხარი, შენს საყვარელ პიანინოზე მტვერი გადაეწმინდათ და აუზთან, ჩვენი ყურძნის ქვეშ, დაედგათ.

აუზში წყალი გამოცვალეს.

ის ქიშმიშიანი ნამცხვრებიც, ძალიან რომ გიყვარს, შენ მაგიერ ბლომად გეახელი. სახლი მზადაა შენს შესაგებებლად, მაგრამ არ ვიცი, აქ რაღას ვუზივარ და ამ სისულელეებს რას ვჯღაბნი?

თუკი დამპირდები, რომ შენს წერილს არავინ ნახავს, ერთ საიდუმლოს გაგიმხელ:

შენი ყურები მომენატრა. ცხადია, იმ ოქროს უგემური საყურეების გარეშე. რა უზრდელი ვარ, არა?

დიდი სისულელეა, ამდენი ხნის მერე დავბრუნდე და ქალალდს დავუწყო ლაპარაკი. ისე, არცთუ ურიგო იქნება: ერთ მეასედს ქალალდზე დავწერ, დანარჩენს კი ყურში გიჩურჩულებ.

იქნებ მომერიდოს კიდეც – ამდენხნიანი განშორების მერე მოვიდე და გნახო.

ანეკდოტია! — მე და მორიდება?!

ერთსაც გეტყვი და მერე პირდაპირ შენთან წამოვალ.

გახსოვს ის დღე, აუზთან პიანინოზე რომ გიკრავდი? ჩემი წასვლის წინა დღე იყო.

რა კარგი იყო, არა?

ვილაცამ სურათიც გადაგვიღო. არ მახსოვს, ვინ.

მერე ჩემს თავს ზემოთ მსხვილი და წვნიანი ყურძნის მტევანი მოწყვიტე და ერთად შევექეცით.

როგორ თანაბრად ჰყოფდი: „ერთი — შენ, ერთი — მე".

ბოლო – კენტი მარცვალი კი ორ ნაწილად გავყავით. რა ტკბილი იყო ის ბოლო მარცვალი!

ვიცი, რატომ ვიხსენებ ამ ყველაფერს. მაგრამ, ვფიცავ ღმერთს, ამჯერად მოვდივარ!"

*შენი მარადიული მიჯნური*
*ბეჰზადი*

*თარიღი: მარადის*

კაცმა აჩქარებით ჩაიცვა პიჯაკი და წერილი აიღო. მაგიდის ლამპა ჩააქრო და ოთახიდან ფეხაკრეფით გავიდა.

კიბეს დაუყვა და შენობის მთავარ შესასვლელს მიადგა.

სკამზე მთვლემარე დარაჯს გასასვლელი მთლიანად ამოევსო. ბეჰზადმა ფრთხილად შეახო ხელი მხარზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძილბურანში მყოფმა დარაჯმა საათზე დაიხედა და სკამიდან წამოდგა.

— ასე გვიან ღამით გარეთ მიბრძანდებით, ბატონო ბოზორგმეჰრ?

— დიახ, გამატარე, გეთაყვა.

— მიბრძანდით, თქვენი ჭირიმე.

და სკამიც და საკუთარი თავიც გვერდზე გასწია, რათა ბეჰზადი სასწრაფოდ გასულიყო. მერე შემოსასვლელის კარის მინაში უყურებდა, როგორ ეფარებოდა თვალს. შიდა ტელეფონი აიღო და ღილაკს ხელი დააჭირა.

ხრიალი რომ გაიგონა, ყურმილს მოახსენა:

— ამ წუთას გავიდა, ბატონო. ზუსტად იმ დროზე.

ხმამ უპასუხა:

— ძალიან კარგი. მოვდივარ...

გავიდა ერთი წუთი და კიბეზე კაცი გამოჩნდა, რომელსაც მუქი ფერის საწვიმარი ეცვა და თავზე კეპი ეხურა.

დერეფნის სიბნელეს გამოეყო და, დარაჯს რომ ჩაუარა, თავის დაკვრით ანიშნა, კარი გამიღეო.

დარაჯი წამოუდგა და უთხრა:

— იმედი მაქვს, ჩემო ბატონო, რომ სიბნელეში არ დაგეკარგებათ.

კაცმა ქუდის ჩრდილიდან გაუღიმა და ჩაილაპარაკა: ზუსტად ვიცი, სადაც მიდის. ამ საღამოსაც კარგად იმუშავე. ახლა, მიდი, დაიძინე.

* * *

ბეჰზადმა სიჩქარეს უმატა. ცოტაღა იყო დარჩენილი. ანგარიშმიუცემლად ჩაილაპარაკა: „მუნა! თითქმის მოვედი..."

ხის თეთრ მესერს მიადგა და გაბედულად გადაევლო მის დამტვრეულ და მორყეულ ნაწილს. არ იცოდა, რომ შავებში ჩაცმული კაცი ადევნებოდა.

ბეჰზადი წამით შეჩერდა. ამ მონაკვეთში ძალიან ბნელოდა, სავსე იყო ერთმანეთში გადახლართული ტოტებით. თავი დახარა და უფრო ნელა განაგრძო სვლა, ვიდრე თეთრი ქვები გამოჩნდებოდა. ცოტა მოშორებით მთვარის შუქზე ერთი უბადრუკი ადმინისტრაციული შენობა იკვეთებოდა.

ბეჰზადმა ჩაილაპარაკა:

— შემეშალა?.. აა, მინდოდა მოკლეზე მომეჭრა...

თეთრი ქვები გამოიარა და მთავარი გზისკენ გაემართა. ქვებზე სახელები ამოიკითხა:

— ბიჟანი... ანაჰიტა... ბეჰრუზი... როგორ ჰგავს ჩემს სახელს... ოჰ, სად იყავი?

და ბოლო ქვასთან მიწაზე დაეცა.

— როგორ მომენატრე, ეს ოხერი!

შავებში ჩაცმული მამაკაცი ბეჰზადისგან ხუთი ქვის მოშორებით ნიშას ამოეფარა.

— მუნა, შე ცუდო!.. რატომ?.. — იმიტომ, რომ სულ მე უნდა მოვიდე შენს სანახავად... და მერე რა?.. რადა, მინდა, თუნდაც ერთხელ შენ მოხვიდე ჩემთან.

ბალახებზე გაწვა, საფლავთან ამოსულ კოინდარს ხელი გადაუსვა და თვალები მილულა.

— სად არის შენი ყური?

ბალახებში დაუწყო ძებნა.

შავებიანმა მამაკაცმაც მის სულის ბერვას ყური მიუგდო. კაცმა რომ თქვას, ეს ერთადერთი ხმა იყო, ბეჰზადისგან რომ ესმოდა.

* * *

საწვიმრიანი მამაკაცი კვლავ ერთ-ერთი ნიშის უკანიდან უთვალთვალებდა.

ბეჰზადმა ჩაიჩურჩულა: „ამ წყეულ სასაფლაოს რატომ არ შორდები? აქ რამ გაგაქვავა?"

ადგილიდან წამოდგა და საფლავის ერთ-ერთი ქვის ნაპრალში რაღაცას ძებნა დაუწყო. ვერაფერი იპოვა. სიხარულით ამოიღო ახალი წერილი ჯიბიდან და იმ ნაპრალში ჩატენა. მერე მუნას რამდენიმე ნაბიჯით მოშორდა და უთხრა:

— ნახვამდის, ჩემო ულამაზესო...

მერე ღობეს გადაევლო და გაუჩინარდა.

მამაკაცი შავებში ახლა მუნას საფლავს დადგომოდა თავზე. ნაპრალი მოსინჯა და ახალი წერილი იპოვა. გახსნა და მთვარის სუსტ შუქზე შეათვალიერა. მერე ჩაიბურტყუნა: „ისევ ისე – როგორც ყოველთვის! ამ მიცვალებულს ადრინდელივით რომ შეეძლოს წერა-კითხვა, აქამდე უთუოდ ჭკუიდან გადავიდოდა".

სასაფლაოდან უკან უფრო ნელი ნაბიჯით გაბრუნდა.

ცენტრალური ჭიშკრიდან შევიდა, რომლის თავზე ეწერა:

„ექიმ ბოზორგმეჰრის ფსიქიატრიული კლინიკა".

ცხადია, აქ ბეჰზადი კი არ იგულისხმებოდა, არამედ მისი უმცროსი ძმა, რომელიც ექთანივით უვლიდა ბეჰზადს მთელი ის წლები, მუნას გარდაცვალებიდან რომ გავიდა. მამაკაცმა ბაღი გაიარა და შენობას მიადგა. იმავე დარაჯმა გაუღო კარი და უთხრა:

— ბატონო ექიმო, თქვენი ძმა ათი წუთის წინათ დაბრუნდა და თავის ოთახში შევიდა.

ექიმმა — შავებში გამოწყობილმა მამაკაცმა — დარაჯს მხარზე ხელი დაადო და თავის საძინებელში დაბრუნდა. საწვიმარი და ქუდი სკამზე მიაგდო. კარადის უჯრა გამოსწია. საქაღალდე გადაშალა. იქ ასობით გაყვითლებული და დაჭმუჭნილი წერილი იყო – ზუსტად იმღამინდელის მსგავსი. უკანასკნელი წერილიც მათ დაადო და საქაღალდე უჯრის სიღრმისკენ გააცურა. ფოტო გამოიღო და უჯრა ჩაკეტა.

ღრმად ჩაისუნთქა და ტახტზე ჩამოჯდა. ფოტოს ყურადღებით დააცქერდა.

ახალგაზრდა ქალ-ვაჟი აუზთან იჯდა. ქალი იცინოდა და მარჯვენა ხელში ყურძნის მტევანი ეჭირა, მარცხენა ხელით კი ერთი მარცვალი ვაჟის ბაგეებისკენ გაეწვდინა. ახალგაზრდა კაცი თეთრ პიანინოს ეჯდა, რაღაც მელოდიას უკრავდა და თან ყურძნის მარცვლისთვის პირი მიეგებებინა.

ექიმს მოეჩვენა, რომ პიანინოს მელოდია ესმოდა და კიდევ — ახალგაზრდა ქალის ხმა, რომელიც ღიღინებდა: „ერთი — მე, ერთი — შენ"...

**სპარსულიდან თარგმნა**
**თეა შურღაია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უმადურობა ისტორიისა

ვორკუტაში გამწესებული ლევან გოთუა 1952 წლის მაისში მოულოდნელად მოსკოვში გაუსტუმრებიათ. თავისიანებს ამცნობდა:

„ბუტირკის ციხეში შესვლისთანავე დაიწყო ჩემი ზღაპრული ცხოვრება. იმწუთშივე აბანოში შემიყვანეს, სადაც გემრიელად ვიბანავე. საპონს მონატრებულმა ვისვი და ვისვი ტანზე საამო სუნის ხელის საპონი“.

მერე დალაქს გაუპარსავს და გაუკრეჭია.

გასახდელში დახვდა ახალთახალი, ქათქათა საცვლები, ზედა ტანისამოსი და გაკრიალებული ფეხსაცმელი.

ჩააცვეს და გამოაწყვეს. მწერალი ირონიულად შენიშნავს: უფრო სწორად, გამომპრანჭესო. სარკეში ჩაიხედა და თავისი თავი ველარ იცნო. მაგრამ...

„ყოველივე ამან არ გამახარა. პირიქით, ავის მომასწავებლად მივიჩნიე. ჩემს თავზე რაღაც ცუდი ამბავი ხდებოდა“.



ლევან გოთუა

დაფიქრებას აღარ აცლიან. აბანოს მოჰყვება სადილი თანამშრომელთა სასადილოში. ქართველ კაცს ქართული ღვინოც მიართვეს. დაასკვნა, ჩემი საქმე ცუდად არისო.

მერე მდიდრულად მოწყობილ კაბინეტში შეიყვანეს. რბილ და ღრმა სავარძელში რომ ჩაჯდა, ეგონა, იატაკზე ვვარდებიო.

„ოთახში შუა ხნის ჩასუქებული, სიმპათიური ქართველი კაცი შემოვიდა. დიდი მოწიწებით ცალკე, პატარა მრგვალ მაგიდასთან მიმიპატიჟა. ამ თავაზიანობამ და უცნობი კაცის ღიმილმა არასასიამოვნოდ იმოქმედა“, – ვკითხულობთ ლევან გოთუას ბარათში.

გულაგის ტუსაღს აბანავებენ, გაკრეჭენ და გაპარსავენ, ახალუხლებით შემოსავენ, გემრიელად აჭმევენ და ასმევენ, სიმპათიური თანამემამულე თავაზიანად ულიმის რბილ სავარძელში ჩაფლულს, ის კი დამფრთხალ-დაზაფრული და გუნებაწამხდარია. გაგიგონიათ ასეთი პარადოქსები?!

ბოლოლა ჩეკისტი თუთუნსაც შესთავაზებს და მერე საქმეზე გადადის:

„ბატონო ლევან! თქვენი ბიოგრაფია და საქმიანობა ჩვენთვის ცნობილია. ალბათ გიჭირთ პატიმრობა. სამშობლოც მოგენატრათ... თქვენს შესახებ ბევრი ვიმსჯელეთ და თქვენი სამშობლოში დაბრუნების გზა გამოგინახეთ“.

გულს ბაგაბუგი გაჰქონდაო, წერს ლევან გოთუა. ხმაამოუღებლივ უსმენდა.

ქართველ მწერალს ასეთი დავალება ეძლევა: საზღვარგარეთ მყოფ ქართველ ემიგრანტებს უნდა შეხვდეს, ტკბილი სიტყვით გადმოიბიროს და საბჭოთა კავშირში ჩამოიყვანოს.

ჰა, როგორია – ვორკუტელ ტუსაღს პირდაპირ პარიზში ეპატიჟებიან!

ვის არ აუჩქროლებდა გულს ამგვარი საცდური?!

ახლა კატორღელი ლევან გოთუას პასუხი ისმინეთ: ჩეკასთან არაფერი მესაქმება, ჩემი ერის გამყიდველი არასოდეს ვყოფილვარ და არც ვიქნებიო.

ბოლოლა ქართველი ჩეკისტი ბოლმას გადმოანთხევს: „თქვენ არ ყოფილხართ ჭკვიანი კაცი... არც დიდი მწერალი ხართ და არც ამდენი ხნის პატიმრობას მოურჯულებიხართ. ახლა კი სამშობლოს სამუდამოდ გამოემშვიდობეთ“.

მერე კი ნიშნისმოგებით აუწყებს: „ვიღაცამ სტალინს თქვენი კარგი მწერლობის ამბავი მოახსენა. სტალინმა კი მიხეილ ჭიაურელს ჰკითხა: მწერალ ლევან გოთუას თუ იცნობო?“

არა, არ ვიცნობო – უთქვამს სახელმოხვეჭილ ქართველ კინორეჟისორს.

ბოლოლა ქართველი ჩეკისტი გესლიანად დასძენს: „მისი სიტყვა თქვენს ბედს სულ სხვანაირად გადაწყვეტდა“.

ვაგლახ, არ გამოექომაგა ის კაცი, ვისაც, სტალინის ხათრით, თვით ლავრენტი ბერია ეპირფერებოდა (მოსკოვში ოხუნჯობდნენ, რომ რუსეთს განაგებდა სამი ქართველი ამგვარი იერარქიით – სტალინი, ჭიაურელი, ბერია).

ჭიაურელი თურმე პირადად არ იცნობდა ლევან გოთუას, მაგრამ მისი მეუღლე ვერიკო ანჯაფარიძე გოთუას პიესებში „ერეკლე მეფე“ (1942) და „დავით აღმაშენებელი“ (1945) ხომ თამაშობდა მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე და შეუძლებელია, რომ ჭიაურელს ამ პიესების ავტორის ვინაობა არა სცოდნოდაო, – შენიშნავს ლევან გოთუა, თუმცა დიდსულოვნად ცდილობს ჭიაურელის გამართლებას:

„ზოგჯერ იმასაც ვფიქრობდი – შესაძლოა იმ წუთში მისი ასეთი ნათქვამი საჭირო იყო და სჯობდა, თორემ ასე რატომ გამწირავდა ალალ-მართალ ქართველ კაცს“.

ფორმალური თვალსაზრისით, ჭიაურელს ვერც შეედავები. ჰკითხეს, ლევან გოთუას თუ იცნობო. პირადად არ იცნობდა და სტალინს როგორ გაუბედავდა ტყუილს!

ახლა განსაჯეთ უმადურობა ისტორიისა – იმ კაცის სახელი შემოგვინახა, რომელმაც ბრძანა, ლევან გოთუას არ ვიცნობო და იმ კაცის სახელს ჩქმალავს, ვინც სიტყვა შეაწია გულაგში გამწესებულ მწერალს.

ნეტავი ვინ იყო ის სულგანათლებული, რომ არც დაეზარა და არც შეეშინდა?! ვინ იყო, ვასო ეგნატაშვილი ხომ არ იყო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დებიუტი

ლეგენდის თანახმად, ერთი ხანდაზმული და თავდაჭერილი ინგლისელი პროფესორი, როდესაც ოცდახუთი წლის რედიარდ კიპლინგის ლექსი „დენი დივერი“ წაუკითხავს, გაოგნებული სტუდენტების თვალწინ თავდავიწყებით აცეკვებულა და თანაც გაჰყვიროდა: „აი, ეს არის ლიტერატურა! როგორც იქნა, გვეღირსა ნამდვილი ლიტერატურა!“

აცეკვებული პროფესორი გამონაკლისი არ ყოფილა. მკითხველთა ელიტაც და მასაც ხარბად დაეწაფა კიპლინგს, რომელსაც ინგლისურ ლიტერატურაში მოულოდნელად შემოჭრილი „უკანონო კომეტა“ უწოდეს.

ცხოვრებისეული პროზა თამამად შეჰქონდა პოეზიაში, ხოლო პროზის მდინარებას ახალისებდა პოეტური ნაკადების შერთვით.

ძნელია რომელიმე ამორჩიო კიპლინგის ერთიმეორეზე უკეთესი მოთხრობებიდან, მაგრამ საკმარისია ვახსენოთ „მაუგლი“ – რა ხანია ისევე ძვირფასი რომ გამხდარა ქართველი ბავშვებისათვის, როგორც „შვლის ნუკრის ნაამბობი“.

მაგრამ კიპლინგი, უწინარეს ყოვლისა, პოეტია.

მეხსიერების კუნჭულებში სამუდამოდ რჩებიან კიპლინგის ლექსებიდან თუნდაც ერთხელ გაცნობილი პერსონაჟები: კლერკი ტომლინსონი, რომელსაც გამოაძევებენ ჯერ სამოთხიდან და მერე – ჯოჯოხეთიდან, რადგანაც თავის უფერულ ცხოვრებაში ერთი სიკეთეც კი არ დაუთესია და ერთი ცოდვითაც კი არ წაუბილწავს სული; ჯარისკაცი ტომი ატკინსი, რომელსაც ტრაქტირში ლუდს დაუჭერენ, სალდათებს არ ვემსახურებითო, მაგრამ სამხედრო მარში რომ აგრიალდება, მაშინ კი ფეხქვეშ ეგებიან, გვემსახურეო; სიკვდილმისჯილი დენი დივერი, რომელსაც ამხანაგი შემოაკვდა სიმთვრალეში და კრინტს არ სძრავს ლექსში, მაგრამ ცოცხლად იხატება მაყურებლებად ქცეული სერჟანტ-მედროშისა და ერთი რიგითის დიალოგში. დენი დივერი სახრჩობელაზე აჰყავთ, ეს რიგითი კი ეკითხება სერჟანტს: მზეს შავად რა გადაეკრაო? და პასუხად ესმის: დენი დივერი სიცოცხლეს ებლაუჭებაო; კომიკური ფიგურა ინგლისელი პარლამენტარისა, ინდოეთს რომ ესტუმრა, რათა თავისი თვალით ეხილა ამქვეყნიური სამოთხე, სადაც მისი თვისტომნი დასახლებულან და განცხრომას მისცემიან. კოპწია სტუმარი საკუთარ ტყავზე იწვნევს ბრჭყვიალა აღმოსავლური მედლის მეორე მხარეს ანუ ინდოეთის სასტიკსა და სნეულ კლიმატს. სამოთხე ჯოჯოხეთად მოეჩვენება და სასწრაფოდ ბრუნდება კომფორტულ სამშობლოში.

...ორმოცდაათ წელს მიღწეული ილია ჭავჭავაძე თავდავიწყებით არ აცეკვებულა, როდესაც „შვლის ნუკრის ნაამბობი“ წაუკითხავს, ოღონდ, იაკობ მანსვეტაშვილის სიტყვით, ასე უთქვამს: „კოჭებზედვე ეტყობა, რა ვაჟიც უნდა გამოვიდეს მაგ ვაჟასაგან. შორს წავა, შორს!“

მოგონების ავტორი დასძენს, თავისი ჩვეული შორსმჭვრეტელობით გაიძახოდაო. ისე შორს წავიდა, რომ თვალის მიდევნება გვიჭირს და ზოგჯერაც ჩამოწოლილ ნისლში ვეღარ გაგვირჩევია, რომელ გზასა და ბილიკებს მიჰყვება.

იმავე მანსვეტაშვილის მემუარებს კიდევ ერთი მჭევრმეტყველი ეპიზოდი შემოუნახავს ჩვენთვის. ილია ჭავჭავაძე „მოხუცის ნათქვამს“ რომ მოუსმენს, გიგა ყიფშიძეს სთხოვს, ხელმეორედ წამიკითხეო და მერე კი წარმოთქვამს ქრესტომათიულად ქცეულ ფრაზას: „არა, ჩვენ, ძველებმა ახლა კალამი ძირს უნდა დავსდვათ! გზა ვაჟას უნდა დავუთმოთ!“

ჯერ არ დაბადებულან ალუდა ქეთელაური და ზვიადაური, ალაზა და ჯოყოლა, მინდია და გოგოთური, ზეზვა და ლუხუმი, „უნუგეშო ყოფნა“ თუ „ჩემი ვედრება“, „იას უთხარით ტურფასა“ თუ „რამ შემქმნა ადამიანად“, ხოლო ქართული სულისა და სიტყვის ბაირახტარი ბრძანებს, ვაჟას გზა უნდა დავუთმოთო.

გზას უთმობს ახალგაზრდა პოეტს, რომელსაც მომავალში დასაწერის კვალობაზე ჯერ თითქმის არაფერი დაუწერია, მაგრამ კოჭებშივე ეტყობა, რასაც დაწერს.

აი, ამას ჰქვია წინასწარმეტყველება – კიდევ ერთი ნიჭი მრავალთა ნიჭთა შორის, ილიას რომ ებადა.

## ქრონიკა

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჟურნალ „ჩვენი მწერლობისა“ და ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების თაოსნობით გაიმართა შეხვედრა გამოჩენილ მთარგმნელთან ზეზვა მედულაშვილთან, ვისმა ლიტერატურულმა ნამოღვაწარმაც უდავოდ გაამდიდრა ქართული კულტურა აღმოსავლური სამყაროდან შემოტანილი შთამბეჭდავი ნაკადით — როგორც ჩვენი პოეზია, ასევე ბელეტრისტიკა. ამასთან, მას მომადლებული აქვს ექსპრომტის, ეპიგრამის, კალამბურის ნიჭი და ამ მხრივაც მეტად საგულისხმოა მისი პოეტური მახვილგონიერება. ზეზვა მედულაშვილის მიერ უშურველად მიმოფანტული ექსპრომტები შესაძლოა დაკარგულიყო და მხოლოდ ხსოვნა შემოგვრჩენოდა მის ამ უნარზე (როგორც, ვთქვათ, პაოლო იაშვილის პოეტური ნიჭის ეს მხარე მხოლოდ თანამედროვეთა შეფასებით ვიცით!), რომ არა ლევან ბრეგაძის მონდომება, ვინც არამარტო თავი მოუყარა ამ ლირიკულ მინიატურათა ერთ ნაწილს, არამედ დაურთო შესაფერისი განმარტებანი, რათა მკითხველს მკაფიოდ შეეგრძნო ესა თუ ის სიტუაცია, მისი პერსონაჟები და ამ ექსპრომტთა იუმორიც და სიმახვილეც მხოლოდ ასე დაეფასებინა ჯეროვნად.

შეხვედრა გახსნა და უძღვებოდა მწერალი და გამომცემელი, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების ქუთაისის ფილიალის ხელმძღვანელი ელგუჯა თავბერიძე, ვრცლად ისაუბრა ზეზვა მედულაშვილის მთარგმნელობით ღვაწლზე მწერალმა და აღმოსავლეთმცოდნემ, ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ რედაქტორმა როსტომ ჩხეიძემ, კრიტიკოსმა, გელათის აკადემიის აკადემიკოსმა ლევან ბრეგაძემ წარმოაჩინა სტუმრის ნიჭის იუმორისტული მხარე. სიტყვები წარმოთქვეს: ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორებმა: ომარ გვეტაძემ, გია ხოფერიამ და ლუკა დვალიშვილმა, გელათის აკადემიის აკადემიკოსმა ავთანდილ ნიკოლეიშვილმა, კრიტიკოსმა, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა ლია კუხიანიძემ, პოეტმა და პროზაიკოსმა ცირა ყურაშვილმა.

ზეზვა მედულაშვილმა წაიკითხა მსოფლიო სახელის პოეტთა ნასიმისა და ომარ ხაიამის პოეტური თარგმანები, საიათნოვას სომხურ და აზერბაიჯანულ ლექსთა ქართული ვერსიები, აგრეთვე აზერბაიჯანული ლირიკული შაირები... პასუხი გასცა მსმენელთა შეკითხვებს (ვთქვათ, განმარტა რომ საიათნოვას სამენოვანი პოეტური მემკვიდრეობიდან ყველაზე შთამბეჭდავია აზერბაიჯანულ ენაზე შექმნილი ნაკადი) და თავი გამოიჩინა მისთვის საყვარელ ამპლუაშიც — ალვისსისწრაფით გარითმა და პოეტურ სტრიქონებში მოუჩინა ადგილი დარბაზიდან შემოთავაზებულ სიტყვებს, რითაც თავისებური პოეტური ფეიერვერკის მოწმე გახადა დამსწრე საზოგადოება.

# „ყვავილების ჩქერებ“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მურმან ჩაჩუას ფოტოეტიუდი



ეთერ თათარაიძე და ამირან არაბული
ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ეზოში (საგურამო)

* * *

ჩამეშლებოდ ფშატეებს
ყვითელ ყვავილთ წრიალა,
ტაფიაებს დირბ-მირბენდ
ნიავ კაბაშრიალა,
ცას გადაშხვეპდ მოლაღურ,
ტანსიბუქ, ხმაწკრიალა,
კდითა გამედინებოდ
წყარო ლურჯ, ჩქარა-ჩქრიალა...

* * *

მიმივლია-დ მომივლი
მთის წვერები-დ ცერებ,
გულზე მომიფენავის
ყვავილების ჩქერებ...
უფლისკ ხედვას მიცვეთავ
ანაწევარ ცერებ...

* * *

ამოვალი-დ ჩაგემხობ
ანამწვანარ მკერდზე,
ცრემლის ცვრით დაგინამავ
ბუბულაებს ფერდზე...
ჩაგემხობი-დ გიამბობ
ნაბიბოქრალ წლებზე.

ეთერ თათარაიძე



იმერული ნატურმორტი

გურამ დოლენჯაშვილი

ISSN 1987-7730